



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

თათია ქვრივიშვილი

**კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის
პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში**

ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მაია ივანიძე

თბილისი

2022

აბსტრაქტი

საკვანძო სიტყვები: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, პირადი ცხოვრების უფლება, სამართლებრივი გარანტიები, უფლებათა კოლიზია.

2015 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებით, მიღწეულ იქნა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგით განსაზღვრული ერთ-ერთი მთავარი მიზანი, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსულიყო ეროვნული კანონმდებლობის ის ნაწილი, რომელიც ხელს შეუწყობდა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვთა უფლებების დაცვის გაძლიერებას. კოდექსში არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა ერთ-ერთ მთავარ ნორმა-პრინციპად განისაზღვრა, რითაც აღნიშნული უფლების შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიებით უზრუნველყოფის საკითხმა მეტი აქტუალობა შეიძინა.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს მინიჭებული აქვს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება საქმის განხილვის ყველა სტადიაზე, რაც ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის თანახმად, სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ მინიმალურ გარანტიას წარმოადგენს. აღნიშნულის შესაბამისად, ამკ უზრუნველყოფს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. თუ არ არსებობს აღნიშნული უფლების დაცვის სათანადო სამართლებრივი გარანტიები, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაციარეაბილიტაციის მიზანი ვერ მიიღწევა.

ნაშრომში განხილულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები. ვინაიდან, ეს უფლება კოლიზიაში მოდის სხვა ძირითად უფლებებთან - საქმის საჯარო განხილვის უფლებასთან, გამოხატვის თავისუფლებასთან, ინფორმაციის თავისუფლებასთან და სხვ. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია დაპირისპირებულ უფლებათა სამართლიანი დაბალანსების საკითხზე.

პირადი ცხოვრების უფლება ამოუწურავი კონცეფციაა, ამიტომ კვლევა განხორციელდა მხოლოდ იმ სპეციფიკური გარანტიების ირგვლივ, რომელიც სრულწლოვანთა მართლმსაჯულებისაგან განსხვავებით, სხვა დატვირთვის მატარებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში და რომელიც უზრუნველყოფს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის დაცვას მისი ვინაობის გამჟღავნებისა და სტიგმატიზაციისაგან. ვინაიდან, არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობის პრინციპი სცილდება უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს და მოიცავს არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვის, მათ შორის, მედიის მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის ეთიკურად გაშუქების საკითხებს, შესაბამისად, ნაშრომში გამოკვლეულია აღნიშნულ სფეროებში არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიებიც.

კვლევის საგანი განხილულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კუთხით. ნაშრომში გაანალიზებულია საერთაშორისო, ევროპული და ეროვნული სტანდარტები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლოების, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების პრაქტიკა, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების საკანონმდებლო რეგულირებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რელევანტურ საკითხებთან მიმართებით.

კვლევის მიზანს წარმოადგენს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობის მნიშვნელოვნების წარმოჩენა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ამ უფლების დაცვის სამართლებრივი გარანტიების ანალიზი, საერთაშორისო სტანდარტებთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობის შეფასება, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი სარეკომენდაციო წინადადებების შემუშავება.

სამეცნიერო თვალსაზრისით კვლევა წარმოადგენს სიახლეს. მართალია, არაერთი ღირებული ნაშრომი შეიქმნა უკანასკნელ წლებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სხვადასხვა აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა, უშუალოდ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები ნაკლებად არის დამუშავებული არა მხოლოდ

ეროვნული, არამედ ევროპის მასშტაბით. ვინაიდან, ნაშრომში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია დაპირისპირებულ უფლებათა დაბალანსების საკითხზე, კვლევას ამ მხრივ არამხოლოდ სამეცნიერო, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

კვლევის მიზნების მისაღწევად ძირითადად გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი, ისტორიული, სისტემური, ფორმალურ-ლოგიკური და კვლევის სხვა მეთოდები.

ნაშრომი შედგება შესავლის, 5 თავისა და დასკვნისაგან. შესავალში წარმოდგენილია კვლევის აქტუალობა, საგანი, მიზნები, მეთოდოლოგიური საფუძვლები და ნაშრომის სტრუქტურა. 1-ლი თავი ეთმობა არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების წარმოშობისა და განვითარების ისტორიულ ასპექტებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. მე-2 თავში წარმოდგენილია ზოგადი მიმოხილვა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სპეციფიკური ასპექტების შესახებ. მომდევნო თავებში დეტალურად არის განხილული პირადი ცხოვრების უფლების დაცვის თითოეული გარანტია. კერძოდ, მე-3 თავი ეძღვნება სასამართლოში საქმის განხილვისას არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიებს. მე-4 თავი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნებისა და გამოქვეყნებისაგან დაცვის საკითხებს შეეხება. მე-5 თავში გაანალიზებულია არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიები მედიის მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის გაშუქებისას. ძირითად საკვლევ საგანს წარმოადგენს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების მიმართება მედიის გამოხატვის თავისუფლების უფლებასთან. დასკვნაში წარმოდგენილია კვლევის შედეგების შეჯამება და სარეკომენდაციო წინადადებები.

Abstract

Keywords: Juvenile justice, minor in conflict with the law, right to privacy, legal guarantees, conflict of rights.

With the adoption of the Juvenile Justice Code of Georgia in 2015, one of the main goals set out in the agenda of the Association Agreement with the European Union was achieved. The part of the national legislation that would help strengthen the protection of the rights of the child involved with the juvenile justice should have been brought in line with international standards. The Code, based on liberal approaches, better ensures the protection of the rights of minors and their re-socialization-rehabilitation. To this end, the protection of the privacy of juvenile has been defined as one of the main principle of the Code. The issue of providing adequate legislative guarantees for the realization of this right has become even more urgent.

According to the international standards, a minor in conflict with the law has the right to respect for his or her privacy at all stages of the proceedings, which is one of the minimum guarantees of a fair trial under Article 40 of the Convention on the Rights of the Child. Accordingly, the Juvenile Justice Code of Georgia ensures the protection of the minor's privacy at any stage of the process. If there are no appropriate legislative guarantees for the effective realization of this right, the goal of resocialization-rehabilitation of a minor in conflict with the law will not be achieved.

The paper discusses the guarantees for the protection of the right to privacy of juvenile. Since this right is in conflict with other basic rights - the right to a public hearing, freedom of expression, freedom of information, special attention is paid to the issue of a fair balancing of conflicting rights.

The right to privacy is an inexhaustible concept, so research has been conducted only around specific safeguards that, unlike juvenile justice, carry a different burden in juvenile justice and that ensure the protection of a minor in conflict with the law by disclosing his or her identity and stigmatization. However, the principle of protection of juvenile's privacy goes beyond the administration of justice and includes issues of ethical coverage of juvenile delinquency by the media and protection of juvenile personal data.

The subject of research is discussed both theoretically and practically. The paper analyzes international, European and national standards, the case-law of the European Court of Human Rights, courts of foreign countries, the Constitutional Court of Georgia and the Common Courts of Georgia, as well as the legislative regulations of foreign countries on relevant issues related to juvenile justice.

The aim of the research is to demonstrate the importance of protecting the privacy in juvenile justice, to analyze legislative safeguards for the protection of this right, to assess the compliance of national legislation with international standards, to identify existing problems and to make relevant recommendations.

From a scientific point of view, research is a novelty. It is true that a number of valuable papers have been created in recent years on various topical issues of juvenile justice, however, guarantees for the protection of the right to privacy of juveniles are less analyzed not only in Georgia but also in Europe. As the paper focuses mainly on the issue of balancing conflicting rights, the research has not only scientific but also practical significance in this regard.

The following methods are mainly used to achieve the goals of the research: comparative-legal, historical, systemic, formal-logical and other methods of research.

The paper consists of an introduction, 5 chapters and a conclusion. The introduction presents the relevance of the research, subject, objectives, methodological bases and structure of the thesis. Chapter 1 deals with the historical aspects of the origin and development of the right of privacy in juvenile justice. Chapter 2 provides a general overview of specific aspects of a juvenile's right to privacy in juvenile justice. The following chapters discuss in detail the legal guarantees for the protection of privacy. Chapter 3 deals with the guarantees of the protection of the right to privacy of a minor in conflict with the law during the court hearing. Chapter 4 deals with the protection of the privacy of minors in conflict with the law in the field of personal data protection, with an emphasis on the protection of data from disclosure and publication. Chapter 5 discusses guarantees for the protection of the juvenile's privacy when the media covers juvenile delinquency. In this chapter, the main topic is the relationship between the juvenile's privacy and freedom of expression in the media. The conclusion presents a summary of the research results and recommendations.

შინაარსი

აბრევიატურა.....	X
შესავალი.....	1
თავი I. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების წარმოშობისა და განვითარების ისტორიული ასპექტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.....	11
1.1. საზღვარგარეთის ქვეყნების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემებში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების წარმოშობა და განვითარება.....	11
1.1.1. აშშ-ის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორიაში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების წარმოშობა და განვითარება.....	12
1.1.2. ევროპის ქვეყნების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემებში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების წარმოშობისა და განვითარების ისტორიული ასპექტები	20
1.2. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების ასახვა ბავშვის უფლებათა სამართალში	27
1.2.1. საერთაშორისო ინსტრუმენტები ბავშვის უფლებათა სამართალში.....	27
1.2.2. ევროპული ინსტრუმენტები ბავშვის უფლებათა სამართალში	32
1.3. საქართველოს კანონმდებლობაში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობის ისტორიული ასპექტები.....	35
თავი II. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სპეციფიკური ასპექტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში	43
2.1. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, როგორც უფლებების მფლობელი სუბიექტი.....	43
2.1.1. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ბიო-ფსიქოლოგიური ასპექტები.....	46

2.2. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სპეციფიკური ასპექტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების მიხედვით (ზოგადი მიმოხილვა).....	52
2.2.1. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სპეციფიკური ასპექტები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.....	52
2.2.1.1. „ეტიკეტირების თეორიის“ მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში	55
2.2.2. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სპეციფიკური ასპექტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ეროვნული სტანდარტების მიხედვით (ზოგადი მიმოხილვა).....	60
2.2.2.1. საქართველოს კონსტიტუცია, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ძირითადი გარანტი	60
2.2.2.2. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სპეციფიკური ასპექტები ეროვნულ კანონმდებლობაში.....	66
თავი III. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები სასამართლოში საქმის განხილვისას.....	71
3.1. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის განხილვა დახურულ სასამართლო სხდომაზე, როგორც პირადი ცხოვრების უფლების დაცვის საპროცესო გარანტია.....	71
3.1.1. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების მიმართება საქმის საჯარო განხილვის უფლებასთან.....	72
3.1.1.1. საქმის საჯარო განხილვის უფლების მნიშვნელობა.....	72
3.1.1.2. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება, როგორც საქმის საჯარო განხილვის შეზღუდვის საფუძველი.....	76
3.1.1.3. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის უფლება, მოითხოვოს მისი საქმის საჯარო განხილვა	86

3.1.1.4. ამკ-ის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შეფასება კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჭრილში	93
3.1.1.5. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვაზე დასწრების უფლების მქონე პირები.....	96
3.2. არასრულწლოვნის განაჩენის გამოცხადების წესი.....	108
3.2.1. განაჩენის საჯაროდ გამოცხადების მნიშვნელობა	108
3.2.2. არასრულწლოვნის განაჩენის გამოცხადების წესი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით	109
3.2.3. არასრულწლოვნის განაჩენის გამოცხადების წესი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.....	112
3.3. ერთობლივი საქმიდან არასრულწლოვნის საქმის ცალკე გამოყოფა	117
3.4. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობის პრინციპის ასახვა „საპროცესო არასრულწლოვნების“ პრინციპზე.....	121
3.5. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელებისას	127
3.5.1. საერთაშორისო რეკომენდაციები დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში	129
3.5.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზი დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელების კონტექსტში ...	132
3.5.3. საქართველოს საერთო სასამართლოებში დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელებისას არსებული გამოწვევები.....	138
თავი IV. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში	141
4.1. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვა, როგორც პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტია.....	142
4.2. არასრულწლოვნის ნამსართლობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების აკრძალვა.....	147
4.3. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისა და გამოქვეყნების აკრძალვა	152

4.4. არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენებზე მესამე პირთა ხელმისაწვდომობა	156
4.4.1. საქართველოს საერთო სასამართლოებში არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენებზე მესამე პირთა ხელმისაწვდომობა	158
4.4.2. არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენებზე მესამე პირთა ხელმისაწვდომობა საზღვარგარეთის ქვეყნებში	165
4.5. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სხვა პრობლემური საკითხები.....	171
4.5.1. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემთა შენახვა და განადგურება.....	171
4.5.2. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება	181
თავი V. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები მედიის მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გაშუქებისას	185
5.1. მედიის როლი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.....	185
5.2. გამოხატვის თავისუფლების არსი და მედია.....	188
5.3. მედიის მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გაშუქების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები.....	190
5.4. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების მიმართება მედიის გამოხატვის თავისუფლებასთან (ევროპული სასამართლოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი)	200
5.4.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი	200
5.4.2. საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.....	206
5.5. საქართველოში მედიის მიერ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის ფაქტები და მასზე რეაგირების მექანიზმები	210
დასკვნა.....	222
ბიბლიოგრაფია.....	245

აბრევიატურა

ქართულ ენაზე:

ამკ	საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
ა.შ.	ასე შემდეგ
ბავშვის უფლებათა კომიტეტი	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტი
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
გამომც.	გამომცემლობა
დანაშაულის პრევენციის ცენტრი	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დანაშაულის პრევენციის ცენტრი
ზაკ	ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
იხ.	იხილეთ
მაგ.	მაგალითად
მუხ.	მუხლი
პრობაციის ეროვნული სააგენტო	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - პრობაციის ეროვნული სააგენტო
რედ.	რედაქტორი
სსიპ	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სსკ	საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
სსსკ	საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

ინგლისურ ენაზე:

Art	Article
CCJE	Consultative Council of European Judges
CRC	Convention on the Right of the Child
CEPEJ	European Commission for the Efficiency of Justice
COVID-19	Coronavirus Disease
DRC	The UN Declaration of the Rights of the Child
EC	European Commission
ECHR	European Court of Human Rights
Ed.	Editor
EU	European Union
EWHC	England and Wales High Court
GDPR	The General Data Protection Regulation
IACHR	Inter-American Commission on Human Rights
IACrtHR	Inter-American Court of Human Rights
I/A	Inter-American
JR	Judicial Review
OHCHR	Office of the United Nations High Commissioner for Human Rights
FRA	European Union Agency for Fundamental Rights
LON	League of Nations
No.	Number
Nos.	Numbers
Para.	Paragraph
Rec.	Recommendation
UDHR	Universal Declaration of Human Rights
UKSC	Supreme Court of the United Kingdom

UN	United Nations
UNICEF	United Nations Children's Fund
UNICEF ECARO	UNICEF's Europe and Central Asia Regional Office
UNODC	United Nations Office of Drugs and Crime
U.S.	United States
U.S.A.	The United States of America
V.	Versus
Vol.	Volume
WHO	World Health Organization

გერმანულ ენაზე:

Aufl.	Auflage
BGBI	Das Bundesgesetzblatt
GIZ	Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit
GVG	Gerichtsverfassungsgesetz
JGG	Jugendgerichtsgesetz
Neu bearb.	neu bearbeitete
Rn.	Randnummer

შესავალი

კვლევის აქტუალობა. თანამედროვე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მთავარ არსს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სრულწლოვნისაგან განსხვავებული მოპყრობა წარმოადგენს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას საკუთარი ფილოსოფია აქვს, რომლის მთავარი ორიენტირი არასრულწლოვნის რეაბილიტაციაა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, არასრულწლოვანთა სასამართლოს დამფუძნებლებს ორი მთავარი მიზანი ჰქონდათ: ახალგაზრდებისთვის დამნაშავის სტიგმის ტვირთისა და ზიანის თავიდან არიდება; და გზასაცდენილი ახალგაზრდების რეაბილიტაცია, რისთვისაც მათ შეიმუშავეს არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესისა და მონაცემთა კონფიდენციალობა.¹

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს მინიჭებული აქვს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება საქმის განხილვის ყველა სტადიაზე. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის თანახმად, იგი სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ ფუნდამენტურ გარანტიას წარმოადგენს. ვინაიდან, პირადი ცხოვრების კონცეფცია ამოუწურავია და უამრავი ასპექტის მომცველი, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი განმარტავს, რომ ამ კონკრეტულ კონტექსტში პრინციპის ძირითად მიზანს წარმოადგენს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის დაცვა მისი ვინაობის გამჟღავნებისა და სტიგმატიზაციისაგან, რაც მოიცავს მართლმსაჯულების მთლიანი პროცესის კონფიდენციალურად წარმართვას, მათ შორის განაჩენის გამოცხადებას იმგვარად, რომ არ გამჟღავნდეს არასრულწლოვნის ვინაობა. ამასთან, არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ვალდებულება ეკისრება, როგორც პროცესის მონაწილე პირებს, ისე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვა მოითხოვს

¹ *Belair R.*, Criminal Justice Information Policy: Privacy and Juvenile Justice Records, Washington, U.S. Department of Justice, 1982, 12-13, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.agopinions/cjip0001&i=1>> [16.11.2021]; *Jacobs B. J.*, Juvenile Criminal Record Confidentiality, New York University Public Law and Legal Theory Working Papers, 2013, 1, <https://www.researchgate.net/publication/256065461_Juvenile_Criminal_Record_Confidentiality>[16.11.2021].

შესაბამისი სამართლებრივი გარანტიების არსებობას არამხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, არამედ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში, მათ შორის, მედიის მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გაშუქებისას.

საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დახვეწისა და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგების საკითხი დღის წესრიგში ჯერ კიდევ 2003 წელს დადგა, როცა გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტმა საქართველოს მთავრობას მოუწოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირებისკენ. იმ დროისთვის მოქმედი საკანონმდებლო რეგულირება ვერ აკმაყოფილებდა საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს. ამასთან, არ არსებობდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სათანადო გარანტიები. ეროვნული კანონმდებლობა არასრულწლოვნის საჯარო სამართალწარმოების შესაძლებლობას იძლეოდა, ხოლო დახურულ სასამართლო სხდომაზე პროცესის გამართვის შემთხვევაშიც კი არასრულწლოვნის განაჩენი საჯაროდ ცხადდებოდა. არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გაშუქებისას, მედია მუდმივად აქვეყნებდა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს. აღნიშნული სიუჟეტები და არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ინტერვიუები, მათი ვინაობის მითითებით, დღემდე ხელმისაწვდომია ინტერნეტ სივრცეში.

ნიშანდობლივია, რომ როგორც ქართულ, ისე ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მეცნიერულ ანალიზს იშვიათად ვხვდებით. თუმცა, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში ეს საკითხი აქტუალური ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდა. ფართო დისკუსიის საგანს წარმოადგენდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრებისა და საქმის საჯაროდ განხილვის უფლებათა სამართლიანი დაბალანსების საკითხი. რაც შეეხება ეროვნულ კანონმდებლობას, ვინაიდან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ისტორიის ხანმოკლე პერიოდს ითვლის, ცხადია, პრაქტიკაში თანდათანობით გამოიკვეთება პრობლემური საკითხები და შეიქმნება მეტი სამეცნიერო ნაშრომი. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში არაერთი ღირებული კვლევა

განხორციელდა ქართველ მეცნიერთა მიერ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრობლემატური საკითხების ირგვლივ, თუმცა წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანს ნაკლები ყურადღება ეთმობა. მაშინ, როცა საკითხი აქტუალურია არაერთი თვალსაზრისით: 2015 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებით, მიღწეულ იქნა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგით განსაზღვრული ერთ-ერთი მთავარი მიზანი, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსულიყო ეროვნული კანონმდებლობის ის ნაწილი, რომელიც ხელს შეუწყობდა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვთა უფლებების დაცვის გაძლიერებას. ახალი კოდექსი ლიბერალური მიდგომების საფუძველზე უკეთ უზრუნველყოფს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის უფლებების დაცვასა და მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას. ამ მიზნით, არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა კოდექსის ერთ-ერთ მთავარ ნორმა-პრინციპადაა განსაზღვრული, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პროცესში ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობას იძლევა, რომლის სათანადო სამართლებრივი გარანტიებით უზრუნველყოფა ხელს უშლის არასრულწლოვნის დამნაშავედ სტიგმატიზებას და მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას რეალობად აქცევს. აღნიშნული უფლების დარღვევამ კი შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ბავშვის ფსიქიკას, მის განვითარებასა და მომავალ ცხოვრებას. პირადი ცხოვრების დაცულობა იმდენად მზარდი მნიშვნელობისაა არასრულწლოვნების პერიოდში, რომ განსაკუთრებით შემაშფოთებელია თუ ვერ მოხდება მისი სათანადოდ დაცვის უზრუნველყოფა.² არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპად პირადი ცხოვრების დაცულობის განსაზღვრამ, ამ უფლების შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიებით უზრუნველყოფას მეტი აქტუალობა შესძინა. ამ მიზნით, კანონმდებელმა იმპერატიულად დახურა არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომები, დახურულ სხდომაზე ცხადდება არასრულწლოვნის განაჩენიც, მკაცრად შეზღუდულია პროცესზე დამსწრე პირთა წრე. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გარეშე პირების დასწრების

² Committee on the Rights of the Child, General Comment No. 20 on the Implementation of the Rights of the Child during Adolescence, 2016, 12, <<https://www.refworld.org/publisher.CRC.GENERAL..589dad3d4.0.html>> [06.12.2021].

შესაძლებლობას, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების. მაშინ როცა მედიისა და საზოგადოების ინტერესის საგანი ყოველთვის იყო და არის არასრულწლოვანთა დანაშაული. სასამართლო კარს მიღმა დარჩენილი მედია მუდმივად აპელირებს პროცესის სამართლიანობის არარსებობისა და არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევის თაობაზე. ამასთან, მართალია ამკ-ის მიღებით სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება მაღალი სტანდარტით დაიცვას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება, თუმცა დღესაც ხშირია არასრულწლოვნის, როგორც პირდაპირი, ისე ირიბი იდენტიფიცირების შემთხვევები მედიის მიერ დანაშაულის საკითხის გაშუქებისას, აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან პრესრელიზების გავრცელებისა თუ ბრიფინგების გამართვისას. ამასთან, საერთო სასამართლოებში არასრულწლოვანთა საქმეებზე მიღებული განაჩენების ხელმისაწვდომობის საკითხი კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს, ვინაიდან საჯარო ინფორმაციის სახით განაჩენთა გაცემა დეპერსონალიზებული ფორმითაც არ ხდება, მათ შორის სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება. საკითხმა უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2019 წლის 7 ივნისს მიღებული №1/4/693,857 გადაწყვეტილებით საქმეზე „ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომლითაც კანონმდებელს დაევალა გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად აღნიშნული საკითხის მოწესრიგება, რაც არაერთ გამოწვევასთანაა დაკავშირებული. საკითხის აქტუალობას დამატებით განაპირობებს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების სხვა უფლებებთან კოლიზიაში ყოფნა, მათ შორის, საქმის საჯარო განხილვის, გამოხატვის თავისუფლების, ინფორმაციის თავისუფლების უფლებებთან. ერთი მხრივ, უმნიშვნელოვანესია დაცულ იქნეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება, რათა მიღწეულ იქნეს მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზანი, ხოლო მეორე მხრივ, არანაკლებ ღირებულია უზრუნველყოფილ იქნეს სამართალწარმოების გამჭვირვალობა, რაც გაუმჯობესებული სისტემის პირობებში უკეთ უზრუნველყოფს არასრულწლოვნის უფლებების რეალიზაციას. ნაშრომი შესაძლებლობას იძლევა

პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიები რამდენად უზრუნველყოფს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობას და რამდენად შესაბამისობაშია მოქმედი რეგულაციები საერთაშორისო სტანდარტებთან; სამართლებრივ ღირებულებათა შორის კოლიზიის წარმოშობის შემთხვევაში როგორ მიიღწევა სამართლიანი ბალანსი; არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა ნიშნავს კი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის „საიდუმლოებას“³ და რა გარანტიები უნდა არსებობდეს კანონმდებლობაში იმისათვის, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა სათანადოდ იქნეს უზრუნველყოფილი. სწორედ ამ აქტუალურ საკითხებს პასუხობს წინამდებარე ნაშრომი.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სამართლებრივი გარანტიები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. მართლია, ამკ-ის მე-13 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების დაცულობის პრინციპი ვრცელდება როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვან, ისე არასრულწლოვან მოწმესა და დაზარალებულზე, თუმცა, აღნიშნული პრინციპი და კოდექსში გათვალისწინებული პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სხვა გარანტიები, მეტი ინტენსივობით იცავს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნობრიობიდან გამომდინარე. ამასთან, კონვენციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების მინიმალური გარანტიები, რომელთა შორისაა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება საქმის განხილვის ყველა სტადიაზე, უშუალოდ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის უფლებას განეკუთვნება. ამრიგად, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის კვლევა შეეხება მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, რომელშიც ნაშრომის მიზნებისთვის მოიაზრება მხოლოდ ამკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული პირი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვინაიდან პირადი ცხოვრების უფლება ფართო კონცეფციას წარმოადგენს და მრავალ უფლებრივ კომპონენტს მოიცავს, ყველა

³ *Greenebaum S. S., Conditional Access to Juvenile Court Proceedings: A Prior Restraint or a Viable Solution?*, *Journal of Urban and Contemporary Law*, Vol. 44, 1993, 36.

ელემენტის განხილვა არარელევანტურია. ნაშრომი შემოიფარგლება მხოლოდ იმ გარანტიების კვლევით, რომლებიც სპეციფიურად ვლინდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, რაც მოიცავს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიებს სასამართლოში საქმის განხილვისას, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში და მედიის მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გაშუქებისას. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია სასამართლოში დახურულ კარს მიღმა არასრულწლოვნის სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესზე, განაჩენის გამოცხადების წესსა და განაჩენთა ხელმისაწვდომობაზე. ამასთან, შედარებითი ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია მსჯელობა, თუ როგორ პრევალირებს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება მასთან კოლიზიაში მყოფ სხვა უფლებებთან; რა როლი აქვს მედიას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში და როგორ უნდა გაშუქდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხი იმგვარად, რომ ერთი მხრივ დაცულ იქნეს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება, ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოფილ იქნეს გამოხატვის თავისუფლება. ამასთან, ვინაიდან არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს მისი პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხსაც, ნაშრომის კვლევის საგანია აგრეთვე იმ სამართლებრივი გარანტიების ანალიზი, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნებისა და გამოქვეყნების აკრძალვას შეეხება. ყოველივე ზემოხსენებული საკითხების კვლევის მიზნით ნაშრომში განხილულია საერთაშორისო, ევროპული და ეროვნული სტანდარტები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, საზღვარგარეთის უზენაესი სასამართლოების, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების პრაქტიკა, აგრეთვე საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების საკანონმდებლო რეგულირებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რელევანტური საკითხების ირგვლივ. კვლევის საგანი განხილულია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კუთხით.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს: კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის იმ სპეციფიური გარანტიების ანალიზი, რომლებიც სრულწლოვანთა მართლმსაჯულებისაგან

განსხვავებით, სხვა დატვირთვის მატარებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში; აგრეთვე, საერთაშორისო სტანდარტებთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობის დადგენა; თუ რა მექანიზმები უნდა არსებობდეს ეროვნულ კანონმდებლობაში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების მაღალი სტანდარტით დაცვის თვალსაზრისით და როგორ უნდა გადაწყდეს ღირებულებათა კონფლიქტის საკითხი. სწორედ ამ საკითხების სიღრმისეული ანალიზი და არსებული პრობლემების იდენტიფიცირებაა ნაშრომის მიზანი, რასაც მოჰყვება შესაბამისი სარეკომენდაციო წინადადებების შემუშავება. ამრიგად, წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს შესაძლებლობას შეფასდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის დახვეწას არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ეფექტიანი რეალიზაციის მიზნით, აგრეთვე ეროვნული სტანდარტების კიდევ უფრო მეტად დაახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლებია შედარებით-სამართლებრივი, ისტორიული, სისტემური, ფორმალურ-ლოგიკური და კვლევის სხვა მეთოდები.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება აბსტრაქტის, შესავალი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილებისგან.

I თავი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორიულ ასპექტებს ემდგნება, კერძოდ, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების წარმოშობასა და განვითარებას საზღვარგარეთის ქვეყნების, კერძოდ, აშშ-სა და ევროპის ქვეყნების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემებში. ცალკე ქვეთავი ეთმობა ბავშვის უფლებათა სამართალში არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების ასახვის საკითხს, ამ მიზნით განხილულია ძირითადი საერთაშორისო და ევროპული ინსტრუმენტები. ბოლო ქვეთავში წარმოდგენილია ისტორიული ექსკურსი ეროვნულ კანონმდებლობაში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვლობის თვალსაზრისით.

II თავში განხილულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სპეციფიური ასპექტები არასრულწლოვანთა

მართლმსაჯულებაში საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების მიხედვით. აღნიშნული თავის პირველი ქვეთავი ეთმობა არასრულწლოვანს, როგორც ადამიანის უფლებების მფლობელ სუბიექტს, კერძოდ აღნიშნულ ქვეთავში გაანალიზებულია, თუ რა მსგავსებები და განსხვავებები არსებობს არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა უფლებებს შორის და რა ბიო-ფსიქოლოგიური ფაქტორები განაპირობებს მათდამი განსხვავებულ მოპყრობას; მომდევნო ქვეთავები კი ეთმობა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სპეციფიური ასპექტების მიმოხილვას საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების მიხედვით, გამოკვეთილია მომდევნო თავებში დეტალურად განსახილველი თემატიკა.

III თავი დათმობილი აქვს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიებს სასამართლოში საქმის განხილვისას. კვლევის ცენტრალურ ნაწილს კი წარმოადგენს არასრულწლოვნის საქმის განხილვა დახურულ სასამართლო სხდომაზე. ცალკე ქვეთავადაა შემოთავაზებული არასრულწლოვნის პირადი ცხოვრებისა და საქმის საჯაროდ განხილვის უფლებათა ურთიერთმიმართების საკითხი, რომელიც ორი მიმართულებითაა განხილული, თუ როგორ უნდა გადაწყდეს დილემა ამ ორ დაპირისპირებულ უფლებას შორის კოლიზიის წარმოშობის შემთხვევაში და მეორე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში დაცულია თუ არა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდივიდუალური უფლება მოითხოვოს მისი საქმის საჯაროდ განხილვა. ცალკე ქვეთავი ეძღვნება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვაზე დასწრების უფლების მქონე პირთა საკითხს. მომდევნო ქვეთავში განხილულია არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილი განაჩენის გამოცხადების წესი, თუ რა თავისებურებით ვლინდება იგი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. ამ თვალსაზრისით წარმოდგენილია საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების შედარებითი ანალიზი. ცალკე ქვეთავი აქვს დათმობილი კიდევ ერთი პროცესუალურ გარანტიას - ერთობლივი საქმიდან არასრულწლოვნის საქმის ცალკე გამოყოფის საკითხს. მომდევნო ქვეთავი ეთმობა ე.წ. „საპროცესო არასრულწლოვნების“ პრინციპს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, სადაც გაანალიზებულია დახურული სასამართლო სხდომის

საშეღვათო წესით 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებისთვის სარგებლობის მიზანშეწონილობის საკითხი. ბოლო ქვეთავში განხილულია არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები დისტანციური სამართალწარმოებისას.

IV თავი ეძღვნება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში. პირველ ქვეთავში გაანალიზებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და პირადი ცხოვრების უფლებას შორის შინაარსობრივი კავშირის საკითხი. მომდევნო ქვეთავი ეთმობა არასრულწლოვნის ნასამართლობის, როგორც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების აკრძალვას. ცალკე ქვეთავადაა განხილული არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისა და გამოქვეყნების აკრძალვის წესი, თუ რა საგამონაკლისო შემთხვევაშია დასაშვები არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნება მონაცემთა დამმუშავებელი ორგანოს მიერ. მომდევნო ქვეთავი ეთმობა არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენებზე მესამე პირთა ხელმისაწვდომობის საკითხს. ბოლო ქვეთავში განხილულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სხვა პრობლემატური საკითხები, რომელთა შორისაა მონაცემთა შენახვისა და განადგურების, აგრეთვე მონაცემთა უსაფრთხოების საკითხები.

V თავი შეეხება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიებს მედიის მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის გაშუქებისას. პირველი ქვეთავი ზოგადად მიმოიხილავს მედიის როლს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. მომდევნო ქვეთავში წარმოდგენილია მოკლე შინაარსი გამოხატვის თავისუფლების შესახებ, რასაც მოსდევს მედიის მიერ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაციის გაშუქების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების მიმოხილვა. ცალკე თავი ეთმობა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების მიმართებას გამოხატვის თავისუფლების უფლებასთან. ამ მიზნით გაანალიზებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილებები. ხოლო ბოლო განსახილველ საკითხს წარმოადგენს

მედიის წარმომადგენლების მიერ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის ფაქტები და მასზე რეაგირების მექანიზმები.

დისერტაციის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია კვლევის შედეგები, წარმოჩენილია საკანონმდებლო და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები, შემოთავაზებულია იდენტიფიცირებულ პრობლემათა გადაჭრის გზები და სარეკომენდაციო წინადადებები.

თავი I

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების წარმოშობისა და განვითარების ისტორიული ასპექტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

1.1. საზღვარგარეთის ქვეყნების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემებში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების წარმოშობა და განვითარება

როგორც მშობლები ფიქრობენ მათი შვილების აღზრდის საუკეთესო მეთოდებზე, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე, ასევე ებრძვიან სახელმწიფოები ახალგაზრდების მიერ ჩადენილ სამართალდარღვევებს და ცდილობენ უპასუხონ არსებულ გამოწვევებს.⁴ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ყალიბდებოდა, როგორც „მართლმსაჯულების ორბიტაში მოხვედრილ ბავშვთა და მოზარდთა უფლებების დაცვის ჰუმანისტური ინსტიტუტი“,“⁵ რომლის ფუნდამენტურ ასპექტად გამოიკვეთა „ყველა ქვეყნის სწრაფვა, ჰქონდეს იმგვარი სამართალი და პოლიტიკა, რომელშიც ასახული იქნება შეხედულება, მოეპყრონ არასრულწლოვანს ზრდასრული დამნაშვისგან განსხვავებულად.“⁶

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფილოსოფიისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის აღმოჩნდა სისტემის კონფიდენციალური ხასიათი.⁷ არასრულწლოვანთა სასამართლოს უნდა შეესრულებინა მთავარი როლი იმისათვის,

⁴ *Doob A. N., Tonry M., Varieties of Youth Justice, Youth Crime and Youth Justice: Comparative and Cross-National Perspectives, Crime and Justice, Vol. 31, The University of Chicago Press Journals, 2004, 1.*

⁵ *ბოხაშვილი ი., ბენიძე მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები (მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მიხედვით), „სამართლის ჟურნალი“, №2, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 35, იხ. ციტირება: *Петрухин И..Л., Уголовно-процессуальное право Российской Федерации, М., 2007, 592.**

⁶ *ქვრივიშვილი თ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა სასამართლოში საქმის განხილვისას, „სამართლის ჟურნალი“, №1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2020, 173, იხ. ციტირება: *Doob A. N., Tonry M., Varieties of Youth Justice, Crime and Justice, Vol. 31, Youth Crime and Youth Justice: Comparative and Cross-National Perspectives, Crime and Justice, The University of Chicago Press Journals, 2004, 3;**

⁷ *Cashman C. E., Confidentiality of Juvenile Court Proceedings: Review. Juvenile Justice 24(2), 1973, 30, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/juvfc24&i=98>> [09.12.2021].*

რათა ბავშვი გადაერჩინათ დამნაშავეს სტიგმისაგან, რაც მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაჰყვებოდა. სასამართლოს კონტროლზე უნდა აეყვანა მისი პირველი სტიგმატიზაცია და არასრულწლოვნის გამოსწორების ნაცვლად, უნდა ეზრუნა მის დაცვაზე.⁸ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების წარმოშობის საწყისებიც სწორედ საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორიაში უნდა ვეძიოთ, პირველ რიგში კი აშშ-ში, სადაც წარმოიშვა და მრავალგზის ევოლუცია განიცადა.

1.1.1. აშშ-ის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორიაში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების წარმოშობა და განვითარება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის შექმნა აშშ-ში დაიწყო, როდესაც ამბიციური ადამიანების ჯგუფმა მიზნად დაისახა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული მეთოდით უზრუნველყოფა. ნაცვლად იმისა, რომ ახალგაზრდა დამნაშავეები დაესაჯათ სისხლის სამართლის სისტემის სრული სიმკაცრით, სისტემა ორიენტირებული უნდა ყოფილიყო კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების სპეციალური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, რაზეც გავლენა დეტერმინიზმის ფილოსოფიურმა კონცეფციამ მოახდინა. აღნიშნული კონცეფციის თანახმად, ადამიანის მოქმედება არის სხვადასხვა ეკოლოგიური, ბიოლოგიური ან სოციალური დეტერმინანტების პროდუქტი და არა თავისუფალი ნება.⁹ ბავშვებს არა აქვთ მოზრდილების მსგავსი არც გაგების უნარი და არც დანაშაულის მოტივი. რა თქმა უნდა, მათ შეიძლება რეალურად ჩაიდინონ დანაშაულებრივი ქმედებები, მაგრამ - ისევე როგორც შეურაცხადი პირები - ბავშვები არ უნდა განიხილებოდნენ დამნაშავეებად. საზოგადოებამ რეაგირება ამ მოვლენაზე

⁸ Mack J. W., The Juvenile Court, Harvard Law Review, Vo. 23, 1909, note 5, 109, <https://www.jstor.org/stable/1325042?origin=crossref&seq=6#metadata_info_tab_contents> [20.06.2021]; Bradley R. J., Kolodney S. E., Criminal Justice Information Policy, Privacy and Juvenile Justice Records, Washington, 1982, 14; Jacobs, James B., Juvenile Criminal Record Confidentiality, New York University Public Law and Legal Theory Working Papers, 2013, 1.

⁹ Blum A. R., Disclosing the Identities of Juvenile Felons: Introducing Accountability to Juvenile Justice, Loyola University Chicago Law Journal, Vol. 27, Issue 2, 1996, 351.

უნდა მოახდინოს მხოლოდ მკურნალობითა და რეაბილიტაციით.¹⁰ სწორედ ამ მიზნით, გადაწყდა არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა კონფიდენციალობით უზრუნველყოფა, რაც არასრულწლოვნებს პროდუქტიულ და უპრობლემო მომავლის შესაძლებლობას მისცემდა და დაიცავდა დამნაშავეის სტიგმისაგან.¹¹

ადრეულმა რეფორმატორებმა თავიანთი იდეების რეალობაში გადატანა არჩიეს *parens patriae*-ის კონცეფციის მეშვეობით,¹² რომელმაც 1838 წელს შეაღწია ამერიკის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, რათა გამართლებული ყოფილიყო კანონდამრღვევ ბავშვთა თავშესაფრის სახლებისთვის გადაცემა.¹³ *Parens patriae*-ის ურყევი მოძღვრება, რომელიც მოიაზრებდა იდეოლოგიას - „მეფე, როგორც მამა“, გადაიხარა უფრო ზოგადი იდეოლოგიისკენ - ”სახელმწიფო,” რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესისთვის მოქმედებს.” სახელმწიფო იცავდა ახალგაზრდებს კრიმინალურ სამყაროში მოხვედრისგან.¹⁴ ისინი განიხილებოდნენ არა „დამნაშავეებად“, არამედ დელინქენტებად¹⁵, რომლებიც საჭიროებდნენ

¹⁰ Bradley R. J., Kolodney S. E., Criminal Justice Information Policy, Privacy and Juvenile Justice Records, Washington, 1982, 1.

¹¹ Blum A. R., Disclosing the Identities of Juvenile Felons: Introducing Accountability to Juvenile Justice, Loyola University Chicago Law Journal, Vol. 27, Issue 2, 1996, 352.

¹² *Parens Patrie* (ლათ. ტერმინი) - სიტყვასიტყვით ნიშნავს „ქვეყნის მამას“. აღნიშნული ტერმინი სათავეს იღებს მე-12 საუკუნის ბრიტანეთიდან. კონცეფცია მოიცავდა მეფის პასუხისმგებლობასა და ზრუნვას ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემურ საკითხზე. ბავშვებს ხშირად თვლიდნენ ქონებად და როდესაც ისინი არღვევდნენ კანონს, ექვემდებარებოდნენ მეფის ან მისი წარმომადგენლების გადაწყვეტილებებს. სახელმწიფოს ჰქონდა ბავშვების აღზრდის უპირველესი და ლეგიტიმური ინტერესი. იხ: *Burke A. S., Carter D., Fedorek B., Morey T., Rutz-Burri L., Sanchez Sh.*, Introduction to the American Criminal Justice System, 390; *Blum A. R.*, Disclosing the Identities of Juvenile Felons: Introducing Accountability to Juvenile Justice, Loyola University Chicago Law Journal, Vol. 27, Issue 2, 1996, 352; *შეილაძე ხ.*, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, თბილისი, 2019, 17.

¹³ Juvenile Justice: History and Philosophy, Encyclopedia of Crime and Justice, 2021. <<https://www.encyclopedia.com/law/legal-and-political-magazines/juvenile-justice-history-and-philosophy>> [09.12.2021].

¹⁴ *Burke A. S., Carter D., Fedorek B., Morey T., Rutz-Burri L., Sanchez Sh.*, Introduction to the American Criminal Justice System, 390-391.

¹⁵ არასრულწლოვანთა დელინქენტობა (Juvenile Delinquency) – მოიცავს არასრულწლოვანთა მიერ სამართლებრივი, კულტურული და სოციალური ნორმების სხვადასხვა სახის დარღვევას, მცირე გადაცდენიდან მძიმე დანაშაულამდე. არასრულწლოვანი დელინქენტი (Juvenile Delinquent) - არის ბავშვი, მოზარდი ან ახალგაზრდა, რომლის შესახებ განაცხადებენ, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, ან რომელთან დაკავშირებითაც დადასტურდა დანაშაულის ჩადენის ფაქტი. იხ. ციტირება: *ჯავახიშვილი ჯ, მახაშვილი ნ.*, არასრულწლოვანთა დელინქენტობის პრევენცია, ფსიქო-სოციალური სამსახურის გამოცდილება, თბილისი, 2011, 51, <shorturl.at/nHV58> [09.12.2021].

„კეთილგანწყობილ ჩარევას.“¹⁶ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემას, როგორც სოციალური კეთილდღეობის სისტემას, ორმაგი მიზნით უნდა ემოქმედა: დაეცვა კანონთან კონფლიქტში მყოფი ახალგაზრდები სრულწლოვანი დამნაშავეების მავნე ზეგავლენისაგან და უზრუნველყო დამნაშავეები და სტატუსური სამართალდამრღვევები¹⁷ საჭირო ზედამხედველობითა და მოპყრობით, რაც ხშირად რთულია გარდატეხის ასაკიდან კანონმორჩილ ზრდასრულებად გარდაქმნის პერიოდში.¹⁸ ამ მიზნის მისაღწევად, არასრულწლოვანთა სასამართლოს უნდა მოეხდინა რესტრუქტურითა არაფორმალურ, არაშეჯიბრებით სისტემად, სადაც პროცესების განხილვა მოხდებოდა „სისხლის“ ნაცვლად „სამოქალაქო“ წესით. ამ იდეის მომხრენი იმედოვნებდნენ, რომ ახალ ატმოსფეროში რეფორმირებული ბრალდებული ბავშვები შეაბიჯებდნენ სრულწლოვანებაში "ყოფილი დამნაშავის" სტიგმის გარეშე.¹⁹

ბავშვთა სოციალური კონტროლის სტრატეგიის იდეოლოგიურმა ცვლილებებმა განაპირობეს²⁰ მე-19 საუკუნის ბოლოს მსოფლიოში პირველი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის შექმნა ილინოისში. 1899 წელს მიღებული ილინოისის არასრულწლოვანთა სასამართლოს კანონი აღიარებულია, როგორც კანონმდებლობის პირველი მაგალითი, რომელიც არასრულწლოვან დამნაშავეთათვის ცალკე სასამართლოს შექმნას ითვალისწინებდა.²¹ ამრიგად, შემუშავდა ორი ცალკეული

¹⁶ *Heinrich B., Kherkheulidze I.*, Perfection of the Trends in Juvenile Justice Systems On the Basis of Comparison of German, Georgian and the U.S. Juvenile Law, *Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik*, Berlin, Tbilisi, 12/2014, 610-611, <http://www.zis-online.com/dat/artikel/2014_12_871.pdf> [20.06.2021].

¹⁷ სტატუსური დანაშაული - ქმედება, რომლის ჩადენაც შეუძლია მხოლოდ გარკვეული სტატუსის მქონე პირს. უმეტესად გამოიყენება იმ დანაშაულების განსასაზღვრად, რომელთა ჩადენაც მხოლოდ ბავშვის მიერაა შესაძლებელი. მაგალითად, სკოლის გაცდენა. იხ: *ჰამილტონი ქ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი, 2015, 12.

¹⁸ *Bishop D. M., Decker S. H.*, Punishment and Control: Juvenile Justice Reform in the USA, *International Handbook of Juvenile Justice*, Springer 2008, 3.

¹⁹ *Greenebaum S. S.*, Conditional Access to Juvenile Court Proceedings: A Prior Restraint or a Viable Solution?, *Journal of Urban and Contemporary Law*, 1993, 142.

²⁰ Juvenile Justice: History and Philosophy, *Encyclopedia of Crime and Justice*, 2021, <<https://www.encyclopedia.com/law/legal-and-political-magazines/juvenile-justice-history-and-philosophy>> [09.12.2021].

²¹ *Rap S.*, The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe, Utrecht, 2013, 37; *Bishop D. M., Decker S. H.*, Punishment and Control: Juvenile Justice Reform in the USA, *International Handbook of Juvenile Justice*, Springer, 2008, 3; Juvenile Offenders and Victims, 2014 National Report, National Center for Juvenile Justice, Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention, Pittsburgh, 2014, 85, <<https://www.ojjdp.gov/ojstatbb/nr2014/downloads/NR2014.pdf>> [09.12.2021].; *Heinrich B., Kherkheulidze I.*, Perfection of the Trends in Juvenile Justice Systems On the Basis

სისტემა: ბავშვთა და მოზარდთა სისტემა; და სრულწლოვან დამნაშავეთა მართლმსაჯულების სისტემა.²² რაც განპირობებული იყო არასრულწლოვნის უნარით, განსხვავებით სრულწლოვნისაგან, მეტად დაქვემდებარებოდა რეაბილიტაციას.²³ 1909 წელს, მოსამართლე ჯულიან მაკმა, რომელიც თავმჯდომარეობდა აშშ-ის არასრულწლოვანთა სასამართლოს ილინოისში, აღწერა არასრულწლოვანთა სასამართლოს მიზნები: „ბავშვმა, რომელიც უნდა წარედგინოს სასამართლოს, უნდა იცოდეს, რომ იგი პირისპირ ხვდება სახელმწიფო ძალას, მაგრამ მას ამავდროულად უნდა გაუჩნდეს იმის განცდა, რომ იგი არის სახელმწიფოს ყურადღებისა და ზრუნვის ობიექტი. ასეთ სხდომებზე, სასამართლო დარბაზის ჩვეული მოკაზმულობა შეუფერებელია. სკამზე მჯდომი მოსამართლე, რომელიც ზემოდან დაჰყურებს ბარიერთან მდგომ ბიჭს, ვერასოდეს გამოიწვევს სათანადო თანაგრძნობას. მაგიდასთან, ბავშვის გვერდით მჯდომი, სადაც მას შეუძლია ხანდახან მკლავი შემოხვიოს მხარზე და გამოიჩინოს მისდამი ყურადღება, ამით მოსამართლე, არათუ არ დაკარგავს მის სამოსამართლეო ღირსებას, არამედ უაღრესად გააუმჯობესებს მისი საქმიანობის ეფექტიანობას.“²⁴

ნიშანდობლივია, რომ მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთა სასამართლოს დამფუძნებლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი კონფიდენციალობის უზრუნველყოფა იყო, ამერიკის პირველი არასრულწლოვანთა სასამართლოს ამოქმედებისას სასამართლო პროცესები ღია იყო საზოგადოებისთვის და პრესისთვის.²⁵ 1925 წელს მიღებული არასრულწლოვანთა სასამართლოს სტანდარტული აქტი არ კრძალავდა არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა

of Comparison of German, Georgian and the U.S. Juvenile Law, *Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik*, Berlin, Tbilisi, 12/2014, 610; *ქვრივიშვილი თ.*, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა სასამართლოში საქმის განხილვისას, „სამართლის ჟურნალი“, №1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2020, 174.

²² *Matthews S., Schiraldi V., Chester L.*, Youth Justice in Europe: Experience of Germany, the Netherlands, and Croatia in Providing Developmentally Appropriate Responses to Emerging Adults in the Criminal Justice System, *Justice Evaluation Journal*, 2018, 4.

²³ National Research Council and Institute of Medicine, *Juvenile Crime, Juvenile Justice*, Washington, The National Academies Press, 2001, 157.

²⁴ *Mack J.*, The Juvenile Court, *Harvard Law Review*, Vol. 23, 1909, 120; ABA Division for Public Education, *The History of Juvenile Justice*, Part I, 5.

²⁵ *Blitzman, J. D., Kreager, S. F.*, Transparency and fairness: Open the doors. *Massachusetts Law Review*, 102(2), 2021, 40, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.barjournals/malr0102&i=47>> [09.12.2021].; *ქვრივიშვილი თ.*, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა სასამართლოში საქმის განხილვისას, სამართლის ჟურნალი №1 (2019) უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2020, 174.

სახელების გამოქვეყნებას.²⁶ შტატების უმეტესობაში არასრულწლოვანთა სასამართლოს შესახებ კანონები არ ითვალისწინებდნენ არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომების ან ჩანაწერების კონფიდენციალობას. 1920 წელს ჩატარებულმა ყოვლისმომცველმა კვლევამ მხოლოდ შვიდი შტატი გამოავლინა, რომლებიც კრძალავდნენ ინფორმაციის გამოქვეყნებას არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესების შესახებ.²⁷ თუმცა, არასრულწლოვანთა სასამართლოს შემქმნელებმა მალევე გაითვალისწინეს, რომ კონფიდენციალობა აუცილებელი ელემენტი იყო ამ სისტემისთვის, ვინაიდან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა ორ ძირითად პრინციპს - ბრალის არარსებობასა და რეაბილიტაციას ეფუძნებოდა, ისინი კი ძლიერ ზეწოლას ახდენდნენ კონფიდენციალობის დაცვაზე. 1952 წელს შტატების უმეტესობამ მიიღო კანონი, რომელიც ფართო საზოგადოებას გამორიცხავდა არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესებიდან.²⁸ არასრულწლოვანთა სასამართლოს სტანდარტული აქტის 1959 წლის ვერსიის კომენტარში სასამართლო სხდომები მოხსენიებულია როგორც „პრივატული და არა საიდუმლო“ და რომ ჟურნალისტებს უნდა ჰქონოდათ წვდომა სასამართლო სხდომებზე იმ პირობით, რომ ისინი არ გაამჟღავნებდნენ არასრულწლოვანთა ვინაობას. კონფიდენციალობის საფუძველი იყო „საჯაროობის დამამცირებელი და დემორალიზების მომხდენი ეფექტის პრევენცია.“ ასევე ფიქრობდნენ, რომ საჯაროობას შესაძლოა ახალგაზრდებში წახალისებინა დანაშაულის შემდგომი ჩადენა.²⁹ შტატების უმეტესობამ დანერგა არასრულწლოვანთა სასამართლოში არაფორმალური პროცედურები, პერსონალი იყენებდა ევფემიურ ლექსიკას, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული სრულწლოვანთა სისხლის სამართალწარმოების გავლენა და რაიმე სტიგმა.³⁰

²⁶ Juvenile Offenders and Victims, 2014 National Report, National Center for Juvenile Justice, Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention, Pittsburgh, 2014, 97. <<https://www.ojjdp.gov/ojstatbb/nr2014/downloads/NR2014.pdf>> [09.12.2021].

²⁷ Bradley R. J., Kolodney S. E., Criminal Justice Information Policy, Privacy and Juvenile Justice Records, Washington, 1982, 14.

²⁸ Juvenile Offenders and Victims, 2014 National Report, National Center for Juvenile Justice, Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention, Pittsburgh, 2014, 97, <<https://www.ojjdp.gov/ojstatbb/nr2014/downloads/NR2014.pdf>> [09.12.2021].

²⁹ იქვე.

³⁰ Juvenile Justice: History and Philosophy, Encyclopedia of Crime and Justice, 2021, <<https://www.encyclopedia.com/law/legal-and-political-magazines/juvenile-justice-history-and-philosophy>> [09.12.2021].

ვერმონტის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, აუცილებელი იყო არასრულწლოვანთა საქმეების დახურული სამართალწარმოების წესი, ვინაიდან საჯაროობის პირობებში ახალგაზრდა სამართალდამრღვევების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას შეეძლო ზიანი მიეყენებინა არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის მიზნებისთვის.³¹ ხოლო ღია სასამართლო განხილვას შეეძლო შეექმნა ნეგატიური საჯაროობა და სისტემისთვის არაფორმალური ატმოსფერო წაერთმია.³²

ზემოაღნიშნული მიდგომის საპირისპიროდ, ვითარდებოდა მოსაზრება, რომლის თანახმად, საზოგადოებას უფლება აქვს იცოდეს საჯარო წესრიგის შესაძლო საფრთხეების შესახებ. შესაბამისად, საჯარო უნდა ყოფილიყო იმ არასრულწლოვანთა სახელები, რომლებიც ჩადიდნენ დანაშაულს.³³ ამ პოზიციის სასარგებლოდ, კოლორადოს შტატის ე. ბრაიტონის არასრულწლოვანთა და საოჯახო საქმეთა სასამართლოს მოსამართლემ ჯეიმს ჯ. დელენიმ გამოთქვა მოსაზრება, რომ არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულს სჩადის, კარგავს პირადი ცხოვრების უფლებას - ისევე, როგორც ზრდასრულმა დამნაშავეებმა დაკარგეს პირადი ცხოვრების უფლება. „როდესაც არასრულწლოვანი მოიპარავს ავტომობილს და გამოიწვევს ავარიულ შემთხვევას, აქვს მას პირადი ცხოვრების უფლება, ისე როგორც სხვას, ვისაც ეს არ ჩაუდენია? ... არასრულწლოვანთა კონფიდენციალობის საკითხი საფუძვლიანად უნდა იქნეს გამოყენებული. აუცილებელია დაბალანსდეს როგორც არასრულწლოვნის, ისე საზოგადოების უფლებები და ვალდებულებები.“³⁴

აშშ-ში 1967-1979 წლები იწოდება არასრულწლოვანთა უფლებების ერად, როდესაც განვითარება დაიწყო არასრულწლოვანთა საპროცესო უფლებებმა. ამ მხრივ, გარდამტეხი აღმოჩნდა *გოლტის საქმე*.³⁵ 15 წლის ჯერალდ გოლტი და მისი მეგობარი პოლიციის მიერ დაკავებულ იქნენ უხამსი სატელეფონო ზარების

³¹ The Reporters Committee for Freedom of the Press, Access to Juvenile Courts, A Reporters Guide to Proceedings & Documents, 1999, 2.

³² *Greenebaum S. S.*, Conditional Access to Juvenile Court Proceedings: A Prior Restraint or a Viable Solution? *Journal of Urban and Contemporary Law*, Vol. 44, 1993, 143.

³³ *Geis G.*, Publicity and Juvenile Court Proceedings, *Rocky Mountain Law Review*, 1958, note 13, 120; *Bradley R. J., Kolodney S. E.*, Criminal Justice Information Policy, Privacy and Juvenile Justice Records, Washington, 1982, 17.

³⁴ *Delaney J. J.*, Juvenile Records and Confidentiality, unpublished monograph, 1977, 5; *Bradley R. J., Kolodney S. E.*, Criminal Justice Information Policy, Privacy and Juvenile Justice Records, Washington, 1982, 18.

³⁵ *In Re Gault*, Supreme Court of the United States, 387 U.S. 1, 1967, №116.

განხორცილების ბრალდებით. გოლტის მიმართ განაჩენი გამოიტანა არასრულწლოვანთა სასამართლომ და იგი გაიგზავნა 6 წლით არიზონას შტატის ინდუსტრიულ სკოლაში. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ არასრულწლოვნებს უნდა მიეცეთ გარკვეული საპროცესო უფლებები საქმის განხილვის პროცესში, რაც უზრუნველყოფდა არასრულწლოვნის პროცესის „ფუნდამენტურ სამართლიანობას“. ეს გარანტიები მოიცავდა: ბრალდების შესახებ არასრულწლოვნის შეტყობინებას, ადვოკატის ყოლის უფლებას, მოწმეთა პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის უფლებას, დუმილის უფლებას, უფლებას, არ დაიბრალოს დანაშაული.³⁶ აღნიშნულ გარანტიებში არ შედიოდა არასრულწლოვანთა სასამართლოს მიერ საქმის წარმოების ან ჩანაწერების საჯაროობა, ვინაიდან სასამართლო ახალგაზრდების დამნაშავედ სტიგმატიზებისგან დაცვის მნიშვნელობაზე აკეთებდა აქცენტს.³⁷ არიზონას უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „არასრულწლოვანთა სამართლის პოლიტიკაა ახალგაზრდული შეცდომების დამალვა საზოგადოების სრული მზერიდან და მისი დამარხვა დავიწყებული წარსულის სასაფლაოზე.“³⁸ თუმცა, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ გააკრიტიკა ეს მოსაზრება და აღნიშნა, რომ „საიდუმლოების ეს მოთხოვნა, უფრო რიტორიკაა, ვიდრე რეალობა. სასამართლო ჩანაწერების გამჟღავნება მოსამართლის დისკრეციაა უმეტეს იურისდიქციებში.“³⁹ ამრიგად, გოლტის საქმეში აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ ნაკლები ნდობა გამოხატა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კონფიდენციალობისადმი, რაც აშშ-ში იმ დროისათვის არსებული სიტუაციის ზუსტ შეფასებას წარმოადგენდა, ვინაიდან, არასრულწლოვნებთან დაკავშირებული სასამართლო და პოლიციური ჩანაწერების კონფიდენციალობა დროდადრო ირღვეოდა შტატიდან შტატში.⁴⁰

1990-იან წლებში არასრულწლოვანთა მზარდმა დანაშაულმა, აშშ-ის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ცვლილებები გამოიწვია. 1998 წელს ჯონსბოროში სკოლის ეზოში სროლის დროს მომხდარმა ტრაგედიამ და

³⁶ *Del Carmen, Rolando V., Trulson C. R., Juvenile Justice: The System, Process, and the Law*, Belmont, CA: Thomson/Wadsworth, 2006, 7.

³⁷ *James B. J., Juvenile Criminal Record Confidentiality*, New York University Public Law and Legal Theory Working Papers, Paper 403, 2013, 6.

³⁸ *In Re Gault*, Supreme Court of the United States, 387 U.S. 1, 1967, №116, §24.

³⁹ იქვე.

⁴⁰ *Cashman C. E., Confidentiality of Juvenile Court Proceedings: Review*. *Juvenile Justice* 24(2), 1973, 34.

მედიის მიერ ფართოდ გავრცელებულმა ინფორმაციამ არასრულწლოვანთა მიერ ძალადობრივი დანაშაულებების ჩადენის შესახებ, შექმნა საზოგადოებრივი აღქმა, რომ ერი თავდასხმების საშიშროების წინაშეა. აღნიშნულმა საფუძველი დაუდო შტატების უმეტესობაში არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესებისა და ჩანაწერების საჯაროობას. ღია გახდა იმ არასრულწლოვანთა პროცესები, რომელთაც ბრალი ედებოდათ ძალადობრივი დანაშაულის ჩადენაში,⁴¹ სარეაბილიტაციო მიზნები ჩაანაცვლა სადამსჯელო მიზნებმა.⁴² განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 90-იანი წლებიდან მოყოლებული აშშ-ის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა ფოკუსირდა ქმედებაზე და არა მის ჩამდენ პირზე.⁴³ ცვლილებები შეეხო ტრადიციულ კონფიდენციალობის პრინციპსაც, რამაც გამოიწვია მისი მოდიფიცირება, ხოლო ზოგიერთ შტატში საერთოდ გაუქმება. კერძოდ, 47 შტატიდან 42 შტატში განხორციელდა ცვლილებები ორი მიმართულებით: პირველი, სასამართლო სხდომები გახდა საჯარო იმ არასრულწლოვანთა საქმეებზე, რომლებსაც ბრალი ედებოდათ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში ან ჩადიოდნენ განმეორებით დანაშაულს. ამასთან, მედიას მიეცა უფლება გაემჟღავნებინა ამ არასრულწლოვანთა ვინაობა; და მეორე, საკანონმდებლო ცვლილები შეეხო კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა შესახებ ჩანაწერებზე წვდომის საკითხს.⁴⁴ თუმცა, დღემდე, შტატებს შორის მუდმივად განსხვავებულია მიდგომები, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: პირველი, აშშ-ის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა უზარმაზარია. 50-ვე შტატს აქვს საკუთარი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა. შტატებს არ მოეთხოვებათ ცალკეული მართლმსაჯულების სისტემის ქონა არასრულწლოვანთათვის, თუმცა ყველა შტატმა დაადგინა ცალკეული სისტემები 1920-იანი წლების შუა პერიოდისათვის და მას

⁴¹ The Reporters Committee for Freedom of the Press, Access to Juvenile Courts, A Reporters Guide to Proceedings & Documents, 1999, 2; *ქვერივიშვილი თ.*, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა სასამართლოში საქმის განხილვისას, „სამართლის ჟურნალი“, №1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2020, 174.

⁴² National Research Council and Institute of Medicine, Juvenile Crime, Juvenile Justice, Washington, The National Academies Press, 2001, 204.

⁴³ Australian Institute of Health and Welfare (AIHW), Juvenile justice and youth welfare: a scoping study, Canberra, 1998, 5, <<https://www.aihw.gov.au/getmedia/ed9f299a-a381-449c-9ed3-1ba565d790af/cws-6-3520.pdf.aspx?inline=true>> [09.12.2021].

⁴⁴ National Research Council and Institute of Medicine, Juvenile Crime, Juvenile Justice, Washington, The National Academies Press, 2001, 204.

შემდეგ ინარჩუნებენ.⁴⁵ მეორე, სისტემები ძალზე რთულია, როგორც შიდა, ისე გარე თვალსაზრისით. ეს განსაკუთრებით ეხება არასრულწლოვანთა სასამართლოებისა და არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი ორგანოების ურთიერთქმედებას სოციალური კეთილდღეობისა და სოციალური კონტროლის სხვა საჯარო და კერძო ფორმებთან, და შესამე, სისტემა არის დინამიური ხასიათის და მნიშვნელოვანია ამ სისტემებში არსებული ტენდენციები.⁴⁶

ამრიგად, აშშ-ში, პირველი არასრულწლოვანთა სასამართლოს შექმნის დღიდან, მალევე პირადი ცხოვრების დაცულობის საკითხი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების არსებით შემადგენელ ელემენტად განისაზღვრა. ვინაიდან, 1990-იან წლებამდე მოქმედი კეთილდღეობის მოდელი დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანზე ამახვილებდა ყურადღებას და არა ქმედებაზე, არასრულწლოვნის რეაბილიტაცია მთავარ ამოსავალ პირობას წარმოადგენდა და ამ მიზნით მისი პირადი ცხოვრების დაცულობას გადამწყვეტი ადგილი ეკავა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. ხოლო 90-იანი წლების შემდეგ, როდესაც კეთილდღეობის მოდელი მართლმსაჯულების მოდელმა ჩაანაცვლა, რაც განაპირობა არასრულწლოვანთა მზარდმა ძალადობრივმა დანაშაულმა, სისტემა ორიენტირდა ქმედებაზე და არა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანზე. შესაბამისად, პირადი ცხოვრების დაცულობის პრინციპი საჯაროობის პრინციპმა გადაწონა. ფართო დისკუსიის საგანი გახდა არასრულწლოვნისა და საზოგადოების ინტერესთა სამართლიანი დაბალანსების საკითხი.

1.1.2. ევროპის ქვეყნების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემებში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების წარმოშობისა და განვითარების ისტორიული ასპექტები

წინამდებარე ქვეთავში მიმოვიხილავთ ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემებს, რომლებმაც ისტორიულად

⁴⁵ Bishop D. M., Decker S. H., Punishment and Control: Juvenile Justice Reform in the USA, International Handbook of Juvenile Justice, Springer 2008, 4.

⁴⁶ იქვე.

წინამორბედის როლი შეასრულეს ევროპაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარების თვალსაზრისით.

აშშ-ში არასრულწლოვანთა სასამართლოს დაარსებამ, ევროპის ქვეყნებს ბიძგი მისცა შეექმნათ ცალკეული კანონმდებლობა, სასამართლოები და ინსტიტუციები არასრულწლოვანთათვის.⁴⁷ შესაბამისად, ევროპაში არასრულწლოვანთა დელინქვენტობის შესახებ კანონების უმეტესობა შემუშავდა ჩიკაგოს არასრულწლოვანთა სასამართლოს შესახებ კანონში გამოყენებული ცნებებისა და პრაქტიკის მიხედვით. ამასთან, თითოეული ევროპული ქვეყნის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ასახვა ჰპოვა მათი ისტორიის, კულტურისა და ღირებულებების შესაფერისმა პროგრამებმა.⁴⁸

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემების შექმნა ევროპაში მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს. პირველი არასრულწლოვანთა სპეციალიზებული სასამართლოები შეიქმნა 1905–1912 წლებში გერმანიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდებში, გაერთიანებულ სამეფოსა და ბელგიაში.⁴⁹

გერმანიაში პირველად ფრანკფურტში, ბერლინსა და კიოლნში 1908 წელს დააფუძნა არასრულწლოვანთა სასამართლოები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ცალკეული დონის ინსტიტუციონალიზაციის ძირითადი იდეა იყო არასრულწლოვანთა სასჯელის შემუშავების პოლიტიკა საგანმანათლებლო კონცეფციის შესაბამისად, სადაც მოსამართლე აღმზრდელობით როლს შეასრულებდა.⁵⁰ 1923 წელს ძალაში შევიდა „არასრულწლოვნის სასამართლოს შესახებ“ კანონი, რომელიც ხაზს უსვამდა არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო მიზნებს.⁵¹ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის

⁴⁷ *Rap S.*, The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe, Utrecht, 2013, 37; *ქვიციანი თ.*, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა სასამართლოში საქმის განხილვისას, „სამართლის ჟურნალი“, №1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020, 174.

⁴⁸ *Shoemaker D. J., Jensen G.*, Juvenile justice, Encyclopedia Britannica, 2007, 7, <<https://www.britannica.com/topic/juvenile-justice>. Accessed 8 April 2021> [20.06.2021].

⁴⁹ *Furbish L. K.*, Western European Juvenile Justice Models, 1999, <<https://cga.ct.gov/PS99/rpt%5Colr%5Chtm/99-R-1157.htm>> [20.06.2021].

⁵⁰ *Kaiser, G.*, The Juvenile Justice System: The Case of Germany. Legal Studies Forum, 18(3), 1994, 324, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/lstf18&i=330>> [20.06.2021]; *Fuchs E.*, From Punishment to Education: The International Debate on Juvenile Penal Reform before World War I, 2015, 120.

⁵¹ *Heinrich B., Kherkheulidze I.*, Perfection of the Trends in Juvenile Justice Systems On the Basis of Comparison of German, Georgian and the U.S. Juvenile Law, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik, Berlin, Tbilisi, 12/2014, 611-612.

პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიას ქმნიდა არასრულწლოვანთა საჯარო სასამართლო პროცესების ამკრძალავი ნორმა.⁵² აღნიშნულმა კანონმა ცვლილებები განიცადა 1943, 1953 და 1974 წლებში,⁵³ ხოლო ბოლო რეფორმა განხორციელდა 1990 წელს, რომლითაც შემუშავდა მოდელი განათლების პრინციპთან ერთად მართლმსაჯულების ელემენტებით.⁵⁴ მიუხედავად მრავალი რეფორმისა, პირადი ცხოვრების დაცულობის თვალსაზრისით, ძირითადი მიდგომა შენარჩუნდა. ხოლო, გერმანიის ახალგაზრდების სასამართლოს შესახებ კანონი მაგალითი გახდა ევროპის სხვა ქვეყნებისთვის.⁵⁵

არასრულწლოვანთა კანონმდებლობის შესახებ იდეების საერთაშორისო ცირკულაციაში ერთ-ერთი წინამორბედი ქვეყანა იყო აგრეთვე *საფრანგეთი*,⁵⁶ რომელმაც 1912 წელს მიიღო კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ. აღნიშნული კანონის საფუძველზე შეიქმნა ცალკე მდგომი არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი სასამართლო.⁵⁷ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საფრანგეთის სამართალმა, უპირატესობა რეპრესიული და სადამსჯელო ღონისძიებების ნაცვლად, საგანმანათლებლო ღონისძიებებს მიანიჭა.⁵⁸ არასრულწლოვანი მიიჩნეოდა ბავშვად, რომელიც საჭიროებდა დაცვას და სახელმწიფოს მიერ განათლებით უზრუნველყოფას, რათა უსაფრთხოდ შეეზიჯებინა საზოგადოებაში. ამ მიზნით, სასამართლო სხდომები დახურულ რეჟიმში მიმდინარეობდა.⁵⁹ საფრანგეთში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების არაერთი

⁵² *Albrecht H.*, Youth Justice in Germany, Crime and Justice, Vol. 31, Youth Crime and Youth Justice: Comparative and CrossNational Perspectives, The University of Chicago Press Journals, 2004, 447.

⁵³ *Kaiser, G.*, The juvenile Justice System: The Case of Germany. Legal Studies Forum, 18(3), 1994, 320.

⁵⁴ *Dünkel F.*, Juvenile Justice Systems in Europe – Reform developments between justice, welfare and ‘new punitiveness’, Kriminologijos Studijos 1, 2014, 34-35; *Heinrich B., Kherkheulidze I.*, Perfection of the Trends in Juvenile Justice Systems On the Basis of Comparison of German, Georgian and the U.S. Juvenile Law, Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik, Berlin, Tbilisi, 12/2014, 612.

⁵⁵ *Palmer E.*, Germany: Children’s Rights: International and National Laws and Practice, Law Library of Congress, 2007, 94, <<https://www.loc.gov/law/help/child-rights/pdfs/ChildrensRights-Germany.pdf>> [09.12.2021].

⁵⁶ *Fuchs E.*, From punishment to education: The international debate on juvenile penal reform before World War I, 2015, 122.

⁵⁷ *Shoemaker D. J., Jensen G.*, Juvenile justice, Encyclopedia Britannica, 2007, 7. <<https://www.britannica.com/topic/juvenile-justice>. Accessed 8 April 2021> [09.12.2021].

⁵⁸ *Blatier C.*, Juvenile Justice in France: The Evolution of Sentencing for Children and Minor Delinquents, The British Journal of Criminology, Vol. 39, No. 2, Oxford University Press, Spring 1999, 240.

⁵⁹ *Peeler C.*, Always a Victim and Never a Criminal: Juvenile Delinquency in France, North Carolina Journal of International Law and Commercial Regulation, Vol. 22, No. 3, 1997, 881-882, <<https://core.ac.uk/download/pdf/151516098.pdf>> [09.12.2021].

რეფორმა განხორციელდა სხვადასხვა დროს 1996, 2002 და 2007 წლებში⁶⁰ და გარკვეულწილად "მკაცრი" ან "ნეო-ლიბერალური" მიდგომები გამოიკვეთა, თუმცა, ზოგადი საგანმანათლებლო მიდგომები შენარჩუნებულ იქნა.⁶¹

ინგლისა და უელსში 1908 წელს მიღებულ იქნა „ბავშვთა შესახებ“ კანონი, რომლის საფუძველზე შეიქმნა არასრულწლოვან სამართალდამრღვევთათვის სპეციალური მართლმსაჯულების სისტემა - არასრულწლოვანთა სასამართლო, რომელსაც მოგვიანებით, 1991 წელს ეწოდა ახალგაზრდების სასამართლო. იგი განიხილავდა, როგორც სისხლის, ისე სხვა კატეგორიის საქმეებს.⁶² 1933 წელს მიღებულ იქნა „ბავშვთა და ახალგაზრდების შესახებ“ კანონი, რომელიც არაერთ გარანტიას ითვალისწინებდა არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მიზნით. კერძოდ, აღნიშნული კანონის 49-ე მუხლი კრძალავდა მედიის მიერ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სახელისა და გვარის, ფოტოსურათის, ან სხვა ნებისმიერი მისი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გასაჯაროებას. მოგვიანებით განხორციელებული ცვლილებების თანახმად, მოსამართლეს მიენიჭა დისკრეციული უფლებამოსილება ამგვარი აკრძალვის თაობაზე. არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების ნებართვა მედიას შეიძლებოდა მიეღო იმ შემთხვევაში, თუ ეს წარმოადგენდა „მართლმსაჯულების ინტერესს“.⁶³ 1969 წელს პარლამენტმა აღნიშნული ტესტი ჩაანაცვლა უფრო „დამცავი ტესტით“. არასრულწლოვნის სახელის გამოქვეყნება შეიძლებოდა მხოლოდ „ბავშვის ან მოზარდის მიმართ უსამართლობის თავიდან აცილების მიზნით“; ხოლო 1998 წლის ცვლილებებით, არასრულწლოვნის სახელის გამოქვეყნება დაშვებულ იქნა იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო „დარწმუნდებოდა, რომ ეს საზოგადოების ინტერესებში შედიოდა“.⁶⁴ 1980 წელს დიდ ბრიტანეთში კიდევ ერთი აქტი იქნა მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. „მაგისტრატი სასამართლოების შესახებ“ აქტი აწესებდა არასრულწლოვანთა საქმეების

⁶⁰ *Dünkel F.*, *Juvenile Justice Systems in Europe – Reform developments between justice, welfare and ‘new punitiveness’*, *Kriminologijos Studijos* 1, 2014, 33.

⁶¹ იქვე, 55.

⁶² *Shoemaker D. J., Jensen G.*, *Juvenile justice*, *Encyclopedia Britannica*, 2007, <<https://www.britannica.com/topic/juvenile-justice>> [20.06.20201].

⁶³ *Children and Young Persons Act*, *Parliament of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland*, 1933, art. 57(4), <<https://www.legislation.gov.uk/ukpga/Geo5/23-24/12/contents>> [20.06.20201].

⁶⁴ *Spencer J. R.*, *Can Juvenile Offenders Be “Named and Shamed” When They Are Adults?*, *Criminal Law and Justice Weekly*, Issue 34, 2006, 2.

განმხილველ სასამართლოში არაფორმალურ პროცედურებს, სადაც ფართო საზოგადოება არ დაიშვებოდა. აღნიშნული წესიდან გამონაკლისს წარმოადგენდა იმ არასრულწლოვანთა საქმეების განხილვა, რომელთაც ბრალი ედებოდათ განზრახ მკვლელობაში, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობაში, ან იმ კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში, რომელიც სრულწლოვნის მიერ იმავე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დაისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ვადით თოთხმეტი ან მეტი წლით.⁶⁵ ისევე როგორც აშშ-ში, ინგლისსა და უელსშიც არ არსებობდა კონსენსუსი არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესის კონფიდენციალობის სარგებლიანობის თვალსაზრისით, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გამჭვირვალობის პრობლემატურ საკითხს უკავშირდებოდა. ეს საკითხი დღემდე სადავოა, მითუმეტეს, რომ გამოკითხულ ბავშვთა 96%-ს არ სურს მედიის წარმომადგენლის დასწრება სასამართლო სხდომის დარბაზში.⁶⁶

ამრიგად, როგორც აშშ-ის, ისე ევროპის ქვეყნების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წარმოშობისა და განვითარების ისტორიული ასპექტების ანალიზი ცხადყოფს, რომ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება არასრულწლოვანთა სასამართლოების შექმნის საწყის ეტაპზევე მის შემადგენელ კომპონენტად იქცა. თუ რა სტანდარტით ყოფილიყო დაცული არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება, აღნიშნულს განაპირობებდა ქვეყნების ორიენტირი სადამსჯელო თუ სარეაბილიტაციო მოდელზე. ამრიგად, გამოიკვეთა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში გაბატონებული ორი ძირითადი მოდელი: *parens patrie* (ე.წ. კეთილდღეობის მოდელი) და მკაცრი (ე.წ. მართლმსაჯულების მოდელი).⁶⁷ ხოლო ამ ორი მოდელის საფუძველზე წარმოიშვა და განვითარდა აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელი.⁶⁸ ისტორიულად

⁶⁵ T. v. The United Kingdom, [1999] ECHR, no. 24724/94, §28.

⁶⁶ Judicial College, Equal Treatment Bench Book, 2021, 83, <<https://www.judiciary.uk/announcements/equal-treatment-bench-book-new-edition/>> [20.06.20201].

⁶⁷ Ortiz C. J., Diverging Philosophies in the Juvenile System, 1999, 41, <<http://digital.auraria.edu/AA00002543/00001/1x>> [09.12.2021]; გორგოძე მ., იუვენალური იუსტიციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელები და ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი პრობლემატური საკითხი ამ მოდელთა ჭრილში, ჟურნ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, გამომც. მერიდიანი, თბილისი, 2017, 92.

⁶⁸ აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელის მიზანს წარმოადგენს დამნაშავისა და მსხვერპლის შერიგება, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის აღიარება და მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რათა ხელშეწყობა მოხდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის სოციალური რეინტეგრაციისთვის. აღდგენითი მართლმსაჯულების პარადიგმა ამტკიცებს, რომ დანაშაულებრივი

ქვეყნების უმეტესობა ხშირად იყო დილემის წინაშე, პრიორიტეტი მიენიჭებინა „კეთილდღეობის“ თუ „მართლმსაჯულების“ მოდელისთვის.⁶⁹ კეთილდღეობის მოდელი ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვნის საჭიროებებზე, დიაგნოზზე, რეაბილიტაციასა და არაფორმალურ პროცედურებზე,⁷⁰ ორიენტირებულია დასჯის ნაცვლად კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რეაბილიტაციაზე, ამ მიზნით უზრუნველყოფილია არასრულწლოვნის ვინაობისა და მის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვა, საქმისწარმოების განხორციელება დახურულ რეჟიმში, სასამართლო ჩანაწერებზე წვდომის შეზღუდვა, მისი დალუქვა და განადგურება დროის მოკლე მონაკვეთში.⁷¹ შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების მაღალი სტანდარტით დაცულობა დამახასიათებელია კეთილდღეობის მოდელისთვის. რაც შეეხება ე.წ. მართლმსაჯულების მოდელს, იგი აქცენტს აკეთებს ანგარიშვალდებულებაზე, ქმედების სამაგალითოდ დასჯასა და პროცედურულ ფორმალობაზე.⁷² ნიშანდობლივია, რომ მართლმსაჯულების მოდელიც შეიცავს არასრულწლოვნის რეაბილიტაციის ელემენტებს, თუმცა არა იმ დოზით როგორც ამას კეთილდღეობის მოდელი ითვალისწინებს.⁷³ შესაბამისად, არასრულწლოვნის

ქვეყა არის კონფლიქტი პიროვნებებს შორის და რომ დანაშაულის ჩადენისას ზიანი ადგება მსხვერპლს და არა სახელმწიფოს. ამრიგად, სანამ დამნაშავეს „საზოგადოების ვალი“ ჰმართებს, რომელიც უნდა განისაზღვროს სასჯელის გარკვეული ფორმით, მანამდე მას დაზარალებულის წინაშე აქვს „დავალიანება“, რომლის ხელახლა გადახდა შესაძლებელია მხოლოდ ზიანის ანაზღაურებით. იხ: Australian Institute of Health and Welfare (AIHW), *Juvenile Justice and Youth Welfare: A Scoping Study*, Canberra, 1998, 5; The Australian Law Reform Commission, *Seen and Heard: Priority for Children in the Legal Process*, (ALRC Report 84), 1997, §18.34, <<https://www.alrc.gov.au/publication/seen-and-heard-priority-for-children-in-the-legal-process-alrc-report-84/>> [09.12.2021]; *McElrea F.*, Restorative justice — the New Zealand Youth Court: A Model for Development in Other Courts?, *Journal of Judicial Administration* (4), 1994, 33.

⁶⁹ *Carrabine E.*, Youth Justice in the United Kingdom, *Realising Children's Rights: Multidisciplinary, Comparative and Practical Perspectives Papers from the United Kingdom-India Education and Research Initiative conferences*, Essex Human Rights Review, Vol. 7, Number 1, 2010, 12.

⁷⁰ *Young S., Greer B., Church R.*, Juvenile Delinquency, Welfare, Justice and Therapeutic Interventions: a Global Perspective, *BJPsych Bulletin*, 2017, 22. <shorturl.at/nvBK7> [09.12.2021].

⁷¹ National Research Council and Institute of Medicine, *Juvenile Crime, Juvenile Justice*, Washington, The National Academies Press, 2001, 155.

⁷² *Dünkel F.*, Juvenile Justice Systems in Europe – Reform Developments between Justice, Welfare and ‘New Punitiveness’, 2014, 32; National Research Council and Institute of Medicine, *Juvenile Crime, Juvenile Justice*, Washington, The National Academies Press, 2001, 155; *გორგოძე მ.*, იუვენალური იუსტიციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელები და ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი პრობლემატური საკითხი ამ მოდელთა ჭრილში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2017, 92.

⁷³ *Kratcoski P. C.*, *Juvenile Justice Administration*, CRC Press, Taylor and Francis Group, Boca Raton, London, New-York, 2012, 17. იხ: *შევილაძე ხ.*, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო

პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარკვეული ასპექტები იკვეთება მართლმსაჯულების მოდელშიც, თუმცა თუ იგი ფუნდამენტური მნიშვნელობისაა კეთილდღეობის მოდელის მქონე ქვეყნებში და გამორიცხავს საჯაროობას, რათა ხელი არ შეეშალოს არასრულწლოვნის მარეაბილიტირებელ მიზნებს, მართლმსაჯულების მოდელის მქონე ქვეყნებში პირადი ცხოვრების დაცულობის გარანტია არასრულწლოვნისთვის ნაკლებად არსებობს.

ამრიგად, საზღვარგარეთის ქვეყნების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორიულმა ანალიზმა ცხადყო, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემები მუდმივად განიცდიან ცვლილებებს. განსხვავებული და ზოგჯერ წინააღმდეგობრივია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკა.⁷⁴ იგი მუდმივად განვითარებადი, იდეოლოგიურად მრავალფეროვანი და რთული ქსელია. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორია შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც სრულწლოვანთა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა და შემდგომი რეფორმების სერია, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესებისკენ ისწრაფვის. ამის საპირისპიროდ, მას ასევე გააჩნია პერიოდული სადამსჯელო ცვლილებების ისტორია, რომელიც გამიზნულია გამკაცრებისა და ახალგაზრდების პასუხისმგებლობის გაძლიერებისკენ. მისი ძირითადი მისია იკვეთება, როგორც საზოგადოების დაცვაში, ისე სარეაბილიტაციო გარემოს უზრუნველყოფაში, რომელშიც ახალგაზრდებს აქვთ საუკეთესო შანსი შეცვალონ მათი ცხოვრების ტრაექტორია.⁷⁵

ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, თბილისი, 2019, 30.

⁷⁴ *Păroșanu A., Horsfield P., Dünkel F.*, European research on restorative juvenile justice, Research and Selection of the Most Effective Juvenile Restorative Justice Practices in Europe: Snapshots from 28 EU Member States, Vol. 1, 2015, 1.

⁷⁵ *Fox S. J.*, Juvenile Justice Reform: A Historical Perspective, *Stanford Law Review*, 22 (6), 1970, in: *Nissen L. B.*, *The Road Ahead: Progressive Possibilities and Challenges for Juvenile Justice Reform*, *Juvenile Justice Sourcebook (Second Edition)*, Oxford, 2014, 608.

1.2. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების ასახვა ბავშვის უფლებათა სამართალში

1.2.1. საერთაშორისო ინსტრუმენტები ბავშვის უფლებათა სამართალში

მე-20 საუკუნის დასაწყისში განვითარება დაიწყო ბავშვის უფლებების შესახებ საერთაშორისო სამართალმა. ეს განვითარება მოხდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან ერთად ტანდემში.⁷⁶

ადამიანთა ისტორიაში ბავშვი დიდი ხნის განმავლობაში არ განიხილებოდა, როგორც დამოუკიდებელი უფლებების მფლობელი. იგი მიიჩნეოდა მშობლის უფლებებს მეტ-ნაკლებად დაქვემდებარებულ ობიექტად. აღნიშნული მიდგომა შეიცვალა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც დების ეგლანტინე ჯებისა და დოროთი ბაქსტონის ძალისხმევით, 1924 წელს ბავშვის უფლებათა დეკლარაცია იქნა მიღებული.⁷⁷ აღნიშნული დეკლარაციის ტექსტი სწორედ დების მიერ დაარსებულმა ბავშვთა გადარჩენის საერთაშორისო კავშირმა (International Save the Children Union) შეიმუშავა. ჯებმა ეს დოკუმენტი გაუგზავნა ერთა ლიგას, რომელშიც ნათქვამი იყო: "ჩვენ უნდა მოვითხოვოთ გარკვეული უფლებები ბავშვებისთვის და არ დავიშუროთ ძალისხმევა მათი საყოველთაო აღიარებისთვის." 1924 წელს ერთა ლიგამ მიიღო დეკლარაცია და დაარქვა მას ჟენევის დეკლარაცია. ეს იყო ისტორიული დღე, როდესაც პირველად აღიარეს ბავშვთა კეთილდღეობის, განვითარების, დახმარების, შემწეობისა და დაცვის უფლებები. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე აქტს არ წარმოადგენდა, ჟენევის დეკლარაცია რჩება ბავშვის უფლებათა პირველ საერთაშორისო დოკუმენტად ისტორიაში.⁷⁸

1959 წელს, ჟენევის დეკლარაციის საფუძველზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო ბავშვის უფლებათა დეკლარაცია⁷⁹, რომელიც ემყარებოდა

⁷⁶ *Rap S.*, The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe, Utrecht, 2013, 38.

⁷⁷ *Jancic O. C.*, The Rights of the Child in a Changing World, 25 Years After the UN Convention on the Rights of the Child, International Academy of Comparative Law, 2016, Preface.

⁷⁸ Geneva Declaration of the Rights of the Child, League of Nations (LON), 1924, <<https://www.humanium.org/en/geneva-declaration/>> [20.06.2021].

⁷⁹ Declaration of the Rights of the Child (DRC), United Nations, 1959.

შემდეგ პრინციპებს: ბავშვი უნდა სარგებლობდეს განსაკუთრებული დაცვით, აგრეთვე შესაძლებლობებითა და შეღავათებით, კანონითა და სხვა საშუალებებით, ნორმალური ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, სულიერი და სოციალური განვითარების უფლებებით, თავისუფლებისა და ღირსების პირობებში. ამ მიზნის მისაღწევად "ბავშვის საუკეთესო ინტერესების" სტანდარტი იქნა დადგენილი.⁸⁰ აღნიშნულ აქტს მოჰყვა 1966 წლის გაეროს საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ,⁸¹ რომელიც არეგულირებდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების საკითხებს, თუმცა იგი ეხებოდა სპეციფიკურ აუცილებელ გაუმჯობესებას და არა ბავშვზე ორიენტირებული სისხლის სამართლის სისტემებისკენ სწრაფვას. დებულებები ითვალისწინებდა ბრალდებულ არასრულწლოვანთა განცალკევებას მოზრდილებისაგან და საქმის სწრაფად განხილვას, აგრეთვე არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომების წარმართვას არასრულწლოვნის ასაკისა და მათი რეაბილიტაციის ხელშეწყობის შესაბამისად,⁸² კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიას კი ქმნიდა განაჩენის საჯაროობის შეზღუდვის ერთ-ერთ საფუძვლად არასრულწლოვნის ინტერესების განსაზღვრა.⁸³ აღნიშნული პაქტით განმტკიცებული პირადი ცხოვრების უფლებას მიემდვნა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის №16 ზოგადი კომენტარი, რომელმაც წევრი ქვეყნები დაავალდებულა მიეღოთ შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა ზომები პირადი ცხოვრების უფლებაში ჩარევის აკრძალვის მიზნით.⁸⁴ თუმცა, კომენტარი არ ითვალისწინებდა რაიმე სპეციალურ რეკომენდაციებს უშუალოდ ბავშვთა პირადი ცხოვრების უფლების დაცვის თვალსაზრისით.

მას შემდეგ, რაც სახელმწიფოების მზარდმა რაოდენობამ დაიწყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ცალკეული სისტემების შექმნა,

⁸⁰ *Zeldin W.*, Children's rights, The Law Library of Congress, Global Legal Research Center, August 2007, 2, <<https://www.loc.gov/item/2018298966>> [20.06.2021].

⁸¹ International Covenant on Civil and Political Rights, General Assembly, Resolution 2200A (XXI), 16 December 1966.

⁸² *Van Bueren G.*, Article 40 - Child Criminal Justice, A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Martinus Nijhoff Publishers, Leiden-Boston, 2006, 4.

⁸³ International Covenant on Civil and Political Rights, General Assembly, Resolution 2200A (XXI), 16 December 1966, art. 14 (1).

⁸⁴ UN Human Rights Committee, General Comment 16, (Twenty-third session, 1988), Compilation of General Comments and General Recommendations Adopted by Human Rights Treaty Bodies, U.N. Doc. HRI/GEN/1/Rev.1 at 21, 1994, art. 1.

საერთაშორისო დონეზე საჭირო გახდა სრულყოფილი ჩარჩოს არსებობა, რომლის გამოყენებასაც სახელმწიფოები შეძლებდნენ საკუთარი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის.⁸⁵ სწორედ ამ მიზნით, 1985 წელს მიღებულ იქნა გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრირების შესახებ (ე. წ. „პეკინის წესები“)⁸⁶, რომელიც ადგენს დეტალურ გზამკვლევს ბავშვზე მორგებული საკანონმდებლო მექანიზმების იმპლემენტაციისთვის, აგრეთვე განამტკიცებს სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიებს, მათ შორის, არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების დაცულობას.⁸⁷ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის აუცილებლობა სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე, პირველად, „პეკინის წესებში“ აისახა, რომელმაც აკრძალა არასრულწლოვნის სტიგმატიზების თავიდან არიდების მიზნით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა⁸⁸ და საჯარო დაწესებულებების მიერ არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გამჟღავნება.⁸⁹

ყველაზე მნიშვნელოვანი სტანდარტი ბავშვის უფლებათა სამართალში არის ბავშვის უფლებათა კონვენცია,⁹⁰ რომელიც 1989 წელს იქნა მიღებული გაეროს მიერ. კონვენციის შექმნის მთავარ მიზანს ბავშვთა სპეციალური უფლებების განმტკიცება წარმოადგენდა.⁹¹ კონვენცია რატიფიცირებულია 195 ქვეყანაში⁹² და ვინაიდან, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ასევე წარმოადგენენ ბავშვის

⁸⁵ *Van Bueren G.*, Article 40 - Child Criminal Justice, A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Martinus Nijhoff Publishers, Leiden-Boston, 2006, 4.

⁸⁶ United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"), General Assembly, Resolution 40/33, 29 November 1985.

⁸⁷ ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტო და ევროპის საბჭო, ბავშვის უფლებების ევროპული სახელმძღვანელო, *ლურსმანაშვილი ლ. (მთარგმნელი), ბობოხიძე მ (რედ.)*, გამომც. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, თბილისი, 2020, 161. <https://www.echr.coe.int/Documents/Handbook_rights_child_KAT.PDF> [20.06.2021].

⁸⁸ United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"), General Assembly, Resolution 40/33, 29 November 1985, 8.1.-8.2.

⁸⁹ იქვე, 21.1.

⁹⁰ Convention on the Rights of the Child, UN General Assembly, Resolution 44/25, 20 November 1989.

⁹¹ *Hopman M. J.*, (Why) Should Children Have Rights? A Philosophical Perspective, The United Nations Convention on the Rights of the Child (Taking Stock After 25 Years and Looking Ahead), 2016, 272; *ქერივიშვილი თ.*, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა სასამართლოში საქმის განხილვისას, „სამართლის ჟურნალი“, №1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019, 173.

⁹² *Jančić O.C.*, The Rights of the Child in a Changing World (25 Years after The UN Convention on the Rights of the Child, Vol. 13, 2016, 2-3.

უფლებათა შესახებ კონვენციის წევრ ქვეყნებს, ამ უკანასკნელს განსაკუთრებული ადგილი უკავია ევროპულ დონეზე.⁹³ კონვენციის პროექტზე მუშაობა ჯერ კიდევ 1978 წელს დაიწყო. თავდაპირველი ვერსია არ ითვალისწინებდა სამართლიანი სასამართლოსა და სისხლის მართლმსაჯულების მარეგულირებელ ნორმებს,⁹⁴ რომლებიც მხოლოდ პროექტის შემუშავების ბოლო ეტაპებზე დაემატა კონვენციას.⁹⁵ საბოლოო ვერსიაში აისახა ბავშვთა უფლებების სრული სპექტრი, სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებები.⁹⁶ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლით სახელმწიფოებს დაეკისრათ ვალდებულება, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში, ნებისმიერი გადაწყვეტილება ითვალისწინებდეს ბავშვის ქვეყნის ინტერესს და ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვას. რაც იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ტრადიციული ამოცანა, როგორცაა დასჯა, ნაკლებად პრიორიტეტულია, ვიდრე მისი რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების ამოცანები.⁹⁷ მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციამ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვა საქმის განხილვის ყველა სტადიაზე სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ მინიმალურ გარანტიად გაითვალისწინა,⁹⁸ რითაც აღნიშნული უფლების მაღალი სტანდარტით დაცვის საჭიროებაზე მიუთითა.

ბავშვის უფლებათა კონვენციის ხელმომწერ სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში მიღწეული პროგრესის განხილვის მიზნით, შეიქმნა

⁹³ ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტო და ევროპის საბჭო, ბავშვის უფლებების ევროპული სახელმძღვანელო, თარგმანი *ლურსმანაშვილი ლ.*, რედ. *ბობოხიძე მ.*, გამომც. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, თბილისი, 2020, 10.

⁹⁴ *Manco E.*, Protecting the Child's Right to Participate in Criminal Justice Proceedings (Commentary), Amsterdam Law Forum, Vol. 8:1, 2016, 48.

⁹⁵ *Van Bueren G.*, Article 40: Child Criminal Justice in A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Martinus Nijhoff Publishers, Leiden, Boston, 2006, 4; *Manco E.*, Protecting the Child's Right to Participate in Criminal Justice Proceedings (Commentary), Amsterdam Law Forum, Vol. 8:1, 2016, 48.

⁹⁶ *Lynch N.*, Youth Justice in New Zealand: A Children's Rights Perspective, 2008, 216.

⁹⁷ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 22 იანვრის განაჩენი საქმეზე №1-1049/18; ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 მარტის განაჩენი საქმეზე №1-23/19; ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 12 ივნისის განაჩენი საქმეზე №1-364/19; ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 12 მარტის განაჩენი საქმეზე №1-1388/19.

⁹⁸ Convention on the Rights of the Child, UN General Assembly, Resolution 44/25, 20 November 1989, art. 40 (3) (VII).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტი, რომელმაც არაერთი კომენტარი შეიმუშავა. მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვთა უფლებებს შეეხება №10 ზოგადი კომენტარი, რომელიც გვთავაზობს დეტალურ გზამკვლევს ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციის ცალკეული მუხლების განმარტებისა და იმპლემენტაციის მიზნით, მათ შორის კომენტარში დეტალურად განხილულია არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების სპეციფიური ასპექტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.⁹⁹

ნიშნდობლივია, რომ გაერომ სხვადასხვა დროს ბავშვის უფლებათა კონვენციის არაერთი დამხმარე ინსტრუმენტი მიიღო. მათ შორისაა 1990 წლის თავისუფლებაადკვეთილ არასრულწლოვანთა შესახებ წესები, რომელიც ცნობილია „ჰავანას წესების“ სახელწოდებით. აღნიშნული წესების მიღების მთავარ მიზანს წარმოადგენდა უფრო მოსახერხებელი სტანდარტების შექმნა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მართვაში მონაწილე პროფესიონალობათვის სახელმძღვანელო პრინციპების მიწოდება თავისუფლებაადკვეთილ არასრულწლოვნებთან მიმართებით.¹⁰⁰ ამავე წელს იქნა მიღებული გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით, ე.წ. „რიადის სახელმძღვანელო პრინციპები“, რომელიც არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის პროგრესული პოლიტიკისა და შესაბამისი ღონისძიებების სისტემის შემუშავების საჭიროების მიზნით იქნა შემუშავებული.¹⁰¹ 1997 წელს კი გაერომ კიდევ ერთი სახელმძღვანელო პრინციპები შეიმუშავა - სისხლის მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვთა მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ, ე.წ. „ვენის პრინციპები“, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბავშვის უფლებათა კონვენციაში დასახული ამოცანების მიღწევა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების კონტექსტში.¹⁰² აღსანიშნავია, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის ყველა ეს დამხმარე ინსტრუმენტი

⁹⁹ General Comment No. 10: Children's Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2007, §§64-66.

¹⁰⁰ United Nations Rules for the Protection of Juveniles Deprived of their Liberty (The Havana Rules), General Assembly, Resolution 45/113, 14 December 1990.

¹⁰¹ United Nations Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency (The Riyadh Guidelines), General Assembly, A/RES/45/112, 1990.

¹⁰² United Nations Guidelines for Action on Children in the Criminal Justice System, Economic and Social Council resolution 1997/30.

იცავს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების იმ ასპექტებს, რაც აქტის მიღების მიზნობრიობიდან გამომდინარეობს. ამასთან, „რიადის პრინციპები“, „პეკინის წესები“, „ჰავანის წესები“ და „ვენის პრინციპები“ განსხვავდებიან ბავშვის უფლებათა კონვენციის სტატუსისაგან იმ თვალსაზრისით, რომ ეს დოკუმენტები არ წარმოადგენენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს და არ არიან სავალდებულო ძალის მქონე აქტები. ისინი საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული მინიმალური სტანდარტებია, რომელთა გათვალისწინება წევრი ქვეყნებისთვის რეკომენდირებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფორმირების პროცესში.¹⁰³

1.2.2. ევროპული ინსტრუმენტები ბავშვის უფლებათა სამართალში

ბავშვის უფლებათა სამართალში მოქმედი ევროპული ინსტრუმენტებიდან, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (შემდგომში - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია), რომელიც ევროპის საბჭოს მიერ 1950 წელს იქნა მიღებული.¹⁰⁴ ზოგადად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებები გამოიყენება ყველა ადამიანის მიმართ, ბავშვების ჩათვლით, თუმცა მას არა აქვს მკაფიო ორიენტაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და ბავშვთა მიმართ.¹⁰⁵ ერთადერთი გამონაკლისი, სადაც კონვენცია მოიხსენიებს ბავშვს, არის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომელიც ბავშვის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მიზნით სასამართლო პროცესის საჯაროობიდან გამონაკლისს ითვალისწინებს.¹⁰⁶ პირველი საქმე, რომელიც განიხილა სასამართლომ მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის არასრულწლოვანთა მიმართ მოქმედებასთან კავშირში, იყო ნორტიერი

¹⁰³ *ჰამილტონი ქ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი, 2015, 18.

¹⁰⁴ The Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Council of Europe, Rome, 1950.

¹⁰⁵ *Rap-Leurs S. E.*, The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court, A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe, Utrecht University, 2013, 39.

¹⁰⁶ The Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Council of Europe, Rome, 1950, Art. 6 §1.

ნიდერლანდების წინააღმდეგ.¹⁰⁷ აღნიშნულ საქმეზე, ევროპულმა კომისიამ განმარტა, რომ „ნებისმიერი ვარაუდი, რომლის მიხედვით დანაშაულისათვის გასამართლებული ბავშვები არ უნდა სარგებლობდნენ სამართლიანი სასამართლო განხილვის მე-6 მუხლის გარანტიებით, მიუღებელია.“¹⁰⁸ ამასთან, საქმეში *ჰაროჯი საფრანგეთის წინააღმდეგ* სასამართლომ განმარტა, რომ „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ შეიძლება განიმარტოს ვაკუუმში, არამედ - საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებთან ჰარმონიაში... ბავშვთა უფლებების საკითხის განხილვისას, ისინი უნდა განიმარტოს 1989 წლის 20 ნოემბრის ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის შესაბამისად.“¹⁰⁹ მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა არ არის მრავალფეროვანი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმეთა განხილვის კუთხით, თუმცა ბავშვთა უფლებებთან მიმართებით, სასამართლოს შეფასების მთავარ დასაყრდენს ბავშვის უფლებათა კონვენცია წარმოადგენს,¹¹⁰ რასაც ნათლად წარმოაჩენს ნაშრომის შემდგომ თავებში გაანალიზებული სასამართლო პრაქტიკა.

2006 წელს ევროპის საბჭომ წამოიწყო პროგრამა: „ევროპის შენება ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად,“ რომელიც მიზნად ისახავდა ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებას, მათ შორის, სტანდარტული ინსტრუმენტების შემუშავებასა და მათ იმპლემენტაციას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სხვადასხვა სფეროებში.¹¹¹ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არაერთი რეკომენდაცია და სახელმძღვანელო მითითებები იქნა შემუშავებული. მათ შორის, 2010 წლის ევროპის საბჭოს მიერ მიღებული გაიდლაინები „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ,“¹¹² რომელიც კონკრეტულ რეგიონულ განზომილებას ანიჭებს საერთაშორისო დონეზე არსებულ ბავშვის უფლებათა

¹⁰⁷ *Nortier v. the Netherlands*, [1992] ECHR, no. 13924/88.

¹⁰⁸ *კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა.*, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, ბაკურ სულაკაურის გამომც., 2005, 135.

¹⁰⁹ *Harroudj v. France*, [2012] ECHR, no. 43631/09, §42.

¹¹⁰ *S. C. v. The United Kingdom*, [2004] ECHR, no. 60958/00; *T. & V. v. The United Kingdom*, [1999] ECHR, no. 24724/94, no. 24888/94; *Bouyid v. Belgium*, [2015] ECHR, no. 23380/09.

¹¹¹ ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტო და ევროპის საბჭო, ბავშვის უფლებების ევროპული სახელმძღვანელო, *ლურსმანაშვილი ლ. (მთარგმნელი), ბობოხიძე მ. (რედ.)*, გამომც. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, თბილისი, 2020, 9.

¹¹² *Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice*, 17 November 2010.

სტანდარტებს, ამასთან, აძლიერებს ამ ინსტრუმენტების ეფექტიან განხორციელებას ევროპულ დონეზე. სახელმძღვანელო პრინციპებში, არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების უფლების დაცვის საკითხი განხილულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის *in camera*¹¹³ განხილვის, ჩანაწერების კონფიდენციალურად შენახვის, არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე განაჩენის გამოცხადების წესის, აგრეთვე მედიის მიერ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვის კუთხით.¹¹⁴

რაც შეეხება ევროკავშირის ფარგლებში განვითარებულ ბავშვის უფლებათა სამართალს, ჯერ კიდევ ლისაბონის ხელშეკრულებაში, ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ასახულ იქნა ბავშვის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა.¹¹⁵ ბავშვის უფლებები უფრო მეტად გათვალისწინებულია ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიამი,¹¹⁶ რომელშიც არაერთი ნორმა განსაზღვრავს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკვანძო უფლებებს, როგორც არასრულწლოვნებისთვის, ასევე სრულწლოვნებისთვის.¹¹⁷ უშუალოდ ბავშვთა უფლებებს ეძღვნება ქარტიის 14, 24-ე, 32-ე მუხლები.¹¹⁸

ევროკავშირის მიერ ბოლო დროს მიღებული აქტებიდან, რომელიც უშუალოდ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის უფლებებს შეეხება, აღსანიშნავია 2016 წლის დირექტივა „ექვმიტანილ ან ბრალდებულ ბავშვთა სისხლის სამართლის საპროცესო გარანტიების“ შესახებ. ამ დირექტივის მიზანს წარმოადგენს 18 წლამდე ასაკის ექვმიტანილი ან ბრალდებული არასრულწლოვნების საპროცესო გარანტიებით უზრუნველყოფა, აგრეთვე განმეორებითი დანაშაულის პრევენცია, რათა ხელი არ შეეშალოს მათ სოციალურ ინტეგრაციას. ამ მიზნით, აღნიშნული

¹¹³ *in camera* (ლათ. სიტყვა) - დახურულ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვა. პრესას და საზოგადოებას არა აქვთ უფლება დაესწონ საქმის განხილვას. იხ: <https://www.law.cornell.edu/wex/in_camera> [13.12.2021].

¹¹⁴ Council of Europe, Child-friendly Justice, The Guidelines Leaflet, <<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168045f5aa>> [09.12.2021].

¹¹⁵ Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community, OJ C 306, 17.12.2007, Art. 2 (3).

¹¹⁶ Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, an EU Agenda for the Rights of the Child, 2011, 3.

¹¹⁷ ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტო და ევროპის საბჭო, ბავშვის უფლებების ევროპული სახელმძღვანელო, *ლურსმანაშვილი ლ. (მთარგმნელი), ბობოხიძე მ. (რედ.)*, გამომც. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, თბილისი, 2020, 158.

¹¹⁸ Charter of Fundamental Rights of the European Union, 2007/C 303/01.

დირექტივა სათანადო ყურადღებას უთმობს არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების უფლების დაცვის საკითხს. ამასთან, მხედველობაში იღებს სხვადასხვა სამართლებრივი ტრადიციის მქონე წევრ ქვეყნებს შორის განსხვავებებს, და აკისრებს მათ ვალდებულებას ბავშვთა პირადი ცხოვრების დაცვა სისხლის სამართლის საქმისწარმოების პროცესში მაქსიმალურად უზრუნველყონ, *inter alia*, ბავშვების საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.¹¹⁹

ზემოთ განხილული საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები მიემართებიან კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ რაც შეიძლება კონსტრუქციული ზომების გამოყენებისკენ.¹²⁰ ამასთან, ყველა აქტი მოითხოვს წევრი ქვეყნების მიერ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების მაღალი სტანდარტით დაცვას.

1.3. საქართველოს კანონმდებლობაში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობის ისტორიული ასპექტები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხის კვლევას საქართველოში ხანმოკლე ისტორია აქვს. თუმცა, თუ გადავხედავთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე, 2015 წლამდე დამოუკიდებელი საქართველოს უახლეს საკანონმდებლო ისტორიას, საინტერესო ტენდენციებს აღმოვაჩინეთ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობის თვალსაზრისით.

1994 წელს ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირებით საქართველომ ვალდებულება აიღო კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გადაესინჯა ეროვნული კანონმდებლობა.¹²¹ მართალია, იმ დროისთვის მოქმედი სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდა

¹¹⁹ Procedural Safeguards for Children Who are Suspects or Accused Persons in Criminal Proceedings, The European Parliament and the Council of the European Union, Directive (EU) 2016/800, §56.

¹²⁰ *Matthews S., Schiraldi V., Chester L.*, Youth Justice in Europe: Experience of Germany, the Netherlands, and Croatia in Providing Developmentally Appropriate Responses to Emerging Adults in the Criminal Justice System, Justice Evaluation Journal, 2018, 6.

¹²¹ ბავშვის უფლებათა კონვენციის მოკლე მიმოხილვა, 2007, 4, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl3.pdf>> [20.06.2021].

გარკვეულ შედეგათებს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან მიმართებით, თუმცა არ არსებობდა ერთიანი აქტი, რომელიც მოაწესრიგებდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებს. არასრულწლოვნის შესახებ ნორმები გვხვდებოდა როგორც 1999 წელს მიღებულ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, სადაც არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს დათმობილი ჰქონდა სპეციალური კარი,¹²² აგრეთვე - 1998 წელს მიღებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც, რომელიც ითვალისწინებდა გარკვეულ საპროცესო შედეგათებს არასრულწლოვანი ექვმიტანილი/ბრალდებული/მსჯავრდებული პირისათვის.¹²³ აღნიშნული კოდექსის LXIII თავით გათვალისწინებული იყო არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის საქმეებზე წარმოების სპეციფიკური წესები. უშუალოდ სასამართლო პროცესზე არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიას ქმნიდა სსსკ-ის 655-ე მუხლი, რომლის თანახმად, არასრულწლოვნის დანაშაულის შესახებ საქმის განხილვა ამავე კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ტარდებოდა დახურულ სასამართლო სხდომაზე. მე-16 მუხლის მე-4 ნაწილი კი მოსამართლეს ანიჭებდა დისკრეციულ უფლებამოსილებას მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულ სასამართლო სხდომაზე, მხარის შუამდგომლობის შემთხვევაში, განეხილა არასრულწლოვნის დანაშაულის საქმე, რათა არ გახმაურებულიყო ცნობები საქმეში მონაწილე პირის ინტიმური ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შესახებ....¹²⁴ ამრიგად, იმ დროისთვის მოქმედი კანონმდებლობა მოსამართლეს ანიჭებდა უფლებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაეწყვიტა სხდომას წარმართავდა ნაწილობრივ დახურულ, სრულად დახურულ თუ საჯარო რეჟიმში. შესაბამისად, უნდა დაებალანსებინა არასრულწლოვნისა და საზოგადოების ურთიერთდაპირისპირებული ინტერესები. ამასთან, აქტუალური იყო მედიის მიერ სასამართლო სხდომებზე დასწრების შესაძლებლობა, რომელსაც არეგულირებდა 1997 წელს მიღებული საქართველოს ორგანული კანონი „საერთო

¹²² საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 22/07/1999, კარი V. (კონსოლიდირებული ვერსია 08/09/1999 - 10/12/1999 მდგომარეობით).

¹²³ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 20/02/1998 (ძალადაკარგულია, 09/10/2009).

¹²⁴ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 20/02/1998 (ძალადაკარგულია, 09/10/2009).

სასამართლოების შესახებ“. კანონის მიღების საწყის ეტაპზე, სასამართლო სხდომაზე კინო- და ფოტოგადაღების, აუდიო- და ვიდეო-ჩაწერის აკრძალვა დაიშვებოდა მხოლოდ სასამართლოს მოტივირებული გადაწყვეტილებით.¹²⁵ მაშასადამე, სასამართლოს კარი მედიის წარმომადგენლებისთვის, როგორც წესი, ღია იყო. არ გამოირიცხებოდა არასრულწლოვნის სასამართლო სხდომაზე მედიის წარმომადგენლების მიერ გადაღების შესაძლებლობა, თუ მოსამართლე სხდომას საჯაროობის პირობებში წარმართავდა. ხოლო იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროცესი დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილებოდა, არასრულწლოვნის განაჩენი საჯაროდ ცხადდებოდა, რაც იძლეოდა არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლებაში შეჭრისა და კონფიდენციალობის დარღვევის შესაძლებლობას. ამგვარი სამართლებრივი რეგულირების პირობებში, წლების განმავლობაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არასრულწლოვანთა დანაშაულის გამოუქებისას მუდმივად ახდენდნენ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების პირდაპირ იდენტიფიცირებას. თუმცა ამ ყველაფრის მიზანი უმეტესწილად სასამართლოს საქმიანობის კრიტიკა იყო.¹²⁶ აღნიშნულის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა გვანცა ყუფარაძის საქმე.¹²⁷ 2006 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით 14 წლის გოგონას მსჯავრი დაედო თანაკლასელი ბიჭის მკვლელობის მცდელობისთვის და შეეფარდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული არასრულწლოვანი იყო, გამოძიებიდან მოყოლებული დღემდე, ამ საქმესთან დაკავშირებით უამრავი ინტერვიუ, ვიდეო თუ ფოტომასალა მოიპოვება ინტერნეტ სივრცეში, არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით.¹²⁸ იმ დროისთვის ელექტრონული მედიის საშუალებით გასაჯაროვებული იყო სასჯელადსრულებითი დაწესებულებიდან არასრულწლოვნის მიერ გამოგზავნილი წერილიც, რომელშიც მსჯავრდებული

¹²⁵ საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 13/06/1997, პირველადი სახე (31/07/1997 - 03/09/1997), (ძალადაკარგულია, 04/12/2009).

¹²⁶ *ივანიძე მ.*, არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომც. მერიდიანი, თბ., 2017, 19-20.

¹²⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 ივნისის განაჩენი.

¹²⁸ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერნეტ-გაზეთი Metronome.ge, <<https://metronome.ge/story/117362>> [20.06.2021]; ინტერნეტ-გაზეთი UCNAURI, <<https://ucnauri.com/60146/გვანცა-ყუფარაძე-და-თანაკ/>> [20.06.2021]; საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი for.ge, <<https://for.ge/view/79034/gvanca-yufaraZe-nasamarTleobis-moxsnaze-uars-acxadebs.html>> [20.06.2021]; ინტერნეტ-გაზეთი Netgazeti.ge, <<https://netgazeti.ge/news/20212/>> [13.12.2021].

საუბრობდა თუ როგორ „ვერ შეეგუებოდა იმ იარლიყს, რომელიც მას უსამართლოდ მიაკერეს“.¹²⁹ წერილის ტექსტთან ერთად მკითხველისთვის შეთავაზებული იყო დაზარალებულის ჩვენება, ხოლო სტატიის ბოლოს ჟურნალისტი სვამდა შეკითხვას, თუ რას ფიქრობდა საზოგადოება გვანცა ყუფარაძის მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით, რასაც საზოგადოების ფართო დისკუსია ახლდა თან.¹³⁰ აღნიშნული საქმე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსჯელობის საგანიც გახდა, თუმცა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტებთან მიმართებით დარღვევა არ დადგინდა.¹³¹ მართალია, განმცხადებელს არ უდავია მისი საქმის ამგვარი საჯაროობის პირობებში პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის თვალსაზრისით, თუმცა, ვფიქრობ, ამ მხრივ განცხადება პერსპექტიული იქნებოდა. მეორე მხრივ, მსჯავრდებული არასრულწლოვნის აქტიური თანამშრომლობა მედიასთან, რასაც მოწმობს ინტერნეტში განთავსებული მისი არაერთი ინტერვიუ, ფოტო თუ ვიდეომასალა, გარკვეულწილად იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ მისი უნდობლობა საგამომიებო ორგანოებისა თუ სასამართლოსადმი, მედიის აქტიური ჩართულობისა და საჯარო კრიტიკის პირობებში, არასრულწლოვანს უჩენდა დაცულობის განცდას, რომ პროცესი მეტად სამართლიანი იქნებოდა. ამრიგად, კონფიდენციალობის ინტერესი შესაძლოა არც ჰქონდა თავად მსჯავრდებულს და აქედან გამომდინარე, სადავო არც გაუხდია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მის პირად ცხოვრებაში ჩარევის საკითხი.

კიდევ ერთი ნათელი მაგალითი, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის საჯაროობისა იყო გიორგი ზერეკიძის საქმე.¹³² 2006 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 14 წლის გიორგი ზერეკიძე დამნაშავედ იქნა ცნობილი ანგარების მოტივით მკვლელობის მცდელობისთვის, ყაჩაღობისა და ხულიგნობისათვის, რისთვისაც შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით. თბილისის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ მსჯავრდებულს სასჯელი 3 წლით შეუმცირდა და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. მას შემდეგ, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი

¹²⁹ ინტერნეტ-გაზეთი „უცნაური“, <<https://ucnauri.com/60146/გვანცა-ყუფარაძე-და-თანაკ/>> [20.06.2021].

¹³⁰ იქვე.

¹³¹ Kuparadze v. Georgia, [2017] ECHR, no. 30743/09.

¹³² თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 ივნისის განაჩენი.

განაჩენი, აღნიშნული თემა მედიამ საზოგადოების განსჯისთვის საჯარო გახადა.¹³³ გიორგი ზერეკიძის საქმის დეტალები, ინტერვიუები, ფოტოები და სხვა მასალები, დღემდე ხელმისაწვდომია ინტერნეტ სივრცეში. აქაც ისმის კითხვა, თუ რამდენად ემსახურებოდა ამგვარი საჯაროობა არასრულწლოვნის ინტერესებს? მოხდა კი ამ არასრულწლოვნების სამუდამოდ დამნაშავედ სტიგმატიზება თუ მედიის აქტიური ჩართულობით საზოგადოებამ ისინი შერაცხა „სისტემის მსხვერპლებად“? ყოველთვის თავსებადია თუ არა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან პროცესის კონფიდენციალობა? ამ კითხვებზე პასუხს ნაშრომის მომდევნო თავებში წარმოდგენილი კვლევის შედეგები იძლევა.

მედიის მხრიდან სასამართლო ხელისუფლებაზე ამგვარი ზეწოლის პირობებში, 2007 წლის 11 ივლისს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში განხორციელდა ცვლილებები, რომლის თანახმად, სასამართლოს შენობასა და სასამართლო სხდომის დარბაზში აიკრძალა ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება და ტრანსლაცია,¹³⁴ რაც წლების განმავლობაში კრიტიკის საგანს წარმოადგენდა და მიჩნეული იყო მედიის თავისუფლების შეზღუდვად. მხოლოდ 2013 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად დაბრუნდა მედია სასამართლო სხდომის დარბაზში,¹³⁵ თუმცა არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომებზე დასწრება აკრძალა 2009 წელს მიღებულმა ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, რომელმაც იმპერატიულად დაადგინა არასრულწლოვანი ბრალდებულის დასწრების პირობებში სხდომის დახურულ რეჟიმში ჩატარების წესი,¹³⁶ თუმცა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდეტიფიცირების შესაძლებლობას იძლეოდა სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადების წესი.

¹³³ საერთაშორისო სამაუწყებლო კომპანია „რადიო თავისუფლება“ <<https://www.radiotavisupleba.ge/a/1547801.html>> [29.05.2021]; ინტერნეტ-გაზეთი „Civil.ge“, <<https://civil.ge/ka/archives/140385>> [29.05.2021].

¹³⁴ საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 13/06/1997, კონსოლიდირებული ვერსია (11/07/2007 - 27/06/2008), (ძალადაკარგულია 04/12/2009).

¹³⁵ საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს პარლამენტი, 06/03/2013.

¹³⁶ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 09/10/2009, მუხ. 317, ნაწ. 1. (პირველადი სახე 03/11/2009 - 24/09/2010).

მიუხედავად არაერთგზისი საკანონმდებლო ცვლილებებისა, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი საქართველოს მთავრობას მოუწოდებდა განეხორციელებინა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება. რეკომენდაციებში აღნიშნული იყო, რომ საქართველოში „არსებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა ვერ ახორციელებს გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დებულებებს, არ შეესაბამება გაეროს „მინიმალურ სტანდარტებსა და ნორმებს“ და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღიარებული პრაქტიკის თანამედროვე ცნებებს.¹³⁷ საქართველოს ხელისუფლების მიერ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობის სათანადოდ უზრუნველყოფის რეკომენდაცია ჯერ კიდევ 2000 წლის ბავშვის უფლებათა კომიტეტის დასკვნით კვლევებში იყო ასახული.¹³⁸ ამასთან, სამეცნიერო წრეებში კრიტიკის საგანს წარმოადგენდა არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სათანადო გარანტიებისა და სარეაბილიტაციო ღონისძიებების არარსებობა,¹³⁹ აუცილებელი იყო ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შექმნა,¹⁴⁰ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისათვის სათანადო ყურადღების დათმობა,¹⁴¹ ერთიანი საკანონმდებლო აქტის ჩამოყალიბებით კი მაღალი სტანდარტით იქნებოდა დაცული ბავშვთა უფლებები, რაც უპასუხებდა მათ საჭიროებებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში.¹⁴²

¹³⁷ *კავთუაშვილი ე.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი - დასჯის თუ აღზრდის სამართალი?!, *ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“*, №4, გამომც. „დანი“, 2016, 202-203.

¹³⁸ UN Committee on the Rights of the Child, Concluding Observations: Georgia, CRC/C/15/Add.124, 28 June 2000, §69(b), <<https://www.refworld.org/publisher.CRC.CONCOBSERVATIONS.GEO.3ae6afc88.0.html>> [06.12.2021].

¹³⁹ *ბოხაშვილი ი., ბენიძე მ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები (მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მიხედვით), „სამართლის ჟურნალი“, №2, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2009, 61; *Heinrich B., Kherkheulidze I.*, Perfection of the Trends in Juvenile Justice Systems On the Basis of Comparison of German, Georgian and the U.S. Juvenile Law, *Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik*, Berlin, Tbilisi, 12/2014, 613.

¹⁴⁰ *ფაფიაშვილი ლ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი, საერთაშორისო „სამართლის ჟურნალი“, №1, თსუ გამომცემლობა, თბ., 2008, 163.

¹⁴¹ *გაბარაევი ი.*, ადვოკატის თვალთ დანახული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, *ჟურნ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“*, №1, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების პერიოდული გამოცემა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017, 113.

¹⁴² *კავთუაშვილი ე.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი - დასჯის თუ აღზრდის სამართალი?!, *ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“*, №4, გამომც. „დანი“, თბ., 2016, 203.

მართალია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია 2009 წლის ბოლოს შემუშავდა,¹⁴³ თუმცა მხოლოდ 2013 წელს იქნა მიღებული გადაწყვეტილება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შექმნის თაობაზე, რომელიც - „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ - პროექტის ფარგლებში განხორციელდა.¹⁴⁴ აღნიშნული კოდექსის მიღებამ გააჩინა განცდა, რომ ჩვენმა ქვეყანამ ლიბერალური პოლიტიკისკენ აიღო გეზი, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ არასრულწლოვანთა წარმატებულ რესოციალიზაციას, არამედ მთელი საზოგადოების კეთილდღეობასა და უსაფრთხოებას.¹⁴⁵ კოდექსით განმტკიცდა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების¹⁴⁶ პრიორიტეტულობის პრინციპი,¹⁴⁷ რომლის „სრულყოფილი გამოყენება მოითხოვს უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის შემუშავებას, ყველა აქტორის ჩართულობას, რათა უზრუნველყოს არასრულწლოვნის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, მორალური და სულიერი მთლიანობა და მისი ადამიანური ღირსების ხელშეწყობა“.¹⁴⁸ ამასთან, კოდექსში ასახულ იქნა პირადი ცხოვრების დაცულობის,¹⁴⁹ პროცესის გაჭიანურების დაუშვებლობისა¹⁵⁰ და სხვ. პრინციპები.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მართალია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ისტორია საქართველოში სულ რამდენიმე წელს ითვლის, თუმცა მისდამი სრულწლოვნისაგან განსხვავებული მოპყრობა რიგ ასპექტებში უცხო

¹⁴³ *Heinrich B., Kherkheulidze I.,* Perfection of the Trends in Juvenile Justice Systems On the Basis of Comparison of German, Georgian and the U.S. Juvenile Law, *Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik*, Berlin, Tbilisi, 12/2014, 612-613.

¹⁴⁴ *იმერლიშვილი ი.*, არასრულწლოვნის უფლებები: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში არსებული მდგომარეობა, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში, თბ., 2017, 63.

¹⁴⁵ *ჭანტურია ლ.*, არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის ზოგადი პრობლემები, კრებულში: გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2016, 216; *ცეციტიშვილი თ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მატერიალურსისხლისსამართლებრივი საკითხების რეგულირების ცალკეული ასპექტები, „სამართლის ჟურნალი“, №1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2019, 219.

¹⁴⁶ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები - არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება. იხ. საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 12/06/2015, მუხ. 3, ნაწ. 4.

¹⁴⁷ იქვე, მუხ. 4.

¹⁴⁸ General Comment No. 14 on the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (art. 3, para. 1), UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2013, §5.

¹⁴⁹ იქვე, მუხ. 13.

¹⁵⁰ იქვე, მუხ. 11.

არ იყო ძველი საკანონმდებლო რეგულირების პირობებშიც. 2015 წლამდე მოქმედა კანონმდებლობის ანალიზმა ცხადყო, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი არ იყო უზრუნველყოფილი პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სათანადო გარანტიებით, რასაც ზემოთაგანხილულ არასრულწლოვანთა საქმეების უპრეცედენტო საჯაროობაც მოწმობს. ახალი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით კი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა ერთ-ერთ მთავარ პრინციპად იქნა აღიარებული, რითაც კანონმდებელმა მის ფუნდამენტურ მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. აღნიშნული პრინციპის უზრუნველყოფის გარანტიები კი არამხოლოდ ამკ-ის, არამედ სხვა საკანონმდებლო აქტებში იქნა გაწერილი. თუ რამდენად შესაბამისობაშია მოქმედი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიების თვალსაზრისით, ამ საკითხის ანალიზს დაეთმობა ნაშრომის მომდევნო თავები.

თავი II

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სპეციფიკური ასპექტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების სპეციფიკური ასპექტების განხილვამდე, მნიშვნელოვანია, პირველ რიგში შევხებით არასრულწლოვნის, როგორც ადამიანის უფლებების მფლობელი სუბიექტის საკითხს, გავანალიზოთ თუ რა მსგავსებები და განსხვავებები არსებობს ადამიანის უფლებებსა და არასრულწლოვანთა უფლებებს შორის და რა არის ამ განსხვავებების განმაპირობებელი ფაქტორები.

2.1. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, როგორც უფლებების მფლობელი სუბიექტი

მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ცნობილი პოლონელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იანუშ კორჩაკი¹⁵¹ წერდა: „ჩვენ ბავშვებს ვაკისრებთ კაცობრიობის პასუხისმგებლობის აღებას ხვალ, მაგრამ დღეს ადამიანის არც ერთ უფლებას არ ვაძლევთ ... კაცობრიობა დაყოფილია ზრდასრულებად და ბავშვებად, ცხოვრება კი ბავშვობად და ზრდასრულობად. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ბავშვი მსოფლიოს და ცხოვრების ძალიან დიდ ნაწილს იკავებს. მაგრამ ჩვენ... ვერ ვხედავთ ბავშვს, ისევე როგორც ადრე ვერ ვხედავდით ქალებს, გლეხებს, დაჩაგრულ სოციალურ ჯგუფებსა და დაჩაგრულ ერებს.“¹⁵² გავიდა წლები და ბავშვის უფლებებმა ნორმატიული ფორმა და საყოველთაო აღიარება შეიძინა ბავშვის უფლებათა კონვენციისა და ადამიანის

¹⁵¹ იანუშ კორჩაკი - მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ებრაული წარმოშობის პოლონელი პედაგოგი, ექიმი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. იგი მთელი ცხოვრება მსახურობდა ბავშვთა თავშესაფრებში. დაწერა წიგნი „როგორ უნდა გვიყვარდეს ბავშვი.“ 1940 წელს ობოლთა სახლის აღსაზრდელებთან ერთად გადაიყვანეს ვარშავის გეტოში, სადაც კორჩაკმა მთელი თავისი მოღვაწეობა ბავშვთა უფლებებსა და კეთილდღეობაზე ზრუნვას მიუძღვნა. იუნესკომ 1978 წელი იანუშ კორჩაკის წლად გამოაცხადა. იხ: <<https://www.hmd.org.uk/resource/janusz-korczak/>> [20.001.2022]; <https://en.wikipedia.org/wiki/Janusz_Korczak> [20.001.2022].

¹⁵² Korczak J., The Child's Right to Respect, Council of Europe Publishing, Strasbourg, 2009, 20, <<https://rm.coe.int/janusz-korczak-the-child-s-right-to-respect/16807ba985>> [20.06.2021].

უფლებების შესახებ სხვა საერთაშორისო დოკუმენტების მეშვეობით.¹⁵³ კონვენციის ძირითად მიზნად, ბავშვის სრულწლოვანთან თანასწორობის აღიარების მისაღწევად, მიდგომების შეცვლა იქნა დასახული.¹⁵⁴ საერთაშორისო და რეგიონული აქტებით მოხდა არასრულწლოვანთა აღიარება არა მხოლოდ დაცვის ობიექტებად, არამედ ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და სპეციალური რეგულაციების საგნის ბენეფიციარებად,¹⁵⁵ რიგი თავისებურებების გათვალისწინებით.¹⁵⁶ დღეს „ადამიანის უფლებები ბავშვის უფლებებით იწყება.“¹⁵⁷

„ბავშვთა ადამიანის უფლებების კონცეფცია“ ბავშვს მოიაზრებს ადამიანის უფლებების მფლობელ სუბიექტად, რომელიც ფლობს ძირითად სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს, რითაც ტრადიციულად სარგებლობენ სრულწლოვანი პირები. თუმცა ბავშვთა უფლებების შემთხვევაში გადამწყვეტია, თუ როგორ ეპყრობიან ინსტიტუციები და პირები მათ.¹⁵⁸ ბავშვი, როგორც უფლებების მფლობელი სუბიექტი, ბავშვის უფლებათა კონვენციაში განსაზღვრულია, როგორც ყოველი ადამიანი 18 წლის ასაკის მიღწევამდე.¹⁵⁹ თუმცა, შესაძლებელია ბავშვებს მათი ასაკის შესაბამისად მიენიჭოთ გარკვეული უფლებები, მაგალითად, შრომითი უფლებები.¹⁶⁰ ადამიანის უფლებებისაგან განსხვავებით არასრულწლოვანთა უფლებების დაცვა მოითხოვს რამდენიმე დამატებითი ასპექტის გათვალისწინებას, რაც ბავშვის უფლებათა კონვენციიდან იკითხება. ეს არის: „პირველი, სრულწლოვნებისაგან განსხვავებით ბავშვებს განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვა სჭირდებათ; მეორე, ბავშვის გადარჩენისა და განვითარების

¹⁵³ შაჰოვიჩი ნ. ვ., დოეკი ი.ე., ცერმატენი ჟ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში: ყველაფერი ბავშვთა უფლებების შესახებ, ტულუში რ., ალექსიძე თ. (მთარგმნელები), ალექსიძე ლ., ხუციშვილი ქ. (რედ.), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2015, 14.

¹⁵⁴ იქვე, 17.

¹⁵⁵ General Comment No. 14 on the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (art. 3, para. 1), UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2013, §16(b).

¹⁵⁶ ქვრივიშვილი თ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა სასამართლოში საქმის განხილვისას, სამართლის ჟურნალი №1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020, 173, ობ. ციტირება: European Union Agency for Fundamental Rights and Council of Europe, Handbook on European Law Relating to the Rights of the Child, Luxembourg, 2015, 17.

¹⁵⁷ Linnik N., Human rights begin with the rights of the child, Law Review of Kyiv University of Law, №1, 2020, 360, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/lrkyivu2020&i=356>> [20.06.2021].

¹⁵⁸ Levesque R. J., Children's human rights. Update on Law-Related Education, Vol. 22, No.3, 1998, 22. <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/ulred22&i=150>> [20.06.2021].

¹⁵⁹ Convention on the Rights of the Child, UN General Assembly, Resolution 44/25, 20 November 1989, art. 1.

¹⁶⁰ Directive 94/33/EC of 20 August 1994 on the Protection of Young People at Work, 1994.

იდეალური გარემო მზრუნველი ოჯახის პირობებშია; და მესამე, მთავრობამ და ყველა პირმა, მშობლების ჩათვლით, პატივი უნდა სცენ და იმოქმედონ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.¹⁶¹ ამრიგად, სახელმწიფომ უნდა ითამაშოს პოზიტიური როლი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ხელახალი აღზრდისათვის ხელის შეწყობისა და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნით.¹⁶² ამავედროულად გასათვალისწინებელია, რომ არასრულწლოვნის მოუმწიფებლობის გამო, მათი „ახალი“ უფლებების დაცვის პროცესი მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. შესაბამისად, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პროცესში არ შეიძლება უბრალოდ სრულწლოვანთა სისხლის სამართლის პროცესიდან გარკვეული პროცედურების „სესხება“, არამედ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვნისთვის დამახასიათებელი სოციალური, ემოციური და ფსიქოლოგიური მახასიათებლები და ამის შესაბამისად მოხდეს პროცესის მოდიფიცირება.¹⁶³ როდესაც არასრულწლოვანს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება, მას უნდა ჰქონდეს იგივე უფლებები, რაც აქვთ ზრდასრულებს, რათა სათანადოდ შეძლონ საკუთარი დაცვის პროცესში მონაწილეობის მიღება. თუმცა, ვინაიდან ბავშვისა და ზრდასრულის სიმწიფე განსხვავებულია, ბავშვის მოსალოდნელი ჩართულობა სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში უფრო შეზღუდულია და, სავარაუდოდ, ვერ გაუტოლდება ზრდასრულის შესაძლებლობებს. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მას უნდა მისცეს შესაძლებლობა, იმ ხარისხით მიიღოს მონაწილეობა პროცესში, რა ხარისხითაც ეს შესაძლებელია გონივრულ ფარგლებში.¹⁶⁴ სწორედ ამიტომ, მართალია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანზე ვრცელდება სამართლიანი სასამართლოს უფლების ის ელემენტები, რომლითაც სრულწლოვანი პირები სარგებლობენ, თუმცა

¹⁶¹ *Levesque R. J.*, Children's human rights. Update on Law-Related Education, Vol. 22, No.3, 1998, 22. <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/ulred22&i=150>> [20.06.2021].

¹⁶² *ქერივიშვილი თ.*, არასრულწლოვნის პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი), *ჟურნ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“*, №1, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017, 107-108, იხ. ციტირება: თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინება საქმეზე №1გ/1479-16; თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2016 წლის 25 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №1გ/1635-26.

¹⁶³ *ქერივიშვილი თ.*, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა სასამართლოში საქმის განხილვისას, „სამართლის ჟურნალი“, №1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020, 174, იხ. ციტირება: *Grisso T.*, *Juveniles' Waiver of Rights, Legal and Psychological Competence*, New York, 1981, 2.

¹⁶⁴ *T. v. The United Kingdom*, [1999] ECHR, no. 24724/94, Concurring Opinion of Lord Reed,

„გარდა ზრდასრული ადამიანების მსგავსი უფლებებისა, არასრულწლოვნებს აქვთ უფროსების ან მეურვეების მხარდაჭერით სარგებლობისა და კონფიდენციალობის უფლება. განსხვავებულია მათ მიმართ მოპყრობაც, იმ თვალსაზრისით, რომ საქმის საჯარო განხილვის მოთხოვნა არ ვრცელდება ბავშვებზე.“¹⁶⁵

სახელმწიფოთა შორის მიღწეულია კონსენსუსი და ფართოდ აღიარებულია, რომ ბავშვები სისხლის სამართლის პროცესის „განსაკუთრებული მონაწილეები“ არიან და მათი მოწყვლადობა მოითხოვს განსხვავებულ განხილვას.¹⁶⁶ ბავშვის უფლებათა კომიტეტი არასრულწლოვნებისადმი განსხვავებულ მოპყრობას მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარებით, ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებებით ხსნის.¹⁶⁷ ვინაიდან, არასრულწლოვნის მოუმწიფებლობის გამო მისი ფსიქოლოგიური მახასიათებლები განაპირობებენ სისხლის სამართლის პროცესის მოდიფიცირებასა და მის აღჭურვას დამატებითი პროცესუალური გარანტიებით, მათ შორის პირადი ცხოვრების უფლების უფრო მაღალი სტანდარტით დაცვით, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია შევხვით კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ბიო-ფსიქოლოგიურ ასპექტებს.

2.1.1. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ბიო-ფსიქოლოგიური ასპექტები

არასრულწლოვანთა განსაკუთრებული ბიო-ფსიქოლოგიური მახასიათებლების შესახებ სხვადასხვა დროს არაერთი საინტერესო მოსაზრება გამოითქვა. ილია ჭავჭავაძე წერდა: „ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივე ადამიანია და მით უფრო საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხ ქარაგმით დაწერილია... არ უნდა გვიკვირდეს, რომ რასაც დიდ მდინარეში ვპოულობთ, იმას მის სათავეშიც

¹⁶⁵ *ჰამილტონი ქ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბ., 2015, 83.

¹⁶⁶ *Gwynedd Parry R.*, Protecting the Juvenile Suspect: What Exactly is the Appropriate Adult Supposed to Do? *Child and Family Law Quarterly*, Vol. 18, No. 3, 2006, 375, <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1968570> [20.01.2022].

¹⁶⁷ General Comment No. 10: Children's Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2007, §10.

ვხედავთ. ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდი ადამიანისა.¹⁶⁸ იმანუელ კანტის აზრით, „არასრულწლოვნება ნიშნავს უუნარობას, იმოქმედო საკუთარი გონების კარნახით, სხვისი მითითებების გარეშე.“¹⁶⁹ „აშშ-ის დენვერის შტატის არასრულწლოვანთა სასამართლოს დამაარსებელსა და მოსამართლეს, ბენ ლინდსეის, სწამდა, რომ არ არსებობს „ცუდი ბავშვი“, არსებობს მხოლოდ ცუდი პირობები, რომლებსაც მოჰყვება ცუდი ქმედების ჩადენა.“¹⁷⁰ ჩერნიშევსკის აზრით, „არასრულწლოვან დამნაშავეებს, სრულწლოვან დამნაშავეთაგან განსხვავებით, არ შეუძლიათ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და ხარისხის მთლიანად გაცნობიერება, რაც მოზარდის არასაკმარის ინტელექტუალურ მომზადებასა და გამოუცდელობასთან არის დაკავშირებული.“¹⁷¹ სწორედ ამ ბიო-ფსიქოლოგიური მახასიათებლების გამო, არასრულწლოვანთა სასამართლო თავიდანვე გამიზნულად მულტიდისციპლინარულ დაწესებულებად ჩამოყალიბდა, რომელშიც ექიმებს, ფსიქოლოგებს, სოციალურ მუშაკებსა და სხვადასხვა დისციპლინების წარმომადგენლებს, სასამართლოს დახმარების ფუნქცია მიენიჭათ, რათა სარეაბილიტაციო მისია შესრულებულიყო არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასებითა და მისი კონკრეტული საჭიროებების განსაზღვრით.¹⁷² ისინი მოაზრებულ იქნენ არა დამნაშავეებად, არამედ მსხვერპლებად.¹⁷³ ამიტომაც ყველა ქვეყნის მთავარ გზავნილად იქცა ბავშვისადმი ზრუნვის აუცილებლობა, როგორც

¹⁶⁸ *ივანიძე მ.*, არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017, 9; *კანტური ა. ლ.*, ოჯახის ფაქტორი არასრულწლოვნის სამართლებრივი აღზრდისა და მართლშეგნების ამაღლებისათვის, *ჟურნ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“*, №1, გამომც. „მერიდიანი“, 2017, 143.

¹⁶⁹ *კავთუაშვილი ე.*, ბავშვის უფლება იყოს მოსმენილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, *ჟურნ. „სამართლის მაცნე“*, №2, 12/2020, 90.

¹⁷⁰ *ხერხელიძე ი.*, არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამოწვევი მიზეზები იუვენალური იუსტიციის სისტემებში, „სამართლის ჟურნალი“ №2, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013, 286.

¹⁷¹ *კავთუაშვილი ე.*, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი – ფსიქოლოგიურ, თეოლოგიურ, პედაგოგიურ და იურიდიულ ჭრილში, *ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“*, №4(52) 16, 2016, 98. იხ. ციტირება: *Чернышев А. И.*, Преступность несовершеннолетних и меры борьбы с ней в СССР, Томск, 1975, 37.

¹⁷² *Shepherd R.*, Juvenile justice, *Criminal Justice* 14(1), 1999, 42, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/cjust14&i=44>> [20.06.2021].

¹⁷³ *გოგიაშვილი ნ.*, არასრულწლოვნის დაკითხვის თავისებურება, *ჟურნ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“*, №1, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017, 23.

ოჯახის, ისე თითოეული მოქალაქისა და სახელმწიფოს მხრიდან,¹⁷⁴ ვინაიდან იგი არის მთავარი აქტივების, რესურსებისა და ამავდროულად, ცვლილებების „აგენტი“, რომელსაც აქვს პოტენციური პოზიტიული წვლილი შეიტანოს ოჯახის, საზოგადოებისა და ქვეყნის ცხოვრებაში.¹⁷⁵

ბავშვობის პერიოდი ყველა ქვეყნის კანონმდებლობაში სხვადასხვა ტერმინითაა ასახული, როგორცაა: ბავშვი, მცირეწლოვანი, მოზარდი, არასრულწლოვანი, ახალგაზრდა და სხვ. „მოზარდი“, როგორც წესი, არა სამართლებრივი, არამედ ფსიქოლოგიური ტერმინია, რომელიც მოზარდული ბავშვისა და ახალგაზრდა ზრდასრული ადამიანის გამომხატველად გამოიყენება.¹⁷⁶ სწორედ მოზარდობის პერიოდში ხდება ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მძაფრი სულიერი ცვლილებები, რაც განსაკუთრებულ სიმძნელებს ქმნიან.¹⁷⁷ ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის გარდამავალ სტადიაზე, რთულია ცხოვრების ახალ ასპარეზზე შესვლა და სამართლებრივ წესრიგს შეწყობა. ასაკიდან გამომდინარე ქცევის არამდგრადობის გამო არასრულწლოვნები ხშირად ხვდებიან ისეთ ველზე, რომელიც მათი სოციალიზაციის პროცესს კიდევ უფრო მეტად აძნელებს.¹⁷⁸

სამართლებრივ პროცესში არასრულწლოვანთა განვითარების მნიშვნელობის გასააზრებლად ორი ფუნდამენტური ასპექტი შეიძლება გამოვყოთ: პირველი, ბავშვები არ არიან სრულწლოვნების მსგავსნი; მეორე, ბავშვები შეიძლება არ იყვნენ განსხვავებულნი მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და ამასთან, შეიძლება მკაფიოდ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან განვითარების იმავე ეტაპზე. კერძოდ, ფიზიკური სიმწიფე არ შეესაბამებოდა ინტელექტუალურ, ემოციურ, სოციალურ ან

¹⁷⁴ ივანიძე მ., არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017, 14.

¹⁷⁵ Committee on the Rights of the Child, General Comment No. 20 on the Implementation of the Rights of the Child during Adolescence, 2016, 3, <<https://www.refworld.org/publisher.CRC.GENERAL..589dad3d4.0.html>> [06.12.2021].

¹⁷⁶ შაჰოვიჩი ნ. ვ., დოეკი ი. ე., ცერმატენი ჟ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში: ყველაფერი ბავშვთა უფლებების შესახებ, ტულუში რ., ალექსიძე თ. (მთარგმნელები), ალექსიძე ლ., ხუციშვილი ქ. (რედ.), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2015, 8.

¹⁷⁷ კავთუაშვილი ე., ბავშვის უფლება, იყოს მოსმენილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, საერთ. სამეცნიერო ჟურნალი „სამართლის მაცნე“, №2, 2020, 90. იხ. ციტირება: ქარუმიძე, ვ., დარგალი, ე., არასრულწლოვანი, დამნაშავეობა და მართლმსაჯულება, თბ., 1998, 253.

¹⁷⁸ ცეციტიშვილი თ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მატერიალურსისხლისსამართლებრივი საკითხების რეგულირების ცალკეული ასპექტები, „სამართლის ჟურნალი“, №1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2019, 193.

ზნეობრივ სიმწიფეს. განსაკუთრებული ცვლილებები ამ კუთხით ვლინდება 10-17 წლამდე პერიოდში, როდესაც მოზარდები გადიან მათი განვითარების კრიტიკულად განმსაზღვრელ პერიოდს, რა დროსაც დიდია ალბათობა მოზარდმა „მიმართულება“ შეიცვალოს.¹⁷⁹ გარდატეხის პერიოდში მოზარდი ზედმეტად ემოციურია და განიცდის მოზღვავებულ ენერგიას.¹⁸⁰ ეს არის ცხოვრების ახალი ეტაპი, რომელიც ხასიათდება მზარდი შესაძლებლობებით, მისწრაფებებითა და კრეატიულობით, მაგრამ ამავდროულად მნიშვნელოვანი დაუცველობით.¹⁸¹ სწორედ გარდატეხის პერიოდი განსაზღვრავს არასრულწლოვნის პიროვნების ჩამოყალიბებას.¹⁸² ამ დროს თავს იჩენს, როგორც მოზარდის სექსუალურ განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები, ისე მისი სულიერ ღირებულებათა კონფლიქტი. ამიტომაც არის საუბარი არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებებზე.¹⁸³ არასრულწლოვნისთვის დამახასიათებელი კოგნიტური, ნევრობიოლოგიური და გარეფაქტორებით გამოწვეული მიზეზები განაპირობებენ მის მიდრეკილებას რისკის გაწევისკენ და იმპულსური ქმედებებისაკენ.¹⁸⁴ ამასთან, არასრულწლოვანზე არანაკლებ გავლენას ახდენს სოციალური გარემო, თითოეული ქალაქისა თუ რაიონისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი. ამ რეგიონებში აღზრდილ ბავშვებზე სწორედ ეს თავისებურებანი ჰპოვებენ ასახვას და ამის შესაბამისად უყალიბდებათ განსხვავებული მოთხოვნილებები და მისწრაფებები.¹⁸⁵

¹⁷⁹ *Shepherd R.*, Juvenile justice, *Criminal Justice* 14(1), 1999, 42. <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/cjust14&i=44>> [20.06.2021].

¹⁸⁰ *სონგულია ნ.*, არასრულწლოვანთა საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების საკითხები, გამოძიების ჩატარება და სასამართლო განხილვის თავისებურებანი, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2016, 136, იხ. ციტირება: *Kaiser G.*, *Kriminologie* 3, Heidelberg, C.F. Müller, 1996, 566; *ჭანტურია ლ.*, ოჯახის ფაქტორი არასრულწლოვნის სამართლებრივი აღზრდისა და მართლმშეგნების ამაღლებისათვის, ჟურნ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, გამომც. „მერიდიანი“, 2017, 146.

¹⁸¹ Committee on the Rights of the Child, General Comment No. 20 on the Implementation of the Rights of the Child during Adolescence, 2016, 3, <<https://www.refworld.org/publisher.CRC.GENERAL..589dad3d4.0.html>> [06.12.2021].

¹⁸² *შალიკაშვილი მ.*, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, 13.

¹⁸³ *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 14.

¹⁸⁴ *ხერხეულიძე ი.*, არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები იუვენალური იუსტიციის სისტემებში, „სამართლის ჟურნალი“, №2, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013, 315.

¹⁸⁵ *გოგიაშვილი ნ.*, არასრულწლოვნის დაკითხვის თავისებურება, ჟურნ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017, 24.

გარდა ფსიქოლოგიური ფაქტორებისა, უნდა აღინიშნოს არასრულწლოვნის ბიოლოგიური ფაქტორებიც. არასრულწლოვნის ტვინი ფუნდამენტურად განსხვავდება ზრდასრულთა ტვინისაგან. მოზარდებს უჭირთ გააცნობიერონ სისხლისსამართლებრივი წარმოების ბუნება,¹⁸⁶ სწორად გაიაზრონ თუნდაც „მირანდას უფლებები“.¹⁸⁷ სწორედ ამიტომ, ახალგაზრდა დამნაშავეებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი უნდა გაითვალისწინონ მათი ფსიქოლოგიური და ემოციური უმწიფრობა და პიროვნების ცვალებადობა, საზოგადოებაში ხელახალი გაწევრიანებისა და შეცვლის უნარი.¹⁸⁸ საერთო სასამართლოების განაჩენებში წარმოდგენილ ინდივიდუალური შეფასების ანგარიშებში ვკითხულობთ, რომ „კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი მის მიერ ჩადენილ ქმედებას ბავშვურ შეცდომად და სპონტანურად გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს, მოსალოდნელი შედეგების გააზრების გარეშე და რომ მან მოცემულ მომენტში ვერ განსაზღვრა მოსალოდნელი შედეგები და რისკები.“¹⁸⁹... „მოზარდი ხასიათდება კონფლიქტური ქცევით, არის ემოციური და ურთულდება ქცევის მართვა... არასრულწლოვანი აღიარებს, მაგრამ ვერ იაზრებს მის მიერ განხორციელებული ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს...“¹⁹⁰ „ბრალდებულს რცხვენია საკუთარი საქციელის. მასზე უარყოფით გავლენას ახდენენ ანტისოციალური ქცევის მქონე მოზარდები, რომლებთანაც დროის გარკვეულ პერიოდს ატარებს ქუჩაში.“¹⁹¹ „არასრულწლოვანი სიტყვიერად გამოხატავს პასუხისმგებლობას იქიდან გამომდინარე, რომ დადგა მისი სისხლის სამართლის

¹⁸⁶ *ივანიძე მ.*, არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017, 23.

¹⁸⁷ *Luna M.*, Juvenile False Confessions: Juvenile Psychology, Police Interrogation Tactics, and Prosecutorial Discretion, Nevada Law Journal 18, no. 1, 2017, 316, <https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/nevlj18&i=298> [20.06.2021].

¹⁸⁸ *კნაუერი ფ.*, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, წიგნში: ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, *თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი. (რედ)*, გამომც. მერიდიანი, თბ., 2019, 568-569, იხ. ციტირება: EGMR (Große Kammer), Khamtokhu und Aksenichik./Russland, Urteil vom 24. Januar 2017, Nrn. 60367/08 und 961/11, Rn. 80.

¹⁸⁹ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 მარტის განაჩენი საქმეზე N 1-23/19.

¹⁹⁰ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 აპრილის განაჩენი საქმეზე №1-173/19.

¹⁹¹ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 სექტემბრის განაჩენი საქმეზე №1-614/19.

პასუხისმგებლობის საკითხი. თუმცა სრულყოფილად უჭირს ჩადენილი ქმედების შედეგების გაანალიზება-გაცნობიერება...“¹⁹²

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული მათი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური განვითარების გამო საზოგადოების ნორმალურ გამოვლინებად მიიჩნევა,¹⁹³ ვინაიდან ახალგაზრდების უმეტესობას ერთხელ მაინც აქვს ჩადენილი სამართალდარღვევა.¹⁹⁴ როგორც ერთ-ერთმა გერმანელმა პროკურორმა განაცხადა: „თუ ჰკითხავთ სტუდენტების გარკვეულ რაოდენობას, დაარღვიეს თუ არა კანონი მოზარდობის პერიოდში, უმეტესობა მათგანი გიპასუხებთ - „დიახ“.¹⁹⁵ ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც არ არის ჩართული რაიმე სახის დელინქვენტურ ქმედებაში, სტატისტიკურად ნორმას არ წარმოადგენს.¹⁹⁶

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში საქმის დახურულ კარს მიღმა გამართვის ტრადიციაც სწორედ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ბიო-ფსიქოლოგიური ფაქტორებითაა განპირობებული. დახურული სასამართლო სხდომის პირობებში მოზარდი მეტად გახსნილია. ამგვარი გარემო მას ნდობას უჩენს პროცესის მიმართ და შეუძლია თავისუფლად ისაუბროს მომხდარზე.¹⁹⁷ პროცესის საჯაროობა კი შესაძლოა ფსიქოლოგიური ზიანის მომტანი აღმოჩნდეს არასრულწლოვნისთვის, რაც სასამართლო მოვლენებისგან ბავშვის „აღდგენას“ კიდევ უფრო გაართულებს ან საერთოდ შეუძლებელს გახდის. რამაც საბოლოოდ, არასრულწლოვნის სასამართლოს მთავარი მიზნების განადგურება შეიძლება

¹⁹² ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 12 ივნისის განაჩენი საქმეზე №1-364/19.

¹⁹³ *კვაჭაძე მ., დათეშიძე ნ., მამალაძე ე., მჭედლიშვილი გ.*, ადვოკატის ღონისძიებათა გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ: საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, *კვაჭაძე მ. (რედ.)*, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბ., 2019, 63.

¹⁹⁴ *ხერხეულიძე ი.*, არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები იუვენალური იუსტიციის სისტემებში, „სამართლის ჟურნალი“, №2, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013, 292.

¹⁹⁵ *Boyne, S.*, Juvenile Justice in Germany: The Tension between Public Outrage and Criminological Theory. *Journal of Global Justice and Public Policy*, 3(2), 2017, 219, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/jglojpp3&i=199>> [20.06.2021].

¹⁹⁶ *Walsh A.*, Evolutionary psychology and the origins of justice, *Justice Quarterly*, 17(4), 2000, 858, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/jquart17&i=860>> [20.06.2021].

¹⁹⁷ *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 191.

გამოიწვიოს.¹⁹⁸ პროცესების საჯაროობა დამატებით პოტენციური საზიანო ფაქტორია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისთვის.¹⁹⁹

ამრიგად, ბავშვებს გარანტირებული აქვთ სრულწლოვანთაგან განსხვავებული მოპყრობა სისხლის სამართლის პროცესში მათი ასაკის, უმწიფრობის, მოწყვლადობისა და შეზღუდული შესაძლებლობის გამო. ამიტომაც სისტემა უნდა პასუხობდეს ბავშვის ზრუნვისა და განვითარების საჭიროებებს, რათა უზრუნველყოს მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში, როგორც კანონმორჩილი მოქალაქეების.²⁰⁰ სწორედ ამ თვალსაზრისით, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.

2.2. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სპეციფიკური ასპექტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების მიხედვით (ზოგადი მიმოხილვა)

2.2.1. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სპეციფიკური ასპექტები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით

ბავშვის უფლებათა სფეროში მოქმედი საერთაშორისო და ევროპული აქტები, არასრულწლოვანთან მიმართებით პირადი ცხოვრების უფლებას გარკვეული თავისებურებებით ახასიათებენ და დაცვის მაღალ სტანდარტს ადგენენ.

ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციის მე-16 მუხლით განმტკიცებულია ბავშვის პირადი ცხოვრების უფლება. აღნიშნული მუხლის თანახმად, „არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს მისი პირადი ცხოვრების, ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლების

¹⁹⁸ *Edwards L. P.*, Confidentiality and the Juvenile and Family Courts, *Juvenile and Family Court Journal*, Winter 2004, 4.

¹⁹⁹ *T. v. The United Kingdom*, [1999] ECHR, no. 24724/94, §18.

²⁰⁰ *Falco N., Grassettoni D., Ponti P.*, Child Rights and Juvenile Justice, Best Practices and Lesson Learned from Save the Children Italy National and International Programs, Roma, 2016, 8.

განხორციელებაში ნებისმიერი ან უკანონო ჩარევის ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის შელახვის ობიექტი.²⁰¹ აღნიშნული ნორმის მოქმედება ვრცელდება ყველა ბავშვზე, მათ შორის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვან, არასრულწლოვან მოწმესა და დაზარალებულზე. უშუალოდ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საპროცესო უფლებები გაწერილია კონვენციის მე-40 მუხლით, რომლითაც განმტკიცებულია მკაცრი სადამსჯელო მიდგომის ნაცვლად, არასრულწლოვნის კეთილდღეობის, ჭკმარიტი ინტერესების დაცვისა და რეინტეგრაციის საჭიროებისთვის გასატარებელი ძირითადი პრინციპების უპირატესობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.²⁰² ამ მიზნით სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ მინიმალურ გარანტიად გათვალისწინებულია არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება საქმის განხილვის ყველა სტადიაზე.²⁰³ თუ რა იგულისხმება პროცესის „ყველა სტადიაში“, განმარტებულია ბავშვის უფლებათა კომიტეტის №10 ზოგად კომენტარში. „პროცესის ყველა სტადია“ გულისხმობს არა მხოლოდ ბავშვის პირველ კონტაქტს სამართალდამცავ ორგანოებთან, არამედ სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას, ან მეთვალყურეობიდან ან პატიმრობიდან გათავისუფლებას. ამ კონკრეტულ კონტექსტში, ეს პრინციპი გულისხმობს ბავშვის დაცვას გახმაურებისა და სტიგმატიზაციისგან.²⁰⁴ აქვე დეტალიზებულია, თუ რა სპეციფიურობით ხასიათდება ბავშვის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებული კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება. ესენია:

²⁰¹ UN Convention on the Rights of the Child, General Assembly, Resolution 44/25, 20 November 1989, Art. 16.

²⁰² ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 მარტის განაჩენი საქმეზე №1-775-18; ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 10 მაისის განაჩენი საქმეზე №1-929-18; ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 დეკემბრის განაჩენი საქმეზე №1-1020-19.

²⁰³ *კვაჭაძე მ., დათეშიძე ნ., მამალაძე ე., მჭედლიშვილი გ.*, აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ: საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, *კვაჭაძე მ. (რედ.)*, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბ., 2019, 42.

²⁰⁴ General Comment No. 10: Children's Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2007, §64.

•სასამართლო სხდომები უნდა წარმოებდეს დახურულ რეჟიმში, გამონაკლისები უნდა იყოს უკიდურესად იშვიათი და მხოლოდ კანონის მიერ კონკრეტულად განსაზღვრულ შემთხვევებში;²⁰⁵

•საზოგადოების დასწრება არასრულწლოვანთა საქმეების განხილვაზე უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ და მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული შემთხვევებით სასამართლოს წერილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე;²⁰⁶

•სასამართლოს განაჩენი უნდა გამოცხადდეს იმგვარად, რომ არ მოხდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის იდენტიფიცირება;²⁰⁷

•სისხლის სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე საჯარო ორგანოებმა არ უნდა გაამჟღავნონ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ვინაობა;²⁰⁸

•კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან დაკავშირებული დოკუმენტები შენახულ უნდა იქნეს კონფიდენციალურად და მასზე ხელი არ უნდა მიუწვდებოდეს მესამე პირებს;²⁰⁹

•მედიის წარმომადგენლები ვალდებულნი არიან დაიცვან არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებისას და არ გაამჟღავნონ ბავშვის ვინაობა.²¹⁰

მოგვიანებით მიღებულ №20 ზოგად კომენტარში, ბავშვის უფლებათა კომიტეტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სახელმწიფოთა ვალდებულებას მიიღონ ყველა შესაბამისი ღონისძიება მონაცემთა კონფიდენციალობის გაძლიერებისა და პატივისცემის უზრუნველსაყოფად.²¹¹

ვინაიდან, საერთაშორისო და რეგიონული მასშტაბით მოქმედი სხვა დამხმარე ინსტრუმენტები ბავშვის უფლებათა კონვენციის საფუძველზე შემუშავდნენ და მის ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციას ემსახურებიან მიზნად, ეს ინსტრუმენტებიც ანალოგიურ ჭრილში განიხილავენ კანონთან კონფლიქტში მყოფი

²⁰⁵ General Comment No. 10: Children's Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2007, §66.

²⁰⁶ იქვე, §65.

²⁰⁷ იქვე, §66.

²⁰⁸ იქვე, §64, §66.

²⁰⁹ იქვე, §66.

²¹⁰ იქვე, §§65-66.

²¹¹ Committee on the Rights of the Child, General Comment No. 20 on the Implementation of the Rights of the Child during Adolescence, 2016, §46, <<https://www.refworld.org/publisher,CRC,GENERAL,,589dad3d4,0.html>> [06.12.2021].

არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლებას, რაც მომდევნო თავებში დეტალურად იქნება განხილული თითოეული საკვლევი საკითხის ირგვლივ.

2.2.1.1. „ეტიკეტირების თეორიის“ მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია შევხებით ე.წ. „ეტიკეტირების თეორიას“, რომელიც არასრულწლოვანთა დანაშაულის განმარტების ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ კრიმინოლოგიურ თეორიას წარმოადგენს. აღნიშნული თეორიის მიმოხილვა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ არაერთი საერთაშორისო აქტი სწორედ ამ თეორიის საფუძველზე ჩატარებული კვლევის შედეგებს მოიხმობს იმის არგუმენტად, რომ პირადი ცხოვრების უფლების დაცვა საქმის განხილვის ყველა სტადიაზე აუცილებელ კომპონენტს უნდა წარმოადგენდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, რათა გაუმართლებელი საჯაროობის პირობებში არასრულწლოვნის დამნაშავედ სტიგმატიზება დანაშაულის განმეორებით ჩადენის ხელშემწყობი ფაქტორი არ აღმოჩნდეს. „პეკინის წესების“ მე-8 პუნქტით განსაზღვრული პირადი ცხოვრების დაცვის შესახებ კომენტარში განმარტებულია, რომ „ახალგაზრდა ადამიანები განსაკუთრებით ექვემდებარებიან სტიგმატიზაციას. „ეტიკეტირების“ კრიმინოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა რომ არასრულწლოვნის მუდმივ იდენტიფიკაციას „სამართალდამრღვევად“ ან „დამნაშავედ“ მოსდევს დამღუპველი შედეგები“.²¹² ანალოგიურ მითითებას შეიცავს „რიადის პრინციპები“, რომლის თანახმად, „ექსპერტთა მოსაზრებით, ახალგაზრდა პირის სტიგმატიზება „ნორმის დამრღვევად“, „დამნაშავედ“ ან „პოტენციურ დამნაშავედ“, ხშირად ხელს უწყობს ახალგაზრდა პირების მიერ არასასურველი საქციელის განმეორებას.“²¹³

²¹² United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"), General Assembly resolution 40/33 of 29 November 1985, §8, Commentary.

²¹³ United Nations Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency (The Riyadh Guidelines), General Assembly, A/RES/45/112, 1990, I-5(v).

კრიმინოლოგიაში „ეტიკეტირების თეორია“ აგრეთვე ცნობილია „არლიყის მიკერების“ სახელწოდებით.²¹⁴ იგი ყურადღებას ამახვილებს სოციალური ეტიკეტირების როლზე დანაშაულისა და დევინტურობის განვითარებაში.²¹⁵ დევინტური ქცევა არის იმგვარი ქცევა, რომლის ეტიკეტირებაც ამგვარად ხდება საზოგადოების მიერ. ეტიკეტირების თეორეტიკოსების აზრით, ის, რაც წარმოადგენს დევინტურ ქცევას, არსებითად გარემოს რეაქციაა. არ არის რეაქცია, არ არის დევინტური ქცევა.²¹⁶

ეტიკეტირების თეორიის თანახმად, დევინტური ქცევა შეიძლება სხვადასხვა მიზეზებიდან და პირობებიდან გამომდინარეობდეს, მაგრამ მას შემდეგ რაც პირს დევინტის „არლიყს მიაკრავენ“, ისინი ხშირად აწყდებიან ახალ პრობლემებს, რომლებიც გამომდინარეობს საკუთარი თავისა და სხვების რეაქციიდან უარყოფით სტერეოტიპებზე (სტიგმაზე).²¹⁷ დამნაშავის სტიგმა ხასიათდება მრავალი კონოტაციით. კერძოდ, ადამიანები მიიჩნევენ, რომ ეტიკეტირებულ ადამიანს არ შეუძლია ან არ სურს იმოქმედოს, როგორც „მორალურმა არსებამ“ და, შესაბამისად, შეიძლება დაარღვიოს სხვა მნიშვნელოვანი ნორმებიც. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც პირს შეაფასებენ, როგორც დევინტს, მისი მხრიდან ნებისმიერი მომავალი ან წარსული ქცევა მიჩნეულია არსებითად დევინტურ ან კრიმინალური ხასიათის სიმპტომად. სტიგმა, რომელიც თან ახლავს კრიმინალურ ეტიკეტირებას, ხელს უწყობს ფართო უნდობლობას ამ პირებისადმი,²¹⁸ ხოლო ეს უკანასკნელნი საკუთარი თავის იდენტიფიცირებასა და ქცევას ახორციელებენ იმგვარად, როგორც სხვები ახდენენ მათ ეტიკეტირებას.²¹⁹

²¹⁴ “Labelling Approach“ წარმოდგება ინგლისურიდან. “Label” ნიშნავს ეტიკეტს, ხოლო “Approach” - მიდგომას, დაახლოვებას. ეტიკეტირების თეორია პირველად ჩამოაყალიბა ამერიკელმა სოციოლოგმა ფრანკ ტანენბაუმმა 1938 წელს, რომელიც განავითარა ჰოვარდ ბეკერმა და ედვინ ლემერტმა. იხ: *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, გამომც. მერიდიანი, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 47.*

²¹⁵ *Bernburg J. G., Labeling theory.* In: Marvin D. Krohn, Alan Lizotte & Gina Penly Hall (eds), *Handbook on Crime and Deviance*, Springer Science + Business Media, 2009, 187, <https://www.researchgate.net/publication/226795096_Labeling_Theory> [20.06.2021].

²¹⁶ *Knutsson J., Labeling Theory a critical examination*, Scientific Reference Group, Stockholm, 1977, 10, <<https://www.ojp.gov/pdffiles1/Digitization/47664NCJRS.pdf>> [20.06.2021].

²¹⁷ *Bernburg J. G., Labeling theory.* In: Marvin D. Krohn, Alan Lizotte & Gina Penly Hall (eds), *Handbook on Crime and Deviance*, Springer Science + Business Media, 2009, 187.

²¹⁸ იქვე, 188.

²¹⁹ *Crossman A., An Overview of Labeling Theory*, 2020, <<https://www.thoughtco.com/labeling-theory-3026627>> [20.06.2021].

ეტიკეტირების თეორიის თანახმად, პირის დამნაშავედ გახდომის რამდენიმე ეტაპი გამოიყოფა: დანაშაულის პირველად ჩადენა; საზოგადოებრივი რეაქციის გამოვლენა და პირის დამნაშავედ ეტიკეტირება; საზოგადოებაში „დამნაშავის“ ინტეგრირების პრობლემა; „დამნაშავის“ მიერ თავისი სტატუსის აღიარება და კრიმინალად ჩამოყალიბება, რასაც განმეორებითი დანაშაულის ჩადენა მოჰყვება.²²⁰

კრიმინოლოგიაში განასხვავებენ არაფორმალურ და ფორმალურ ეტიკეტირებას. არასრულწლოვანთა არაფორმალური ეტიკეტირება გულისხმობს საზოგადოების მიერ პირის დევიანტად შერაცხვას. ზოგადად, არასრულწლოვანი მოწმეების მიერ არასრულწლოვანთა დანაშაული ხშირად არ მიიჩნევა დევიანტურად. თუმცა, ქმედება რეაქციას იწვევს მაშინ, როდესაც არსებობს სოციალური აუდიტორია, რომელიც ქცევის და ინდივიდის დევიანტად ან კრიმინალად ეტიკეტირებას ახდენს,²²¹ რაც მომავალში ზრდის დევიანტური ქცევის განმეორების ალბათობას.²²² არასრულწლოვანის დამნაშავედ ეტიკეტირება იწვევს: პირველი, არასრულწლოვანის უარყოფას თანატოლებისა და საზოგადოების მხრიდან, შიშისა და უნდობლობის გამო. მაგალითად, მშობლებმა შეიძლება ხელი შეუშალონ შვილებს დამნაშავესთან ურთიერთობაში. მეორე, ეტიკეტირებას შეიძლება მოჰყვეს თანატოლებთან შეხვედრისგან თავის დაღწევის სურვილი, რადგან ასეთმა შეხვედრამ შეიძლება გამოიწვიოს სირცხვილი და უხერხულობა; და მესამე, ახალგაზრდები მეგობრობენ მათთან, ვინც მათი მსგავსია. ისინი ესწრაფვიან იმ ადამიანთან მეგობრობას, რომელიც იზიარებს დევიანტურ თვითკონცეფციას.²²³

ფორმალურ ეტიკეტირებას ძირითადად ახდენს მედია, პოლიცია, სასამართლო, საგამომძიებო ორგანოები და სხვ. მათი მხრიდან ნეგატიური ეტიკეტირება ზეგავლენას ახდენს არასრულწლოვანის ცნობიერებაზე და წარმოშობს მასში დევიანტურ იდენტობას, რაც ასევე დევიანტური კარიერისა და სუბკულტურების

²²⁰ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 48.

²²¹ Bernburg J. G., Labeling theory. In: Krohn M. D., Lizotte A., Hall G. P. (eds), Handbook on Crime and Deviance, Springer Science + Business Media, 2009, 189-190.

²²² Farrington D. P., The effects of public labelling. British Journal of Criminology, 17(2), 1977, 123, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/bjcrim17&i=122>> [20.06.2021].

²²³ Bernburg J. G., Labeling theory. In: Krohn M. D., Lizotte A., Hall G. P. (eds), Handbook on Crime and Deviance, Springer Science + Business Media, 2009, 196.

განვითარებას უწყობს ხელს.²²⁴ 2006 წელს ბერნბურგმა ჩაატარა ღია ინტერვიუები ნასამართლევ არასრულწლოვნებთან. კვლევის შედეგებმა ცხადყო მათი „სოციალური განადგურება“, ვინაიდან ისინი შიშობდნენ არ მოხვედრილიყვნენ იმგვარ სიტუაციაში, სადაც ადამიანები მათ დამნაშავეს სტიგმის საფუძველზე შეაფასებდნენ. შესაბამისად, ისინი „ახალ ნაცნობობას“ ერიდებოდნენ.²²⁵ პატიმრობას შეიძლება არ ჰქონდეს მავნე გავლენა ახალგაზრდის ცხოვრებაზე, თუ ინფორმაცია ამის თაობაზე კონფიდენციალური დარჩება. სოციალურ აუდიტორიას კი შეუძლია შეუქმნას დევიანტური ეტიკეტი არასრულწლოვანს, ფორმალური ეტიკეტირების არარსებობის შემთხვევაშიც კი.²²⁶

ეტიკეტირების თეორია საკმაოდ პოპულარული იყო 1960-70-იანი წლების დასაწყისში, თუმცა ემპირიული კვლევის ნაწილობრივ არაერთგვაროვანმა შედეგებმა გამოიწვია ამ პოპულარობის კლება. ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ფორმალური ეტიკეტირება (მაგ., პატიმრობა ან ნასამართლობა) ზრდის შემდგომ დანაშაულს, ხოლო სხვა კვლევებმა ამგვარი შედეგი არ აჩვენა.²²⁷ ამასთან, ბოლო დროს, მეტი ყურადღება ეთმობა არაფორმალურ ეტიკეტირებას, ვინაიდან ახალი კვლევების თანახმად, იგი უფრო მეტ გავლენას ახდენს არასრულწლოვნის მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენაზე, ვიდრე ფორმალური ეტიკეტირება.²²⁸ ამ მიმართულებით, ეტიკეტირების თეორიას კიდევ უფრო განავრცობს ჯონ ბრაიტვაითი, რომელიც ცდილობს ტრადიციული მართლმსაჯულების ფორმების კვლევის საშუალებით ჩამოაყალიბოს დანაშაულთან გამკლავების ეფექტიანი ღონისძიებები. საყოველთაოდ ცნობილი გახდა მისი ე.წ. „რეინტეგრაციული შერცხვენის“ თეორია.²²⁹ ამ თეორიის

²²⁴ შალაკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 48.

²²⁵ Bernburg J. G., Labeling theory. In: Krohn M. D., Lizotte A., Hall G. P. (eds), Handbook on Crime and Deviance, Springer Science + Business Media, 2009, 207.

²²⁶ იქვე, 191.

²²⁷ Crime Causation: Sociological Theories, Encyclopedia of Crime and Justice, <<https://www.encyclopedia.com/law/legal-and-political-magazines/crime-causation-sociological-theories>> [20.06.2021].

²²⁸ იქვე.

²²⁹ ერცენი ი., ჯავახიშვილი ჯ., ჯავახიშვილი ლ., აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, საუნივერსიტეტო და პროფესიული სწავლებისთვის, 2020, 17, <http://www.library.court.ge/upload/aRdgeniTimarTlmsajulebis_saxelmZRvanelo.pdf> [20.06.2021]; Braithwaite, J., Crime, Shame and Reintegration, Cambridge University Press, 1989, 88; Baumer E. P., Wright R., Kristinsdottir K., Gunnalaugsson H., Crime, Shame, and Recidivism: The Case of Iceland, The British Journal of Criminology 41, 2002, 52,

თანახმად, ეტიკეტირება ზრდის შემდგომ დანაშაულს, როდესაც არ ხდება ძალისხმევა დამნაშავის ტრადიციულ საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის, მაგრამ ეტიკეტირება ამცირებს შემდგომ დანაშაულს, როდესაც ძალისხმევა მიმართულია დამნაშავის საზოგადოებაში რეინტეგრაციისკენ,²³⁰ რაც არასრულწლოვანს საშუალებას აძლევს სირცხვილისგან გათავისუფლდეს და გარდაიქმნას.²³¹ „რეინტეგრაციული შერცხვენის“ თეორიას მნიშვნელოვანი ადგილი აღდგენით მართლმსაჯულებაში უკავია.²³² უახლესმა კვლევებმა, რომელიც 2011 წელს ჩატარდა, მხარდაჭერა გამოუცხადა „რეინტეგრაციული შერცხვენის“ თეორიას არაფორმალური სტიგმატიზაციის თვალსაზრისით, ვინაიდან შედეგებმა აჩვენა, რომ იმ საზოგადოებებს, რომლებსაც ნაკლები კულტურული მხარდაჭერა აქვთ პრინციპისადმი - „უნდა შეიყვარო ცოდვილი და გძულდეს ცოდვა“ - მაღალია მკვლელობის სტატისტიკური მაჩვენებელი. შესაბამისად, თუ საზოგადოება ვერ გადალახავს ფართო სტიგმატიზების ტენდენციებს, ხელი შეეშლება სამართალდამრღვევის რეინტეგრაციისთვის ძალისხმევას, ხოლო ეტიკეტირებული პირები დარჩებიან სუბკულტურული ჩართულობის გაზრდილი რისკის ქვეშ.²³³

ამრიგად, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სოციალური იზოლირება, სტიგმატიზება და იმგვარი ღონისძიებების გატარება, რაც შეაფერხებს არასრულწლოვნის საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილეობას, დაუშვებელია. აუცილებელია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მხარდაჭერა, რათა მან შეძლოს საზოგადოების სრულყოფილი და სასარგებლო წევრობა.²³⁴

[https://www.researchgate.net/publication/228264180 Crime Shame and Recidivism The Case of Iceland](https://www.researchgate.net/publication/228264180_Crime_Shame_and_Recidivism_The_Case_of_Iceland) [20.06.2021].

²³⁰ Braithwaite, J., Crime, Shame and Reintegration, Cambridge University Press, 1989, 100.

²³¹ Schaible L. M., Hughes L. A., Crime, Shame, Reintegration, and Cross-National Homicide: A Partial Test of Reintegrative Shaming Theory, The Sociological Quarterly, Vol. 52, No. 1, Taylor & Francis, Ltd., 2011, 106-107, <https://www.jstor.org/stable/23027462?seq=1#metadata_info_tab_contents> [20.06.2021]; ზეჰრი ჰ., აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი, რევიშვილი ი. (მთარგმნელი, რედ.), 2002, 67, <shorturl.at/iltDR> [20.06.2021]; Braithwaite, J., Crime, Shame and Reintegration, Cambridge University Press, 1989, 100-101; Crime Causation: Sociological Theories, Encyclopedia of Crime and Justice. <<https://www.encyclopedia.com/law/legal-and-political-magazines/crime-causation-sociological-theories>> [20.06.2021].

²³² ზეჰრი ჰ., აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი, რევიშვილი ი. (მთარგმნელი, რედ.), 2002, 67.

²³³ იქვე, 122-123.

²³⁴ General Comment No. 10: Children's Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2007, §29.

„ეტიკეტირების თეორიის“ მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვნის დამნაშავედ სტიგმატიზება არსებით გავლენას ახდენს მის მომავალ ცხოვრებაზე. ნიშანდობლივია, რომ თუ არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალური დარჩება, ამგვარ პირობებში პატიმრობაც კი ვერ მოახდენს ისეთ მიმე ზეგავლენას არასრულწლოვანზე, როგორც არაფორმალური ეტიკეტირება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მისი უარყოფა თანატოლების მხრიდან და არასრულწლოვნის დაახლოება დევიანტური თვითკონცეფციის მქონე პირებთან, რაც ზრდის არასრულწლოვნის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკებს. სწორედ ამიტომ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში პირადი ცხოვრების უფლების დაცვას საქმის განხილვის ყველა სტადიაზე, რაც მას იცავს ვინაობის გამჟღავნებისა და სტიგმატიზებისგან, არსებითი მნიშვნელობა აქვს.

2.2.2. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სპეციფიკური ასპექტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ეროვნული სტანდარტების მიხედვით (ზოგადი მიმოხილვა)

2.2.2.1. საქართველოს კონსტიტუცია, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ძირითადი გარანტი

საქართველოს კონსტიტუციით²³⁵ დაცული უფლებებისა და თავისუფლებების სუბიექტს წარმოადგენს „ყველა ფიზიკური პირი“, რომელშიც მოიაზრება, მათ შორის, არასრულწლოვანი.²³⁶ აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით განმტკიცებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება განსაკუთრებული მნიშვნელობით სწორედ არასრულწლოვანთან მიმართებით ვლინდება იმ საკითხებში, რაც უკავშირდება მისი ჯანსაღი ფიზიკური, გონებრივი,

²³⁵ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, 24/08/1995.

²³⁶ გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., კაკაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეოთხე გამოცემა, გამომც. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2016, 382.

მორალური, სულიერი და სოციალური განვითარების სფეროს.²³⁷ მართალია, პიროვნების თავისუფალი განვითარება უზოგადესი უფლებაა, თუმცა ამ მუხლის მიზანია, დაუცველი არ დარჩეს ცხოვრების ის სფეროები, რომლებიც პიროვნებასთან დაკავშირებული კონკრეტული უფლებებით არ არის მოცული.²³⁸ აღნიშნული უფლება აერთიანებს ორ ძირითად უფლებას: 1. ზოგადი პიროვნული უფლება - ადამიანის პირადი და ინტიმური ცხოვრების სფერო; და 2. საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება - პიროვნების არსებობისა და საქმიანობის ყველა დანარჩენი სფერო. თავის მხრივ, ადამიანის ზოგადი პიროვნული უფლება მოიცავს შემდეგ უფლებებს: პიროვნული თვითგამორკვევის უფლებას, პირადი ცხოვრების დაცულობას, თვითგამოსახვის უფლებასა და ფიზიკურ ხელშეუხებლობას.²³⁹ წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზნებისთვის შევხებით მხოლოდ კვლევის საგანთან კავშირში მყოფ უფლებრივ კომპონენტებს.

პიროვნების თვითგამორკვევის უფლებიდან ყურადღება უნდა გამახვილდეს მის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტზე - *ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებაზე*. აღნიშნული უფლება საშუალებას აძლევს პირს თავად გადაწყვიტოს მის პირად სფეროს მიკუთვნებული ცნობების გავრცელების დრო და ფარგლები, ხოლო სახელმწიფო უზრუნველყოფს მას ამ ინფორმაციის გაკონტროლების მექანიზმებით, რათა არ მოხდეს ამ მონაცემთა არამართლზომიერი დამუშავება.²⁴⁰ ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას წარმოადგენს მონაცემების სწრაფი ანონიმიზირება და საიდუმლოდ შენახვა.²⁴¹ აღნიშნული უფლების განსაკუთრებით მაღალი სტანდარტით დაცვა აუცილებელია

²³⁷ *ავტორთა კოლექტივი*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე - საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, *ტურავა პ. (რედ.)*, გამომც. შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 91.

²³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის N2/8/1496 გადაწყვეტილება საქმეზე „თეკლა დავითულიანი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-5.

²³⁹ *ავტორთა კოლექტივი*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე - საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, *ტურავა პ. (რედ.)*, გამომც. შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 92; *კუბლაშვილი კ.*, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეოთხე გამოცემა, გამომც. „ფაუნტინ ჯორჯია“, თბ., 2017, 95.

²⁴⁰ *სხირტლაძე ნ.*, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2017, 80; *კუბლაშვილი კ.*, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეოთხე გამოცემა, გამომც. „ფაუნტინ ჯორჯია“, თბ., 2017, 97; *იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისებურებანი, თბ., 2005, 353.

²⁴¹ *კუბლაშვილი კ.*, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეოთხე გამოცემა, გამომც. „ფაუნტინ ჯორჯია“, თბ., 2017, 98.

არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, ვინაიდან, არამართლზომიერად დამუშავებამ და მით უფრო გამჟღავნებამ შესაძლოა გამოუსწორებელი გავლენა მოახდინოს არასრულწლოვნის შემდგომ ცხოვრებაზე და შეზღუდოს მისი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.²⁴² პერსონალური მონაცემები დაცულია არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების ჩარევისაგან, არამედ ჟურნალისტთა ინტერესისაგან.²⁴³ თვითგამორკვევის უფლების დამცავ სპეციალურ ნორმას წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი, რომელიც იცავს სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებებს. (არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი დეტალურად განხილულია ნაშრომის IV თავში).

თვითგამოსახვის უფლება პირს გარანტიას აძლევს დაიცვას თავი შეურაცხმყოფელი, გაყალბებული, არასათანადო საჯარო წარმოჩენისა და თვალთვალისაგან.²⁴⁴ აღნიშნული უფლება მოიცავს:

- *უფლებას საკუთარ სიტყვაზე*, რაც გულისხმობს მოქალაქეთა საუბრების დაცვას უკანონოდ განხორციელებული ფარული მოსმენისა და ჩანაწერებისაგან.

- *უფლება საკუთარ გამოსახულებაზე* გულისხმობს ადამიანის უფლებას, თავად გადაწყვიტოს გახადოს თუ არა საკუთარი ფოტოსურათები ან ვიდეოჩანაწერები მისი გამოსახულებით ყველასათვის ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია, რომ ეს აკრძალვა არ ეხება ძეგნილ პირებს.

- *უფლება საკუთარი პიროვნების წარმოსახვაზე*. აღნიშნული უფლება ხშირად უპირისპირდება სხვა დემოკრატიულ ღირებულებებს, ყველაზე ხშირად კი - მედიის თავისუფლებას. მაგალითად, რეპორტაჟების დროს ეთერში გასული მასალა არ უნდა იძლეოდეს პიროვნების იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. რაც განსაკუთრებით დაუშვებელია არასრულწლოვნებთან მიმართებით, ვინაიდან ეს არ ემსახურება მათი

²⁴² პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2018 წლის ანგარიში, 37, <<https://personaldata.ge/ka/press/post/5047>> [20.01.2022].

²⁴³ *კუბლაშვილი კ.*, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეოთხე გამოცემა, გამომც. „ფაუნტინ ჯორჯია“, თბ., 2017, 99.

²⁴⁴ *სხირტლაძე ნ.*, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2017, 70.

რესოციალიზაციის ინტერესებს.²⁴⁵ (საკითხი დეტალურად განხილულია ნაშრომის V თავში).

რაც შეეხება, კონსტიტუციის მე-15 მუხლით დაცული პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებს, ვინაიდან, ძირითადი უფლებების სუბიექტს წარმოადგენს ყველა ფიზიკური პირი,²⁴⁶ ამ შემთხვევაშიც კონსტიტუციით განმტკიცებული პირადი ცხოვრების უფლების სუბიექტად შეგვიძლია მოვიაზროთ არასრულწლოვანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „პირადი ცხოვრება გულისხმობს ინდივიდის ცხოვრებისა და განვითარების კერძო სფეროს. უფლება პირად ცხოვრებაზე კი, ერთი მხრივ, ნიშნავს ინდივიდის შესაძლებლობას, პირადად, საკუთარი შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად შექმნას და განავითაროს თავისი კერძო ცხოვრება, ხოლო, მეორე მხრივ, იყოს დაცული და უზრუნველყოფილი მის კერძო სფეროში სახელმწიფოს, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პირების ჩარევისგან.“²⁴⁷

პირად სივრცეს ადამიანი თავად ქმნის და აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მისთვის სასურველ საკითხებზე კომუნიკაცია მიუწვდომელი დარჩება ყველა იმ პირისათვის, რომელიც მან საკუთარი პირადი სივრცის მიღმა დატოვა.²⁴⁸ ამიტომ იგი არ ექვემდებარება საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან კონტროლს, თუ მას მართლზომიერი ხასიათი აქვს.²⁴⁹

პირადი ცხოვრება ფართო კონცეფციაა, რომლის ამომწურავი განსაზღვრება შეუძლებელია²⁵⁰ ამიტომაც, კონსტიტუციის მე-15 მუხლის 1-ლ ნაწილში

²⁴⁵ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე - საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, ტურავა პ. (რედ.), გამომც. შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 98.

²⁴⁶ გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეოთხე გამოცემა, გამომც. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2016, 382.

²⁴⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ევატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

²⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

²⁴⁹ აქუბარდია ი., გოგშელიძე რ., ფაფიშვილი ლ., გოგნიაშვილი ნ., სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, გამომც. სამართალი, თბ., 2009, 143.

²⁵⁰ Costello-Roberts v. The United Kingdom, [1999] ECHR, no. 13134/87, §38.

მოხსენიებული „პირადი ცხოვრება“ მოიცავს ყველა იმ კომპონენტს, რომელიც მართალია პირდაპირ არ არის მოხსენიებული აღნიშნულ მუხლში, თუმცა საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ წარმოშობილი ადამიანური ცხოვრების ახალი იზოლირებული ინსტიტუტები მოექცევიან „პირადი ცხოვრების“ ცნებაში.²⁵¹ პირადი ცხოვრების უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, მისი შეზღუდვისას, სახელმწიფომ უნდა აწონ-დაწონოს ის უფლებები და ინტერესები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს და დაადგინოს ამ კონკრეტულ გარემოებაში რომელი უფლება და ინტერესი იმსახურებს მეტად დაცვას.²⁵² „პირადი ცხოვრების უფლების ფარგლების განსაზღვრისას გამოსაყენებლ ტექსტს წარმოადგენს „გონივრული მოლოდინის ტესტი“ - პირს არ გააჩნია მიზეზი იფიქროს, რომ თვალყურს ადევნებენ. ამასთან, მოლოდინი არ უნდა იყოს სუბიექტური და არაგონივრული.“²⁵³

პირადი ცხოვრების უფლება სახელმწიფოს აკისრებს არა მარტო ნეგატიურ, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას.²⁵⁴ სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება პატივი სცეს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლებას და უზრუნველყოს ამ უფლებით ეფექტიანი სარგებლობა, ამ მიზნით მან უნდა აღკვეთოს პიროვნების თავისუფალი განვითარების ხელისშემშლელი გარემოებები. ხოლო ნეგატიური ვალდებულება, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს უკრძალავს პირადი ცხოვრების უფლებით სარგებლობაში თვითნებურ ჩარევას.

ვინაიდან, ბავშვის უფლებათა სამართალში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტები კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლებას სამართლიანი სასამართლოს გარანტიის უფლებრივ კომპონენტად განიხილავენ, ამიტომ, მნიშვნელოვანია შევხებით საქართველოს კონსტიტუციის მიერ ამ საკითხის მოწესრიგებას. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, სრულწლოვანი პირის მსგავსად, უზრუნველყოფილია სამართლიანი სასამართლოს

²⁵¹ ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა, გამომც. შპს „სეზანი“, თბ., 2013, 190.

²⁵² იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2005, 142.

²⁵³ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გიორგაძე გ. (რედ.), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2015, 63.

²⁵⁴ იქვე, 123.

გარანტიით, რომლის ძირითადი უფლებრივი კომპონენტები კონსტიტუციის 31-ე მუხლითაა განმტკიცებული. თუმცა რაიმე დამატებით მინიმალურ გარანტიებს არასრულწლოვანთათვის, როგორც ეს ასახულია ბავშვის უფლებათა კონვენციაში, საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. მართალია, კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილი უშვებს პროცესის საჯაროობის შეზღუდვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუმცა კონსტიტუციურ დონეზე, არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მიზნით სამართალწარმოების შეზღუდვის საფუძველი, სახელდებით არ არის მოხსენიებული. ვფიქრობ, ურიგო არ იქნებოდა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების მაღალი სტანდარტით დაცვის მიზნით, სათანადო გარანტიებს ქმნიდეს საქართველოს კონსტიტუცია. მითუმეტეს, რომ არაერთმა ქვეყანამ ცალკე თავებიც კი მიუძღვნა საკუთარ კონსტიტუციებში არასრულწლოვანთა უფლებებს, მაგალითად, სამხრეთ აფრიკამ და ბოლივიამ.²⁵⁵ ამასთან, ბელგიის კონსტიტუციაში ცალკე მუხლი ეძღვნება ბავშვთა უფლებებს, რომელშიც ასახულია მისი პიროვნების თავისუფალი განვითარების და გამოხატვის თავისუფლების უფლებები, საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი.²⁵⁶ სერბეთის კონსტიტუციის 32-ე მუხლი, რომელიც იცავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, სამართალწარმოების საჯაროობის შეზღუდვის ერთ-ერთ საფუძველად ითვალისწინებს არასრულწლოვნის ინტერესებისა და პირადი ცხოვრების დაცვას.²⁵⁷ ვიზიარებ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციაში ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭების უფლების ასახვა მყარ სამართლებრივ გარანტიას შექმნის,²⁵⁸ მათ შორის, პირადი ცხოვრების უფლების უფრო მაღალი სტანდარტით დაცვის თვალსაზრისითაც.

²⁵⁵ შაჰოვიჩი ნ. ვ., დოეკი ი.ე., ცერმატენი ჟ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში: ყველაფერი ბავშვთა უფლებების შესახებ, ტულუში რ., ალექსიძე თ. (მთარგმნელები), ალექსიძე ლ., ხუციშვილი ქ. (რედ.), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2015, 84.

²⁵⁶ The Belgian Constitution, The Belgian Federal Parliament, 1831, art. 22 bis. <https://www.dekamer.be/kvvcr/pdf_sections/publications/constitution/GrondwetUK.pdf> [09.12.2021].

²⁵⁷ The Constitution of the Republic of Serbia, National Assembly, Official Gazette of the RS, no. 98/2006, art. 32, <<https://www.ilo.org/dyn/natlex/docs/ELECTRONIC/74694/119555/F838981147/SRB74694%20Eng.pdf>>.

²⁵⁸ შეილაძე ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2019, 218.

2.2.2.2. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სპეციფიკური ასპექტები ეროვნულ კანონმდებლობაში

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება დაცულია არაერთი საკანონმდებლო აქტით: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, სისხლის სამართლის კოდექსით, ბავშვის უფლებათა კოდექსით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, საქართველოს კანონით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და სხვ. ამკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სხვა ნორმატიული აქტები არ ეწინააღმდეგება ამკ-ის ან/და არასრულწლოვნისთვის შეღავათს ითვალისწინებს, გამოიყენება ამ ნორმატიული აქტის დებულებები. ძირითად ნორმატიულ ბაზას კი წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. სსსკ-ის მე-7 მუხლით დაცულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. ეს უფლება არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას. კანონმდებლობა მხოლოდ თვითნებურ და უკანონო შეზღუდვას კრძალავს და ითვალისწინებს საპროცესო გარანტიებს მის დასაცავად.²⁵⁹ სსსკ-ის მე-7 მუხლით კი დაცულია პირადი ცხოვრების უფლება, როგორც გამოძიების სტადიაზე, ისე სასამართლოში საქმის წარმოებისას. გამოძიების სტადიაზე კერძო საკუთრებისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის დაცვის ვალდებულება ეკისრებათ მხოლოდ მხარეებს, ხოლო სასამართლო განხილვის სტადიაზე - საპროცესო მოქმედების განმახორციელებელ ნებისმიერ პირს.²⁶⁰ ამავე მუხლში ნათქვამია, რომ პირის თანხმობის გარეშე კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს.²⁶¹ ეს უკანასკნელი წარმოადგენს პირადი ცხოვრების დაცვის გარანტს უკანონოდ ინფორმაციის გამჟღავნებისას მხოლოდ სისხლის

²⁵⁹ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, *გიორგაძე გ. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2015, 44.

²⁶⁰ იქვე, 67.

²⁶¹ აქუბარდია ი., გოგშელიძე რ., ფაფიშვილი ლ., გოგნიაშვილი ნ., სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, გამომც. „სამართალი“, თბ., 2009, 145.

სამართალწარმოების პროცესში. სხვა შემთხვევაში საკითხი სპეციალური დარგობრივი კანონმდებლობით რეგულირდება.²⁶²

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მაღალ სტანდარტს აწესებს და ამ თვალსაზრისით არაერთ სპეციფიკურ გარანტიას ითვალისწინებს. ამკ-ის მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთ ძირითად ნორმა-პრინციპს წარმოადგენს და უზრუნველყოფს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი მოიცავს არასრულწლოვნის მონაწილეობით სისხლის სამართლის საქმის წარმოებას, მათ შორის, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, საქმის სასამართლოში განხილვას, დანიშნული სასჯელის ან სხვა ზომის აღსრულებასა და რესოციალიზაციარეაბილიტაციას.²⁶³ შესაბამისად, არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროცესის ყველა ამ ეტაპზე. პირადი ცხოვრების დაცულობის პრინციპი ერთი მხრივ, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს ანიჭებს უფლებას მოითხოვოს მისი პირადი ცხოვრების პატივისცემა საქმის განხილვის ყველა სტადიაზე, ხოლო მეორე მხრივ, ავალდებულებს პროცესის მონაწილეებს დაიცვან კონფიდენციალობა. ამ შემთხვევაში, ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება უკავშირდება სუბიექტურ კრიტერიუმს, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს და არა ობიექტურს, მაგალითად გამოძიების მიზნებისთვის ინფორმაციის კონფიდენციალობას.²⁶⁴ როგორც ამკ-ის განმარტებით ბარათშია ნათქვამი, აღნიშნული პრინციპის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისათვის²⁶⁵, რათა მან შეძლოს საზოგადოებაში თავის დამკვიდრება.²⁶⁶

²⁶² ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, *გიორგაძე გ. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2015, 69.

²⁶³ საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 12/06/2015, მუხ. 3, ნაწ. 5.

²⁶⁴ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, *გიორგაძე გ. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2015, 69.

²⁶⁵ რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია - არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის გრძნობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას,

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის არაერთი სპეციფიკური გარანტიაა გაწერილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში. ეს გარანტიები კი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ძირითადად სასამართლოში საქმის განხილვას უკავშირდება. ამკ-ის 29-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომები დახურულია, ამასთან, შეზღუდულია პროცესზე დამსწრე პირთა წრეც. ნორმა სპეციფიურია იმ თვალსაზრისით, რომ სსსკ-ის 182-ე მუხლისაგან განსხვავებით, რომელიც მოსამართლეს ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვიტოს დახურულ სასამართლო სხდომაზე წარმართოს თუ არა პროცესი, ამკ-ის 29-ე მუხლით კანონმდებელი იმპერატიულად განსაზღვრავს სხდომის დახურვის წესს, რითაც არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის განსაკუთრებით მაღალ სტანდარტს აწესებს. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის კიდევ ერთი გარანტიას ქმნის ამკ-ის 32-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვნის სრულწლოვნისაგან განცალკევებით გასამართლების შესაძლებლობას, ამ მიზნით პროცესის მწარმოებელმა ორგანომ ერთობლივი საქმიდან შეძლებისდაგვარად ცალკე უნდა გამოყოს არასრულწლოვნის საქმე.

ამკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მიზნით, კრძალავს არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას. ამ თვალსაზრისით, კიდევ ერთი გარანტია გათვალისწინებულია ამკ-ის 84-ე მუხლის მე-6 ნაწილით, რომელიც არასრულწლოვნის ბრალდებულად ყოფნის ან სასჯელის მოხდის პერიოდში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტში არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ მითითებას კრძალავს. სასჯელის მოხდის ეტაპზე, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი

არასრულწლოვნის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობას და მის მომზადებას საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად. იხ: საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 12/06/2015, მუხ. 18, ნაწ. 3.

²⁶⁶ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე, 68.

არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობას უზრუნველყოფს აგრეთვე ამკ-ის 87-ე მუხლის მე-4 ნაწილი.²⁶⁷

ამკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადებით იკრძალება არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამჟღავნება და გამოქვეყნება, გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. „აღნიშნული ნორმის დაყოფა პირობითად ორ ნაწილად შეიძლება, პირველი, რომ სახელმწიფომ არ დაუშვას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გავრცელება და მეორე, მედიის წარმომადგენლებმა არ გაამჟღავნონ არასრულწლოვნის ვინაობა საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებისას.“²⁶⁸ ამრიგად, მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი ბლანკეტურ ნორმას წარმოადგენს და არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვისა და გამჟღავნების საკითხის მარეგულირებელი ნორმები უნდა ვეძიოთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონში. თუმცა, ვინაიდან ამ უკანასკნელის მოქმედება არ ვრცელდება გარკვეულ საქმიანობებზე, მაგ., მონაცემთა მედიასაშუალებების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით დამუშავებაზე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიებს ქმნის სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიც, მათ შორის, საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ შესახებ და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სპეციფიკური ასპექტები. არასრულწლოვნების განსაკუთრებული მოწყვლადობის გამო, ბავშვის უფლებათა კონვენცია სპეციალურ მოთხოვნებს წერგავს, რათა წევრ სახელმწიფოთა იურისდიქციის ფარგლებში ბავშვის

²⁶⁷ საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 12/06/2015, მუხ. 87, ნაწ. 4.

²⁶⁸ შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 86.

საჭიროებები სათანადოდ იქნეს დაკმაყოფილებული.²⁶⁹ ასეთ „სპეციალურ მოთხოვნად“ შეგვიძლია მოვიაზროთ სახელმწიფოთა ვალდებულება არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემა უზრუნველყონ საქმის განხილვის ყველა სტადიაზე, რათა არ გამჟღავნდეს მისი ვინაობა. ამ უფლების სპეციფიკური ასპექტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში შეიძლება გავაერთიანოთ 3 ძირითად საკითხად:

- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები სასამართლოში საქმის განხილვისას.
- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში;
- კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები მედიის მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გამჟღავნებისას.

სწორედ თითოეული ეს საკითხი იქნება დეტალურად გაანალიზებული და გამოკვლეული ნაშრომის მომდევნო თავებში.

²⁶⁹ ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტო და ევროპის საბჭო, ბავშვის უფლებების ევროპული სახელმძღვანელო, *ლურსმანაშვილი ლ. (მთარგმნელი), ბობოხიძე მ. (რედ.)*, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2020, 158.

თავი III

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები სასამართლოში საქმის განხილვისას

3.1. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის განხილვა დახურულ სასამართლო სხდომაზე, როგორც პირადი ცხოვრების უფლების დაცვის საპროცესო გარანტია

კონფიდენციალობა მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ფაქტორია არასრულწლოვანთა და ტრადიციულ სასამართლო პროცესებს შორის.²⁷⁰ თუ სრულწლოვან ბრალდებულთა მიმართ საქმის საჯარო განხილვის უფლება განიხილება სამართლიანი სასამართლოს კონცეფციის ერთ-ერთ არსებით ელემენტად,²⁷¹ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40(II)(ბ)(VII) მუხლის თანახმად, არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება საქმის განხილვის ყველა სტადიაზე, სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ მინიმალურ გარანტიას წარმოადგენს, რაც თავისთავად ზღუდავს სასამართლოში საქმის საჯარო განხილვის უფლებას. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 29-ე მუხლი სასამართლოში საქმის განხილვისას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ერთ-ერთ საპროცესო გარანტიას ქმნის. აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება. აქ მოიაზრება, როგორც ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში, ისე წინასასამართლო სხდომა და საქმის არსებითი განხილვა. ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და მისგან გადახვევის შესაძლებლობას არ იძლევა. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონმდებელი სასამართლოს დახურულ

²⁷⁰ *Greenebaum S. S.*, Conditional Access to Juvenile Court Proceedings: A Prior Restraint or a Viable Solution?, *Journal of Urban and Contemporary Law*, Vol. 44, 1993, 136; ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტო და ევროპის საბჭო, ბავშვის უფლებების ევროპული სახელმძღვანელო, *ლურსმანაშვილი ლ. (მთარგმნელი), ბობოხიძე მ. (რედ.)*, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2020, 158; *ქვრივიშვილი თ.*, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა სასამართლოში საქმის განხილვისას, „სამართლის ჟურნალი“, №1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019, 174.

²⁷¹ *Manco E.*, Protecting the Child's Right to Participate in Criminal Justice Proceedings (Commentary), *Amsterdam Law Forum*, Vol. 8, Amsterdam, 2016, 67.

რეჟიმში წარმართვას ყველა შემთხვევაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესად მიიჩნევს. თუმცა, მართლმსაჯულების განხორციელებისადმი მაღალი საჯარო ინტერესისა და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა სამართალწარმოების კონფიდენციალობის პირობებში, შესაძლოა წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლებასა და საქმის საჯარო განხილვის უფლებას შორის. მართალია, საქართველოს საკანონმდებლო რეგულირების პირობებში სხდომა ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე დახურულია, თუმცა განსახილველ საკითხს წარმოადგენს, თუ რამდენად შესაბამისობაშია ამგვარი რეგულირება საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან და როგორ არის აღნიშნული საკითხი მოწესრიგებული იმ ქვეყნებში, რომლებშიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა განვითარების მაღალ საფეხურზე იმყოფება; რამდენად სამართლიანადაა დაბალანსებული ეროვნული საკანონმდებლო რეგულირების პირობებში არასრულწლოვნისა და საზოგადოების ინტერესები; ამასთან, დამატებით განსახილველ საკითხს წარმოადგენს, გამონაკლის შემთხვევებში, ხომ არ შეიძლება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესთან თავსებადი იყოს საქმის საჯაროდ განხილვა და აქედან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი სარგებლობს თუ არა მისი საქმის საჯაროდ განხილვის მოთხოვნის უფლებით? აღნიშნული საკითხების კვლევას დაეთმობა მომდევნო ქვეთავები.

3.1.1. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების მიმართება საქმის საჯარო განხილვის უფლებასთან

3.1.1.1. საქმის საჯარო განხილვის უფლების მნიშვნელობა

სამართლიანი სასამართლოს უფლება საპროცესო სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს, რომელსაც ხშირად „ადამიანის უძველეს

პროცესუალურ უფლებას“ უწოდებენ.²⁷² აღნიშნული უფლება განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით, რომელიც ყოველ ადამიანს, სრულწლოვანსა თუ არასრულწლოვანს, ანიჭებს უფლებას თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მისი საქმის სამართლიანი და დროული განხილვა. სამართლიანი სასამართლოს გარანტიის ერთ-ერთ უფლებრივ კომპონენტს წარმოადგენს საქმის საჯარო განხილვის უფლება, რომელიც, მართალია, კონსტიტუციის ამავე მუხლში არაა სახელდებით მოხსენიებული, თუმცა სხვა უფლებრივი კომპონენტების მსგავსად, მის ფუნდამენტურ ასპექტს წარმოადგენს.²⁷³ აღნიშნული უფლება დამატებით რეგლამენტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომელიც განამტკიცებს ღია სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის უფლებას. სამართალწარმოების საჯაროობის შეზღუდვა კი მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაიშვება.²⁷⁴ ამრიგად, საქართველოს კონსტიტუცია მართლმსაჯულების გამჭვირვალობას სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის მთავარ სამოქმედო პრინციპად განიხილავს.²⁷⁵

რაც შეეხება საერთაშორისო აქტებს, სამართალწარმოების საჯაროობა განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით. მის შეზღუდვას კი უშვებს გამონაკლისის სახით, მათ შორის, არასრულწლოვნის ინტერესებთან კოლიზიის წარმოშობის შემთხვევაში. საქმის საჯარო განხილვის უფლება ასახულია აგრეთვე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტში: „ყველას აქვს უფლება მისთვის წაყენებული ყოველი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, ... მისი საქმე სამართლიანად და საჯაროდ გაარჩიოს კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა,

²⁷² იზორია ლ., კორკელია ვ., კუბლაშვილი ვ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2005, 363-364; ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გოგელია ვ., ლომთათიძე ე., ქარცივაძე ე., ივანიშვილი თ., ნარინდოშვილი მ. (მთარგმნელები), ვარძელაშვილი ვ., ფაფიაშვილი ლ., ნარინდოშვილი მ., მჭედლიძე ნ., მელაძე გ. (რედ.), თბ., 2009, 143.

²⁷³ ერემაძე ქ., ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, წიგნი მეორე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021, 465.

²⁷⁴ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, 24/08/1995.

²⁷⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება №1/4/693,857 საქმეზე ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-44.

დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ²⁷⁶ ამ მუხლის განმარტება მოცემულია ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მე-13 ზოგად კომენტარში, სადაც ნათქვამია, რომ საქმის განხილვის საჯაროობა მნიშვნელოვანი გარანტიაა ინდივიდისა და ზოგადად საზოგადოების ინტერესებისთვის.²⁷⁷ ამრიგად, საჯარო სამართალწარმოება გავლენას ახდენს ორ განსხვავებულ ინტერესთა ჯგუფზე, საქმის მხარეებსა და საზოგადოებაზე.²⁷⁸ ეს უფლება ხასიათდება რამდენიმე ნიშან-თვისებით:

1. მხარის უფლება დაესწროს სასამართლო პროცესს;
2. სასამართლო პროცესში მხარის ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა;
3. სასამართლო განხილვის საჯარო ხასიათი, ანუ მხარის უფლება მოითხოვოს საზოგადოების, მათ შორის მედიის დასწრება სასამართლო პროცესზე;
4. სასამართლოს ვალდებულება საჯაროდ გამოაცხადოს გადაწყვეტილება.²⁷⁹

შტეფან ტრექსელი საკამათოდ მიიჩნევს საჯარო განხილვის უფლების არსებობას, როგორც ინდივიდუალურ უფლებას, ვინაიდან, მისი აზრით, ბრალდებულთა უმეტესობისთვის საჯარო სასამართლო პროცესი ნეგატიური გამოცდილებაა და მედიის ინტერესი შეიძლება უფრო საზიანო აღმოჩნდეს მათთვის. თუმცა, იქვე უშვებს იმის ალბათობას, რომ საჯარო სასამართლო პროცესზე საქმის განხილვა გარკვეულ შემთხვევებში ბრალდებულის ინტერესს წარმოადგენდეს იმ თვალსაზრისით, რომ ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა თვალყური ადევნოს სასამართლო განხილვას და გაასაჩივროს ნებისმიერი უზუსტობა.²⁸⁰ ამასთან,

²⁷⁶ International Covenant on Civil and Political Rights, General Assembly, Resolution 2200A (XXI), 16 December 1966.

²⁷⁷ CCPR General Comment No. 13: Equality before the Courts and the Right to a Fair and Public Hearing by an Independent Court Established by Law (Art. 14), Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, Geneva, 1984, §6.

²⁷⁸ ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გოგელია ვ., ლომთათიძე ე., ქარცივაძე ე., ივანიშვილი თ., ნარინდოშვილი მ. (მთარგმნელები), ვარძელაშვილი კ., ფაფიაშვილი ლ., ნარინდოშვილი მ., მჭედლიძე ნ., მელაძე გ. (რედ.), თბ., 2009, 143.

²⁷⁹ გროზევი ი., ვიტკაუსკასი დ., ლევის-ენტონი ს., სტრაისტეანუ დ. ლ., ვედერნიკოვა დ., სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), თბ., 2008, 93.

²⁸⁰ ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გოგელია ვ., ლომთათიძე ე., ქარცივაძე ე., ივანიშვილი თ., ნარინდოშვილი მ. (მთარგმნელები), ვარძელაშვილი კ., ფაფიაშვილი ლ., ნარინდოშვილი მ., მჭედლიძე ნ., მელაძე გ. (რედ.), თბ., 2009, 146-147.

საჯაროობა დამატებით შესაძლებლობას ქმნის სასამართლოს მიერ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად.²⁸¹

სასამართლო განხილვის საჯაროობა მართლმსაჯულებისადმი საზოგადოების ნდობის ხარისხის განმაპირობებელია.²⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სხდომის საჯაროობა გამორიცხავს „საიდუმლო მართლმსაჯულებას“, როდესაც კანონზომიერი ექვები არსებობს მატერიალური და საპროცესო ნორმების არასწორი და თვითნებური გამოყენების თვალსაზრისით. ამავდროულად, იგი ამცირებს როგორც სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების „ცდუნებას“, ისე თვითნებობის ექვებს. საბოლოო ჯამში კი, საჯაროობა სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა მეტ გამჭვირვალობასა და ლეგიტიმურობას განაპირობებს. ამასთან, ამცირებს შეცდომის დაშვების რისკებს.²⁸³

სამართალწარმოების საჯაროობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს შესაძლებლობას აძლევს შეასრულონ საზოგადოების სადარაჯოზე მდგარი დამცველის როლი.²⁸⁴ ამრიგად, პროცესის საჯაროობით ხდება, როგორც პროცესის მწარმოებელი ორგანოს საქმიანობის სოციალური კონტროლი, ისე სასამართლოს საქმიანობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. საჯაროობის შეზღუდვის პირობებში, მხოლოდ მხარეთა მონაწილეობა პროცესში შეჯიბრებითობას უზღუდავს დინამიზმს და ტოვებს განცდას, რომ მოსამართლის, პროკურორისა და დამცველის პასუხისმგებლობა ნაკლებია.²⁸⁵

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს საჯაროობის პრინციპის მნიშვნელობას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ

²⁸¹ *ერემაძე ქ.*, ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, წიგნი მეორე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021, 466.

²⁸² *იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2005, 365.

²⁸³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება №3/1/574, საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 23/05/2014, II-63.

²⁸⁴ *გროზევი ი., ვიტკაუსკასი დ., ლევის-ენტონი ს., სტრაისტეანუ დ. ლ., ვედერნიკოვა დ.*, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), თბ., 2008, 101.

²⁸⁵ *აქუბარდია ი., გოგშელიძე რ., ფაფიშვილი ლ., გოგინაშვილი ნ.*, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, გამომც. „სამართალი“, თბ., 2009, 157-158.

აღნიშნული უფლება შეუზღუდავია.²⁸⁶ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილია, რომ სისხლის სამართლის საქმეებზეც კი, სადაც საჯაროობის მაღალი მოლოდინი არსებობს, კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, შესაძლებელია საჭირო გახდეს სამართალწარმოების ღია და საჯარო ხასიათის შეზღუდვა, მაგალითად, კონფიდენციალობის დაცვის მიზნით.²⁸⁷

3.1.1.2. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება, როგორც საქმის საჯარო განხილვის შეზღუდვის საფუძველი

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება და საჯარო სამართალწარმოება არათავსებად ღირებულებებს წარმოადგენენ. ვინაიდან, საჯარო განხილვის უფლება მხოლოდ „ნაწილობრივ შეიძლება დახასიათდეს ინდივიდუალურ უფლებად და მის მიმართ არსებული საზოგადოებრივი ინტერესი იმდენად ძლიერია, რომ შეიძლება აღემატებოდეს ბრალდებულისას,“²⁸⁸ კოლიზიურ ინტერესთა მნიშვნელობა მოითხოვს დაბალანსებული კანონმდებლობისა და შესაბამისი რეგულაციების არსებობას. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის კეთილდღეობისა და მომავლის დაცვა, მისი რეაბილიტაცია და საზოგადოებაში რეინტეგრაცია, რაც მეტად მიიღწევა დახურული სასამართლო სხდომის პირობებში, ხოლო მეორე მხრივ, მართლმსაჯულების საჯაროდ განხორციელებისა და ინფორმაციის თავისუფლების მიმართ საზოგადოების ინტერესი სასამართლო პროცესების საჯაროდ განხილვას მოითხოვს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონის თანახმად, სასამართლოში საქმის საჯაროდ განხილვის ზოგადი წესი არ ვრცელდება

²⁸⁶ *Leach P.*, Taking a Case to the European Court of Human Rights, Fourth Edition, Oxford University Press, 2017, 363.

²⁸⁷ *Jasper v. the United Kingdom* [GC],[2000] ECHR, no.27052/95, §52; *Z v. Finland*, [1997] ECHR, no. 22009/93, § 99; *B. & P. v. the United Kingdom*, [200a] ECHR, nos. 36337/97, 35974/97, §37.

²⁸⁸ იქვე, 150.

ბავშვის სასამართლოში საქმის განხილვისას.²⁸⁹ ანალოგიურ მოსაზრებას იზიარებს ჰამილტონი და ამბობს, რომ „საქმის საჯარო განხილვის მოთხოვნა არ ვრცელდება არასრულწლოვნებზე.“²⁹⁰ *in camera* სასამართლო სხდომის გამართვის პრინციპთან საზოგადოების თავისუფალი წვდომის პრინციპის შეთავსებისაკენ მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ“ გაიდლაინები.²⁹¹ როგორც წინა ქვეთავში აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოების საჯაროობა შეიძლება შეიზღუდოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მიზნით, რაც სრულწლოვანთა საქმეებთან შედარებით, უფრო დაბალი სტანდარტის გამოყენების ნებართვად მიიჩნევა.²⁹²

იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომების განხილვის წესთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები პირობითად შეიძლება დავეყოს როგორც საქმის საჯარო განხილვის, ისე დახურული სასამართლო სხდომის მხარდამჭერ არგუმენტებად.

➤ *არასრულწლოვნის საქმის საჯარო განხილვის მხარდამჭერი არგუმენტები:*

საზოგადოებას აქვს ლეგიტიმური ინტერესი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მუშაობის მიმართ,²⁹³ წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებას არ ექნება ნდობა „საიდუმლო“ სისტემისადმი.²⁹⁴ ამასთან, არსებობს მოსაზრება, რომ პროცესის საჯაროობის შემთხვევაში გაიზრდება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პასუხისმგებლობა, ხოლო საზოგადოებას მიეცემა შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია იმ არასრულწლოვანთა შესახებ, „ვინც შეიძლება საფრთხე შეუქმნას საზოგადოების უსაფრთხოებას“, რაც მათ საშუალებას

²⁸⁹ Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, United Nations Office of Drugs and Crime (UNODC), 2013, art. 44, 28.

²⁹⁰ ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბ., 2015, 83.

²⁹¹ Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice, 2010, §58.

²⁹² ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გოგელია ვ., ლომთათიძე ე., ქარცივაძე ე., ივანიშვილი თ., ნარინდოშვილი მ. (მთარგმნელები), ვარძელაშვილი კ., ფაფიაშვილი ლ., ნარინდოშვილი მ., მჭედლოძე ნ., მელაძე გ. (რედ.), თბ., 2009, 143.

²⁹³ Edwards L. P., Confidentiality and the Juvenile and Family Courts, Juvenile and Family Court Journal, Winter 2004, 4.

²⁹⁴ National Association of Counsel for Children, Policy Statement, Confidentiality of Juvenile Court Proceedings and Records, 1998, 2.

მისცემს „გამოხატონ მორალური აღზფოთება“ არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო.²⁹⁵ მეცნიერთა ნაწილის მოსაზრებით, არასრულწლოვანი მსჯავრდებულები არიან საკუთარ ქმედებებზე სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებელნი და მათი ქცევიდან გამომდინარე, ისინი თავად ამბობენ უარს კონფიდენციალობასა და ანონიმურობაზე.²⁹⁶ ამასთან, არასრულწლოვანთა პროცესის საჯაროობის პირობებში მიიღწევა მედიის მიერ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება და ზუსტი რეპორტიინგი, არასრულწლოვანთა დანაშაულის ხასიათისა და მასშტაბის უკეთ შესწავლა, სასამართლოს წარმომადგენლებისა და პერსონალის მეტი ანგარიშვალდებულება.²⁹⁷

➤ *არასრულწლოვნის დახურული სასამართლო სხდომის მხარდამჭერი არგუმენტები.*

ყოველივე ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, არასრულწლოვნის ინტერესები მოითხოვს მისი პირადი ცხოვრების დაცულობას და სასამართლო სხდომის დახურვას,²⁹⁸ რაც განპირობებულია ორი ძირითადი ფაქტორით:

1) *კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პროცესში ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფა.* „ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ არასრულწლოვნის თავისუფლად აზრის გამოთქმის უფლებასა და დახურულ კარს მიღმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საქმის წარმოებას შორის მნიშვნელოვანი კავშირი არსებობს. თუ არასრულწლოვნებს აქვთ ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობა პროცესზე, ეს მნიშვნელოვნად ეხმარება მათ გაიაზრონ და ჰქონდეთ მიმდებლობა მათ მიმართ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების მიმართ.“²⁹⁹ ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. 2.1.1.), საჯაროობა ფსიქოლოგიური ზიანის მომტანიც კი შეიძლება აღმოჩნდეს

²⁹⁵ *Nolasco C., Vaughn M. S., Spaic A., Media Access to Juvenile Proceedings: Balancing the Tightrope between Privacy Rights and Freedom of the Press, International Journal of Law Crime and Justice, Vol. 43(4), 2015, 6; National Association of Counsel for Children, Policy Statement, Confidentiality of Juvenile Court Proceedings and Records, 1998, 2.*

²⁹⁶ *Trasen J. L., Privacy v. Public Access To Juvenile Court Proceedings: Do Closed Hearings Protect the Child or the System?, Boston College Third World Law Journal, Vol.15, Issue 2, 1995, 372.*

²⁹⁷ *Nolasco C., Vaughn M. S., Spaic A., Media Access to Juvenile Proceedings: Balancing the Tightrope between Privacy Rights and Freedom of the Press, International Journal of Law Crime and Justice, Vol. 43(4), 2015, 6.*

²⁹⁸ *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 191.*

²⁹⁹ *Radic I., Importance of the Protection of Privacy of Juvenile Suspects or Accused Persons in Criminal Proceedings in the Context of the EU Law. EU and Comparative Law Issues and Challenges Series, 4, 2020, 585, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/eucmlis4&i=590>> [16.12.2021].*

არასრულწლოვნისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ საქმეზე ტ. და ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, არასრულწლოვანთა სასამართლოს ჩატარება საჯაროობის პირობებში დასაშინებელ პროცედურად მიიჩნია, რაც მას ართმევს პროცესში ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობას.³⁰⁰

2) არასრულწლოვნის ვინაობის გამჟღავნების პრევენცია და მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზნის მიღწევა. UNICEF ECARO-ს მიერ მიღებულ გაიდლაინებში - „ბავშვზე მორგებული იურიდიული დახმარების შესახებ“, ნათქვამია, რომ თუ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ფართო საზოგადოებისთვის გახდება ცნობილი, ამან შეიძლება გამოიწვიოს მათი დისკრიმინაცია და სტიგმატიზაცია.³⁰¹ ამასთან, დახურული სასამართლო სხდომა არამხოლოდ არასრულწლოვნებს იცავს საჯაროობით გამოწვეული სტიგმატიზაციისგან, არამედ მისი ოჯახის წევრებსაც.³⁰² (არასრულწლოვნის სტიგმატიზაციის შესახებ დეტალურად იხ. 2.2.1.1.).

არსებობს მოსაზრება, რომ დახურული სასამართლო სხდომის პირობებში თავიდან იქნება აცილებული მედიის „უგრძნობლობა“ არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გაშუქებისას.³⁰³ ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მედიას მიეცემა სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა, მიუხედავად კონფიდენციალობის უზრუნველყოფის მოთხოვნისა პატივი სცენ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლებას და არ გაამჟღავნონ მის შესახებ გარკვეული ინფორმაცია, მედიამ შეიძლება არ ჩათვალოს თავი ვალდებულად დაიცვას ეს მოთხოვნა.³⁰⁴ მეცნიერთა ნაწილი კიდევ უფრო მეტად მკაცრია და არამხოლოდ

³⁰⁰ აღსანიშნავია, რომ პროცესის საჯარო ხასიათი და მისგან გამოწვეული არასრულწლოვანთა ემოციური აშლილობა, ევროპულმა სასამართლომ არ გაუთანაბრა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, ვინაიდან შესაძლოა „სასამართლო პროცესის საჯაროობამ გარკვეულწილად გაამძაფროს არასრულწლოვანთა გრძნობები“, თუმცა სასამართლო არ იყო დარწმუნებული იმ თვალსაზრისით, რომ „სასამართლო პროცესის კონკრეტული თავისებურებები იმ სულიერი ტანჯვის ხარისხს მნიშვნელოვნად გაზრდიდა, რომელიც გარდაუვლად ექნებოდა ბრალდებულ არასრულწლოვანს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე.“ იხ: T. v. The United Kingdom, [1999] ECHR, no. 24724/94, §82.

³⁰¹ Guidelines on Child-friendly Legal Aid, UNICEF ECARO, October 2018, Guideline 9, <<https://www.unicef.org/eca/media/5171/file>> [09.12.2021].

³⁰² National Association of Counsel for Children, Policy Statement, Confidentiality of Juvenile Court Proceedings and Records, 1998, 1.

³⁰³ იქვე.

³⁰⁴ National Juvenile Justice Network, Safeguarding the Confidentiality of Youth in the Justice System (Recommendations and Resources), Washington, 2016, 4.

არასრულწლოვნების, არამედ სრულწლოვანთა საქმეების განხილვის დროსაც კი დაუშვებლად მიიჩნევს მედიისთვის „სპექტაკლის ინსცენირებას“.³⁰⁵

ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკულმა სასამართლომ³⁰⁶ განმარტა, რომ არასრულწლოვნის წინააღმდეგ სასამართლო საქმის წარმოების დაწყების წინ, მკაცრად უნდა მოწესრიგდეს საქმის საჯარო ხასიათი.³⁰⁷ მიზანშეწონილია დაწესდეს სამართალწარმოების საჯარო ბუნების ფართო პრინციპიდან გარკვეული შეზღუდვები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ბავშვის საუკეთესო ინტერესები დაცული იყოს საზოგადოების განსჯისა და სტიგმატიზაციისგან, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მის მომავალ ცხოვრებაზე,³⁰⁸ განათლებასა და სამუშაო შესაძლებლობებზე.³⁰⁹ საჯაროობას პროცესის სამართლიანობისთვის საფრთხის შემქმნელ ფაქტორად მიიჩნევს აშშ-ის სააპელაციო სასამართლოთა ნაწილიც, ვინაიდან კონფიდენციალობას არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომების არაფორმალური და არაშეჯიბრებითი პროცესის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ.³¹⁰

არასრულწლოვანთა საქმეთა განხილვის საჯაროობის საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავდაპირველად იმსჯელა საქმეზე *ტ. და ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*.³¹¹ აღნიშნული საქმე წარმოადგენს პრეცედენტულ საქმეს იმ თვალსაზრისით, რომ მანამდე სასამართლოს არ განუხილავს საკითხი, უნდა გაუქმდეს თუ არა საჯაროობა ბავშვებთან მიმართებით,

³⁰⁵ ალვარტი ჰ., საჯაროობის პრინციპი გერმანული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, კრებულში: ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, *თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2019, 440.

³⁰⁶ ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო (IACrtHR) – დაარსდა 1959 წელს ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის საფუძველზე, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკულ სასამართლოსთან ერთად, უმნიშვნელოვანეს რეგიონალურ სასამართლო ინსტიტუტს წარმოადგენს. იგი განიხილავს საქმეებს, აგრეთვე აქვს საკონსულტაციო ფუნქცია. იხ. <<https://www.corteidh.or.cr/index.cfm?lang=en>> [20.12.2021].

³⁰⁷ I/A Court H.R. Case of the Juvenile Re-education Institute v. Paraguay, Preliminary Objections, Judgment of September 2, 2004, Series C, No. 112, para. 211. in: Inter-American Commission on Human Rights, Juvenile Justice and Human Rights in the Americas. <<https://www.cidh.oas.org/images/HEADENG.jpg>> [09.12.2021].

³⁰⁸ იქვე.

³⁰⁹ National Juvenile Justice Network, Safeguarding the Confidentiality of Youth in the Justice System (Recommendations and Resources), Washington, 2016, 4.

³¹⁰ Edwards L. P., Confidentiality and the Juvenile and Family Courts, Juvenile and Family Court Journal, Winter 2004, 5.

³¹¹ T. & V. v. The United Kingdom, [1999] ECHR, no. 24724/94, no. 24888/94.

რაც ზრდასრულთა უფლებების დაცვის გარანტიად მიიჩნევა.³¹² საქმე მეტად რეზონანსული იყო დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე. 10 წლის მოზარდებს ბრალი ედებოდათ 2 წლის ბავშვის მკვლელობაში. ეროვნულ სასამართლოში პროცესი მედიისა და ფართო საზოგადოების დასწრების პირობებში საჯაროდ მიმდინარეობდა. სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევა დაადგინა იმ თვალსაზრისით, რომ არასრულწლოვნებს არ ჰქონდათ პროცესში ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობა, ხოლო პროცესის საჯარო ხასიათი წარმოადგენდა ერთ-ერთ ფაქტორს, რამაც ხელი შეუწყო სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას. სასამართლოს განმარტებით, „როდესაც ამას ბავშვის ასაკი თუ სხვა მახასიათებლები ან საქმესთან დაკავშირებული გარემოებები მოითხოვს, საზოგადოებრივი ინტერესი შეიძლება დაკმაყოფილდეს შეცვლილი პროცედურებით - შერჩევითი დასწრების უფლებითა და საზოგადოების გონიერების ფარგლებში ინფორმირებით.“³¹³ არასრულწლოვანთა საქმის საჯაროობის საკითხისადმი ევროპული სასამართლოს მიდგომა უფრო ცხადი გახდა საქმეში *ს. ქ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*³¹⁴, რომელშიც სასამართლომ განმარტა, რომ თუ ეროვნული სასამართლოს მიერ უზრუნველყოფილია არასრულწლოვნის პროცესის იმ პირობებში წარმართვა, სადაც სასამართლო ყველა ზომას იღებს პროცესის არაფორმალური გარემოს უზრუნველსაყოფად და ამასთან, სასამართლო პროცესი საზოგადოებისა და პრესის მომეტებული ინტერესის საგანს არ წარმოადგენს, არ ვლინდება მტრული დამოკიდებულება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ, როგორც ეს იყო საქმეში *ტ. და ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, მხოლოდ პროცესის საჯარო ბუნება არ არღვევს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტს.³¹⁵ აღნიშნულ საქმეში კონვენციის დარღვევა დადგინდა არასრულწლოვნის პროცესში ეფექტიანი მონაწილეობის შეუძლებლობის გამო, რაც განპირობებული იყო მისი შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობებით და არა პროცესის საჯაროობით.

მნიშვნელოვანია ბავშვის უფლებათა კომიტეტის ხედვა ამ საკითხთან მიმართებით, რომელიც მართალია წევრ ქვეყნებს მოუწოდებს კანონმდებლობით

³¹² T. v. The United Kingdom, [1999] ECHR, no. 24724/94, §83.

³¹³ იქვე, §85.

³¹⁴ S. C. v. The United Kingdom, [2004] ECHR, no. 60958/00.

³¹⁵ იქვე, §30.

განსაზღვრონ პრეზუმფცია დახურული სასამართლო სხდომის სასარგებლოდ, თუმცა ამ წესიდან გადახვევის შესაძლებლობასაც უშვებს. ამასთან, განმარტავს, რომ „გამონაკლისები უნდა იყოს უკიდურესად იშვიათი და მხოლოდ კანონის მიერ კონკრეტულად განსაზღვრული.“³¹⁶ ანალოგიური მიდგომაა ასახული ევროკავშირის დირექტივაში „ექვმიტანილ ან ბრალდებულ ბავშვთა სისხლის სამართლის საპროცესო გარანტიების შესახებ“. მე-14 მუხლი ითვალისწინებს არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესების გამართვას, როგორც წესი, საზოგადოების დაუსწრებლად, ან სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს სასამართლო სხდომის ჩატარების წესი.³¹⁷ სწორედ ნორმის ამგვარი დისპოზიციურობის პირობებში, ევროპის ქვეყნებში არასრულწლოვანთა სასამართლოების არსებობა არ წარმოადგენს სასამართლო სხდომის დახურვის გარანტიას და ქვეყნები თავად განსაზღვრავენ თუ როგორ უნდა დაბალანსდეს არასრულწლოვნისა და საზოგადოების ინტერესები,³¹⁸ რაც ამ საკითხისადმი არაერთგვარონ მიდგომას აყალიბებს.³¹⁹ საქართველო განეკუთვნება ევროპის ქვეყნების იმ მცირე რიცხვს, რომლებშიც სასამართლო სხდომები იმპერატიულად დახურულია. მაგალითად, *გერმანიის* „არასრულწლოვნის სასამართლოს შესახებ“ კანონი კრძალავს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სასამართლო განხილვის საჯაროობას.³²⁰ ანალოგიურად, *ხორვატიის* „ახალგაზრდების სასამართლოს შესახებ“ კანონი³²¹ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების განხილვის *in camera* წესით ჩატარებას ითვალისწინებს,³²² რასაც ორმაგი მიზანი აქვს: თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვნის სტიგმატიზაცია და არ მოხდეს

³¹⁶ General Comment No. 10: Children's Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2007, 64.

³¹⁷ Procedural Safeguards for Children Who are Suspects or Accused Persons in Criminal Proceedings, The European Parliament and the Council of the European Union, Directive (EU) 2016/800, art. 14.1.

³¹⁸ *Radice I.*, Importance of the Protection of Privacy of Juvenile Suspects or Accused Persons in Criminal Proceedings in the Context of the EU Law. EU and Comparative Law Issues and Challenges Series, 4, 2020, 584, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/eucmlis4&i=590>> [09.12.2021].

³¹⁹ Summary of Contextual Overviews on Children's Involvement in Criminal Judicial Proceedings in the 28 Member States of the European Union, European Union, Luxemburg, 2014, 41. <<https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/78efc2f4-746e-485c-9c18-9d2509deedf>> [09.12.2021].

³²⁰ Jugendgerichtsgesetz (JGG), Bundesgesetz, Jugendgerichtsgesetz in der Fassung der Bekanntmachung vom 11. Dezember 1974 (BGBl. I S. 3427).

³²¹ Youth Courts Act, The Parliament of the Republic of Croatia, №126/2019, 24.12.2019.

³²² *Radice I.*, Importance of the Protection of Privacy of Juvenile Suspects or Accused Persons in Criminal Proceedings in the Context of the EU Law. EU and Comparative Law Issues and Challenges Series, 4, 2020, 588.

თანატოლებში არასრულწლოვნის პოპულარიზება მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო.³²³ სერბეთის „არასრულწლოვან დამნაშავეთა და არასრულწლოვანთა დანაშაულისგან დაცვის შესახებ“ კანონი ასევე ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე კრძალავს არასრულწლოვნის სხდომის საჯაროობას.³²⁴ თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნებში სხდომაზე დამსწრე პირთა წრე, განსხვავებით ამკ-ით განსაზღვრულ სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირთა წრისა, უფრო ფართოა და მოსამართლე დისკრეციული უფლებამოსილებით სარგებლობს მათთვის სხდომაზე დასწრების ნებართვის მიცემისას (საკითხი დეტალურად განხილულია ქვემოთ, იხ. 3.1.1.3.).

ევროპის ქვეყნების უმეტესობა, გამონაკლის შემთხვევებში, ბავშვის ინტერესთან სხვა ინტერესის კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, მოსამართლეს ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას დაპირისპირებული ინტერესის სასარგებლოდაც კი გადაწყვიტოს საკითხი.³²⁵ ამ კატეგორიის ქვეყნებში არასრულწლოვნის სასამართლო სხდომა, როგორც წესი დახურულია, თუმცა მოსამართლეს აქვს უფლებამოსილება გამონაკლისის სახით საქმე საჯაროდ განიხილოს. ასეთ ქვეყნებს განეკუთვნებიან დანია, უნგრეთი, ლატვია და ნიდერლანდები.³²⁶ ცალკე კატეგორიაში ერთიანდებიან ის ქვეყნები, რომლებშიც პრეზუმფცია საჯარო სხდომის სასარგებლოდ მოქმედებს და მოსამართლე გამონაკლისის სახით მსჯელობს მისი დახურვის თაობაზე. ასეთ ქვეყნებს წარმოადგენენ ბელგია, დიდი ბრიტანეთი, ესტონეთი, საბერძნეთი, მალტა, პორტუგალია და შვედეთი.³²⁷

რაც შეეხება აშშ-ის მიდგომას განსახილველი საკითხის მიმართ, შტატიდან შტატში განსხვავებულია საკანონმდებლო რეგულაციები. როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. 1.1.1.), 1990-იანი წლების შემდგომ დახურული სასამართლო სხდომები

³²³ *Caric, A., Kaznenipostupakprema maloljetnicima, Split, 2004, 13.*

³²⁴ *The Law on Juvenile Criminal Offenders and Criminal Protection of Juveniles, Republic of Serbia, Ministry of Justice, 2005, art. 75, <<https://www.refworld.org/docid/4b56c9952.html>> [20.12.2021].*

³²⁵ *Zermatten J., Gapany P. R., Children's Rights From Theory to Practice, Working Report, 2001, 18-19, <<https://www.childsrights.org/documents/publications/wr/2001-4.pdf>> [09.12.2021]; შეილაძე ხ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2019, 209.*

³²⁶ *Summary of Contextual Overviews on Children's Involvement in Criminal Judicial Proceedings in the 28 Member States of the European Union, European Union, Luxemburg, 2014, 41. <<https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/78efc2f4-746e-485c-9c18-9d2509deedf>> [09.12.2021].*

³²⁷ იქვე.

ჩანაცვლა საჯარო სხდომებმა.³²⁸ 2010 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების განხილვა 18 შტატში ღია სასამართლო სხდომაზე მიმდინარეობს. მოსამართლეებს აქვთ დისკრეციული უფლებამოსილება დახურონ სასამართლო სხდომა, საზოგადოების ან ბავშვის საუკეთესო ინტერესის ან სხვა სათანადო მიზეზის არსებობის შემთხვევაში. 20 შტატში საჯაროობის შეზღუდვები, როგორც წესი, განპირობებულია ბრალდებულის ასაკის ან/და დანაშაულის კატეგორიის მიხედვით. მაგალითად, საქმის საჯარო განხილვა შეიძლება დაშვებულ იქნეს, თუ ახალგაზრდას ბრალი ედება მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში და თუ დანაშაულის ჩადენის დროს სულ მცირე 16 წლის იყო. 13 შტატში არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა, როგორც წესი, დახურულ სასამართლო სხდომაზე მიმდინარეობს, თუმცა მოსამართლეს უფლება აქვს „გადაულახავი მიზეზის“ შემთხვევაში საჯაროდ გამართოს პროცესი, თუ საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესი გადაჭონის არასრულწლოვნის კონფიდენციალობის ინტერესს.³²⁹ კალიფორნიის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ედვარდსი გვთავაზობს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრებისა და საქმის საჯარო განხილვის უფლებათა დაბალანსების პროცესში გასათვალისწინებელ ფაქტორებს, ესენია: 1. დანაშაულის კატეგორია (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში დასაშვებია სხდომის საჯაროობა); 2. საზოგადოების ინტერესი ამ კონკრეტულ საქმეზე; 3. პოტენციური ზიანი, რომელიც შეიძლება მიაღგეს მხარეს მისი ვინაობის გამჟღავნებით; 4. საზოგადოების დასწრების შემთხვევაში ნეგატიური გავლენის ალბათობა პროცესის სამართლიანობაზე; და 5. ინფორმაციის მოცულობა, რაც საზოგადოებამ უკვე მიიღო

³²⁸ *Roberts J. V.*, Public Opinion and Youth Justice, Crime and Justice, Vol. 31, Youth Crime and Youth Justice: Comparative and Cross-National Perspectives, The University of Chicago Press, 2004, 495, <<https://www.jstor.org/stable/3488353>> [09.12.2021]; The Reporters Committee for Freedom of the Press, Access to Juvenile Courts, A Reporters Guide to Proceedings & Documents, 1999, 2; *ქვრივიშვილი თ.*, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა სასამართლოში საქმის განხილვისას, „სამართლის ჟურნალი“, №1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2020, 174; National Research Council and Institute of Medicine, Juvenile Crime, Juvenile Justice, Washington, The National Academies Press, 2001, 2014.

³²⁹ Juvenile Offenders and Victims, 2014 National Report, National Center for Juvenile Justice, Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention, Pittsburgh, 2014, 97-98, <<https://www.ojjdp.gov/ojstatbb/nr2014/downloads/NR2014.pdf>> [09.12.2021].

სხვა წყაროების საშუალებით.³³⁰ ნიშანდობლივია, რომ აშშ-ში თანამედროვე ტენდენცია გარკვეულწილად იხრება არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომების ხელმისაწვდომობისკენ, თუმცა უზენაეს სასამართლოს ჯერ კიდევ არ უმსჯელია, საჯარო სასამართლო განხილვის უფლება ვრცელდება თუ არა არასრულწლოვნებზეც და აუცილებელია თუ არა იგი ფუნდამენტური სამართლიანობისთვის.³³¹

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის წევრი ქვეყნები სარგებლობენ თავისუფალი შეფასების ფარგლებით, თავად განსაზღვრონ არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომის ჩატარების წესი. ბავშვის უფლებათა კომიტეტი მოუწოდებს ქვეყნებს, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში პრეზუმფცია სასამართლო სხდომის დახურვის სასარგებლოდ განისაზღვროს. კონვენციის თანახმად, მართალია არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი მინიმალურ გარანტიას, თუმცა იგი არ არის აბსოლუტური და უკიდურესად საგამონაკლისო შემთხვევებში შეიძლება შეიზღუდოს სამართალწარმოების საჯაროობის სასარგებლოდ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის განხილვისას, მხოლოდ სხდომის საჯაროობა არ არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, თუ პრესისა და საზოგადოების მხრიდან არ ვლინდება არასრულწლოვნის მიმართ მტრული დამოკიდებულება. ამასთან, ევროპული სასამართლო უშვებს გარკვეული კატეგორიის საქმეებზე, მათ შორის, არასრულწლოვანთა საქმეებზე, დახურულ სამართალწარმოებას, იმ პირობით თუ საზოგადოებრივი ინტერესი დაბალანსებული იქნება შერჩევითი დასწრების უფლებითა და საზოგადოების გონივრულ ფარგლებში ინფორმირებით.

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზმა ცხადყო, რომ ქვეყნებს შორის ერთიან მიდგომად შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოებისა და არასრულწლოვნის ინტერესებს შორის კოლიზიის წარმოშობისას ბალანსის დადგენა არასრულწლოვნის ინტერესების სასარგებლოდ. ქვეყნების უმეტესობა მოსამართლეს ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას აღნიშნულ საკითხზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმსჯელოს. პროცესის საჯაროობას, გამონაკლის შემთხვევებში, რიგი

³³⁰ *Edwards L. P.*, Confidentiality and the Juvenile and Family Courts, *Juvenile and Family Court Journal*, Winter 2004, 6.

³³¹ *Blitzman, J. D., Kreager, S. F.*, Transparency and fairness: Open the doors, *Massachusetts Law Review*, 102(2), 2021, 43, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.barjournals/malr0102&i=47>> [09.12.2021].

ქვეყნებისა უშვებს არასრულწლოვნის ინტერესთან თავსებადობის შემთხვევაში (იხ. 3.1.1.3. ქვეთავი), ხოლო ნაწილი ქვეყნებისა - როდესაც არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი (ძირითადად ეხება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენას არასრულწლოვნის მიერ). თუმცა ქვეყნების მცირე რიცხვი (მათ შორის, გერმანია, ხორვატია, სერბეთი) იმპერატიულად ადგენენ არასრულწლოვნის საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის წესს. ამ ქვეყნებს შორისაა საქართველოც. მოქმედი რეგულაციით კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება ყოველთვის გადაწონის სამართალწარმოების საჯაროობის ინტერესს, რაც არ უნდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდეს. ამრიგად, ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო რეგულირების პირობებში, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება მაღალი სტანდარტითაა დაცული და სხდომის საჯაროობა ცალსახად გამორიცხულია.

3.1.1.3. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის უფლება, მოითხოვოს მისი საქმის საჯარო განხილვა

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმის საჯარო განხილვის უფლება წარმოადგენს აგრეთვე ბრალდებულის ინდივიდუალურ უფლებას. მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სარგებლობს თუ არა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი საქმის საჯარო განხილვის მოთხოვნის უფლებით და რამდენად შეიძლება საჯაროობა მის საუკეთესო ინტერესთან იყოს თავსებადი.

იურიდიულ ლიტერატურაში არაერთი მეცნიერის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად, გამონაკლის შემთხვევებში არასრულწლოვანს შესაძლოა ჰქონდეს სამართალწარმოების საჯაროობის ინტერესი. ჯერ კიდევ 1995 წელს იან ტრასენმა დასვა შეკითხვა, „ყოველთვის იცავს თუ არა დახურული სასამართლო სხდომა ბავშვსა და მთლიანად სისტემას?“³³² ბავშვის ინტერესთან

³³² ქვრივიშვილი თ., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა სასამართლოში საქმის განხილვისას, სამართლის ჟურნალი №1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.,

თავსებადობის შემთხვევაში, ისიც ძალზედ საგამონაკლისო შემთხვევებში, პროცესის საჯაროობას არ გამორიცხავს UNICEF ECARO-ს გაიდლაინები, თუმცა მოსამართლისგან მოითხოვს განსაკუთრებულ არგუმენტაციას და დასაბუთებას გასაჯაროების მიზეზების შესახებ.³³³ უნდა აღინიშნოს, რომ გაიდლაინებში არ არის დაკონკრეტებული, ეს წესი ეხება მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, თუ არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მონაწილეობით სასამართლო განხილვის საჯაროობას, როგორც გამონაკლისს. რაც შეეხება ბავშვის უფლებათა კომიტეტის ხედვას ამ საკითხის მიმართ, როგორც ზემოთ აღინიშნა, კომენტარში არ არის დაზუსტებული თუ რა შემთხვევაში შეიძლება დახურული სასამართლო სხდომიდან გამონაკლისის დაშვება, შეიძლება ეს (საჯაროობა) წარმოადგენდეს არასრულწლოვანის ინტერესს თუ ეს ის შემთხვევაა, როცა საზოგადოების ინტერესი გადაწონის არასრულწლოვანის ინტერესს.

მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილებები, რომელთაც აქვთ სიღრმისეული შედეგები ბავშვების ცხოვრებაზე, ღია უნდა იყოს საჯარო განხილვისთვის.³³⁴ ჯერალდინ ვან ბურენის აზრით, არასრულწლოვანთა დახურული სასამართლო სხდომიდან გამონაკლისი შეიძლება იყოს მხოლოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, რაც ძალზედ რთული სამტკიცებელია, თუმცა ასეთად შეიძლება მოვიაზროთ ის შემთხვევა, როდესაც არსებობს საფრთხე რომ პროცესზე ბავშვის უფლებათა დარღვევები შეუმჩნეველი დარჩება დახურული სხდომის შემთხვევაში.³³⁵ ანალოგიურ მოსაზრებას გვთავაზობს იან ტრასენი, რომელიც არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომის გასაჯაროებას იმ შემთხვევაში მიიჩნევს მის ინტერესად, როდესაც არსებობს ეჭვები გასაიდუმლოებულ სისტემაში ხარვეზების, არათანმიმდევრულობის, შეცდომებისა და შეზღუდული რესურსების არსებობის შესახებ,³³⁶ სადაც არ არის ბავშვის უფლებები სათანადოდ დაცული. შესაბამისად, საჯაროობის პირობებში, სასამართლოს მხრიდან ძალაუფლების

2020, 180, იხ. ციტირება: *Trasen J. L., Privacy v. Public Access To Juvenile Court Proceedings: Do Closed Hearings Protect the Child or the System?*, Boston College Third World Law Journal, Vol.15, Issue 2, 1995.

³³³ Guidelines on Child-friendly Legal Aid, UNICEF ECARO, October 2018, Guideline 9.

³³⁴ *Nijnatten C.*, Behind Closed Door: Juvenile Hearings in the Netherlands, International Journal of Law and the Family, Vol. 3, Issue 2, 1989, 177.

³³⁵ *Van Bueren G.*, A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 40 Child Criminal Justice, Leiden, Boston, 2006, 22.

³³⁶ *Trasen J. L., Privacy v. Public Access To Juvenile Court Proceedings: Do Closed Hearings Protect the Child or the System?*, Boston College Third World Law Journal, Vol.15, Issue 2, 1995, 372.

ბოროტად გამოყენებისა და შეცდომების თავიდან არიდების გარანტს იძლევა საზოგადოების ჩართულობა,³³⁷ რომელიც ამავდროულად, სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულების შემთხვევაში მეტ ნდობას უცხადებს სისტემას.³³⁸ ამასთან, ბავშვთა უფლებების ოპტიმალურად განხორციელება შეუძლებელია მმართველობის იმ სისტემაში, რომელიც არ არის გამჭვირვალე, არაორგანიზებულია, ან არაანგარიშვალდებულია. ბავშვის უფლებების მაქსიმალურად რეალიზება მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც სახელმწიფო უზრუნველყოფს მაღალი დონით ჩართულობას, თანასწორობას, ეფექტიანობასა და კარგ მმართველობას.³³⁹

იურიდიულ ლიტერატურაში განხილულია რამდენიმე საქმე სასამართლო პრაქტიკიდან, რომლებიც, სტატიის ავტორის ხედვით, წარმოადგენენ იმის ნათელ მაგალითს, თუ რა შემთხვევაში შეიძლება დახურულმა სასამართლო სხდომამ დააზარალოს არასრულწლოვანი და სასამართლო პროცესის გამართვა საზოგადოებრივი მეთვალყურეობის პირობებში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესად იქნეს მიჩნეული. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი არც ერთი ქვემოთ განხილული საქმის მონაწილეს არ წარმოადგენდა. საქმეთა უმეტესობა საოჯახო სამართლებრივი დავების კატეგორიას განეკუთვნება. ერთ-ერთ ასეთ საქმეს წარმოადგენს დავა ჩესტერის საოლქო სასამართლოს პრაქტიკიდან. დავა განიხილებოდა 5 წლის განმავლობაში და სანამ სასამართლო ცდილობდა დაედგინა, თუ რა წარმოადგენდა ბავშვის საუკეთესო ინტერესს, თავშესაფრიდან თავშესაფარში გადაყვანით მოზარდმა მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმა მიიღო. ბავშვის ბებია დავობდა სწორედ პროცესის კონფიდენციალობის უარყოფით მხარესთან დაკავშირებით. მისი აზრით, საჯაროობის შემთხვევაში „მედიის ყურადღების ჯანსაღ დოზას“ შესაძლოა

³³⁷ *Nolasco C., Vaughn M. S., Spaic A.*, Media Access to Juvenile Proceedings: Balancing the Tightrope between Privacy Rights and Freedom of the Press, *International Journal of Law Crime and Justice*, Vol. 43(4), 2015, 6.; *Trasen J. L.*, Privacy v. Public Access To Juvenile Court Proceedings: Do Closed Hearings Protect the Child or the System?, *Boston College Third World Law Journal*, Vol.15, Issue 2, 1995, 377.

³³⁸ National Association of Counsel for Children, Policy Statement, Confidentiality of Juvenile Court Proceedings and Records, 1998, 2; National Juvenile Justice Network, Safeguarding the Confidentiality of Youth in the Justice System (Recommendations and Resources), Washington, 2016, 4; *Nolasco C., Vaughn M. S., Spaic A.*, Media Access to Juvenile Proceedings: Balancing the Tightrope between Privacy Rights and Freedom of the Press, *International Journal of Law Crime and Justice*, Vol. 43(4), 2015, 6.

³³⁹ *შაჰოვიჩი ნ. ვ., დოევი ი.ე., ცერმატენი ქ.*, ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში: ყველაფერი ბავშვთა უფლებების შესახებ, *ტულუში რ., ალუქსიძე თ. (მთარგმნელები), ალუქსიძე ლ., ხუციშვილი ქ. (რედ.)*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2015, 78.

გამოეწვია საზოგადოების შეშფოთება 5 წლის განმავლობაში მისი შვილიშვილის მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელშიც იგი ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის ბიუროკრატისგან იმყოფებოდა.³⁴⁰ ბავშვთა კეთილდღეობის სისტემა დახურულ სასამართლო სხდომებს იყენებდა, როგორც „ხელსაწყოს საზოგადოებრივი კონტროლის თავიდან ასაცილებლად“.³⁴¹

ანალოგიური მიზეზით დავობდნენ განმცხადებლები საქმეში *ბ. და პ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,³⁴² რომელიც მართალია, ასევე საოჯახო სამართლებრივ დავას წარმოადგენდა, თუმცა ამ საქმეში განმცხადებელი პ. ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე ითხოვდა საქმის ღია სასამართლო სხდომაზე განხილვას იმ არგუმენტაციით, რომ სასამართლო სხდომაზე საზოგადოების დასწრების უფლება მნიშვნელოვანი დაცვა იყო სასამართლოს თვითნებობისაგან და რომ იგი ხელს უწყობდა მართლმსაჯულების განხორციელებისადმი ნდობის შენარჩუნებას. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მართალია „სამართალწარმოების საჯარო ხასიათი იცავს მხარეებს საზოგადოების მეთვალყურეობის გარეშე საიდუმლო მართლმსაჯულების განხორციელებისაგან, რაც წარმოადგენს სასამართლოსადმი ნდობის შენარჩუნების ერთ-ერთ საშუალებას“,³⁴³ თუმცა, სხდომის დახურვა არასრულწლოვანთა საქმეებზე მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან შეუსაბამოდ არ მიიჩნია იმ თვალსაზრისით, რომ გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობით არასრულწლოვანთა საქმეთა განმხილველ მოსამართლეს ჰქონდა დისკრეცია საქმე განეხილა საჯაროდ, ამასთან, კანონმდებლობით მოქმედებდა პრეზუმფცია დახურული სასამართლო სხდომის სასარგებლოდ, რაც კონვენციასთან შესაბამისი იყო.³⁴⁴ სასამართლომ დამატებით ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ეროვნული სასამართლოს ყველა ინსტანციის მოსამართლემ ყურადღებით განიხილა და დეტალურად განმარტა თუ რატომ უნდა

³⁴⁰ *ქვრივიშვილი თ.*, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა სასამართლოში საქმის განხილვისას, „სამართლის ჟურნალი“, №1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2020, 174. იხ. ციტირება: *Trasen J. L., Privacy v. Public Access To Juvenile Court Proceedings: Do Closed Hearings Protect the Child or the System?*, Boston College Third World Law Journal, Vol.15, Issue 2, 1995, 378.

³⁴¹ *Trasen J. L., Privacy v. Public Access To Juvenile Court Proceedings: Do Closed Hearings Protect the Child or the System?*, Boston College Third World Law Journal, Vol.15, Issue 2, 1995, 361.

³⁴² *B. and P. v. The United Kingdom*, [2001] ECHR, nos. 36337/97, 35974/97.

³⁴³ *S.C. v. The United Kingdom*, [2004] ECHR, no. 60958/00, §36; *Sutter v. Switzerland*, [1984] ECHR, §26; *Pretto and Others v. Italy*, [1983] ECHR, §21; *Axen v. Germany*, [1983] ECHR, §25; *Ryakib Biryukov v. Russia*, [2008] ECHR, no. 14810/02, §30.

³⁴⁴ *B. and P. v. The United Kingdom*, [2001] ECHR, nos. 36337/97, 35974/97, §32.

გაგრძელებულიყო სხდომა დახურულ რეჟიმში.³⁴⁵ განმცხადებელ ბ.-ს საქმესთან მიმართებით, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეს არ ჰქონდა დისკრეცია საქმე განეხილა საჯაროდ და აცხადებდა, რომ საჯაროობა არ შედიოდა ბავშვის ინტერესებში, ეროვნული სამართლის ეს ხარვეზი გამოსწორდა აპელაციის ეტაპზე. მოსამართლე უფლებამოსილი იყო საქმე განეხილა საჯაროდ, თუმცა მანაც მიიჩნია, რომ არ არსებობდა მიზეზი ამ დისკრეციის განსახორციელებლად.³⁴⁶ ევროპულმა სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ მისი ამოცანა არ არის დაადგინოს ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა *in abstracto*. ამის ნაცვლად, იგი უნდა შემოიფარგლოს მის წინაშე არსებული საქმეების კონკრეტული ფაქტების შესწავლით. სასამართლომ აღნიშნა, რომ არც ერთი განმცხადებელი არ ამტკიცებდა, რომ ეროვნული სამართალწარმოება უსამართლო იყო და რომ მათი საჩივრები ეხებოდა მხოლოდ საჯაროობის ფორმალურ მოთხოვნებს.³⁴⁷ მოსამართლეებმა ლუკაიდასმა და ტულკენსმა თანმხვედრ მოსაზრებაში³⁴⁸ დამატებით განმარტეს, რომ „საჯაროობიდან საგამონაკლისო გადაწყვეტილება დახურული სხდომის ჩატარების შესახებ არ შეიძლება გადაწყდეს *in abstracto* ან საქმის კატეგორიის მითითებით; იგი უნდა განისაზღვროს *in concreto* საქმის კონკრეტული ფაქტების გათვალისწინებით ... ეს ერთადერთი ინტერპრეტაციაა, რომელიც თავსებადია მე-6 მუხლის დებულებებთან.“. ამ უკანასკნელ მოსაზრებას ამყარებს საქმე - *დიენე საფრანგეთის წინააღმდეგ*. მოცემულ საქმეში, დისციპლინურმა ორგანომ - ექიმთა გაერთიანების ეროვნულმა საბჭომ (*ordre des médecins*) ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინების გარეშე, დახურულ სხდომაზე განიხილა განმცხადებლის საქმე, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელს თავად სურდა სამართალწარმოების საჯაროობა. ამასთან, გადაწყვეტილებაც ასევე დახურულ სხდომაზე გამოცხადდა, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მე-6 (1) მუხლის დარღვევად მიიჩნია. ნიშანდობლივია, რომ ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, საფრანგეთში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები. თუ

³⁴⁵ B. and P. v. The United Kingdom, [2001] ECHR, nos. 36337/97, 35974/97, §40.

³⁴⁶ იქვე.

³⁴⁷ იქვე, §35.

³⁴⁸ B. and P. v. The United Kingdom, [2001] ECHR, nos. 36337/97, 35974/97, Dissenting Opinion Of Judge Loucaides Joined By Judge Tulkens.

მანამდე არსებული რეგულირების თანახმად, ნორმა იმპერატიული ხასიათის იყო და საქმე ავტომატურად დახურულ სხდომაზე განიხილებოდა, ახალი რეგულირებით დადგინდა საქმის საჯარო განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ორგანოს მიენიჭა დისკრეციული უფლებამოსილება შეეზღუდა საჯაროობა მთლიანად ან ნაწილობრივ, საჯარო წესრიგის, პირადი ცხოვრების ან სამედიცინო სფეროში კონფიდენციალობის დაცვის აღმატებული ინტერესის არსებობის შემთხვევაში.³⁴⁹

კიდევ ერთი უახლესი საქმე, რომელიც 2020 წლის 14 მაისს განიხილა ევროპულმა სასამართლომ, საქმის საჯარო განხილვის უფლებასა და პირადი ცხოვრების უფლებათა შორის კონფლიქტის თაობაზე, არის *მრაოვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ*.³⁵⁰ მართალია, ამ საქმეში ბრალდებული სრულწლოვანი იყო, თუმცა საქმე საინტერესოა კვლევის მიზნებისთვის მისი შინაარსიდან გამომდინარე. განმცხადებელი სადავოდ ხდიდა ეროვნული სასამართლოს მიდგომას, მიუხედავად მისი მოთხოვნისა საქმე განეხილა საჯაროდ, მოსამართლე ინტერესთა დაბალანსების გარეშე დახურულ სხდომაზე იხილავდა დავას, ყოველგვარი არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღების გარეშე. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „ეროვნულ სასამართლოებს მოეთხოვებათ საზოგადოებისათვის სასამართლო პროცესის დახურვის მიზეზების უზრუნველყოფა.“³⁵¹

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ პრაქტიკაში მართალია კონვენციის მოთხოვნებთან შეუსაბამო არ არის ეროვნული კანონმდებლობით იმგვარი მოწესრიგება, რომლის თანახმად, კანონით დადგენილია გარკვეული კატეგორიის საქმეებზე, მათ შორის, არასრულწლოვანთა საქმეებზე სხდომების დახურვის წესი, თუმცა ეროვნულ სასამართლოებს მოეთხოვებათ აღნიშნულის თაობაზე მიღებული განჩინების დასაბუთება. ამ თვალსაზრისით, შეიძლება მივიჩნიოთ რომ ამკ-ის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილი შეიძლება არ იყოს შესაბამისი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნებთან. თუმცა, გადაჭრით ამის მტკიცება ზემოთგანხილული საქმეების ანალიზის საფუძველზე არ იქნებოდა სწორი, ვინაიდან არც ერთი ზემოთ გაანალიზებული საქმის მონაწილეს არ წარმოადგენდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი. ამასთან, იქ სადაც

³⁴⁹ Diennet v. France, [1995] ECHR, 25/1994/472/553.

³⁵⁰ Mraović v. Croatia, [2020] ECHR, no. 30373/13.

³⁵¹ იქვე, §45.

სასამართლო მსჯელობდა არასრულწლოვნის ინტერესზე, ამ ქვეყნების კანონმდებლობით მოსამართლეს ჰქონდა დისკრეციული უფლებამოსილება გაეკეთებინა არჩევანი დახურული ან ღია სასამართლო სხდომის სასარგებლოდ და სწორედ ამიტომ მოითხოვდა ევროპული სასამართლო შესაბამისი გადაწყვეტილების დასაბუთებას.

ამკ-ის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს შეზღუდული აქვს უფლება მოითხოვოს მისი საქმის საჯარო განხილვა. ვიზიარებ ქართველი კანონმდებლის მიდგომას იმ ნაწილში, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სხდომის საჯაროობა და მისი ვინაობის გამჟღავნება ვერც ერთ შემთხვევაში ჩაითვლება მის საუკეთესო ინტერესად. თუმცა, ამავდროულად მხედველობაშია მისაღები ის საგამონაკლისო შემთხვევები, როდესაც დაცვის მხარეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემისადმი უნდობლობის გამო შესაძლოა ჰქონდეს სურვილი საზოგადოებრივი მეთვალყურეობის პირობებში მოხდეს მისი საქმის განხილვა. შტეფან ტრექსელის აზრით, ზოგადად, სასამართლო განხილვისთვის თვალყურის დევნების ინტერესი განსაკუთრებით დიდია იმ ქვეყნებში, რომლებიც „მხოლოდ ახლო წარსულში ეზიარნენ დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს.“³⁵² რა თქმა უნდა, ასეთი ქვეყნების რიცხვში ვერ მოვიარებთ საქართველოს, თუმცა მხედველობაშია მისაღები საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წარმოშობის ხანმოკლე ისტორია, სასამართლო სისტემის არსებობა მუდმივი რეფორმების რეჟიმში, ამასთან, სასამართლო სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობა არც თუ ისე მაღალ ნიშნულზეა. მითუმეტეს, რომ ბოლო დროს არაერთი რეზონანსული საქმე იქნა განხილული არასრულწლოვან ბრალდებულთა მონაწილეობით, როგორებიცაა „ხორავას ქუჩის მკვლელობა“,³⁵³ შაქარაშვილის მკვლელობა და სხვ.,³⁵⁴ ამ საქმეებზე დიდი დოზით იყო გამოთქმული კრიტიკა არასრულწლოვანთა საქმის განმხილველი

³⁵² ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გოგელია ვ., ლომთათიძე ე., ქარცივაძე ე., ივანიშვილი თ., ნარინდოშვილი მ. (მთარგმნელები), ვარძელაშვილი კ., ფაფიაშვილი ლ., ნარინდოშვილი მ., მჭედლიძე ნ., მელაძე გ. (რედ.), თბ., 2009, 147.

³⁵³ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, <<https://socialjustice.org.ge/ka/products/mkvleloba-khoravas-kuchaze-mosakhleobis-tsodna-da-damokidebuleba-sasamartlos-gadatsqvetilebis-mimart>> [20.01.2022]; საერთაშორისო სამაუწყებლო კომპანია „რადიო თავისუფლება“, <shorturl.at/ruHL5> [20.01.2022].

³⁵⁴ საერთაშორისო სამაუწყებლო კომპანია „რადიო თავისუფლება“, <<https://www.radiotavisupleba.ge/a/31141530.html>> [20.01.2022]; ონლაინ მედია პლატფორმა „ტაბულა“, <<https://tabula.ge/ge/news/651353-gelkhauri-arvitsi-prokuraturam-raze-daqrndobit?>> [20.01.2022].

მოსამართლეების, საგამომიებო ორგანოს, პროკურატურისა და მთლიანად პროცესის სამართლიანობისადმი. ეს ყოველივე იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ „საიდუმლო სისტემა“ გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა ხარვეზებით ფუნქციონირებდეს, რაც არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ პირველ რიგში, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს არ წარმოადგენს. ამასთან, დახურული სასამართლო პროცესი მეტ რისკებს შეიცავს შეჯიბრებითი და ფორმალური სისხლის სამართლის პროცესში. აღიარებულია, რომ „შეჯიბრებითი კლიმატის“ ფარგლებში, არასრულწლოვნები, არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან და რომ ისინი საჭიროებენ დამატებითი დამცავი ზომების განხორციელებას.³⁵⁵ ამრიგად, მნიშვნელოვანია ქართული რეალობის გათვალისწინებით, დახურული სასამართლო სხდომის პირობებშიც უზრუნველყოფილი იყოს სისტემის გამჭვირვალობა. ამასთან, მნიშვნელოვანია საკითხი შეფასდეს კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჭრილშიც.

3.1.1.4. ამკ-ის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შეფასება კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჭრილში

ამკ-ის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ნორმა, ერთი მხრივ აბსოლუტურ კატეგორიად განიხილავს დახურულ სამართალწარმოებას, რომელიც არ იზღუდება არც ერთ შემთხვევაში, როგორი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიც არ უნდა არსებობდეს და მეორე მხრივ, უზღუდავს არასრულწლოვანს უფლებას მოითხოვოს მისი საქმის საჯარო განხილვა. აღნიშნული დანაწესი წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლებაში ჩარევას. ამავდროულად, საზოგადოების პროცესზე არ დაშვება პასიური ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვასაც იწვევს.³⁵⁶ ამრიგად, მნიშვნელოვანია კონსტიტუციურ-სამართლებრივ ჭრილში გაანალიზდეს, თუ რა წარმოადგენს ამკ-ის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ნორმის შემოღების ლეგიტიმურ მიზანს და არის თუ არა

³⁵⁵ *Gwynedd Parry R.*, Protecting the Juvenile Suspect: What Exactly is the Appropriate Adult Supposed to Do? *Child and Family Law Quarterly*, Vol. 18, No. 3, 2006, 375.

³⁵⁶ *ავტორთა კოლექტივი*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე - საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, *ტურავა პ. (რედ.)*, გამომც. შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 536.

იგი ის წონადი ინტერესი, რომლის გამოც სამართლიანი სასამართლოს უფლებაში ჩარევა თანაზომიერების პრინციპის დაცვის პირობებში დასაშვებად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქმის საჯაროდ განხილვის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და მისი შეზღუდვა შეიძლება იმ სავალდებულო პირობის დაცვით, თუ იგი ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და დაცულია თანაზომიერი ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის.³⁵⁷ ამასთან, სამართლიანი სასამართლოს ამ უფლებრივი კომპონენტის გამოყენება „არ უნდა იყოს თვითმიზანი. მათი უზრუნველყოფა საჭიროა მაშინ, როდესაც ამას ობიექტურად შეუძლია, გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.“³⁵⁸ თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, როდესაც უფლების მზღუდავი ნორმა წარმოადგენს ღირებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავდროულად, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული და თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.³⁵⁹ ამრიგად, კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის შეფასების საზომი თანაზომიერების პრინციპია.³⁶⁰ რომელიც ოთხი ელემენტისგან შედგება: ლეგიტიმური მიზანი, გამოსადეგობა, აუცილებლობა და პროპორციულობა.³⁶¹ პირველ რიგში უნდა შემოწმდეს სადავო ნორმის შემოღების ლეგიტიმური მიზნები და დადგინდეს თუ რამდენად თანაზომიერია კონსტიტუციის 31-ე მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევა. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს

³⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დაცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-45; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №3/1/574, საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-65.

³⁵⁸ იქვე, II-66.

³⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-65.

³⁶⁰ იქვე, II-60.

³⁶¹ *ავტორთა კოლექტივი*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე - საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, *ტურავა კ. (რედ.)*, გამომც. შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 24.

არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის, პროცესში მისი ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფისა და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ლეგიტიმური ინტერესები. რაც ცალსახად წარმოადგენს ღირებულ, კონსტიტუციით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზნებს, რომელთა მისაღწევად დასაშვებია საქმის საჯარო განხილვის უფლების შეზღუდვა. მეორე ეტაპზე უნდა შემოწმდეს კანონმდებლის მიერ შერჩეული საშუალება არის თუ არა სათანადო და ემსახურება თუ არა ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. ნათელია, რომ თუ არ მოხდება არასრულწლოვნის საქმის განხილვა დახურულ სასამართლო სხდომაზე, საჯაროობის პირობებში მისი ვინაობა გამჟღავნდება, ამასთან ფართო საზოგადოების დასწრებით შესაძლოა პროცესში მის ეფექტიან მონაწილეობას საფრთხე შეექმნას, მოხდეს მისი სტიგმატიზაცია და საბოლოო ჯამში მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზანი ვერ იქნეს მიღწეული. მესამე ეტაპზე, უნდა დადგინდეს თუ რამდენად აუცილებელია ამ ღონისძიების გამოყენება. ამ თვალსაზრისით, სხდომის დახურვის აუცილებლობა უდავოა, ვინაიდან სხვა ალტერნატიული საშუალება არ არსებობს მიზნის მისაღწევად. თუ სხდომა ავტომატურად დახურულ რეჟიმში არ დაიწყება და სსსკ-ის 182-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად უკვე საჯაროდ გახსნილ პროცესზე შეაფასებს მოსამართლე სხდომის დახურვის მიზანშეწონილობის საკითხს, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე დარბაზში მყოფი პირები მოახდენენ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ვიზუალურ იდენტიფიცირებას, რაც შემდგომ პროცესის კონფიდენციალურად წარმართვას აზრს დაუკარგავს. ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით აღიარებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა. კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის საუკეთესო ინტერესად ვერ მივიჩნევთ სხდომის საჯაროობას იმ ნეგატიური ფაქტორებიდან გამომდინარე, რაც შესაძლოა მოჰყვეს მისი ვინაობის გამჟღავნებას. ამ თვალსაზრისით, არ არსებობს სასამართლო სხდომის დახურვის ალტერნატივა. და ბოლოს, უნდა შემოწმდეს მეოთხე ელემენტი - პროპორციულობა, რომელიც ადგენს ნორმატიული აქტით გამოწვეული უფლების შეზღუდვა არის თუ არა პროპორციულ დამოკიდებულებაში შეზღუდვის მიზანთან.³⁶² როდესაც ხდება არასრულწლოვნის საქმის დახურულ სასამართლო

³⁶² ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე - საქართველოს

სხდომაზე წარმართვა და სხდომაზე დამსწრე პირთა შეზღუდვა, არასრულწლოვანს აქვს ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობა, ამასთან, საფრთხე არ ექმნება მისი ვინაობის გამჟღავნებას, მაგრამ მეორე მხრივ, საზოგადოების ინტერესი მოითხოვს არასრულწლოვანთა დანაშაულისა და განხორციელებული მართლმსაჯულების შესახებ ინფორმაციის მიღებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არასრულწლოვნის მხრიდან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენასთან გვაქვს საქმე, საზოგადოებრივი ინტერესების სრული უგულებელყოფა კი დაუშვებელია. ამასთან, მხედველობაშია მისაღები წინა ქვეთავში განხილული ფაქტორები, რაც შესაძლოა არასრულწლოვანს გარკვეული პირების ზედამხედველობით სხდომის წარმართვის სურვილს უჩენდეს. ამრიგად, ვფიქრობ, კიდევ ერთხელ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია დახურული სასამართლო სხდომის პირობებშიც იქნეს მიღწეული სასამართლო გამჭვირვალობა. საზოგადოებრივი ინტერესი ამ შემთხვევაში შესაძლებელია დაკმაყოფილდეს არა სხდომის საჯაროობით, არამედ როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა *საქმეში ტ. და ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (იხ. გვ. 81), შერჩევითი დასწრების უფლებითა და საზოგადოების გონიერების ფარგლებში ინფორმირებით, რათა ზომიერად არ მოხდეს უფლებაში ჩარევა. ამრიგად, დამატებითი კვლევის საგანს წარმოადგენს თუ როგორ ხდება სხდომაზე პირთა დასწრების საკითხის რეგულირება (იხ. 3.1.1.5), და რა საკანონმდებლო გარანტიები არსებობს სამართალწარმოების თაობაზე საზოგადოების ინფორმირების კუთხით (იხ. IV და V თავები). სწორედ აღნიშნული საკითხების კვლევა მოგვცემს საბოლოო სურათს, თუ რამდენად სამართლიანადაა დაბალანსებული მოქმედი კანონმდებლობის პირობებში არასრულწლოვნის კონფიდენციალობისა და სასამართლო გამჭვირვალობის ინტერესები.

3.1.1.5. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვაზე დასწრების უფლების მქონე პირები

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პროცესი „არ ჰგავს მექანიზებულ კონვეიერს ავტომობილების ქარხანაში“. თავად პროცესი, „საშუალება“, რომლითაც

მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, *ტურავა პ. (რედ.)*, გამომც. შპს „პეტიტი“, თბ., 2013, 25.

არასრულწლოვანს მკურნალობენ, ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მისი „დასასრული“. პროცესის ბირთვი ადამიანები არიან, და სწორედ სამართლიანობისა და ადამიანური ღირსების ცნებები არეგულირებენ სისხლის სამართლის პროცესის წმინდა ფუნქციონალურ მიზნებს.³⁶³ ამ თვალსაზრისით, კიდევ უფრო არსებითია თითოეული იმ პირის როლი სისხლის სამართლის პროცესში, რომელთაც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის დახურულ სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლებას ანიჭებს კანონმდებლობა. განსაკუთრებით კი ეს ეხება საქმის არსებითი განხილვის ეტაპს, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ ამ სტადიაზე მიიღება ბრალდებულის მიმართ შემაჯამებელი გადაწყვეტილება.³⁶⁴

არასრულწლოვნის სასამართლო პროცესზე საზოგადოების დასწრება, მათ შორის ექსპერტებისა და სპეციალისტების, ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, უნდა შემოიფარგლოს წინასწარ განსაზღვრული შემთხვევებით, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ხოლო არასრულწლოვანს უფლება აქვს გაააჩივროს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სხდომაზე გარკვეულ პირთა დაშვების თაობაზე.³⁶⁵ ანალოგიური მიდგომაა ასახული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ მოდელურ კანონშიც, რომელიც არასრულწლოვნის სხდომაზე მხოლოდ იმ პირთა დასწრების შესაძლებლობას ითვალისწინებს, რომელთა ყოფნაც აუცილებელია სასამართლოში საქმის განხილვისას, ხოლო ალტერნატივის სახით, დასწრების ნებართვას უნდა გასცემდეს საქმის განმხილველი მოსამართლე.³⁶⁶ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით შეზღუდულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირთა წრე. პირველ რიგში, ამკ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს

³⁶³ *Gwynedd Parry R.*, Protecting the Juvenile Suspect: What Exactly is the Appropriate Adult Supposed to Do? *Child and Family Law Quarterly*, Vol. 18, No. 3, 2006, 374, in: *A. Ashwort, M. Redmayne*, *The Criminal Process*, Oxford University Press, 3rd ed., 2005, 22.

³⁶⁴ *თუმანიშვილი გ.*, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის მიმოხილვა, კრებულში: *ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2019, 273.

³⁶⁵ General comment No. 10: Children's Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2007, §65.

³⁶⁶ Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, United Nations Office of Drugs and Crime (UNODC), 2013, 28.

ანიჭებს უფლებას მართლმსაჯულების პროცესში უშუალოდ ან/და კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით მიიღოს მონაწილეობა.³⁶⁷ თუმცა, კანონიერ წარმომადგენელს შეიძლება აეკრძალოს სხდომაზე დასწრება, თუ მოსამართლე ამას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესად მიიჩნევს.³⁶⁸ სხდომას ესწრება არასრულწლოვნის ადვოკატი, საჭიროების შემთხვევაში - ფსიქოლოგი,³⁶⁹ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, თუ მტკიცებულებათა გამოკვლევა მიმდინარეობს არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მონაწილეობით.³⁷⁰ კოდექსი ითვალისწინებს საპროცესო წარმომადგენლის ინსტიტუტს, ამიტომ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი დანიშვნის შემთხვევაში³⁷¹ იგი ასევე შესაძლოა დაესწროს პროცესს. თუ არასრულწლოვანმა არ იცის სამართალწარმოების ენა, არასრულწლოვანს უფლება აქვს ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით,³⁷² შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში თარჯიმანი სავალდებულო წესით ესწრება პროცესს. აგრეთვე, თუ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი უცხო ქვეყნის მოქალაქეა იგი სარგებლობს საკონსულო დაწესებულების წარმომადგენლის დახმარებით.³⁷³ ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, პროცესის მონაწილე პირებს განეკუთვნებიან მოსამართლე, გამომძიებელი, პროკურორი, პოლიციელი, სოციალური მუშაკი, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პერსონალი, შესაბამისი პატიმრობის დაწესებულების პერსონალი.³⁷⁴ გარეშე პირთა დასწრების შესაძლებლობას კოდექსი არ ითვალისწინებს. არასრულწლოვნის სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება არა აქვს მედიის წარმომადგენლებსაც. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13¹ მუხლი მაუწყებლებს უკრძალავს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღებას, კინო-, ვიდეო-, აუდიოჩაწერას, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე. ამ შემთხვევაში, კანონი

³⁶⁷ საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 12/06/2015, მუხ. 10, ნაწ. 1.

³⁶⁸ იქვე, მუხ. 29, ნაწ. 3.

³⁶⁹ იქვე, მუხ. 29, ნაწ. 2².

³⁷⁰ იქვე, მუხ. 29, ნაწ. 1¹.

³⁷¹ იქვე, მუხ.50.

³⁷² იქვე, მუხ. 30.

³⁷³ იქვე, მუხ. 31.

³⁷⁴ იქვე, მუხ. 3, ნაწ. 6.

მედიას საშუალებას აძლევს მხოლოდ სასამართლოს შენობიდან მოახდინოს რეპორტაჟის მომზადება და ტრანსლირება.

გარკვეულწილად განსხვავებული მიდგომები აქვთ ამ საკითხის მიმართ ევროპის იმ ქვეყნებს, რომელთა პრაქტიკის გათვალისწინებითაც შემუშავდა საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მაგალითად, *გერმანიის* „არასრულწლოვნის სასამართლოს შესახებ“ კანონი, მართალია, კრძალავს სასამართლო განხილვის საჯაროობას,³⁷⁵ თუმცა, ამავდროულად ცდილობს დააბალანსოს სამართალწარმოების გამჭვირვალობა ბავშვის განვითარების ხელშეწყობის სისტემურ მიზანთან.³⁷⁶ მაგალითად, ბავშვების საჯაროობისგან დასაცავად, არასრულწლოვანთა საქმის წარმოება დახურულია, თუმცა ეს არ გამორიცხავს მოსამართლის უფლებამოსილებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმსჯელოს როგორც გარეშე პირების, ისე მედიის დასწრების თაობაზე. გერმანიაში მოსამართლეს უფლება აქვს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სასამართლო სხდომაზე დასწრების ნებართვა მისცეს გარეშე პირს ისეთი სპეციალური მიზნების არსებობის შემთხვევაში, როგორცაა, მაგალითად, სასწავლო მიზნები.³⁷⁷ პროცესზე დასწრების უფლება შეიძლება მოიპოვოს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა, რეფერენდარმა და სხვ. თითოეულ პირს პერსონალურად უნდა მიეცეს სხდომაზე დასწრების ნებართვა. გადაწყვეტილებას პროცესზე პირთა დასაშვებობის შესახებ წყვეტს მხოლოდ სხდომის თავმჯდომარე ერთპიროვნულად.³⁷⁸ კანონის ფორმულირება მოსამართლეს შესაძლებლობას აძლევს არამხოლოდ საგანმანათლებლო მიზნის, არამედ სხვა მიზნის მქონე პირებსაც მისცეს პროცესზე დასწრების შესაძლებლობა. გერმანიის „სასამართლო სისტემის შესახებ“ კანონი შესაძლებლობას იძლევა სხდომას დაესწროს სასამართლო ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირიც. აღნიშნული კანონის თანახმად, საჯაროობის შეზღუდვა არ უნდა წარმოადგენდეს დაბრკოლებას იმ

³⁷⁵ Jugendgerichtsgesetz (JGG), Bundesgesetz, Jugendgerichtsgesetz in der Fassung der Bekanntmachung vom 11. Dezember 1974 (BGBl. I S. 3427).

³⁷⁶ *Boyne, S.*, Juvenile Justice in Germany: The Tension between Public Outrage and Criminological Theory. *Journal of Global Justice and Public Policy*, 3(2), 2017, 218, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/jglojpp3&i=199>> [20.06.2021].

³⁷⁷ Jugendgerichtsgesetz (JGG), Bundesgesetz, Jugendgerichtsgesetz in der Fassung der Bekanntmachung vom 11. Dezember 1974 (BGBl. I S. 3427).

³⁷⁸ *Brunner R., Dölling D.*, Jugendgerichtsgesetz, Kommentar, 12.,, Neu Bearbeitete Auflage, 2011, 313.

მოხელეებისთვის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სასამართლოს მომსახურების ზედამხედველობაზე გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს წინაშე.³⁷⁹ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, განსაკუთრებული საფუძვლების არსებობისას მოსამართლე უფლებამოსილია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სასამართლო სხდომაზე დასწრების ნებართვა მისცეს მისი პირდაპირი ხაზის ნათესავებსაც.³⁸⁰ მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილება ვრცელდება აგრეთვე მედიის წარმომადგენელზეც, რომელსაც გამონაკლისის სახით მოსამართლემ შეიძლება დართოს ნება დაესწროს არასრულწლოვნის სხდომას, იმ შემთხვევაში თუ ეს არის ბავშვის ინტერესების დაცვის პროპორციული საშუალება.³⁸¹ თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ მედიის მიერ გადმოცემულმა ინფორმაციამ არ უნდა მოახდინოს ნეგატიური აღმზრდელობითი გავლენა არასრულწლოვანზე და არ უნდა დაარღვიოს არასრულწლოვნის უდანაშაულობის პრეზუმფცია. თუ მედია ისეთი ფორმულირებით მოახდენს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას, რაც არასრულწლოვნის ინტერესებს შელახავს, მოსამართლეს უფლება აქვს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სხდომაზე მედიის დაშვების თაობაზე გააუქმოს.³⁸² ნიშანდობლივია, რომ გერმანიის „სასამართლო სისტემის შესახებ“ კანონში 2018 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, კანონის §169-ის 1-ლი პუნქტის მე-3 წინადადება, მედიისთვის სასამართლო სივრცეში ცალკე ოთახის გამოყოფის შესაძლებლობას იძლევა, სადაც ისინი სხდომის დარბაზიდან აუდიო გადაცემით სარგებლობენ.³⁸³ სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ ზემოხსენებულ პირთა სხდომაზე დასწრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში უნდა მიიღოს არასრულწლოვანი ბრალდებულის პოზიცია, თანახმაა თუ არა ამ პირთა

³⁷⁹ Gerichtsverfassungsgesetz, GVG, 9/05/1975, §175-III, <<https://germanlawarchive.iuscomp.org/?p=771#175>> [20.12.2021].

³⁸⁰ Eisenberg U., Jugendgerichtsgesetz, Online Kommentar, 19., neu bearb. Aufl., München, 2017, Rn. 18, <shorturl.at/xGIQZ> [20.06.2021].

³⁸¹ Summary of contextual overviews on children's involvement in criminal judicial proceedings in the 28 Member States of the European Union, European Union, Luxemburg, 2014, 39, <<https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/78efc2f4-746e-485c-9c18-9d2509deedf>> [20.12.2021].

³⁸² Eisenberg U., Jugendgerichtsgesetz, Online Kommentar, 19., neu bearb. Aufl., München, 2017, Rn. 19.

³⁸³ Gerichtsverfassungsgesetz, GVG, 9th May, 1975, §169- I; ალვარტი ჰ., საჯაროობის პრინციპი გერმანული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, კრებულში: ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე. (რედ.), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2019, 448.

დასწრებაზე. ამასთან, ამ საკითხის განსაკუთრებული გულისხმიერებით შემოწმება მაშინ არის აუცილებელი, როდესაც მოსალოდნელია სხდომაზე გარკვეული პირის დასწრებით არასრულწლოვანზე მძიმე ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური გავლენის მოხდენა.³⁸⁴ აღსანიშნავია, რომ პროცესზე დამსწრე მსმენელთა დიდმა რაოდენობამ არ უნდა გამოიწვიოს არასრულწლოვნის დაშინება, რაც გადაწყვეტილების გასაჩივრების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს.³⁸⁵

მოსამართლის გადაწყვეტილების საფუძველზე არასრულწლოვნის სასამართლო სხდომაზე საგანმანათლებლო მიზნების მქონე პირის დასწრების შესაძლებლობას იძლევა *სერბეთის* კანონმდებლობაც.³⁸⁶ ანალოგიურ მიდგომას ითვალისწინებს ხორვატიის „ახალგაზრდების სასამართლოს შესახებ“ კანონიც.³⁸⁷ *ინგლისსა და უელსში* სასამართლოს აქვს დისკრეცია „ბავშვებისა და ახალგაზრდების შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის საფუძველზე არ დაუშვას საზოგადოება არასრულწლოვნის სასამართლო სხდომაზე. თუმცა საერთო სამართლის მიხედვით, მაშინაც კი როცა სხდომა დახურულია და საზოგადოება არ დაიშვება, სასამართლოს შეუძლია მედიის ერთ წარმომადგენელს მისცეს სხდომაზე დასწრების უფლება,³⁸⁸ იმ პირობით რომ არ გაამჟღავნებს არასრულწლოვნის ვინაობას.³⁸⁹ *ინგლისსა და უელსში* 2011 წელს შემუშავებული პრაქტიკული დირექტივა „სამეფო სასამართლოში არასრულწლოვანთა საქმის განხილვის შესახებ“, სასამართლოში არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობის უზრუნველსაყოფად ითვალისწინებს გარკვეულ დებულებებს. მართალია *ინგლისში*, როგორც წესი არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომები საჯაროა, თუმცა როდესაც იხურება სხდომა, სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას იმ პირთა მოთხოვნის შესახებ, რომელთაც სურთ სხდომაზე დასწრება. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს

³⁸⁴ *Eisenberg U.*, Jugendgerichtsgesetz, Online Kommentar, 19., neu bearb. Aufl., München, 2017, Rn. 18.

³⁸⁵ *Brunner R., Dölling D.*, Jugendgerichtsgesetz, Kommentar, 12., Neu Bearbeitete Auflage, 2011, 310.

³⁸⁶ The Law on Juvenile Criminal Offenders and Criminal Protection of Juveniles, Republic of Serbia, Ministry of Justice, 2005, <<https://www.refworld.org/docid/4b56c9952.html>> [16.12.2021].

³⁸⁷ *Radic I.*, Importance of the Protection of Privacy of Juvenile Suspects or Accused Persons in Criminal Proceedings in the Context of the EU Law. EU and Comparative Law Issues and Challenges Series, 4, 2020, 588 <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/eucmlis4&i=590>> [16.12.2021], იხ. ციტირება: Croatia Youths Courts Act (Zakon osudovima za mladei), Official Gazette No. 84/2011, 143/2012, 148/2013, 56/2015, 126/2019, art. 86(4).

³⁸⁸ Judicial College, Reporting Restrictions in the Criminal Courts, 2015, 8, <<https://www.judiciary.uk/wp-content/uploads/2015/05/reporting-restrictions-guide-2015-final.pdf>> [20.01.2022].

³⁸⁹ Summary of Contextual Overviews on Children’s Involvement in Criminal Judicial Proceedings in the 28 Member States of the European Union, European Union, Luxembourg, 2014, 41.

საზოგადოების საყოველთაო უფლება იყოს ინფორმირებული სასამართლოში მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, ხოლო იქ, სადაც ჟურნალისტებისთვის სასამართლო დარბაზში შესვლა შეზღუდულია, უნდა შედგეს შეთანხმება, რომ სამართალწარმოება ტრანსლირებული, მოსმენილი იქნება და თუ ეს შესაძლებელია, ვიზუალური წვდომა უზრუნველყოფილი იქნება იმავე სასამართლო შენობის სხვა ოთახიდან, რომელზეც მედიასა და საზოგადოებას ექნება თავისუფალი წვდომა. თუ ვიდეო ბმულია ხელმისაწვდომი, კამერები უნდა იყოს განლაგებული გონივრულად და სიფრთხილით.³⁹⁰

აშშ-ში, იქ სადაც სასამართლო სხდომა დახურულია, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პროცესზე დასწრების უფლება კვლევით ორგანიზაციებსა და ბავშვთა უფლებადამცველ სააგენტოებსაც ეძლევათ,³⁹¹ მათ შორის მედიის წარმომადგენლებს. უფრო დეტალურად რომ შევხვით, 17 შტატში, სადაც დახურულია პროცესი, დასწრების ნებართვა შეიძლება მიეცეს იმ პირებს, რომელთაც აქვთ „სათანადო ინტერესი“, „ლეგიტიმური ინტერესი“, „პირდაპირი ინტერესი“, ან „უშუალო ჩართულობა“ სასამართლოს საქმიანობაში ან დასწრების უფლება შეიძლება მიენიჭოთ ბავშვის, მისი მშობლის ან მეურვის თანხმობით; ილინოისის შტატი მხოლოდ მედიას აძლევს უფლებას დაესწროს არასრულწლოვნის პროცესს, მიუხედავად ფართო საზოგადოებისთვის დასწრების აკრძალვისა.³⁹² მოსამართლის მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინტერესთა დაბალანსების მიმართ ამგვარი მიდგომა მიჩნეულია აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად.³⁹³ აშშ-ის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან არარეალურია დიდი რაოდენობით მოქალაქეების დასწრება სისხლის სამართლის პროცესზე, მედიის დასწრებითა და საზოგადოების ინფორმირებით პრესა ხშირად ასრულებს

³⁹⁰ Practice Direction 2/11 Trial of Children and Young Persons in the Crown Court, §14-15, <<https://www.judiciaryni.uk/sites/judiciary/files/decisions/Practice%20Direction%20No%20of%202011.pdf>> [20.06.2021].

³⁹¹ *Michon K.*, Juvenile Court: An Overview, Nolo Network, <<https://www.nolo.com/legal-encyclopedia/exceptions-confidentiality-juvenile-criminal-records.html>> [20.06.2021].

³⁹² *Nolasco C., Vaughn M. S., Spaic A.*, Media Access to Juvenile Proceedings: Balancing the Tightrope between Privacy Rights and Freedom of the Press, International Journal of Law Crime and Justice, Vol. 43(4), 2015, 4-5, <https://www.researchgate.net/publication/273889953_Media_access_to_juvenile_proceedings_Balancing_the_tightrope_between_privacy_rights_and_freedom_of_the_press> [20.06.2021].

³⁹³ იქვე, 7-8.

„საზოგადოების შემცველის“ როლს.³⁹⁴ აღსანიშნავია, რომ აშშ-ში სასამართლოები სხვადასხვა ტესტს იყენებენ მედიისათვის არასრულწლოვნის სასამართლო სხდომაზე დასწრების ნებართვის მიცემისათვის.³⁹⁵ ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისია აღნიშნავს: „ბავშვის პირადი ცხოვრება იმგვარად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, რომ ზიანი არ მიადგეს მხარეთა დაცვის უფლებას და არ შეილახოს სასამართლო პროცესების გამჭვირვალობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული „აბსოლუტური საიდუმლოება.“³⁹⁶ ამრიგად, „კონფიდენციალობა არ ნიშნავს საიდუმლოებას. მნიშვნელოვანია საზოგადოებამ გაიგოს, თუ როგორ ფუნქციონირებს არასრულწლოვანთა სასამართლო.“³⁹⁷

საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ ქვეყნებში, სადაც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სასამართლო სხდომები დახურულია ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე (გერმანია, სერბეთი, ხორვატია), ამ პირობებშიც მიღწეულია სამართლიანი

³⁹⁴ *Trasen J. L., Privacy v. Public Access To Juvenile Court Proceedings: Do Closed Hearings Protect the Child or the System?*, Boston College Third World Law Journal, Vol.15, Issue 2, 1995, 364. იხ. ციტირება: *Richmond Newspapers, Inc. v. Virginia*, [1980], 448 U.S.

³⁹⁵ მაგ., ა) *გამოცდილებისა და ლოგიკურობის ტესტის* პირველი ნაწილი იკვლევს, იყო თუ არა კონკრეტული პროცესი ისტორიულად ღია პრესისა და ფართო საზოგადოებისთვის, ხოლო მეორე ნაწილის მიხედვით უნდა გაანალიზდეს, საჯარო განხილვა ითამაშებს თუ არა „მნიშვნელოვან პოზიტიურ როლს მოცემული კონკრეტული სასამართლო პროცესის ფუნქციონირებაში“. საქმეში *კენტუკის პრესის ასოციაცია კენტუკის შტატის წინააღმდეგ (Kentucky Press Association v. Commonwealth of Kentucky*, 355 F. Supp. 2d 853, 2005) კენტუკის რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესები ისტორიულად არ იყო ღია საზოგადოებისთვის. ამასთან, მაშინაც კი, თუ პირველი ნაწილი შესრულდებოდა, საექვო იყო შეიძლებოდა თუ არა დაკმაყოფილებულიყო მეორე წინაპირობა, ვინაიდან საზოგადოების ხელმისაწვდომობა არა მხოლოდ ვერ შეასრულებდა მნიშვნელოვან პოზიტიურ როლს არასრულწლოვანთა საქმისწარმოების პროცესში, არამედ არასრულწლოვანთა სასამართლოს მიზანს გააუქმებდა არასრულწლოვნისათვის სამართლიანი სასამართლოს უფლების ჩამორთმევითა და რეაბილიტაციის პერსპექტივის შემცირებით.

ბ) *მკაცრი შემოწმების ტესტი კონსტიტუციის შესაბამისად* - არასრულწლოვანთა სასამართლომ შეიძლება შეზღუდოს მედიის ხელმისაწვდომობა, თუ ამ საკითხზე მტკიცებულებებისა და არგუმენტების მოსმენის შემდეგ, სასამართლო დაადგენს, რომ არსებობს „გონივრული და არსებითი საფუძველი“, რომ მედიის ხელმისაწვდომობამ შეიძლება „ზიანი მიაყენოს ბავშვს“ ან „საფრთხე შეუქმნას მართლმსაჯულების სამართლიანობას“, „ზიანის მიყენების პოტენციალი აჭარბებს საზოგადოების ხელმისაწვდომობის სარგებელს“ და „არ არსებობს პროცესის დახურვის გონივრული ალტერნატივა.“ იხ: *Nolasco C., Vaughn M. S., Spaic A., Media Access to Juvenile Proceedings: Balancing the Tightrope between Privacy Rights and Freedom of the Press*, International Journal of Law Crime and Justice, Vol. 43(4), 2015, 12-15.

³⁹⁶ Inter-American Commission on Human Rights, *Juvenile Justice and Human Rights in the Americas*, <<https://www.cidh.oas.org/images/HEADENG.jpg>> [16.12.2021]. იხ. ციტირება: I/A Court H.R., *Juridical Condition and Human Rights of the Child*, Advisory Opinion OC-17/02 of August 28, 2002, Series A No. 17, 25.

³⁹⁷ *Greenebaum S. S., Conditional Access to Juvenile Court Proceedings: A Prior Restraint or a Viable Solution?*, Journal of Urban and Contemporary Law, Vol. 44, 1993, 36.

ბალანსი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობასა და სასამართლო გამჭვირვალობას შორის. ამ მიზნით მოსამართლე აღჭურვილია დისკრეციული უფლებამოსილებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმსჯელოს გარეშე პირთა სხდომაზე დასწრების თაობაზე. ამასთან, მართალია, საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების მიხედვით, ტენდენცია არასრულწლოვნის სასამართლო სხდომაზე პირთა წრის შეზღუდვისკენ იხრება, თუმცა არ გამოირიცხება განსაკუთრებული მიზნის მქონე პირთა, მათ შორი მედიის დასწრება სხდომაზე, როცა ეს არასრულწლოვნის ინტერესთან თავსებადია. ამრიგად, „მედია იმდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასამართლო პროცესების გაშუქებაში, რომ ზოგჯერ ისიც კი შეიძლება რომ პრესა დაესწროს სასამართლო სხდომას და საზოგადოება - არა.“³⁹⁸ ვინაიდან, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დადგენა არასრულწლოვანთა სამართლწარმოების ყველა ეტაპზე, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, მოითხოვს მოსამართლის აღჭურვას დისკრეციული უფლებამოსილებით,³⁹⁹ მნიშვნელოვანია ასეთი უფლებამოსილება მოსამართლეს გააჩნდეს სხდომაზე დამსწრე პირთა შერჩევისას. ამრიგად, მიზანშეწონილია ამკ-ის 29-ე მუხლს დაემატოს ნორმა, რომელიც მოსამართლეს მიაჩნებს დისკრეციულ უფლებამოსილებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმსჯელოს „განსაკუთრებული მიზნის“ მქონე პირების სხდომაზე დასწრების შესაძლებლობის თაობაზე. ამასთან, მართალია საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტს შეუძლია აწარმოოს სასამართლო პროცესების მონიტორინგი,⁴⁰⁰ თუმცა ეს არ უნდა წარმოადგენდეს სხვა მკვლევარი თუ ბავშვის უფლებათა სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის პროცესებზე დასწრების შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძველს. ამასთან, თუ გარეშე პირს სურს საგანმანათლებლო და კვლევითი მიზნებით სხდომაზე დასწრება, ეს შეიძლება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესადაც კი მივიჩნიოთ, იმ თვალსაზრისით, რომ მონიტორინგისა

³⁹⁸ ტრეესელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გოგელია ვ., ლომთათიძე ე., ქარცივაძე ე., ივანიშვილი თ., ნარინდოშვილი მ. (მთარგმნელები), ვარძელაშვილი კ., ფაფიაშვილი ლ., ნარინდოშვილი მ., მჭედლოძე ნ., მელაძე ვ. (რედ.), თბ., 2009, 152.

³⁹⁹ United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"), General Assembly, Resolution 40/33, 29 November 1985, Art. 6.

⁴⁰⁰ საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა დეპარტამენტის შესახებ, <<https://www.ombudsman.ge/geo/bavshvis-uflebebis-tsentrishesakhe>> [20.12.2021].

და კვლევის პირობებში ხელი შეეწყობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებასა და მთლიანად სისტემის გაჯანსაღებას.⁴⁰¹ არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომებზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირთა დაშვების თაობაზე, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც გამოითქვა მოსაზრება.⁴⁰²

ამასთან, გასათვალისწინებელია გერმანიის, ინგლისის, უელსისა და აშშ-ის პრაქტიკა, რომლებიც სასამართლო სხდომაზე დასწრების შესაძლებლობას განსაკუთრებულ შემთხვევებში მედიის წარმომადგენლებს და სხვა განსაკუთრებული მიზნის მქონე პირებსაც აძლევენ. ამ საკითხთან მიმართებით უფრო მეტი სიფრთხილეა საჭირო. სხდომაზე მედიის დასწრება არაერთი თვალსაზრისით შეიცავს რისკებს, თუმცა ეს ძალზედ იშვიათ შემთხვევებს უნდა წარმოადგენდეს და მხოლოდ იმ სავალდებულო პირობით რომ არ გამჟღავნდება არასრულწლოვნის ვინაობა. პირველ რიგში, მედიის დაშვების საკითხის განხილვისას მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს თუ რამდენად შეიძლება ეს თავსებადი იყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან. ეს საკითხი დღის წესრიგში შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაში, თუ ზემოთგანხილული საქმეების მაგალითზე დავუშვებთ, რომ იშვიათ შემთხვევებში თავად დაცვის მხარე აყენებდეს შუამდგომლობას მედიის დასწრების მოთხოვნით, თუ მიაჩნია რომ ამ პირობებში უკეთ იქნება უზრუნველყოფილი პროცესის სამართლიანობა. კიდევ უფრო უკიდურეს შემთხვევას უნდა წარმოადგენდეს მედიის დასწრების შესახებ გადაწყვეტილების მიღება საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით (მაგ. განიხილება ტერორიზმის ბრალდება, ან ერთობლივად განიხილება არასრულწლოვანი და სრულწლოვანი ბრალდებულების საქმე (თუ რეზონანსული საქმეა). მოსამართლე უნდა იყოს აღჭურვილი დისკრეციული უფლებამოსილებით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასოს გარეშე პირთა, მათ შორის მედიის ერთი წარმომადგენლის დასწრების საკითხი, იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით,

⁴⁰¹ *ქრივიშვილი თ.*, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა სასამართლოში საქმის განხილვისას, „სამართლის ჟურნალი“, №1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2020, 182-183.

⁴⁰² *შეილაძე ხ.*, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2019, 201.

რომ საფრთხე არ შეექმნება პროცესის არაფორმალურ გარემოს და ამასთან, მედიის მიერ დაცული იქნება არასრულწლოვნის უდანაშაულობის პრეზუმფცია და არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება მისი ვინაობის გაუმჟღავნებლობით (იხ. თავი V). ასეთ შემთხვევებში, მიზანშეწონილია სხდომაზე დაშვებულ იქნეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი. არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლებისა და საქმის საჯაროდ განხილვის უფლების დაბალანსების პროცესში მოსამართლემ შეიძლება მხედველობაში მიიღოს შემდეგი ფაქტორები: დანაშაულის კატეგორია, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის ასაკი, საზოგადოების ინტერესი, მანამდე რა ინფორმაცია ჰქონდა მიღებული საზოგადოებას და რა მოცულობით და სხვ.

ამასთან, გასათვალისწინებელია გერმანიის, ინგლისისა და უელსის ინოვაციური მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს მედიის წარმომადგენლისა და არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლების მქონე სხვა პირებისთვის პროცესზე დასწრების შესაძლებლობას სასამართლო შენობის სხვა სივრციდან, საიდანაც შესაძლებელი იქნება აუდიო ან ვიდეო სისტემის მეშვეობით პროცესზე წვდომა. ამგვარი მოწესრიგების პირობებში, ვფიქრობ ხელი არ შეეშლება სხდომის არაფორმალურობას, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება არასრულწლოვნის პროცესში ეფექტიანი მონაწილეობა და მეორე მხრივ, გარკვეულ პირთა დასწრების შესაძლებლობით დაკმაყოფილებული იქნება საზოგადოებრივი ინტერესი.

რეკომენდირებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზრუნველყოს არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომის დარბაზების ზემოხსენებული პირობების შესაბამისად ინფრასტრუქტურული მოწესრიგება. სასურველია გამოიყოს სპეციალური სივრცე იმ პირთათვის, რომელთაც მიეცემათ სხდომაზე წვდომა. აქვე დამატებით აღსანიშნავია, საერთო სასამართლოებში სხდომის დარბაზებში არსებული შემინული კარების პრობლემური საკითხი, რაც დამატებით საფრთხეს ქმნის კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის იდენტიფიცირების თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხი ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან მოითხოვს შესაბამის რეაგირებას, რაც სახალხო

დამცველის სპეციალურ ანგარიშში⁴⁰³ იქნა ასახული, თუმცა პრობლემა დღემდე მოუგვარებელი რჩება.

უმნიშვნელოვანესია, რომ მესამე პირებს, რომელთაც მოსამართლე არასრულწლოვნის სასამართლო სხდომაზე დასწრების ნებართვას მისცემს, ჰქონდეთ ვალდებულება არ გაამჟღავნონ არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაცია. ამ მხრივ, აუცილებელია სათანადო მყარი სამართლებრივი გარანტია არსებობდეს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მიზნით. აღნიშნული საკითხის მომწესრიგებელი არაერთი ნორმა არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. სსსკ 104-ე მუხლი მართლმსაჯულებისა და მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლოს ანიჭებს უფლებას მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება საქმის მონაწილეთა ან/და სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ პირთა მიმართ განსახილველი საქმის გარკვეული მონაცემების საჯაროდ გავრცელებისაგან დაცვის შესახებ. ხოლო სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-7 ნაწილი ასევე ითვალისწინებს სასამართლოს შესაძლებლობას დაავალდებულოს დახურულ სხდომაზე დამსწრე პირი, არ გაახმაუროს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ამ სხდომაზე გახდა ცნობილი. ამრიგად, ორივე მუხლი ითვალისწინებს მოსამართლის უფლებას და არა ვალდებულებას გააფრთხილოს დამსწრე პირები კონფიდენციალობის დაცვის შესახებ. ვფიქრობ, მიზანშეწონილია თუ ამკ-ის 29-ე მუხლს დაემატება ნორმა, რომელიც გაითვალისწინებს მოსამართლის ვალდებულებას, გააფრთხილოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირები, არ გაამჟღავნონ არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაცია, რომლის დაუცველობაც, დადგენილი პრაქტიკის მიხედვით სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის მიხედვით. აღნიშნული მუხლი კი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის.⁴⁰⁴

⁴⁰³ საქართველოს სახალხო დამცველი, „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვა, სპეციალური ანგარიში, 2020, 35, <<https://ombudsman.ge/res/docs/2020031011495929884.pdf>> [20.01.2022].

⁴⁰⁴ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, *გიორგაძე გ. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2015, 385.

ვფიქრობ, ამგვარი რეგულირების პირობებში, თავიდან იქნება აცილებული „საიდუმლო მართლმსაჯულება“, ერთი მხრივ, შეიქმნება არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვის სათანადო გარანტიები და მეორე მხრივ, ხელი შეეწყობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობას, პრობლემათა იდენტიფიცირებასა და მთლიანი სისტემის გაჯანსაღებას, რაც წარმოადგენს არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ პირველ რიგში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს.

3.2. არასრულწლოვნის განაჩენის გამოცხადების წესი

განაჩენის საჯაროდ გამოცხადება სამართალწარმოების საჯაროობის კიდევ ერთ ასპექტს წარმოადგენს,⁴⁰⁵ თუმცა სასამართლო განხილვასა და განაჩენის გამოცხადებას შორის განსხვავება ვლინდება მისი შეზღუდვის თვალსაზრისით. კერძოდ, შეიძლება სხდომა დახურულ რეჟიმში წარიმართოს და შეიზღუდოს საქმის საჯაროდ განხილვის უფლება, თუმცა განაჩენი საჯაროდ გამოცხადდეს. ამასთან, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს სასამართლო განაჩენის გამოცხადება და სასამართლო კანცელარიის მიერ განაჩენის ასლის გაცემის წესი, რაც სცილდება სისხლის სამართლის პროცესის რეგულირებას და ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ექცევა (ეს უკანასკნელი საკითხი დეტალურად განხილულია ქვემოთ. იხ. 4.4.).

3.2.1. განაჩენის საჯაროდ გამოცხადების მნიშვნელობა

სასამართლო განაჩენის უკან დგას სახელმწიფო, რომელიც შეიძლება მოვიაზროდ მის ავტორად, აღსრულების გარანტად და შედეგებზე პასუხისმგებელ

⁴⁰⁵ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, *გიორგაძე გ. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2015, 95.

პირად.⁴⁰⁶ მას სოციალური მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ განაჩენში მოცემულია ბრალდებულის ქმედების სოციალური საშიშროების ხარისხის შეფასება სახელმწიფოს მხრიდან. განაჩენის საჯაროდ გამოცხადებით კი ხელი ეწყობა საზოგადოებაში სამართლებრივი შეგნების ფორმირებას, მართლშეგნებისა და სამართლებრივი კულტურის ამაღლებას.⁴⁰⁷ განაჩენის საჯაროდ გამოცხადება ემსახურება როგორც, საზოგადოების, ისე ბრალდებულის ინტერესებს. პირველ შემთხვევაში, საზოგადოების მიერ მართლმსაჯულებაზე საზოგადოებრივი კონტროლი სასამართლო პროცესს უფრო გამჭვირვალეს და ანგარიშვალდებულ ხასიათს სძენს,⁴⁰⁸ ხოლო მეორე შემთხვევაში, შტეფან ტრექსელი საექვოს ხდის, თუ რამდენად შეიძლება განაჩენის საჯაროდ გამოცხადება ბრალდებულის ინტერესს წარმოადგენდეს, ვინაიდან მას გააჩნია გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მრავალი საშუალება. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს კი არასდროს განუმარტავს, თუ რატომ არის გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება მნიშვნელოვანი ბრალდებულისთვის,⁴⁰⁹ მითუმეტეს არასრულწლოვნისთვის, რომლის საუკეთესო ინტერესებთან განაჩენის საჯაროდ გამოცხადების თავსებადობა რთული წარმოსადგენია.

3.2.2. არასრულწლოვნის განაჩენის გამოცხადების წესი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, სხვადასხვა დროს, არაერთი მეცნიერის მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ „არასრულწლოვნის დანაშაულის საქმის დახურულ

⁴⁰⁶ ავტორთა კოლექტივი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, *გიორგაძე გ. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2015, 723.

⁴⁰⁷ *ლომსაძე მ.*, სისხლის სამართლის პროცესი თანდართული ტესტების ნიმუშებით, მე-5 გამოცემა, გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2015, 303; *ფაფიაშვილი ლ., ივანიძე მ., აქუბარდია ი., თუმანიშვილი გ., მეურიშვილი ბ., გოგნიაშვილი ნ.*, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017, 676.

⁴⁰⁸ *ფაფიაშვილი ლ., ივანიძე მ., აქუბარდია ი., თუმანიშვილი გ., მეურიშვილი ბ., გოგნიაშვილი ნ.*, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017, 679, იხ. ციტირება: *Hirvisaari v. Finland*, ECHR, №37801/97, 1/07/2003, §37.

⁴⁰⁹ *ტრექსელი შ.*, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, *გოგელია ვ., ლომთათიძე ე., ქარცივაძე ე., ივანიშვილი თ., ნარინდოშვილი მ. (მთარგმნელები), ვარძელაშვილი კ., ფაფიაშვილი ლ., ნარინდოშვილი მ., მჭედლოძე ნ., მელაძე გ. (რედ.)*, თბ., 2009, 148.

სხდომაზე განხილვის შემთხვევაში პრევენციულობა შეივსება განაჩენის საქვეყნოდ გამოცხადებით.⁴¹⁰ „განაჩენი ცხადდება ყოველთვის საჯაროდ, იმ შემთხვევაშიც კი, როცა საქმე დახურულ სხდომაზე იქნა განხილული.“⁴¹¹ ამგვარი საკანონმდებლო რეგულირება არსებობდა საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღებამდე. მართალია, საქართველოს სასამართლოების უახლესი პრაქტიკის თანახმად, ამკ-ის მიღების შემდეგ, არასრულწლოვნის განაჩენი დახურულ სასამართლო სხდომაზე ცხადდება,⁴¹² თუმცა საკანონმდებლო დონეზე ეს საკითხი, შეიძლება ითქვას, რომ არ არის მოწესრიგებული, რასაც ქვემოთ განვითარებული მსჯელობა სათანადოდ ცხადყოფს.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სასამართლოში საქმე განიხილება, როგორც წესი, ღია სხდომაზე, ხოლო დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ.⁴¹³ ნორმის ამგვარი ფორმულირების პირობებში, ცალსახა პასუხი არ არსებობს თუ რამდენად ვრცელდება საქმის საჯარო განხილვის უფლების შეზღუდვის საფუძვლები განაჩენის გამოცხადების საქვეყნობის წესთან მიმართებით. იმ შემთხვევაში თუ დავუშვებთ, რომ ეს საფუძვლები ვრცელდება მასზეც, მაშინ კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული განაჩენის გამოცხადების საქვეყნობიდან გამონაკლისი. თუმცა, განაჩენის გამოცხადების წესთან დაკავშირებით საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არ შეიცავს რაიმე რეგულაციას. ამკ-ის 29-ე მუხლი შეეხება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მხოლოდ სასამართლო სხდომის დახურვის წესს, რაც შეეხება განაჩენის გამოცხადების საკითხს, ამკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს სპეციალურ დებულებებს, რომლის

⁴¹⁰ *ბოხაშვილი ი., ბენიძე მ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები (მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მიხედვით), „სამართლის ჟურნალი“, №2, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 52.

⁴¹¹ *ფაფიაშვილი ლ., ივანიძე მ., აქუბარდია ი., თუმანიშვილი გ., მეურიშვილი ბ., გოგიაშვილი ნ.*, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017, 711; *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016.

⁴¹² ინტერვიუ გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა მოსამართლე გოგა კუპრეიშვილთან [02.06.2021], ინტერვიუ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე მაია თეთრაულთან [20.01.2022].

⁴¹³ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, 26/08/2015, მუხ. 62, ნაწ. 3.

თანახმად, „არასრულწლოვნის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში სასამართლო აცხადებს, რომ არასრულწლოვანი დამნაშავედ იქნა ცნობილი“. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მოსამართლეს გამოაქვს სსსკ-ის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული ერთ-ერთი გადაწყვეტილება. ამრიგად, კოდექსით არ არის ნათლად გაწერილი განაჩენის გამოცხადების წესი. კერძოდ, ცხადდება იგი დახურულ სასამართლო სხდომაზე, ცხადდება საჯაროდ, თუ ცხადდება საჯაროდ არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი გარემოებების გარეშე. ასეთ შემთხვევაში, ამკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებით. ეს უკანასკნელი, კონსტიტუციის შესაბამისად, ერთმანეთისაგან განასხვავებს სხდომის ჩატარებისა და განაჩენის გამოცხადების წესს. კერძოდ, სსსკ-ის მე-10 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება საჯაროდ და ზეპირად, ხოლო სხდომის დახურვა დასაშვებია კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ მიღებული *ყველა გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ*. აგრეთვე, სსსკ-ის 192-ე მუხლის მე-4 ნაწილი იმეორებს განაჩენის გამოცხადების საჯაროდ გამოცხადების წესის სავალდებულოობას ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. რაც იმას ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მოსამართლის გადაწყვეტილებით სხდომა ნაწილობრივ ან მთლიანად დაიხურება, ამ საქმეზე მიღებული განაჩენი ყველა შემთხვევაში საჯაროდ უნდა გამოცხადდეს.

საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ ერთმანეთისაგან განასხვავებს სხდომის ჩატარების წესს განაჩენის გამოცხადების წესისგან. კერძოდ, დახურული სასამართლო სხდომა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილება *ყველა შემთხვევაში ცხადდება საქვეყნოდ*.⁴¹⁴ აღსანიშნავია, რომ როგორც ორგანული კანონი, ასევე სსსკ იყენებს სიტყვას „ყველა შემთხვევაში“, რაც ცალსახად მიუთითებს კანონმდებლის ნებაზე, მიუხედავად დახურულ სხდომაზე საქმის განხილვისა, გადაწყვეტილება საჯაროდ გამოცხადდეს. ამრიგად, დადგენილი პრაქტიკა

⁴¹⁴ საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ, საქართველოს პარლამენტი, 04/12/2009, მუხ. 13.

დახურულ სხდომაზე გამოცხადდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ მიღებული განაჩენი, ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ საკანონმდებლო რეგულირებას. მნიშვნელოვანია დამატებით გაანალიზდეს საერთაშორისო სტანდარტები განაჩენის გამოცხადების წესთან მიმართებით.

3.2.3. არასრულწლოვნის განაჩენის გამოცხადების წესი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „სასამართლო გადაწყვეტილება *ცხადდება საქვეყნოდ*“.⁴¹⁵ ამასთან, საქმის საჯაროდ განხილვის შეზღუდვის საფუძვლები (მათ შორის, არასრულწლოვნის ინტერესები), არ ვრცელდება გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადებაზე, რაც მეცნიერთა ნაწილის მოსაზრებით მიჩნეულია წევრი სახელმწიფოებისათვის განაჩენის გამოცხადების შეზღუდვის საფუძვლების შეფასებისას თავისუფლების მინიჭებად.⁴¹⁶ განსხვავებულად არის რეგულირებული აღნიშნული საკითხი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით, რომლის თანახმად, ყოველი სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება *საჯარო უნდა იყოს*, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები...⁴¹⁷ ვინაიდან, ევროპულ კონვენციაში განაჩენის გამოცხადების წესი აბსოლუტური ხასიათისაა და საჯაროობის შეზღუდვის საფუძვლები არ ვრცელდება განაჩენის გამოცხადების წესზე, ამ პრობლემისგან თავის არიდება ევროპულმა სასამართლომ ნორმის *contra legem*⁴¹⁸ განმარტებით შეძლო და

⁴¹⁵ Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Council of Europe, Rome, 1950, Art. 6, §1.

⁴¹⁶ *კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოზი ნ.*, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, ბაკურ სულაკაურის გამომც., 2005, 136.

⁴¹⁷ International Covenant on Civil and Political Rights, UN General Assembly, Resolution 2200A (XXI), 16 December 1966, art. 14, §1.

⁴¹⁸ ლათ. *contra legem* - კანონის საწინააღმდეგოდ. იხ: Fellmeth A. X., Horwitz M., Guide to Latin in International Law, Oxford University Press, 2011,

საქმის საჯარო განხილვის უფლების შეზღუდვის საფუძვლები გამოიყენა ანალოგიის სახით.⁴¹⁹ საქმეში ბ. და პ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ⁴²⁰, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „ეროვნული სამართლის მიერ გამოყენებული სამართალწარმოების ხასიათისა და საჯაროობის ფორმის გათვალისწინებით, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სიტყვასიტყვითი ინტერპრეტაცია განაჩენის გამოტანასთან დაკავშირებით, არა მხოლოდ უსარგებლო იქნება საზოგადოებრივი შემოწმების მიზნისთვის, არამედ ამან შესაძლოა ხელი შეუშალოს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მთავარ მიზანს.“⁴²¹ ამრიგად, სასამართლომ კონვენციის დარღვევად არ მიიჩნია არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მიზნით გადაწყვეტილების დახურულ სასამართლო სხდომაზე გამოცხადება, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ უზრუნველყოფილი იყო პერსონალური მონაცემების გამომრიცხველი ფორმით გადაწყვეტილების საჯარო ხელმისაწვდომობა, რაც საზოგადოებას საშუალებას მისცემდა შეესწავლა სასამართლოს მიდგომები მსგავსი ტიპის საქმეებზე.⁴²² მოსამართლე ნიკოლას ბრაცა თანმხვედრ მოსაზრებაში დამატებით განმარტავს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი მთლიანობაში უნდა იქნას აღქმული და რომ ლოგიკური კავშირი არსებობს საქმისწარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და განაჩენის საჯაროდ გამოტანას შორის, რაც ამ სამართალწარმოების შედეგია. თუ საზოგადოების სხდომაზე დასწრება იკრძალება არასრულწლოვნის ინტერესების დასაცავად, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადების მოთხოვნა არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ძირი გამოუთხაროს მის დაცვას.⁴²³ ამასთან, მოსამართლე ეხმაურება გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის ან არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი გარემოებების გარეშე გადაწყვეტილების გამოცხადების ვალდებულების საკითხსაც და დასძენს, რომ „მაშინაც კი, თუ დავუშვებთ, რომ ამგვარად ადეკვატურად

<<https://www.oxfordreference.com/view/10.1093/acref/9780195369380.001.0001/acref-9780195369380-e-433>> [20.06.2021].

⁴¹⁹ ტრეესელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გოგელია ვ., ლომთათიძე ე., ქარცივაძე ე., ივანიშვილი თ., ნარინდოშვილი მ. (მთარგმნელები), ვარძელაშვილი კ., ფაფიაშვილი ლ., ნარინდოშვილი მ., მჭედლიძე ნ., მელაძე გ. (რედ.), თბ., 2009, 142.

⁴²⁰ B. & P. v. The United Kingdom, [2001] ECHR, nos. 36337/97 and 35974/9..

⁴²¹ B. & P. v. The United Kingdom, [2001] ECHR, nos. 36337/97 and 35974/9, §48; Sutter v. Switzerland, [1984] ECHR, no. 8209/78, §34.

⁴²² B. & P. v. The United Kingdom, [2001] ECHR, nos. 36337/97 and 35974/9, §47.

⁴²³ S. C. v. The United Kingdom, ECHR, no. 60958/00, 15 June 2004. Concurring Opinion of Judge Sir Nicolas Bratzas.

მოხდება ბავშვების ინტერესების დაცვა, ძნელია იმის გარკვევა, თუ როგორ შეიძლება ითქვას, რომ ანონიმური და შემოკლებული განაჩენის გამოქვეყნება ემსახურება სამართალწარმოების პროცესის საზოგადოების მიერ შესწავლის მიზანს.⁴²⁴

საქმეში *რიაბიკ ბირიუკოვი რუსეთის წინააღმდეგ*⁴²⁵, გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადებასთან დაკავშირებით სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადგინა, რომ „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხე სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონით გათვალისწინებული "განაჩენის" საჯაროობის ფორმა უნდა შეფასდეს სამართალწარმოების განსაკუთრებული მახასიათებლების გათვალისწინებით, მათი მთლიანობის გათვალისწინებით და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნის მითითებით.“⁴²⁶ ამასთან, განაჩენის საჯაროდ გამოცხადების მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, როდესაც სასამართლოს რეესტრში შენახული გადაწყვეტილების სრული ტექსტი ყველასთვის ხელმისაწვდომია⁴²⁷ ან თუ ქვედა ინსტანციის სასამართლო ატარებდა საჯარო სასამართლო სხდომებს და განაჩენი გამოცხადდა ღია სასამართლო სხდომაზე,⁴²⁸ ან როდესაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს სასამართლოს გადაწყვეტილებების სრული ტექსტი, რომელთა ყველაზე მნიშვნელოვანი განაჩენები შემდგომში ქვეყნდება ოფიციალურ კრებულში.“⁴²⁹ ამრიგად, ევროპული სასამართლო საქმის საჯაროდ განხილვის შეზღუდვის საფუძვლებს ავრცელებს განაჩენის გამოცხადების წესთან მიმართებით. ამ შემთხვევაში, საზოგადოების ხელმისაწვდომობა სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე დაბალანსებული უნდა იქნეს პერსონალური მონაცემების გამომრიცხველი ფორმით განაჩენის გამოქვეყნებით, მაგ. სასამართლოს ვებ-გვერდზე.

⁴²⁴ S. C. v. The United Kingdom, ECHR, no. 60958/00, 15 June 2004. Concurring Opinion of Judge Sir Nicolas Bratzas.

⁴²⁵ Ryakib Biryukov v. Russia, [2008] ECHR, no. 14810/02.

⁴²⁶ Ryakib Biryukov v. Russia, [2008] ECHR, no. 14810/02, §30; Pretto and Others v. Italy, [1983] ECHR, no. 7984/77, §26; Axen v. Germany, [1983] ECHR, no. 8273/78, § 31; Sutter v. Switzerland, [1984] ECHR, no. 8209/7, §33.

⁴²⁷ Pretto and Others v. Italy, [1983] ECHR, no. 7984/77, §27-28; Ryakib Biryukov v. Russia, [2008] ECHR, no. 14810/02, §34.

⁴²⁸ Axen v. Germany, [1983] ECHR, no. 8273/78, §21; Ryakib Biryukov v. Russia, [2008] ECHR, no. 14810/02, §34.

⁴²⁹ Sutter v. Switzerland, [1984] ECHR, no. 8209/7, §34; Ryakib Biryukov v. Russia, [2008] ECHR, no. 14810/02, §34.

უშუალოდ ბავშვის უფლებათა სფეროში მოქმედი სტანდარტები მოითხოვენ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილი განაჩენის იმგვარად გამოცხადებას სასამართლო სხდომაზე, რომ არ მოხდეს ბავშვის ვინაობის გამჟღავნება.⁴³⁰ „პეკინის წესები“ არ აკონკრეტებს განაჩენის გამოცხადების წესს, თუმცა საქმის განხილვის ყველა ეტაპზე არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვისაკენ მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს.⁴³¹ UNICEF ECARO-ს მიერ მიღებულ გაიდლაინებში ნათქვამია, რომ განაჩენი იმგვარად უნდა იქნეს გამოცხადებული, რომ არ გამჟღავნდეს ბავშვის ვინაობა.⁴³² ევროკავშირის დირექტივა „ექვმიტანილ ან ბრალდებულ ბავშვთა სისხლის სამართლის საპროცესო გარანტიების შესახებ“ ცალსახად მიუთითებს, რომ მიუხედავად კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის დახურულ სასამართლო სხდომაზე განხილვისა, გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად.⁴³³ სწორედ ამიტომ, ევროკავშირის ქვეყნებში არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილი განაჩენი ყოველთვის ცხადდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.⁴³⁴ მაგალითად, გერმანიაში „არასრულწლოვნის სასამართლოების შესახებ“ კანონი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმეზე მიღებული განაჩენის გამოცხადებას დახურულ სასამართლო სხდომაზე მოითხოვს.⁴³⁵ ანალოგიურად, ხორვატიის „ახალგაზრდების სასამართლოების შესახებ“ კანონით გაწერილია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის განაჩენის გამოცხადების წესი დახურულ სასამართლო სხდომაზე.⁴³⁶

⁴³⁰ General Comment No.10: Children's Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 25 April 2007, §66.

⁴³¹ United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"), General Assembly, Resolution 40/33, 29 November 1985. 8.1.

⁴³² Guidelines on Child-friendly Legal Aid, UNICEF ECARO, October 2018, Guideline 9, 30.

⁴³³ Procedural Safeguards for Children Who are Suspects or Accused Persons in Criminal Proceedings, The European Parliament and the Council of the European Union, Directive (EU) 2016/800, §58.

⁴³⁴ *Radic I.*, Importance of the Protection of Privacy of Juvenile Suspects Or Accused Persons in Criminal Proceedings in the Context of the EU Law. EU and Comparative Law Issues and Challenges Series, 4, 2020, 584.

⁴³⁵ Jugendgerichtsgesetz (JGG), Bundesgesetz, Jugendgerichtsgesetz in der Fassung der Bekanntmachung vom 11. Dezember 1974 (BGBl. I S. 3427), §48(1).

⁴³⁶ *Radic, I.*, Importance of the Protection of Privacy of Juvenile Suspects r Accused Persons in Criminal Proceedings in the Context of the EU Law. EU and Comparative Law Issues and Challenges Series, 4, 2020, 588. იხ. ციტირება: Youths Courts Act (Zakon osudovima za mladei), Official Gazette No. 84/2011, 143/2012, 148/2013, 56/2015, 126/2019, art. 34.

ამრიგად, საერთაშორისო აქტებში განაჩენის გამოცხადების წესი ტერმინოლოგიურად სხვადასხვაგვარად არის ფორმულირებული. ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში ნათქვამია, რომ სასამართლო გადაწყვეტილება უნდა „გამოცხადდეს“ საჯაროდ, ხოლო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში - „სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს საჯარო“.⁴³⁷ ბავშვის უფლებათა სფეროში მოქმედი აქტები კი უშვებენ განაჩენის „გამოცხადების საჯაროობას“ მხოლოდ მისი ვინაობის გამჟღავნების გარეშე, რაც ვფიქრობ ბუნდოვანია და არ არის თავსებადი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიზნებთან. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის დასწრების პირობებში განაჩენის საჯაროდ გამოცხადება, თუნდაც მისი ვინაობის გაუმჟღავნებლობით, დამსწრე პირებს შესაძლებლობას აძლევს მოახდინონ არასრულწლოვნის ვიზუალური იდენტიფიცირება, რაც მთლიანად აზრს უკარგავს მანამდე პროცესის დახურულ რეჟიმში წარმართვას. თუ შევადარებთ საქართველოს კანონმდებლობით განაჩენის გამოცხადების რეგულირების წესს საერთაშორისო სტანდარტებსა და საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკას, შეიძლება ითქვას, რომ მათთან შესაბამისობაშია სასამართლოს პრაქტიკაში დადგენილი წესი დახურულ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილი განაჩენი, თუმცა ამის მკაფიო სამართლებრივი საფუძველი არსებული კანონმდებლობით არ გვაქვს. ვფიქრობ, საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილი უნდა განიმარტოს ლოგიკური განმარტების მეთოდით. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილი პრაქტიკა, რომელიც საქმის საჯარო განხილვის უფლების შეზღუდვის საფუძველებს ავრცელებს განაჩენის საჯაროდ გამოცხადების წესზეც. დამატებით აღსანიშნავია, რომ ბავშვის უფლებათა სამართალში აღიარებული საყოველთაო პრინციპის მიხედვით, „თუ სამართლებრივი დებულება იძლევა ერთზე მეტი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რომელი ინტერპრეტაციაც უკეთ ემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს

⁴³⁷ ტრეუსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გოგელია ვ., ლომთათიძე ე., ქარცივაძე ე., ივანიშვილი თ., ნარინდოშვილი მ. (მთარგმნელები), ვარძელაშვილი კ., ფაფიაშვილი ლ., ნარინდოშვილი მ., მჭედლოძე ნ., მელაძე გ. (რედ.), თბ., 2009, 156.

სწორედ ის უნდა იქნეს შერჩეული.⁴³⁸ ამრიგად, თუ დავუშვებთ, რომ კონსტიტუციით გათვალისწინებული სამართალწარმოების საჯაროობის შეზღუდვის საფუძვლები ვრცელდება განაჩენის გამოცხადებაზეც, მაშინ ასეთი შეზღუდვა კანონით (ამ შემთხვევაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით) უნდა იყოს გათვალისწინებული და არა დადგენილი პრაქტიკით. ამასთან, მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობა დაბალანსდეს პერსონალური მონაცემების გამომრიცხველი ფორმით განაჩენების ხელმისაწვდომობით (იხ. 4.4.).

ამრიგად, მიზანშეწონილია, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 59-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ნორმა, რომლის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ განაჩენი ცხადდება დახურულ სასამართლო სხდომაზე. ასევე რეკომენდირებულია, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-3 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ყველა შემთხვევაში,“ და ნორმა ფორმულირდეს შემდეგი სახით: „სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

3.3. ერთობლივი საქმიდან არასრულწლოვნის საქმის ცალკე გამოყოფა

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ერთ-ერთ პროცესუალურ გარანტიას წარმოადგენს სრულწლოვანთა საქმისგან არასრულწლოვნის საქმის ცალკე გამოყოფა, რომლის მთავარი მიზანია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სტიგმატიზაციის პრევენცია.⁴³⁹ აღნიშნული ასახულია არაერთ საერთაშორისო ინსტრუმენტში, მათ შორის „პეკინის

⁴³⁸ General Comment No. 14 on the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (art. 3, para. 1), UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2013, §6(b); ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, ჟურნ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017, 77.

⁴³⁹ General Comment No. 10: Children's Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2007, §66.

წესებში“,⁴⁴⁰ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ მოდელურ კანონში.⁴⁴¹ სწორედ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აწესრიგებს ამ საკითხს ამკ-ის 32-ე მუხლი, რომლის თანახმად, „თუ არასრულწლოვანს ბრალი ედება იმ დანაშაულის ჩადენაში, რომელშიც სრულწლოვანიც იმხილება, არასრულწლოვანის საქმე შეძლებისდაგვარად ცალკე გამოიყოფა და ის სრულწლოვანისგან განცალკევებით გასამართლდება, თუ ამით საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას არსებითი დაბრკოლება არ შეექმნება.“⁴⁴² აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა გამოძიების სტადიაზე წარმოადგენს პროკურორის, ხოლო სასამართლოში მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას.⁴⁴³

ნიშანდობლივია, რომ არასრულწლოვანის საქმის სრულწლოვანის საქმისაგან ცალკე გამოყოფის შესაძლებლობას ითვალისწინებდა, როგორც ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი,⁴⁴⁴ ისე მოქმედი საპროცესო კოდექსი⁴⁴⁵ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, აღნიშნულ ნორმას არაერთი მიზანი ჰქონდა: პირველი, დაეცვა არასრულწლოვანი სრულწლოვან ბრალდებულთა მავნე ზეგავლენისაგან, და მეორე, არასრულწლოვანის საქმე განხილულიყო შემჭიდროვებულ ვადებში.⁴⁴⁶ თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქმის ცალკე

⁴⁴⁰ United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"), General Assembly, Resolution 40/33, 29 November 1985, 21.2.

⁴⁴¹ Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, United Nations Office of Drugs and Crime (UNODC), 2013, Art.5.

⁴⁴² საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 12/06/2015.

⁴⁴³ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 09.10.2009, მუხ. 110.

⁴⁴⁴ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 20.02.2018, მუხ. 640 (ძალადაკარგულია, 01.10.2010).

⁴⁴⁵ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 09.10.2009 (კონსოლიდირებული ვერსია 30.11.2014 – 22.01.2015), მუხ. 318.

⁴⁴⁶ *ბოხაშვილი ი., ბენიძე მ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები (მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მიხედვით), „სამართლის ჟურნალი“, №2, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2009, 44

გამოყოფამ სწორედ საქმის განხილვის ვადებზე შეიძლება მოახდინოს ზეგავლენა და გაზარდოს საპროცესო ხარჯები.⁴⁴⁷

ერთობლივი საქმიდან არასრულწლოვნის საქმის ცალკე გამოყოფის საკითხი პროკურორის ან მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. გადაწყვეტილება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების გათვალისწინებით მიიღება. ამ საკითხთან დაკავშირებით, შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი საერთო სასამართლოების პრაქტიკიდან. მაგალითად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ ერთ-ერთ განხილულ საქმეზე, სადაც ბრალდებულებს წარმოადგენდნენ სამი არასრულწლოვანი და ერთი სრულწლოვანი 21 წლის ასაკს მიუღწეველი პირი, ცალკე წარმოებად იქნა გამოყოფილი არასრულწლოვანთა საქმე.⁴⁴⁸ სხვა შემთხვევებში, მაგალითად გახმაურებულ საქმეზე „შაქარაშვილის მკვლელობის საქმე“, სადაც ხუთი ბრალდებულიდან ორს არასრულწლოვანი წარმოადგენდა, არ მომხდარა საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფა და მცხეთის რაიონულმა სასამართლომ დახურულ სასამართლო სხდომაზე ერთობლივად განიხილა ხუთივე ბრალდებულის საქმე.⁴⁴⁹

ერთობლივი საქმიდან არასრულწლოვნის საქმის ცალკე გამოყოფის წესთან მიმართებით, ამკ-ის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს რომ არასრულწლოვანი სარგებლობს ამკ-ით დადგენილი გარანტიებით. მართალია, ამკ-ის 29-ე მუხლი განსაზღვრავს ზოგად ჩანაწერს, რომლის თანახმად კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სასამართლო სხდომა დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება. თუმცა, ვფიქრობ, კოდექსი უნდა შეიცავდეს სპეციალურ ჩანაწერს იმ საკითხთან მიმართებით, თუ როგორ წყდება საკითხი, როდესაც საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფა არ ხდება. *გერმანიაში* „არასრულწლოვნის სასამართლოს შესახებ“ კანონი შეიცავს სპეციალურ ნორმას, რომლის თანახმად, თუ არასრულწლოვანთან ერთად ბრალდებულია 21 წლამდე პირი ან სრულწლოვანი,

⁴⁴⁷ შალიკაშვილი მ., მიქსანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 193. იხ. ციტირება: Eisenberg U., 2010, 932.

⁴⁴⁸ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 26 მარტის განაჩენი საქმეზე №1-775-18.

⁴⁴⁹ საერთაშორისო სამაუწყებლო კომპანია „რადიო თავისუფლება“, <<https://www.radiotavisupleba.ge/a/31153688.html>> [21.01.2021]; საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“, <<https://www.interpressnews.ge/ka/article/646562-giorgi-shakarashvilis-mkvllelobashi-mjsavrdebuli-arasrulclovnebis-mimart-sasjelis-danishvnis-sxdoma-dges-gaimarteba/>> [20.01.2022].

საქმის განხილვა საჯაროა, მაგრამ არასრულწლოვნის ინტერესების გათვალისწინებით შეიძლება შეიზღუდოს საჯაროობა.⁴⁵⁰ ამ განსხვავებული მოწესრიგების უკან დგას კანონმდებლის მიზანი, უზრუნველყოს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა, ხოლო ამავდროულად ზრდასრულის ბრალდების შემთხვევაში და განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმისწარმოებისას - საზოგადოებრივი კონტროლის შესაძლებლობა.⁴⁵¹ ამრიგად, გერმანიაში კანონმდებლობა მოსამართლეს ანიჭებს უფლებამოსილებას შეპირისპირებული ინტერესები აწონ-დაწონოს და კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილება ან არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვის სასარგებლოდ, ან საზოგადოებრივი ინტერესი მიიჩნიოს უპირატესად და დაადგინოს საქმის საჯარო განხილვა. ქართულ რეალობაში, ვინაიდან პირადი ცხოვრების დაცულობა წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს, ცალსახაა კანონმდებლის ნება - მაღალი სტანდარტით იქნეს დაცული არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება. ამიტომ საკითხი აქაც დახურული სასამართლო სხდომის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, ხოლო საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილება შეიძლება მოხდეს სხდომაზე განსაკუთრებული მიზნის მქონე პირების დასწრების შესაძლებლობით, რაზეც ზემოთ დეტალურად ვისაუბრეთ (იხ. 3.1.1.5).

ამრიგად, საქმის ცალკე გამოყოფის მიზანს სწორედ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დასაცავად სათანადო სამართლებრივი გარანტიის შექმნა წარმოადგენს, რათა არ მოხდეს მისი ვინაობის გამჟღავნება. ამასთან დამატებით აღსანიშნავია, რომ ეს გარანტია იცავს მას სრულწლოვან ბრალდებულთა ზეგავლენისაგან და ხელს უწყობს საქმის სწრაფად განხილვას. მაგრამ ვინაიდან აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პროცესის მწარმოებელი ორგანოს შეფასების საგანს წარმოადგენს და არსებობს იმის ალბათობა, რომ საქმე ერთობლივად იქნეს განხილული, მიზანშეწონილია, არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიის სახით მკაფიოდ გაიწეროს ამკ-ის 29-ე მუხლში შემდეგი შინაარსის ნორმა: „თუ არასრულწლოვანს ბრალი ედება იმ

⁴⁵⁰ Jugendgerichtsgesetz (JGG), Bundesgesetz, 11 Dezember 1974 (BGBl. I S. 3427), Section 48 (30).

⁴⁵¹ *Ostendorf H.*, Jugendstrafrecht und Jugendstrafverfahren, Universität Kiel, 2009, 25, <<https://docplayer.org/6499061-Jugendstrafrecht-und-jugendstrafverfahren.html>> [20.01.2022].

დანაშაულის ჩადენაში, რომელშიც სრულწლოვანიც იმხილება და საქმე ერთობლივად განიხილება, სასამართლო განხილვა გაიმართება დახურულ სასამართლო სხდომაზე.“

3.4. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობის პრინციპის ასახვა „საპროცესო არასრულწლოვნების“ პრინციპზე

ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონების გამოყენებას *ratione personae*⁴⁵² განავრცობს 21 წლამდე ასაკის პირებზე, ვინაიდან ნეირომეცნიერულმა მტკიცებულებებმა და ტვინის განვითარების კვლევებმა აჩვენეს, რომ ძნელია უფროსი ბავშვის ტვინისა და ახალგაზრდა სრულწლოვნის ტვინის ერთმანეთისგან განსხვავება.⁴⁵³ მართალია, 18 წლამდე პირი მიიჩნევა არასრულწლოვან მოზარდად, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მან დაასრულა განვითარება და მის წინააღმდეგ ისეთივე პირობები უნდა იქნას გამოყენებული, როგორც სრულწლოვანი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დროს.⁴⁵⁴ გერმანიის უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ რთულია დადგინდეს ასაკობრივი ზღვარი მოზარდის განვითარების საფუძველზე, ვინაიდან ეს ერთიანი და უწყვეტი პროცესია, რაც გაზომვას არ ექვემდებარება.⁴⁵⁵

ბავშვის უფლებათა კომიტეტი მიესალმება ქვეყნების მიდგომას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონი გაავრცელონ 21 წლამდე პირებზე.⁴⁵⁶ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, ვინაიდან გარდამავალი პერიოდი ზრდასრულობამდე ხანგრძლივია, 21 წლამდე ასაკის

⁴⁵² ლათ. *ratione personae* - შესაბამისი პირის ხასიათის ან პოზიციის გამო. იხ: *Fellmeth A. X., Horwitz M., Guide to Latin in International Law* Guide to Latin in International Law, Oxford University Press, 2011, <<https://www.oxfordreference.com/view/10.1093/acref/9780195369380.001.0001/acref-9780195369380-e-1792>> [20.06.2021].

⁴⁵³ *Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary*, United Nations Office on Drugs and Crime, New York, 2013, 57.

⁴⁵⁴ *კანტურია ლ.*, ოჯახის ფაქტორი არასრულწლოვნის სამართლებრივი აღზრდისა და მართლშეგნების ამაღლებისათვის, ჟურნ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, გამომც. „მერიდიანი“, 2017, 148.

⁴⁵⁵ იქვე.

⁴⁵⁶ *General Comment No. 10: Children's Rights in Juvenile Justice*, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2007, §38.

პირებზე შესაძლებელია გავრცელდეს არასრულწლოვნების მსგავსი მოპყრობა და დაექვემდებარონ იგივე ინტერვენციებს, თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ ისინი არ არიან საკმარისად მოწიფულები და საკმარისად პასუხისმგებელნი თავიანთ ქმედებებზე, როგორც სრულწლოვნები.⁴⁵⁷ ანალოგიურ მოსაზრებას ითვალისწინებს ევროსაბჭოს კიდევ ერთი რეკომენდაცია, რომელიც მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, საჭიროების შემთხვევაში, ახალგაზრდა სამართალდამრღვევები, ჩაითვალოს არასრულწლოვნებად და ამის შესაბამისად მიიღონ გადაწყვეტილებები.⁴⁵⁸ არასრულწლოვნისთვის განკუთვნილი ნორმების გავრცელება 18-დან 21 წლამდე პირებისთვის აპრობირებულია არაერთ ქვეყანაში გერმანიაში, ხორვატიაში, სერბეთში, ჰოლანდიაში და სხვ.⁴⁵⁹

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ამ მხრივაც ასახულ იქნა რეკომენდაციები და ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა. ამკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანთათვის განკუთვნილი რიგი ნორმები და შეღავათები ვრცელდება 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებზე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე დანაშაული ან მძიმე დანაშაული. მართალია, დახურულ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის წესი არ ვრცელდება 18-დან 21 წლამდე ასაკის პირზე, თუმცა კრიტიკის საგანს წარმოადგენს კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, იმ პირის მიმართ, რომელიც დანაშაულის ჩადენისას არასრულწლოვანი იყო და შემდეგ გახდა სრულწლოვანი, გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები და იგი სხვა საპროცესო გარანტიებთან ერთად, ვეღარ სარგებლობს პირადი ცხოვრების დაცვით სასამართლოში საქმის განხილვისას, შესაბამისად, მისი საქმის განხილვა გრძელდება ღია სასამართლო სხდომაზე. აღნიშნული წესი „საპროცესო არასრულწლოვნების“ პრინციპის სახელწოდებითაა

⁴⁵⁷ Recommendation Rec(2003)20 of the Committee of Ministers to Member States Concerning New Ways of Dealing with Juvenile Delinquency and the Role of Juvenile Justice, 24 September 2003, §11.

⁴⁵⁸ CM/Rec (2008)11 of the Committee of Ministers to Member States on the European Rules for Juvenile Offenders Subject to Sanctions or Measures, 5 November 2008, para. 17; Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, United Nations Office on Drugs and Crime, New York, 2013, 57.

⁴⁵⁹ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე, 58.

ცნობილი.⁴⁶⁰ ეს საკითხი სადავო მულტიდისციპლინური უწყებათაშორისი ჯგუფის სამუშაო შეხვედრებზეც გახდა. პროკურატურის წარმომადგენლების ხედვით, ვინაიდან, ამკ-ის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილი მიუთითებს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი არის არასრულწლოვნის მონაწილეობით წარმოებული სისხლის სამართლის საქმის განხილვა სასამართლოში, ამიტომ, თუ ბრალდებული სასამართლოში საქმის წარმართვის პროცესში სრულწლოვანი გახდა, მის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებები.⁴⁶¹ ეს მოსაზრება გაკრიტიკებულია იმ თვალსაზრისით, რომ „მსგავსი მიდგომა პირს უკარგავს სტაბილურობის განცდას, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია და პირველ რიგში, მოქალაქის ნდობის დაცვას გულისხმობს,“⁴⁶² ამასთან, პროცესის გასაჯაროვება გამოიწვევს მის ეტიკეტირებას და ხელს შეუშლის მის რესოციალიზაციას.⁴⁶³ მეცნიერთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, აუცილებელია კანონმდებელმა დაადგინოს ზღვარი და მხოლოდ 21 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ გავრცელდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებები იმ პირებზე, რომლებმაც არასრულწლოვნების პერიოდში ჩაიდინეს დანაშაული და პროცესის მსვლელობისას მიაღწიეს 18 წელს,⁴⁶⁴ ხოლო მეცნიერთა მეორე ნაწილის აზრით, უმჯობესია საკითხი ინდივიდუალურად გადაწყდეს, არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესების

⁴⁶⁰ *ბოხაშვილი ი., ბენიძე მ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები (მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მიხედვით), „სამართლის ჟურნალი“, №2, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, 37. იხ. ციტირება: *გოგშელიძე რ.*, (რედ.), სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბ., 2008, 338-339; *Лебедев В.М.* (ред.), Научно-практический комментарий к УПК РФ, М., 2008, 1027-1028.

⁴⁶¹ *გაბარაევი ი.*, ადვოკატის თვალთ დანახული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ჟურნ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების პერიოდული გამოცემა, გამომც. „მერიდიანი, თბ., 2017, 125.

⁴⁶² *შვაბე ი.*, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, *ჩაჩანიძე ე., (მთარგმნელი), კუბლაშვილი კ., ნინიძე თ., ლოლაძე ბ., ერემაძე ქ.* (რედ.), 2011, 335. იხ: *შეყილაძე ხ.*, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2019, 86.

⁴⁶³ *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 191.

⁴⁶⁴ *შეყილაძე ხ.*, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2019, 89; *მახარობლიძე თ.*, არასრულწლოვანთა სასჯელების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2021, 233.

გათვალისწინებით.⁴⁶⁵ ვფიქრობ, მიზანშეწონილი იქნება, თუ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოექცევა, ვინაიდან საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროებს შეფასებას, რაზეც სასამართლო პრაქტიკაც მეტყველებს. მაგალითად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ღია სასამართლო სდომაზე განიხილა დანაშაულის ჩადენის დროისთვის არასრულწლოვანი პირის სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში იქნა მსჯავრდებული ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ. პირველი ინსტანციის სასამართლოში პროცესი დახურულ რეჟიმში წარიმართა, მაგრამ მას შემდეგ რაც საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში გაგრძელდა, განაჩენიდან იკვეთება, რომ მსჯავრდებული სრულწლოვანი გახდა და მის მიმართ გამოყენებულ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები, შესაბამისად, პროცესი გასაჯაროვდა.⁴⁶⁶ აღნიშნულის კიდევ ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს გახმაურებული საქმე, ე.წ. „შაქარაშვილის მკვლელობის საქმე“. მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ხუთივე ბრალდებულის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილა, ვინაიდან ბრალდებულებიდან ორი არასრულწლოვანი იყო, ხოლო მას შემდეგ რაც მსჯავრდებულები სრულწლოვანნი გახდნენ, თბილისის სააპელაციო სასამართლოში პროცესი გასაჯაროვდა, შესაბამისად გამჟღავნდა მათი ვინაობებიც.⁴⁶⁷ ამრიგად, საკითხისადმი მსგავსი მიდგომა სრულად აზრს უკარგავს მანამდე კონფიდენციალობის დაცვას, ვერ ქმნის არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიას და წარმოადგენს ხელისშემშლელ ფაქტორს მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისთვის.

თუმცა, თუ კანონმდებლობით იმპერატიულად განისაზღვრება, ყველა შემთხვევაში, ყოველგვარი განხილვის გარეშე, სრულწლოვანების მიღწევის შემთხვევაში დახურული სასამართლო სხდომის საშეღავათო წესის გავრცელება,

⁴⁶⁵ გაბარაგვი ი., ადვოკატის თვალთ დანახული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ჟურნ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, გამომც. „მერიდიანი, 2017, 125.

⁴⁶⁶ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 18 თებერვლის განაჩენი საქმეზე №1/ზ-23-2020.

⁴⁶⁷ საერთაშორისო სამაუწყებლო კომპანია „ინტერპრესნიუსი“, <<https://www.interpressnews.ge/ka/article/646562-giorgi-shakarashvilis-mkvlelobashi-msjavrdebuli-arasrulclovnebis-mimart-sasjelis-danishvnis-sxdoma-dges-gaimarteba/>> [20.01.2022]; შეად. საზოგადოებრივი მაუწყებელი, <https://1tv.ge/news/saapelacio-sasamartloshi-fekhburtel-giorgi-shakarashvilis-mkvlelobis-saqmis-gankhilva-daiwyo/> [20.01.2022].

პრაქტიკაში შეიძლება ეს საკითხი სადავო გახდეს. მაგალითად, როდესაც მსჯავრდებული არასრულწლოვანი ძებნილია და რამდენიმე წლის შემდეგ მოხდება მისი დაკავება. მსგავსი საქმე განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ. არასრულწლოვნების პერიოდში ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტზე, ძებნილი პირის დაკავება წლების შემდეგ მოხერხდა, როდესაც იგი უკვე სრულწლოვანი იყო, ამიტომ პროცესი ღია სასამართლო სხდომაზე გაგრძელდა.⁴⁶⁸ ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა აწონ-დაწონოს კოლიზიაში მყოფი ინტერესები და თანაზომიერების პრინციპის დაცვით მიიღოს გადაწყვეტილება თუ რომელი ინტერესია უპირატესი.

ამრიგად, ვფიქრობ, საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროებს მოსამართლის მხრიდან შეფასებას, რა დროსაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები, ასაკი, ჩადენილი დანაშაულის კატეგორია, და სხვა გარემოებები. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ინდივიდუალურად გადაწყვიტოს, გავრცელდეს თუ არა კვლავაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო შეღავათები, მათ შორის სასამართლო სხდომის დახურულ კარს მიღმა გამართვის წესი იმ პირზე, რომელსაც პროცესის მსვლელობის დროს შეუსრულდა 18 წელი. ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობით ეს საკითხი სწორედ საჯაროობის კონტექსტში ვლინდება, ვინაიდან, არასრულწლოვნის ვინაობის გამჟღავნებით, მისი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის რისკები და საფრთხეები მაღალია. ასეთ შემთხვევებში, პრეზუმფცია უნდა მოქმედებდეს დახურული სასამართლო სხდომის სასარგებლოდ, ხოლო საჯაროობა უნდა წარმოადგენდეს გამონაკლისს. ამრიგად, მიზანშეწონილია სსსკ 182-ე მუხლს დაემატოს მე-3¹ ნაწილი, შემდეგი ფორმულირებით: „დახურულ სასამართლო სხდომაზე იხილება იმ პირის საქმე, რომელმაც არასრულწლოვნების პერიოდში ჩაიდინა დანაშაული და პროცესის მსვლელობის დროს შეუსრულდა 18 წელი. სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის საჯაროობის შესახებ.“

⁴⁶⁸ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 6 ივნისის განაჩენი საქმეზე №1/ზ-202-2018.

გარდა „საპროცესო არასრულწლოვნების“ პრინციპისა, ვფიქრობ, მიზანშეწონილია დახურული სასამართლო სხდომის საშედავითო წესი გავრცელდეს 18-დან 21 წლამდე პირებზეც. ამ საკითხის გადაწყვეტაც მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას უნდა წარმოადგენდეს. ასეთ შემთხვევაში, „სასამართლოს უნდა ჰქონდეს არა უპირობო ვალდებულება, არამედ შესაძლებლობა დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილოს საქმე, რა დროსაც მან ყურადღებით უნდა შეისწავლოს კონკრეტული ლეგიტიმური მიზნებისთვის ზიანის მიყენების საფრთხის რეალურობა და მასშტაბი, ამასთან, მიზნის მისაღწევად გამოიყენოს ყველაზე ნაკლებად მზლუდავი და პროპორციული ზომები.“⁴⁶⁹ ანალოგიურ მიდგომას ითვალისწინებს გერმანიის ახალგაზრდების სასამართლოს შესახებ კანონიც, რომლის თანახმად, როგორც წესი, საჯარო სხდომაზე განიხილება 18-დან 21 წლამდე მოზარდთა საქმეები, თუმცა თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ საჯაროობა უნდა შეიზღუდოს მოზარდის ინტერესებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში პროცესი წარიმართება დახურულ სასამართლო სხდომაზე.⁴⁷⁰

ამრიგად, მიზანშეწონილია ცვლილება განხორციელდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლში და მე-3 ნაწილში და ნორმა ფორმულირდეს შემდეგი სახით: „სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ: ვ) თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ 18-დან 21 წლამდე ასაკის პირმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული.“

⁴⁶⁹ *ერემდე ქ.*, ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, წიგნი მეორე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021, 470-471.

⁴⁷⁰ *Ostendorf H.*, *Jugendstrafrecht und Jugendstrafverfahren*, 2009, Universität Kiel, 24, <<https://docplayer.org/6499061-Jugendstrafrecht-und-jugendstrafverfahren.html>> [20.06.2021]; *Eisenberg U.*, *Jugendgerichtsgesetz*, Online Kommentar, C.H. Beck, 19., neu bearbeitete Auflage, München, 2017, Rn. 2, [20.06.2021].

3.5. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელებისას

2020 წელს მსოფლიო ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიის გამოცხადებამ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო სისტემები არაერთი გამოწვევის წინაშე დააყენა. დაწესდა სხვადასხვა სახის შეზღუდვები, მათ შორის, ჩვენს ქვეყანაში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა.⁴⁷¹ საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით⁴⁷² მართლმსაჯულების განხორციელებისას უპირატესობა მიენიჭა დისტანციურ სამართალწარმოებას. სასამართლო სისტემას სწრაფად უნდა მოეხდინა ადაპტირება ელექტრონულ მართლმსაჯულებაზე, რაც არაერთ გამოწვევას უკავშირდებოდა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით სასამართლოში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაცია.⁴⁷³ აღნიშნული წესით რეკომენდაცია მიეცა სასამართლოებს, გადადებულიყო საქმეთა განხილვა, გარდა შემჭიდროებულ ვადებში განსახილველი საქმეებისა, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, პროცესის მონაწილეთა სასამართლო განხილვაში მონაწილეობა უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო დისტანციური სამართალწარმოებით.

ამავდროულად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდა ცვლილებები, რომლის თანახმად, 2023 წლის 1 იანვრამდე, პანდემიის გავრცელების საფრთხის არსებობის შემთხვევაში, გათვალისწინებულ იქნა სასამართლო სხდომის დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების შესაძლებლობა, იმ შემთხვევებში: თუ ბრალდებული თანახმაა; და თუ, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა, მსჯავრდებულს სასჯელის სახით შეფარდებული

⁴⁷¹ ნაკაშიძე მ., ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში: ევროპული სტანდარტები და საქართველოს კანონმდებლობა, 2021, 181, <<http://library.court.ge/upload/58902021-06-28.pdf>> [20.01.2022].

⁴⁷² საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის დამტკიცების თაობაზე.

⁴⁷³ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 1 დეკემბრის რეკომენდაცია „კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით სასამართლოში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“.

აქვს თავისუფლების აღკვეთა ან/და სასამართლო სხდომის ამ წესით ჩაუტარებლობამ შესაძლებელია დანაშაულის გახსნისა და პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საჯარო ინტერესის ხელყოფა გამოიწვიოს.⁴⁷⁴

დისტანციურმა სამართალწარმოებამ გავლენა მოახდინა არასრულწლოვანთა სისხლის სამართალწარმოებაზეც. მართალია, ელექტრონული მართლმსაჯულების პირობებში უზრუნველყოფილია არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა დროული განხილვა, გაჭიანურების გარეშე, თუმცა, დისტანციური სამართალწარმოების პირობებში არასრულწლოვნის უფლებების დარღვევის სერიოზული რისკები არსებობს, მათ შორის, პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის თვალსაზრისით.

შესაძლოა გამოვეყნოთ დისტანციური სამართალწარმოების როგორც უპირატესი, ისე ნეგატიური მხარეები. უპირატესობის თვალსაზრისით რამდენიმე ასპექტზე შეიძლება ყურადღების გამახვილება: იგი ზრდის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას იმ მხარეებისთვის, რომელთაც სამართალწარმოებაში უშუალო მონაწილეობის საშუალება არ ეძლევათ ჯანმრთელობის, ადგილმდებარეობის და სხვა ფაქტორების გამო; საქმეთა განხილვის შესაძლებლობა შემჭიდროებულ ვადებში; ეკონომიურობა და სხვ. მეორე მხრივ, არსებობს რისკები დისტანციური სხდომის პირობებში დაირღვეს არასრულწლოვნის სამართლიანი სასამართლოს უფლება. ამ უფლებებიდან ნებისმიერი გადახვევა კი უნდა იყოს დროებითი, უნდა ექვემდებარებოდეს აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპებს. საგანგებო მდგომარეობის დროსაც უნდა იყოს დაცული კანონის უზენაესობის ფუნდამენტური პრინციპი.⁴⁷⁵

⁴⁷⁴ საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 09/10/2009, მუხ. 332⁵.

⁴⁷⁵ European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Interim Report on the Measures Taken in the EU Member States as a Result of the COVID-19 Crisis and Their Impact on Democracy, The Rule of Law and Fundamental Rights, Opinion No. 995/2020, Strasbourg, 2020, <[https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2020\)018-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2020)018-e)> [20.01.2022].

3.5.1. საერთაშორისო რეკომენდაციები დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში

2020 წელს იუნისეფმა შეიმუშავა სპეციალური სახელმძღვანელო COVID-19 პანდემიის საპასუხოდ, რომელიც სახელმწიფოებს მოუწოდებს უზრუნველყონ თავისუფლებააღკვეთილი ყველა ბავშვის უფლებების პატივისცემა და დაცვა პანდემიის პირობებში.⁴⁷⁶ აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სახელმწიფოები სამართლებრივად ვალდებული არიან, დაემორჩილონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალსა და მართლმსაჯულების სტანდარტებს ბავშვებისთვის, მათ შორის უზრუნველყონ:

- არასრულწლოვნის დაკავება, დაპატიმრება და თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ უკიდურესი ღონისძიების სახით, რაც შეიძლება მცირე პერიოდით;
- თავისუფლებააღკვეთილი ბავშვის ღირსების პატივისცემა და სამართალწარმოებისას მათი უფლებებისა და საპროცესო გარანტიების დაცვა.
- თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნის სწრაფი წვდომა სპეციალიზირებულ იურიდიულ და სხვა სათანადო დახმარებაზე; დაკავებისა და დაპატიმრების კანონიერების გასაჩივრების შესაძლებლობა კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე და დაუყოვნებლივ გადაწყვეტილების მიღება ნებისმიერ ასეთ ქმედებაზე;
- სხვა გარანტიები.⁴⁷⁷

სასამართლოებს მიეცათ რეკომენდაცია შეამცირონ საჯარო და დახურულ სხდომაზე არასრულწლოვნის პირისპირ მოსმენები, გამოიყენონ ალტერნატიული მეთოდები, რომელიც არ გულისხმობს სამართლიანი სასამართლოს გარანტიის ფუნდამენტური უფლებების ალტერნატივას.⁴⁷⁸

მიუხედავად იმისა, რომ COVID-19-ის გავრცელების თავიდან ასაცილებლად საჭიროა გარკვეული ზომების მიღება, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს

⁴⁷⁶ The Alliance for Child Protection in Humanitarian Action – UNICEF, Technical Note: COVID-19 and Children Deprived of their Liberty, 2020, <https://alliancecpa.org/en/system/tdf/library/attachments/covid-19_and_children_deprived_of_their_liberty_v1_lowres_0.pdf?file=1&type=node&id=37576> [20.01.2022].

⁴⁷⁷ იქვე, 4-5.

⁴⁷⁸ The Alliance for Child Protection in Humanitarian Action – UNICEF, Technical Note: COVID-19 and Children Deprived of their Liberty, 2020, 7.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა უფლებების დაცვა.

ბავშვების შემთხვევაში, ხელისუფლებას ეკისრება პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს თითოეული ინდივიდის საუკეთესო ინტერესების უპირველესი განხილვა.⁴⁷⁹ სასამართლოებმა არ უნდა დააყოვნონ კრიტიკულად განსახილველი საქმეები, მათ შორის habeas corpus პროცედურა.⁴⁸⁰ დაუშვებელია შეიზღუდოს ადვოკატთან შეხვედრის შესაძლებლობა და მასთან კონფიდენციალურად საუბარი. საგანგებო ვითარებაშიც კი, სახელმწიფოებმა არ უნდა გადაუხვიონ სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური პრინციპებიდან. ხელისუფლებამ ასევე უნდა უზრუნველყოს პრევენციული ზომების მიღების მაქსიმალური გამჭვირვალობა და მათი გამოყენების მუდმივი მონიტორინგი. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებული პირები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ვიდეოკონფერენციებითა და ელექტრონული კომუნიკაციების შესაძლებლობებით, რომელიც მართალია მოითხოვს მუდმივ ორგანიზაციულ ძალისხმევას თავისუფლების აღკვეთის ადმინისტრაციის მხრიდან, თუმცა ნებისმიერი ჩარევა პირადი ცხოვრების უფლებაში არ უნდა იყოს თვითნებური ან უკანონო.⁴⁸¹

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისისა და მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის მიერ, შემუშავდა გაიდლაინები იურიდიული დახმარების პროვაიდერებისთვისაც. რეკომენდაციებში ნათქვამია, რომ ვიდეოკონფერენციის სერვისები მსოფლიო მასშტაბით სულ უფრო ხშირად გამოიყენება სასამართლოებსა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, როგორც იმის უზრუნველყოფის საშუალება, რომ იურიდიული დახმარების მიმწოდებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ეფექტური კომუნიკაცია აწარმოონ თავიანთ კლიენტებთან და ამასთან, დაცულ იქნეს დაკავებულთა უფლება მონაწილეობა მიიღონ სასამართლო განხილვაში (თუნდაც დისტანციურად).

⁴⁷⁹ OHCHR, WHO, Interim Guidance COVID-19: Focus on Persons Deprived of their Liberty, 2020, 3, <https://interagencystandingcommittee.org/system/files/2020-11/IASC%20Interim%20Guidance%20on%20COVID-19%20-%20Focus%20on%20Persons%20Deprived%20of%20Their%20Liberty_0.pdf> [20.01.2022].

⁴⁸⁰ The International Legal Foundation, Coronavirus Pandemic: Guidance for Legal Aid Providers to Protect Health and Human Rights of Detainees, 3, <https://ee69066d-6f35-44c9-ae54-6d0a2fbf5e5d.filesusr.com/ugd/5213de_6c9b6e9936534200bca8f662839f4d37.pdf> [20.01.2022].

⁴⁸¹ OHCHR, WHO, Interim Guidance COVID-19: Focus on Persons Deprived of their Liberty, 2020, 5.

რეკომენდაციების თანახმად, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ადვოკატებმა მხარი უნდა დაუჭირონ სასამართლოებსა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ტექნოლოგიების ფართო გამოყენებას, სატელეფონო და ვიდეოკონფერენციის სერვისების ჩათვლით. გარდა ამისა, როდესაც პირადი მომსახურება შეუძლებელია ან უსაფრთხოა, ადვოკატმა უნდა გამოიკვილოს რამდენად უსაფრთხოა ტექნოლოგიის გამოყენება.⁴⁸²

პანდემიის პერიოდში მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ გამოწვევებს მიეძღვნა ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის 2020 წლის დეკლარაცია.⁴⁸³ დოკუმენტში გაწერილია 7 ძირითადი პრინციპი, რომელთა დაცვაც ყველა ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს მართლმსაჯულების პროცესში. თავისუფლებისა და უსაფრთხოების, სამართლიანი სასამართლოს უფლებები ყოველთვის უნდა იქნეს დაცული. სასამართლომ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს მოწყვლადი ჯგუფის საქმეებს, რომელთა შორის მოხსენიებულია არასრულწლოვანთა საქმეები. გამართული უნდა იყოს საქმეთა მართვის სისტემები. ონლაინ სერვისების, დისტანციური მოსმენებისა და ვიდეოკონფერენციების გამოყენების პირობებში, რომელიც მოხსენიებულია, როგორც ციფრული მართლმსაჯულების განვითარების მომავალი, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური უფლებებისა და პრინციპების დაცვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყველაზე დაუცველ ჯგუფებს. ამ მხრივ, ტექნოლოგიების გამოყენების გავლენა მართლმსაჯულების განხორციელებაზე რეგულარულად უნდა შეფასდეს და საჭიროების შემთხვევაში მიღებულ იქნეს გამოსასწორებელი ზომები. კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა და პერსონალური მონაცემების დაცვა უნდა იყოს პრიორიტეტული.⁴⁸⁴ ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია წევრმა სახელმწიფოებმა უზრუნველყონ სასამართლოების აღჭურვა

⁴⁸² The International Legal Foundation, Coronavirus Pandemic: Guidance for Legal Aid Providers to Protect Health and Human Rights of Detainees, 3, <https://ee69066d-6f35-44c9-ae54-6d0a2fbf5e5d.filesusr.com/ugd/5213de_6c9b6e9936534200bca8f662839f4d37.pdf> [20.01.2022].

⁴⁸³ European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), Declaration: Lessons Learnt and Challenges faced by the Judiciary during and after the COVID-19 Pandemic, Strasbourg, 2020, <<https://rm.coe.int/declaration-en/16809ea1e2%20%E1%83%9C>> [20.01.2022].

⁴⁸⁴ European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), Declaration: Lessons Learnt and Challenges faced by the Judiciary during and after the COVID-19 Pandemic, 2020, 2-5.

და პროგრამული უზრუნველყოფა, რათა მათ შეძლონ ეფექტური დისტანციური მუშაობა.⁴⁸⁵

საერთაშორისო რეკომენდაციების თანახმად, დისტანციური სამართალწარმოების მიზანშეწონილობის შესაფასებლად, მოსამართლემ მხედველობაში შესაძლოა მიიღოს შემდეგი ფაქტორები: მტკიცებულებათა კომპლექსურობა, არსებობს თუ არა მხარეთა თანხმობა, არის თუ არა პირი პატიმრობაში, ვადების შეზღუდვები, ჰყავს თუ არა მოპასუხეს იურიდიული წარმომადგენლობა, მოსმენის ხანგრძლივობა, დოკუმენტების ავთენტიფიკაცია, მონაწილეთა გარემოებები, ხარჯები, მოწყვლადობა და სხვ. სპეციალური ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ საქმეებზე, რომლებიც წამოჭრიან განსაკუთრებულ გამოწვევებს: ბავშვები და არასრულწლოვნები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, თარჯიმნის ან სხვა სპეციალური მხარდაჭერის აუცილებლობა და სხვ. ამასთან, მოსამართლემ მხედველობაში უნდა მიიღოს ტექნიკური საკითხებიც. როგორებიცაა: ინფორმაცია მონაწილეთა ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ; აქვთ თუ არა მონაწილეებს წვდომა აუცილებელ ტექნოლოგიებზე და თუ არა, შეიძლება თუ არა ალტერნატივის პოვნა; შესაძლებელი იქნება თუ არა კონფიდენციალური კომუნიკაცია; სასამართლოს ინტერნეტ კავშირის ხარისხი; სასამართლო დარბაზში კამერისა და მიკროფონის არსებობა და სხვ.⁴⁸⁶

3.5.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზი დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელების კონტექსტში

მნიშვნელოვანია გაანალიზდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელსაც არაერთი საქმე აქვს განხილული მე-6 მუხლთან მიმართებით დისტანციური სამართალწარმოების კონტექსტში. მართალია, ქვემოთ განხილულ საქმეებში ბრალდებული თუ მსჯავრდებული პირები არ იყვნენ არასრულწლოვნები,

⁴⁸⁵ Consultative Council of European Judges (CCJE), Statement of the President of the CCJE, The Role of Judges during and in the aftermath of the COVID-19 Pandemic: Lessons and Challenges, Strasbourg, 2020, §12.

⁴⁸⁶ *Andonov G., Bichia Sh., Makitan K. F., Kacherilska R., Marjanović S., Bozinovski A.*, Practical Guidelines for Remote Judging in Central and Eastern Europe, CEELI Institute, 25, <http://ceeliinstitute.org/wp-content/uploads/2021/08/Remote_Judging_2021Book_Final.pdf> [20.01.2022].

თუმცა პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, თუ რამდენად შესაბამისობაშია კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებთან დისტანციური სამართალწარმოება.

ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ პირველ საქმეს წარმოადგენდა *მარჩელო ვიოლა იტალიის წინააღმდეგ*.⁴⁸⁷ ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მომჩივანს მიესაჯა სამუდამო პატიმრობა მაფიასთან დაკავშირებული მძიმე დანაშაულისთვის. სააპელაციო ეტაპზე ის არ მიიყვანეს სასჯელადსრულების დაწესებულებიდან სასამართლო სხდომის დარბაზში დასასწრებად, ვინაიდან იმ პერიოდისთვის ექვემდებარებოდა ციხის რეჟიმს და შეზღუდული ჰქონდა გარე სამყაროსთან კონტაქტი. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, მას აუდიოვიზუალური ბმულით მიეცა შესაძლებლობა თვალი ედევნებინა სასამართლო პროცესისთვის. სასამართლოს შეფასებით, განმცხადებლის მონაწილეობა სასამართლო სხდომაზე ვიდეო ბმულის მეშვეობით, ემსახურებოდა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზნებს, კერძოდ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, დანაშაულის პრევენციას, სიცოცხლის უფლებებს, მოწმეთა და დანაშაულის მსხვერპლთა თავისუფლებასა და უსაფრთხოებას, და შესაბამისობაში იყო სასამართლო განხილვის „გონივრული ვადის“ მოთხოვნასთან. ამასთან, მსჯავრდებული უზრუნველყოფილი იყო დაცვის უფლებით. მას საშუალება ჰქონდა მოესმინა მოწმეებისა და მოსამართლისათვის, გაეკეთებინა განცხადებები და კონფიდენციალურად ჰქონოდა კომუნიკაცია მის ადვოკატთან.⁴⁸⁸ სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულის მონაწილეობა საქმის განხილვაში ვიდეოკონფერენციის მეშვეობით არ არღვევს ევროპულ კონვენციას, თუმცა ამ ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში უნდა არსებობდეს ლეგიტიმური მიზანი, მიღებული ზომები უნდა შეესაბამებოდეს სამართლიანი სასამართლო პროცესის მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია კონვენციის მე-6 მუხლით.⁴⁸⁹ ამასთან, საამართლომ ყურადღება გაამახვილა დისტანციური სამართალწარმოებისას ტექნიკური პრობლემების შესაძლებლობაზე, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სმენადობა და ვიდეო აღქმა არ უქმნიდეს მხარეს სირთულეებს.⁴⁹⁰ და ბოლოს, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ განმცხადებლის ადვოკატს ჰქონდა

⁴⁸⁷ *Marcello Viola v. Italy*, [2006] ECHR, no. 45106/04.

⁴⁸⁸ იქვე.

⁴⁸⁹ იქვე, §67.

⁴⁹⁰ იქვე, §74.

უფლება სხდომის მსვლელობის დროს ყოფილიყო მისი დასაცავის გვერდით და ესაუბრა მასთან კონფიდენციალურად.⁴⁹¹ შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა არ დადგინდა.

საქმე *სახნოვსკი რუსეთის წინააღმდეგ*⁴⁹² განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზნებისთვის. ვინაიდან, აღნიშნულ საქმეში სადავო საკითხს წარმოადგენდა მსჯავრდებულსა და ადვოკატს შორის კონფიდენციალურად კონსულტაციის მიღების საკითხი დისტანციური სამართალწარმოებისას. ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, სერგეი სახნოვსკი დამნაშავედ იქნა ცნობილი მამისა და ბიძის მკვლელობისთვის. სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებისას, სასამართლო სხდომას ადვოკატი არ ესწრებოდა და თავად განმცხადებლის მონაწილეობაც უზრუნველყოფილი იყო ვიდეო ბმულის მეშვეობით. რუსეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ დაადგინა, რომ განმცხადებლის იურიდიული დახმარების მიღების უფლება დარღვეული იყო და შესაბამისად, საქმე ხელახლა განსახილველად გაგზავნა. საბოლოოდ, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ვიდეო ბმულით სხდომის განხილვაში მონაწილეობა საკმარისი იყო მსჯავრდებულის პროცესში ეფექტიანი მონაწილეობისათვის, ვინაიდან იგი მოსკოვიდან დაახლოებით 3000 კილომეტრის დაშორებით იმყოფებოდა. ეს უკანასკნელი პროცესი ასევე ვიდეო ბმულის მეშვეობით იმართებოდა, რომელსაც ესწრებოდა სახნოვსკის ახლად დანიშნული იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი. საქმის განხილვის დასწრებამდე, სასამართლომ მათ მხოლოდ 15 წუთი მისცა ვიდეო ბმულის მეშვეობით საუბრისთვის. ადვოკატთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, სახნოვსკიმ უარი განაცხადა იურიდიული დახმარების მიღებაზე იმ არგუმენტით, რომ მას ესაჭიროებოდა ადვოკატთან პირისპირ შეხვედრა. თუმცა, უზენაესმა სასამართლომ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და განაგრძო საქმის განხილვა. აღნიშნული საქმე ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ განიხილა. სასამართლომ განაცხადა, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ პირებს უფლება აქვთ ფიზიკურად იმყოფებოდნენ პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე, მაგრამ ეს არ ეხება

⁴⁹¹ Marcello Viola v. Italy, [2006] ECHR, no. 45106/04, §75.

⁴⁹² Sakhnovskiy v. Russia, [2010] ECHR, no. 21272/03.

სააპელაციო ეტაპზე საქმის განხილვას.⁴⁹³ რაც შეეხება ვიდეო ბმულს, სასამართლომ აღნიშნა, რომ მსგავსი ღონისძიების გამოყენება არ არღვევს კონვენციის მე-6 მუხლს, თუ უზრუნველყოფილია ტექნიკური შეფერხების გარეშე მოსმენა და ბრალდებულს აქვს მის ადვოკატთან ეფექტური და კონფიდენციალური გზით საუბრის საშუალება.⁴⁹⁴ ამასთან, მხოლოდ 15 წუთით ადვოკატთან საუბრის საშუალების მიცემა იმავე ვიდეოლინკის მეშვეობით, რომლითაც სხდომა იმართებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული ადვოკატთან კომუნიკაციის დროს მარტო დატოვეს, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საეჭვო იყო, თუ რამდენად უზრუნველყოფილი იყო მსჯავრდებული ამ პირობებში კონფიდენციალობით. სასამართლომ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ბრალდებულს უფლება აქვს ჰქონდეს კომუნიკაცია მის ადვოკატთან, მესამე მხარისგან მოსმენის რისკის გარეშე, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას და გამომდინარეობს კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტიდან.⁴⁹⁵ თუ ადვოკატს არა აქვს შესაძლებლობა გაესაუბროს მის კლიენტს და მიიღოს მისგან კონფიდენციალური მითითებები მეთვალყურეობის გარეშე, მისი დახმარება დაკარგავს სარგებლიანობის დიდ ნაწილს, მაშინ როცა კონვენცია მიზნად ისახავს პრაქტიკული და ეფექტური უფლებების გარანტირებას.⁴⁹⁶ სასამართლომ ჩათვალა, რომ მსჯავრდებულსა და მის ადვოკატს შორის სატელეფონო საუბრის ორგანიზება უნდა მომხდარიყო სხდომის დაწყებამდე, ან მისთვის უნდა დანიშნულიყო ადგილობრივი ადვოკატი, რომელსაც შესაძლებლობა ექნებოდა უშუალოდ შეხვედროდა მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს.⁴⁹⁷ სასამართლომ დაასკვნა, რომ სახნოვსკი არ იყო უზრუნველყოფილი ქმედითი იურიდიული დახმარების უფლებით და დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა მე-3 მუხლის „გ პუნქტთან ერთად.

დისტანციური სამართალწარმოების საკითხის კვლევის თვალსაზრისით, კიდევ ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას წარმოადგენს საქმე *ტრეპაშკინი რუსეთის*

⁴⁹³ Sakhnovskiy v. Russia, [2010] ECHR, no. 21272/03, §96.

⁴⁹⁴ იქვე, §98.

⁴⁹⁵ Castravet v. Moldova, [2007] ECHR, no.23393/05, §49.

⁴⁹⁶ Sakhnovskiy v. Russia, [2010] ECHR, no. 21272/03, §97.

⁴⁹⁷ იქვე, §106.

წინააღმდეგ⁴⁹⁸. ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, განმცხადებელი, რომელიც რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ყოფილი ოფიცერი იყო, ბრალდებულ იქნა სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის. იგი ამტკიცებდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის არა ერთი მუხლი, მათ შორის, მე-6 მუხლი. ვინაიდან, მას არ მიეცა საკმარისი დრო და საშუალებები დაცვის მოსამზადებლად და ვერ შეძლო ადვოკატებთან შეხვედრა პირადად და მათთან დოკუმენტების გაცვლა, ბადრაგის მოსმენის გარეშე.⁴⁹⁹ მართალია აღნიშნულ საქმეში კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა არ დადგინდა, თუმცა სასამართლომ გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა ბრალდებულსა და მის ადვოკატს შორის კონფიდენციალური კომუნიკაციის მნიშვნელობაზე. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა შეხვედეს ადვოკატებს მესამე პირებისგან მოსმენის გარეშე, თავისუფლად გაცვალოს მოსაზრებები და დოკუმენტები და ჰქონდეს წვდომა საქმის მასალებზე.⁵⁰⁰

საქმეში გორბუნოვი და გორბაჩოვი რუსეთის წინააღმდეგ⁵⁰¹, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლების წინააღმდეგ სამართალწარმოება იყო უსამართლო, ვინაიდან, სააპელაციო ინსტანციაში არასაკმარისი ღონისძიებები გატარდა განხილვის დროს მხარეთა ეფექტური სამართლებრივი დახმარების უზრუნველსაყოფად. ხარვეზები არსებობდა ბრალდებულებისთვის მიწოდებული ვიდეო ბმულის ხარისხთან დაკავშირებით და, შესაბამისად, მათთვის პროცესისთვის თვალყურის მიდევნების შესაძლებლობასთან მიმართებით, მომჩივნებსა და მათ ადვოკატებს შორის კომუნიკაციასა და ადვოკატი-კლიენტს შორის ურთიერთობის შეზღუდვებზე ნდობისა და გაგების თვალსაზრისით.⁵⁰²

⁴⁹⁸ Trepashkin v. Russia (no.2), [2010] ECHR, no.14248/05.

⁴⁹⁹ Registrar of the Court, European Court of Human Rights, Press Release, Fourthcoming Judgments, no. 932, 2010, 5.

⁵⁰⁰ Andonov G., Bichia Sh., Makitan K. F., Kacherilska R., Marjanović S., Bozinovski A., Practical Guidelines for Remote Judging in Central and Eastern Europe, CEELI Institute, 17; წიქარიშვილი კ., მჭედლიძე ნ., თვარაძე ა., ხაჩიძე დ., ელექტრონული მართლმსაჯულების ეფექტიანობა პანდემიის დროს, „უფლებები საქართველო“, 2020, 13, <<http://ewmi-prolog.org/images/files/7986Attachment16E-JusticeReportFinalGEORGIAN.pdf>> [20.01.2022].

⁵⁰¹ Gorbunov and Gorbachev v. Russia, [2016] ECHR, nos. 43183/06 and 27412/07.

⁵⁰² Andonov G., Bichia Sh., Makitan K. F., Kacherilska R., Marjanović S., Bozinovski A., Practical Guidelines for Remote Judging in Central and Eastern Europe, CEELI Institute, 17.

საქმეში ევდოკიმოვი რუსეთის წინააღმდეგ,⁵⁰³ ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ პროცედურული გზის შერჩევას, რომელიც აკომპენსირებს პირის პირადად დაუსწრებლობას სასამართლო სხდომის დარბაზში, მათ მოეთხოვებათ გადაამოწმონ, შერჩეული ღონისძიება რამდენად შესაბამისობაშია პირის უფლებასთან, ეფექტიანად წარადგინოს საქმე სასამართლოს წინაშე და ხომ არ აყენებს მას არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართებით. ამის შემდეგ ევროპული სასამართლოს გადასაწყვეტია, იყო თუ არა საკმარისი გარანტიები დაკავებული პირის პროცესში სრულყოფილი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და იყო თუ არა პროცესი მთლიანობაში სამართლიანი კონვენციის მე-6 მუხლის თვალსაზრისით.⁵⁰⁴

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს კიდევ არაერთი საქმე აქვს განხილული დისტანციური სამართალწარმოების კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.⁵⁰⁵

ზემოთგანხილული საქმეების ანალიზმა ცხადყო, რომ ევროპული სასამართლო დისტანციურ სამართალწარმოებას არ მიიჩნევს კონვენციის მე-6 მუხლთან შეუსაბამოდ, თუმცა ამ პროცესში მნიშვნელოვანია შემდეგი გარანტიებით უზრუნველყოფა: ბრალდებულს უნდა ჰქონდეს მის ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობა, ბრალდებულს უნდა შეეძლოს, ტექნიკური ხარვეზების გარეშე, ეფექტიანი მონაწილეობა მიიღოს პროცესში. ამასთან, მნიშვნელოვანია სასამართლომ სიფრთხილით შეარჩიოს ეს ღონისძიება იმ თვალსაზრისით, რომ არახელსაყრელ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს ერთი მხარე მეორესთან შედარებით.

⁵⁰³ Yevdokimov and Others v. Russia, [2016] ECHR, nos. 27236/05, 44223/05, 53304/07, 40232/11, 60052/11, 76438/11, 14919/12, 19929/12, 42389/12, 57043/12 and 67481/12.

⁵⁰⁴ იქვე, §47.

⁵⁰⁵ მაგ, Vladimir Vasilyev v. Russia, [2012] ECHR, no. 28370/05.

3.5.3. საქართველოს საერთო სასამართლოებში დისტანციური მართლმსაჯულების განხორციელებისას არსებული გამოწვევები

ქართულ რეალობაში, დისტანციური სამართალწარმოების მასშტაბის ზრდა პანდემიამ განაპირობა. პრაქტიკაში არაერთი ხარვეზი გამოვლინდა დისტანციური სამართალწარმოების პროცესში. „უფლებები საქართველოსთვის“ ინიციატივით მომზადებულ შეფასების ანგარიშში, რომელიც პანდემიის პირობებში ელექტრონული მართლმსაჯულების ეფექტიანობის საკითხს ეხება, დასახელებულია არაერთი პრობლემატური საკითხი. აქედან რამდენიმე საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელების რისკებს შეეხება. პირველ რიგში, საერთო გამოწვევად შეიძლება დასახელდეს ტექნიკური პრობლემები, დისტანციური სხდომის დროს ხმისა და გამოსახულების დაბალი ხარისხი; ასევე, საპატიმრო დაწესებულებებში ვიდეო დარბაზების სიმცირე, სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას ბრალდებულსა და ადვოკატს შორის კონფიდენციალური კომუნიკაციის შეუძლებლობა და სხვ.⁵⁰⁶ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს დახურული სასამართლო სხდომის ჩატარებისას არაუფლებამოსილი პირის დასწრების რისკებზე. კერძოდ, არსებობს იმის ალბათობა, რომ სხდომის ელექტრონული ბმული რაიმე ფორმით გახდეს ხელმისაწვდომი არაუფლებამოსილი პირისათვის, ჰაკერული გზით, ან სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირის მხრიდან მესამე პირზე წვდომის დაშვების შეთხვევაში. ასევე, არსებობს რისკი, რომ დახურული სასამართლო სხდომის ვიდეო-აუდიო ჩანაწერი მოხვდეს საჯარო სივრცეში.⁵⁰⁷ ანგარიშში ნათქვამია, რომ მოსამართლეებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ

⁵⁰⁶ დისტანციურ პროცესში ბრალდებულისა და ადვოკატის კომუნიკაციის რამდენიმე გზა არსებობს: 1. ადვოკატსა და პატიმრობაში მყოფ კლიენტს შორის პოზიციების შეთანხმება სხდომამდე; 2. სხდომამდე ადვოკატსა და კლიენტს შორის ვებექსის პროგრამის მეშვეობით კომუნიკაცია; 3. სხდომის დროს მოსამართლე აცხადებს შესვენებას და ადვოკატისა და ბრალდებულის გარდა, ყველა მონაწილე გადის სისტემიდან, ხოლო ბადრაგი გადის იმ ოთახიდან, სადაც პატიმარი იმყოფება. ბოლო ორ შემთხვევაში, პროგრამა აკეთებს ჩაწერას, რის გამოც კომუნიკაციის კონფიდენციალობა არ არის დაცული. ზოგიერთმა ადვოკატმა აღნიშნა, რომ დისტანციური კომუნიკაციის მეშვეობით ბრალდებულთან ათანხმებს მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც არ არის მკაცრად კონფიდენციალური. იხ: *წიქარიშვილი კ., მჭედლიძე ნ., თვარაძე ა., ხაჩიძე დ.*, ელექტრონული მართლმსაჯულების ეფექტიანობა პანდემიის დროს, „უფლებები საქართველო“, 2020, 24.

⁵⁰⁷ *წიქარიშვილი კ., მჭედლიძე ნ., თვარაძე ა., ხაჩიძე დ.*, ელექტრონული მართლმსაჯულების ეფექტიანობა პანდემიის დროს, „უფლებები საქართველო“, 2020, 20.

ელექტრონულად არასრულწლოვნის დახურული სასამართლო სხდომის წარმოება თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან არ არსებობს რაიმე გარანტია, რომ სხდომის მიმდინარეობა არ იქნება ხელმისაწვდომი მესამე პირებისთვის.⁵⁰⁸

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სხდომის გამართვის ფორმად დისტანციური სამართალწარმოების შერჩევა, განსაკუთრებული სიფრთხილით მიდგომას მოითხოვს მოსამართლის მხრიდან. ვინაიდან, არსებობს სერიოზული რისკები არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის თვალსაზრისით. გარდა იმისა, რომ შესაძლებელია არაუფლებამოსილ პირს უკანონოდ ჰქონდეს წვდომა დისტანციურ სხდომაზე, ასევე სერიოზული საფრთხეები არსებობს იმ კუთხით, რომ ადვოკატსა და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს შორის კომუნიკაციისას დაირღვეს კონფიდენციალობის პრინციპი. მაშინ როცა არასრულწლოვნის მოწყვლადობის გამო, პროცესის სამართლიანობისთვის, არსებითია მისი ქმედითი, კონფიდენციალური იურიდიული დახმარების მომსახურებით უზრუნველყოფა. ამრიგად, მიმაჩნია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტია ნაკლებად არსებობს დისტანციური სამართალწარმოებისას.

ამკ არ ითვალისწინებს არასრულწლოვნის სისხლისსამართალწარმოების შესაძლებლობას დისტანციურ რეჟიმში. ამასთან, ამკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ სხდომის დისტანციურად გამართვის შესაძლებლობას, მოსამართლემ მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს თუ ეს წინააღმდეგობაში არ მოდის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან ან/და არასრულწლოვნისთვის შეღავათს ითვალისწინებს. ამრიგად, ერთი მხრივ შესაძლებელია მოსამართლე მიიჩნევდეს, რომ დისტანციური სამართალწარმოების პროცესში არსებობდეს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის რისკები, თუმცა ამავედროულად, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები მოითხოვდეს პროცესის დაუყოვნებლივ გამართვას, რაც არსებული ვითარების გათვალისწინებით მხოლოდ დისტანციური სამართალწარმოების პირობებში იყოს

⁵⁰⁸ წიქარიშვილი კ., მჭედლიძე ნ., თვარაძე ა., ხაჩიძე დ., ელექტრონული მართლმსაჯულების ეფექტიანობა პანდემიის დროს, „უფლებები საქართველო“, 2020, 25.

შესაძლებელი. ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტების თანახმად, ბავშვის საუკეთესო ინტერესებს შორის პოტენციური კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში, საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს, ინტერესთა ფრთხილი დაბალანსებით.⁵⁰⁹ ამრიგად, იმპერატიულად ვერ გამოვრიცხავთ დისტანციური სამართალწარმოების შესაძლებლობას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ვინაიდან ეს ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია თავად არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესთან იყოს თავსებადი. თუმცა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, მოსამართლის მიერ დისტანციური სამართალწარმოების ღონისძიების შერჩევა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, უნდა წარმოადგენდეს უკიდურეს შემთხვევას და მხოლოდ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესთან თავსებადობის შემთხვევაში გამოსაყენებელ საშუალებას.

⁵⁰⁹ General Comment No. 14 on the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (art. 3, para. 1), UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2013, §39.

თავი IV

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანესია სათანადო გარანტიები არსებობდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროშიც, რათა დაცული იყოს არასრულწლოვანი მისი პერსონალური მონაცემების უკანონო გამჟღავნებისა და გამოქვეყნებისაგან. მართალია, ეს უკანასკნელი საკითხი სცილდება სისხლის სამართალწარმოების პროცესს და ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ექცევა, თუმცა ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40(II)(VII) მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება საქმის განხილვის ყველა სტადიაზე მოიცავს, მათ შორის, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გამჟღავნებისგან დაცვის საკითხსაც.⁵¹⁰ სწორედ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ამკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი კრძალავს არასრულწლოვნის ნასამართლობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას. დაუშვებელია არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამჟღავნება და გამოქვეყნება, გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.⁵¹¹ ვინაიდან, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი წარმოადგენს ბლანკეტურ ნორმას, არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისა და გამოქვეყნების წესთან დაკავშირებით საჭიროა კომპლექსურად მიმოვიხილოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო. ამასთან, კვლევის მიზანს არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროს ყოვლისმომცველი ანალიზი, მონაცემთა

⁵¹⁰ General Comment No. 10: Children's Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2007, §66-67.

⁵¹¹ საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 12/06/2015, მუხ. 13, ნაწ. 2.

დამუშავების⁵¹² მიმართ შესრულებული თითოეული მოქმედების სიღრმისეული მიმოხილვა. კვლევა შემოიფარგლება მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისა და გამოქვეყნებისაგან დაცვის გარანტიებით, რაც შინარსობრივად დაკავშირებული კვლევის საგანთან.

4.1. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვა, როგორც პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტია

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების პირობებში, XXI საუკუნის ერთ-ერთ მთავარ გლობალურ გამოწვევას პერსონალურ მონაცემთა დაცვა წარმოადგენს.⁵¹³ პერსონალური მონაცემების⁵¹⁴ დაცვა დაკავშირებულია ადამიანის ავტონომიურობასთან, იგი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ჭრილში განიხილება,⁵¹⁵ კერძოდ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შემადგენელ კომპონენტად.⁵¹⁶

⁵¹² მონაცემთა დამუშავება – ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება. იხ: საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 28/12/2011, მუხ. 2, „დ“ ქ/პ.

⁵¹³ *გომბე კ.*, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ძირითადი უფლება, გამომც. „იურისტების სამყარო“, 2020, 6; საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2020, 65, <<https://personaldata.ge/ka/about-us>> [20.01.2022]; *გურგენიძე მ.*, ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვა ინტერნეტსივრცეში, 2020, 55, <shorturl.at/mowN7> [20.01.2022].

⁵¹⁴ პერსონალური მონაცემი – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. იხ: საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 28/12/2011, მუხლი 2, „ა“ ქ/პ.

⁵¹⁵ *საგინაშვილი ნ.*, პერსონალურ მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, კრებულში: ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბ., 2015, 167. იხ. ციტირება: *Hustinx P.*, EU Data Protection Law: The Review of Directive 95/46/EC and the Proposed General Data Protection Regulation, 2013, 2, <<https://secure.edps.europa.eu>> [20.01.2021].

⁵¹⁶ *იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2005, 123; *საგინაშვილი ნ.*, პერსონალურ მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა,

საქართველოს კონსტიტუცია არ იცნობს ტერმინს „პერსონალური მონაცემი“, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, იგი კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლების ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია და დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით. ხოლო ფიზიკური პირის პერსონალური მონაცემის გამჟღავნებისგან დაცვის ინტერესზე სასამართლო მსჯელობს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით გარანტირებული ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების ფარგლებში.⁵¹⁷ მიუხედავად, ამგვარი შინაარსობრივი კავშირისა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიები არ უნდა გაიგივდეს პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიებთან.⁵¹⁸

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას, მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში მოიაზრებს.⁵¹⁹ მართალია, აქაც სახელდებით არაა მოხსენიებული „პერსონალური მონაცემები“, თუმცა ევროპული სასამართლო მე-8 მუხლის ფარგლებში განიხილავს, მათ შორის, საჯარო დაწესებულებების მიერ პერსონალური მონაცემების გასაჯაროებისაგან დაცვის უფლებას.⁵²⁰

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის „ძირითადი უფლებების შესახებ“ ქარტია წარმოადგენს პირველ საერთაშორისო აქტს, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას ცალკე უფლებად გამოყოფს. თუმცა, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო ამ უფლებებს შორის მჭიდრო კავშირს აღიარებს

კრებულში: ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბ., 2015, 181.

⁵¹⁷ *კოპალეიშვილი მ.*, კონსტიტუციით დადგენილი ბალანსი სასამართლო აქტებზე საჯარო ხელმისაწვდომობის უფლებასა და პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობისგან დაცვის უფლებას შორის, კვლევა და რეკომენდაციები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად საკანონმდებლო მოწესრიგების საჭიროებაზე, 2020, 17, <http://www.library.court.ge/upload/Study-on-Access-to-Judicial-Acts_Geo.pdf> [20.01.2022].

⁵¹⁸ *ჯობაძე გ.*, პერსონალურ მონაცემთა დაცვა ადამიანის უფლებათა კონტექსტში: საქართველოს მაგალითი, გამოწვევები და ტენდენციები, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, *კორკელია კ. (რედ.)*, GIZ გამომც., თბ., 2011, 329; *გომბე კ.*, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ძირითადი უფლება, გამომც. „იურისტების სამყარო“, 2020, 42.

⁵¹⁹ *Z. v. Finland*, [1997] ECHR, no. 22009/93, §95.

⁵²⁰ ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტო და ევროპის საბჭო, ბავშვის უფლებების ევროპული სახელმძღვანელო, *ლურსმანაშვილი ლ. (მთარგმნელი)*, *ბობოხიძე მ. (რედ.)*, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი გამომც., თბ., 2020, 152. იხ. ციტირება: *Leander v. Sweden*, [1987] ECHR, no. 9248/81; *S. and Marper v. the United Kingdom*, [2008] ECHR, nos. 30562/04, 30566/04.

და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას პირადი ცხოვრების უფლების სპეციალურ კომპონენტად მოიაზრებს.⁵²¹

ბავშვის უფლებათა სამართალში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება წარმოადგენს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-16 მუხლით დაცულ ბავშვის პირადი ცხოვრების უფლების შემადგენელ უფლებრივ ნაწილს, რომლის პატივისცემის ვალდებულება ყველა პირს აკისრია, დაწყებული პროცესის მწარმოებელი ორგანოდან დამთავრებული მისი კანონიერი წარმომადგენლით.⁵²² ამასთან, ამავე კონვენციის მე-40 მუხლის მე-2(ბ)(VII) ქვეპუნქტი საქმისწარმოების ყველა ეტაპზე ავალდებულებს შესაბამის ორგანოს უზრუნველყოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვა. შესაბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი პერსონალური მონაცემების სათანადოდ დაცვა გამჟღავნებისაგან.

ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა კიდევ უფრო მეტი გამოწვევაა, ვინაიდან ახალ შესაძლებლობებთან ერთად იზრდება ამ უფლებაში უკანონო ჩარევის საფრთხეები.⁵²³ ამიტომ ბავშვთა მონაცემების დამუშავების პროცესში განსაკუთრებული როლი აკისრიათ იმ საჯარო და კერძო დაწესებულებებს, რომლებიც ბავშვების მონაცემებს აგროვებენ, იყენებენ, ინახავენ, ასაჯაროებენ. ისინი ვალდებული არიან იხელმძღვანელონ ბავშვის საუკეთესო ინტერესებით.⁵²⁴ ამასთან, მონაცემების დამუშავებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დაცვა მესამე მხარის ან საზოგადოებისაგან,⁵²⁵ რათა არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება არ შეილახოს. განსაკუთრებულ

⁵²¹ *სხირტლაძე ნ.*, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2017, 19.

⁵²² ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტო და ევროპის საბჭო, ბავშვის უფლებების ევროპული სახელმძღვანელო, *ლურსმანაშვილი ლ. (მთარგმნელი), ბობოხიძე მ. (რედ.)*, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი გამომც., თბ., 2020, 154.

⁵²³ საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2020, 65.

⁵²⁴ საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილებები, არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავება, 1, 2020, 4, <<https://www.personaldata.ge/ka/recommendations>> [20.06.2021].

⁵²⁵ *იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2005, 126.

რისკებს შეიცავს პერსონალური მონაცემების გამჟღავნება ინტერნეტ სივრცეში, რამაც არასრულწლოვნის კიბერბულინგის საფრთხე შეიძლება შექმნას.⁵²⁶

არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვის გარანტიები უზრუნველყოფილია კომპლექსური მექანიზმის არსებობით, როგორცაა საერთაშორისო ნორმატიული ბაზა უშუალოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში, აგრეთვე ბავშვის უფლებათა სფეროში მოქმედი საერთაშორისო და ეროვნული აქტები, საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და დარგობრივ კანონთა კომპლექსი. ამასთან, ევროპული საკონსულტაციო და საზედამხედველო ორგანოები⁵²⁷ და მათ შორის, მონაცემთა დაცვის ეროვნული ორგანო - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, უზრუნველყოფენ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლს.⁵²⁸

ევროპის მასშტაბით მოქმედი კონვენცია „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ (ე.წ. „108-ე კონვენცია“)⁵²⁹ იცავს ინდივიდებს, მათ შორის ბავშვებს, უფლებების იმგვარი ხელყოფისაგან, რაც შესაძლებელია თან სდევდეს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას.⁵³⁰ არასრულწლოვანს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების მქონე სუბიექტად მოიაზრებს აგრეთვე ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია“, ⁵³¹ რომელიც არასრულწლოვნის მონაცემების განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობის შესახებ მიუთითებს, „ვინაიდან ისინი შესაძლოა არ ფლობდნენ საკმარის ინფორმაციას იმ უფლებების, რისკებისა და შედეგების შესახებ, რაც დაკავშირებულია მათი მონაცემების დამუშავებასთან.“⁵³² პერსონალურ მონაცემთა

⁵²⁶ ფაჩულია თ., არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების ინტერნეტში გაზიარების საფრთხეები, კრებულში: პერსონალურ მონაცემთა დაცვის აქტუალური პრობლემები და გამოწვევები, *თოლორაია ლ., ფირცხალაშვილი ა. (რედ.)*, 2021, 45, <shorturl.at/buKSU> [20.01.2022].

⁵²⁷ სხირტლაძე ნ., პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2017, 18-19.

⁵²⁸ საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 21/07/2018.

⁵²⁹ Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, Council of Europe, Strasbourg, 1981 (რეტიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 28 ოქტომბრის N2010 - III დადგენილებით).

⁵³⁰ ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტო და ევროპის საბჭო, ბავშვის უფლებების ევროპული სახელმძღვანელო, *ლურსმანაშვილი ლ. (მთარგმნელი), ბობოხიძე მ. (რედ.)*, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომც., თბ., 2020, 153-154.

⁵³¹ The General Data Protection Regulation (GDPR), European Parliament and Council of the European Union, 2016/679, 2016.

⁵³² საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2019, 65, <<https://personaldata.ge/ka/press/post/6359>> [20.06.2021].

დაცვის სფეროში მნიშვნელოვან რეგიონალურ ინსტრუმენტს წარმოადგენს 2016 წლის ევროკავშირის მონაცემთა დაცვის დირექტივა პოლიციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ორგანოებისათვის,⁵³³ რომლის თანახმად, პერსონალური მონაცემის დამმუშავებელი ვალდებულია მიიღოს სათანადო და ეფექტიანი ზომები ბავშვებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავებისას განსაკუთრებული დაცვის გარანტიების შემუშავებისა და განხორციელებისათვის.⁵³⁴

რაც შეეხება ეროვნულ საკანონმდებლო ჩარჩოს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი მონაცემთა სუბიექტად განიხილავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომლის შესახებაც მონაცემი მუშავდება.⁵³⁵ მასში მოიაზრება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანიც. ამასთან, კანონის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს პერსონალური მონაცემების დამუშავებისას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უზრუნველყოფა.⁵³⁶

ამრიგად, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვა წარმოადგენს პირადი ცხოვრების უფლებრივ ნაწილს. როგორც ეროვნული ისე საერთაშორისო ინსტრუმენტების თანახმად, როდესაც მუშავდება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მონაცემები, იგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებით მოსარგებლე სუბიექტად გვევლინება. ვინაიდან, არასრულწლოვნის მოწყვლადობის გამო, მისი პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას განსაკუთრებით ნეგატიური გავლენა შეიძლება ჰქონდეს მის მომავალ ცხოვრებაზე, ამ თვალსაზრისით მონაცემების დაცვის უფრო მაღალი ინტერესი არსებობს, სრულწლოვანთა მონაცემებთან შედარებით.

⁵³³ Directive (EU) 2016/680 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data by competent authorities for the purposes of the prevention, investigation, detection or prosecution of criminal offences or the execution of criminal penalties, and on the free movement of such data, and repealing Council Framework Decision 2008/977/JHA.

⁵³⁴ იქვე, §50.

⁵³⁵ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 28/12/2011, მუხ. 2, „ვ“ ქ/პ.

⁵³⁶ იქვე, მუხ. 1.

4.2. არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების აკრძალვა

არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას კრძალავს „პეკინის წესები“.⁵³⁷ ანალოგიურ განმარტებას აკეთებს ბავშვის უფლებათა კომიტეტი და კატეგორიულად დაუშვებლად მიიჩნევს იმ ტიპის ინფორმაციის გამოქვეყნებას, რომელიც მიანიშნებს დამნაშავე არასრულწლოვნის ვინაობაზე.⁵³⁸ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაცია „წევრი სახელმწიფოების მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულთან ბრძოლის ახალი გზებისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების როლის შესახებ“, 21 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფი ახალგაზრდების დამკვიდრებისათვის ხელის შეწყობას შრომით ბაზარზე უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს, ამ მიზნით, მოუწოდებს სახელმწიფოებს მიიღონ ყველა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ დამსაქმებლებმა ახალგაზრდებს არ მოსთხოვონ საკუთარი ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამუშაოს სპეციფიკა სხვაგვარად მოითხოვს.“⁵³⁹

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი კრძალავს არასრულწლოვნის ნასამართლობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას.⁵⁴⁰ კანონის განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობა არსებითად მნიშვნელოვანია არასრულწლოვნისათვის, რათა მან შეძლოს საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად თავის დამკვიდრება და მის მიმართ გამოყენებულ ზომას რეალურად ჰქონდეს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის შედეგი. ამასთან, არსებობს სერიოზული რისკები, რომ არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის

⁵³⁷ United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"), General Assembly, Resolution 40/33, 29 November 1985, art. 8.2.

⁵³⁸ General Comment No. 10: Children's Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2007, §64.

⁵³⁹ Recommendation Rec(2003)20 of the Committee of Ministers to Member States Concerning New Ways of Dealing with Juvenile Delinquency and the Role of Juvenile Justice, the Committee of Ministers, 24 September 2003.

⁵⁴⁰ საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 12/06/2015, მუხ. 13, ნაწ. 2.

გამჟღავნებით მის ნორმალურ მომავალ ცხოვრებას, დასაქმებას, განათლებას და ა.შ. საფრთხე შეექმნება.⁵⁴¹

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის თანახმად, არასრულწლოვნის ნასამართლობა წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს⁵⁴², რომელიც გამიჯნულია ჩვეულებრივი პერსონალური მონაცემის დაცვის რეჟიმისგან და ვინაიდან იგი განსაკუთრებით მგრძობიარე მონაცემთა კატეგორიას განეკუთვნება, დაცვის უფრო მაღალი გარანტიებით სარგებლობს. შესაბამისად, ამ მონაცემის კონფიდენციალობის დაცვას საქმისწარმოების ყველა ეტაპზე უნდა მიექცეს ყურადღება, რათა არასრულწლოვნის ინტერესებს ზიანი არ მიადგეს.⁵⁴³ როგორც წესი, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აკრძალულია, თუმცა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში შეიძლება დამუშავდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ამ კატეგორიის მონაცემებიც. კერძოდ, სისხლის სამართლის პროცესში მისი პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოებისას, მსჯავრდებული არასრულწლოვნის მიმართ მის მიერ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ან/და სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას; აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები მუშავდება „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების აღსრულების მიზნით; არასრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის, დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისა და არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესის კოორდინაციის

⁵⁴¹ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე, 69.

⁵⁴² განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი - მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. იხ: საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 28/12/2011, მუხ. 2, „ბ“ ქ/პ.

⁵⁴³ სხირტლაძე ნ., პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2017, 33-34.

მიზნით.⁵⁴⁴ ამრიგად, ყველა შესაბამისი ფუნქციის განმახორციელებელი ორგანო წარმოადგენს არასრულწლოვნის მონაცემების დამმუშავებელ ორგანოს, რომელიც ვალდებულია მონაცემები დაამუშაოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში კი მონაცემთა დამმუშავებელი ორგანოების მხრიდან ახალი ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო სისტემების გამოყენება დამატებით გამოწვევებს ქმნის სისხლის სამართალწარმოებაში.⁵⁴⁵

აღსანიშნავია, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი არ ვრცელდება სასამართლოში სამართალწარმოების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე, რადგან ამან შეიძლება დააზიანოს სამართალწარმოება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.⁵⁴⁶ აგრეთვე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის მოქმედება არ ვრცელდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და დანაშაულის გამოძიების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე, თუ საკითხი პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ან „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით ან სხვა სპეციალური კანონით.⁵⁴⁷ რაც შეეხება მედიასაშუალებების მიერ მონაცემთა საზოგადოების ინფორმირების მიზნით დამუშავებას, ეს საკითხიც დარგობრივი კანონმდებლობითა და თვითრეგულირების მექანიზმით წესრიგდება და მასზე არ ვრცელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი, გარდა მე-17 მუხლისა (მონაცემთა უსაფრთხოება)⁵⁴⁸ (ეს უკანასკნელი საკითხი დეტალურად განხილულია ნაშრომის V თავში). ნიშანდობლივია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციასთან შედარებით, როგორცაა კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, მონაცემთა დაცვის სპეციალურ სფეროთა რეგულაციას უპირატესი ძალა ენიჭება. ხოლო თუ არ არსებობს ასეთი სპეციალური რეგულაცია,

⁵⁴⁴ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 28/12/2011, მუხ. 6, „ვ-ზ“ ქ/პ.

⁵⁴⁵ *ფაფიაშვილი ლ.*, სისხლის სამართალწარმოებაში პერსონალური მონაცემების დაცვის ევროპეიზაციის ტენდენციები, კრებულში: ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, *თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2019, 585.

⁵⁴⁶ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 28/12/2011, მუხ. 3, ნაწ. 3, პუნქტი „ბ“.

⁵⁴⁷ იქვე, მუხ. 3, ნაწ. 6.

⁵⁴⁸ იქვე, მუხ. 3, ნაწ. 4.

მაშინ მოქმედებს მონაცემთა დაცვის ზოგადი კანონი.⁵⁴⁹ ამრიგად, თუ სასამართლოს აქტი, საპროცესო ან საგამომიებო მოქმედებათა ოქმი შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის უფლება მონაცემთა წაშლაზე, შესწორებაზე, მოპოვებასა ან დამუშავების შეზღუდვაზე უნდა განხორციელდეს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.⁵⁵⁰ ზოგადად, საქართველოს სისხლის საპროცესო კანონმდებლობა არ გამორიცხავს ლეგიტიმური საჯარო მიზნებისთვის, მაგალითად, დანაშაულის გამოძიების, მართლმსაჯულების განხორციელების, პრევენციისა და სხვა მიზნებისთვის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას. მაგალითად, როდესაც საჭიროა ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის გამოყენება, სასჯელის განსაზღვრისას, პოტენციური დანაშაულის ჩადენის რისკის შეფასებისთვის და სხვ. რა დროსაც პერსონალური მონაცემების მოპოვება ხდება სხვადასხვა საინფორმაციო ბაზებიდან.⁵⁵¹

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის, მათ შორის, ნასამართლობის გასაჯაროვებას და მესამე პირისთვის გამჟღავნებას კრძალავს მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე.⁵⁵² GDPR-ის მოთხოვნების შესაბამისად, 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შემთხვევაში თანხმობა მიიღება მისი კანონიერი წარმომადგენლისგან.⁵⁵³ ამავდროულად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი, იმპერატიულად კრძალავს არასრულწლოვნის ნასამართლობის

⁵⁴⁹ *სხირტლაძე ნ.*, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2017, 17. იხ. ციტირება: *Durner W.*, Zur Einführung: Datenschutzrecht, in: Juristische Schulung. Zeitschrift für Studium und Referendariat, №3, 2006, 214.

⁵⁵⁰ *ფაფიაშვილი ლ.*, სისხლის სამართალწარმოებაში პერსონალური მონაცემების დაცვის ევროპეიზაციის ტენდენციები, კრებულში: ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, *თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2019, 593.

⁵⁵¹ *ავტორთა კოლექტივი*, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, *გიორგაძე გ. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2015, 68-69; *ფაფიაშვილი ლ.*, სისხლის სამართალწარმოებაში პერსონალური მონაცემების დაცვის ევროპეიზაციის ტენდენციები, კრებულში: ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, *თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2019, 594.

⁵⁵² საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 28/12/2011, მუხ. 6, ნაწ. 3.

⁵⁵³ The General Data Protection Regulation (GDPR), European Parliament and Council of the European Union, 2016/679, 2016, Art. 8.

გასაჯაროვებას, რაც მაღალი სტანდარტით უზრუნველყოფს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობას. ნიშანდობლივია, რომ ამკ-ის 84-ე მუხლის მე-6 ნაწილი კიდევ ერთ გარანტიას ითვალისწინებს ნასამართლობის გამჟღავნების პრევენციის მიზნით. აღნიშნული ნორმის თანახმად, არასრულწლოვნის მიერ ბრალდებულად ყოფნის ან სასჯელის მოხდის პერიოდში მიღებულ განათლების დამადასტურებელ დოკუმენტში, არ მიეთითება ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელია არასრულწლოვნის, როგორც ნასამართლევის ან ყოფილი მსჯავრდებულის, იდენტიფიცირება.⁵⁵⁴

გარდა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო გარანტიებისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ პირთა სანქციონირების საკითხი, რომლებიც უკანონოდ გამჟღავნებენ არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ ინფორმაციას. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი, განსაკუთრებულ მონაცემთა კატეგორიის კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე დამუშავებისთვის ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, ჯარიმას 1000 ლარის ოდენობით.⁵⁵⁵ ხოლო იმ შემთხვევაში თუ პერსონალური მონაცემების უკანონოდ დამუშავებამ, მათ შორის, გამჟღავნებამ, მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, აღნიშნული ქმედება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის საფუძველზე,⁵⁵⁶ დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს იგივე ქმედების ჩადენა იმ პირის მიერ, ვისაც სამსახურებრივი მდგომარეობის, პროფესიული საქმიანობის ან სხვა გარემოების გამო ევალებოდა ამ ინფორმაციის ან მონაცემების დაცვა. მართალია, როგორც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის, ისე სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები ზოგადად ყველა პირის, მათ შორის, არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების ხელყოფისგან დაცვას ემსახურება მიზნად და ამ თვალსაზრისით ქმნიან პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიას, თუმცა ვინაიდან, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის, მათ შორის, ნასამართლობის

⁵⁵⁴ საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 12/06/2015, მუხ. 84, ნაწ. 6.

⁵⁵⁵ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 28/12/2011. მუხ. 44-45.

⁵⁵⁶ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 22/07/1999.

გამქლავნების შემთხვევა, ბევრად მძიმე შედეგის მომტანია არასრულწლოვნისთვის, ვიდრე იგივე შემთხვევა სრულწლოვნის მიმართ, მიზანშეწონილია თუ არასრულწლოვნის მიმართ იგივე ქმედებების ჩადენა მიჩნეული იქნება დამამძიმებელ გარემოებად და ამ მხრივ განხორციელდება საკანონმდებლო ცვლილებები, როგორც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლში, ისე სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლში, რაც კიდევ უფრო მაღალი სტანდარტით უზრუნველყოფს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობას.

4.3. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამქლავნებისა და გამოქვეყნების აკრძალვა

„ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ“ გაიდლაინები, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხზე და წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი არანაირი ინფორმაცია არ გახდეს საჯარო და არ გამოქვეყნდეს. არასრულწლოვნის ჩანაწერებზე წვდომა უნდა იყოს მკაცრად შეზღუდული, ხოლო ასეთი ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობის შემთხვევაში, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მონაცემთა დაცვის შესახებ შესაბამისი კანონმდებლობის მიღება.⁵⁵⁷ იგი მკაცრ ვალდებულებას აკისრებს ბავშვებთან მომუშავე ყველა პროფესიონალს დაიცვან არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ბავშვისთვის ზიანის მიყენების საშიშროება.⁵⁵⁸ განსაკუთრებით საყურადღებოა საგამომიებო ორგანოებისა და სასამართლოს თანამშრომლობა მედიასთან არასრულწლოვანთა დანაშაულის გაშუქების თვალსაზრისით. ბავშვის უფლებათა კომიტეტის №10 ზოგადი კომენტარი საჯარო ორგანოებისგან მოითხოვს თავი შეიკავონ მედიასთან ურთიერთობისას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ბავშვის შესაძლო ბრალეულობას, ძალზედ იშვიათი გამონაკლისების გარდა. მათ ყველა ზომა უნდა მიიღონ იმისათვის,

⁵⁵⁷ Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice, 2010, §6-10.

⁵⁵⁸ იქვე, IV, 59-61.

რათა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ვინაობა არ გამჟღავნდეს პრეს-რელიზების მეშვეობით.⁵⁵⁹

არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება მესამე პირისთვის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხს უკავშირდება, რომელიც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით.⁵⁶⁰ პირს უფლება აქვს მოითხოვოს ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, მათ შორის კერძო საკითხებთან დაკავშირებითაც, რაც შეიძლება შეიზღუდოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში,⁵⁶¹ მათ შორის, არასრულწლოვნის უფლებების დასაცავად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს „არ გამჟღავნოს პირის პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად.“⁵⁶² საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება, არამხოლოდ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის - ნასამართლობის, არამედ, არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამჟღავნებასა და გამოქვეყნებასაც კრძალავს, გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, თუ რა შემთხვევაში უშვებს ეს უკანასკნელი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების შესაძლებლობას.

თუ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მონაცემი არ განეკუთვნება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს, მონაცემთა დამუშავება, მათ შორის გამჟღავნება დასაშვებია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მე-5 მუხლი განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაშია

⁵⁵⁹ General Comment No. 10: Children's Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2007, §64.

⁵⁶⁰ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტი, 24/08/1995, მუხ. 18.

⁵⁶¹ იქვე, მუხ. 18.(3).

⁵⁶² საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 25/06/1999, მუხ. 44.

დასაშვები მონაცემთა დამუშავება. მაგ. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ პუნქტის თანახმად, მონაცემები მუშავდება მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად.⁵⁶³ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ძნელად წარმოსადგენია შემთხვევა, როცა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მონაცემთა გამჟღავნება მის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდეს. ეს შემთხვევა სავარაუდოდ შეიძლება მიემართებოდეს მაგ. დაზარალებულ არასრულწლოვანს. „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ გაიდლაინები“ განსაკუთრებულ შემთხვევებში უშვებენ არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გავრცელებას პრესაში, როცა ეს შეიძლება წარმოადგენდეს ბავშვის ინტერესს და საქმის გამჟღავნებამ და გასაჯაროებამ შეიძლება მის სასარგებლოდაც იმოქმედოს. აღნიშნულის მაგალითად მოყვანილია ბავშვის გატაცების შემთხვევა.⁵⁶⁴ მართალია, საკითხი მედიის მიერ ბავშვთა საკითხების გაშუქების ჭრილშია განხილული, თუმცა ამგვარი ინფორმაციის გავრცელება შესაძლებელია თავად საგამომიებო ორგანოს ინიციატივით განხორციელდეს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 ნაწილის „ე“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, როცა ის აუცილებელია მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი.⁵⁶⁵ ამავე მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად, უშვებს მონაცემთა დამუშავებას, მათ შორის გამჟღავნებას, იმ შემთხვევაში, როცა ის აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად.⁵⁶⁶ ამრიგად, მონაცემების დამმუშავებელი ორგანო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს თუ რომელი ინტერესია უპირატესი. უფლებამოსილმა პირმა უნდა შეაფასოს, არასრულწლოვნის მონაცემთა გასაჯაროება არის თუ არა მიზნის მიღწევის აუცილებელი და პროპორციული საშუალება. ამრიგად, კანონმდებლობით რაიმე დამატებითი გარანტიები უშუალოდ არასრულწლოვნის მონაცემთა გამჟღავნებისაგან დაცვის თვალსაზრისით არ არის

⁵⁶³ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 28/12/2011, მუხ. 5., „დ“ პუნქტი.

⁵⁶⁴ Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on Child-friendly justice, 2010, IV, 59-60.

⁵⁶⁵ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 28/12/2011, მუხ. 5.

⁵⁶⁶ იქვე.

გათვალისწინებული, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სტანდარტები მიისწრაფვიან არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრებისკენ. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ რომ არამხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის, არამედ ზოგადად არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მაღალი სტანდარტით უზრუნველსაყოფად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონში უნდა აისახოს ცვლილებები, რომლის თანახმად, მონაცემების დამმუშავებელი ორგანო ვალდებული იქნება მონაცემები დაამუშავოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, რაც თავისთავად არ გამოირიცხავს გამონაკლის შემთხვევებში საზოგადოების ან სხვა ინტერესების სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, თუმცა მონაცემთა დამმუშავებელი ორგანო ვალდებული იქნება უპირატესად გაითვალისწინოს არასრულწლოვნის ინტერესები.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ანგარიშებში, არაერთხელ აღინიშნა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას აუცილებელია იმგვარი დარღვევების პრევენცია, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ბავშვის ღირსების შელახვა, მისი სტიგმატიზაცია, ბულინგი, დისკრიმინაცია ან ნეგატიური გავლენა მის ემოციურ მდგომარეობასა და განვითარებაზე.⁵⁶⁷ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისა და მედიისთვის განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს ბავშვებთან მომუშავე ნებისმიერი პირისგან, იქნება ეს გამომძიებელი, ადვოკატი, პროკურორი თუ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების წარმომადგენელი. ამასთან, განსაკუთრებით საფრთხილოა გამოძიების ეტაპზე მედიისთვის ინფორმაციის მიწოდება. ერთი მხრივ, არ უნდა დაზიანდეს საგამომძიებო ინტერესები, ხოლო მეორე მხრივ, დაცული უნდა იქნეს ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფცია.⁵⁶⁸ სახელმწიფო ინსპექტორის საქმიანობის 2019 და 2020 წლების ანგარიშებში ნათქვამია, რომ ერთ-ერთ მთავარ

⁵⁶⁷ საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილებები, არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავება 1, 2020, 4; საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, ანგარიში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ, 2018, 37.

⁵⁶⁸ *აქუბარდია ი., გოგშელიძე რ., ფაფიშვილი ლ., გოგინაშვილი ნ.*, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, გამომც. „სამართალი“, თბ., 2009, 161-162.

გამოწვევად რჩება სამართალდამცავი ორგანოების მიერ არასრულწლოვანთა ირიბი იდენტიფიცირების შემთხვევები პრესრელიზებსა და ბრიფინგებზე. მაგალითად, არასრულწლოვნის ასაკის, ვიდეომასალაზე აღბეჭდილი არასრულწლოვნის ტანსაცმლის გამოჩენა, დანაშაულის ჩადენის ადგილის მითითება და სხვ.⁵⁶⁹ ამრიგად, საგამომიებო ორგანოებმა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის სავარაუდო ჩადენის შესახებ მედიისთვის ინფორმაციის მიწოდებისას მაქსიმალური სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ, რათა არ გასაჯაროვდეს არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. მიზანშეწონილია, პრესრელიზები თუ პრეს-კონფერენციები მომზადდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში კვალიფიციური კადრის მიერ. ამასთან, მნიშვნელოვანია დეტალურად გაიწეროს თუ რა ტიპის ინფორმაციის მიწოდების უფლება აქვს შესაბამის პირს მედიისთვის.

4.4. არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენებზე მესამე პირთა ხელმისაწვდომობა

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სასამართლო განაჩენებზე მესამე პირთა ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ერთი მხრივ, არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვის და მეორე მხრივ, ინფორმაციის თავისუფლების თვალსაზრისით, ვინაიდან სასამართლოს გამჭვირვალობა სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებასაც გულისხმობს.⁵⁷⁰ ნაშრომის 3.2. ქვეთავში დეტალურად მიმოვიხილეთ არასრულწლოვნის დახურულ სასამართლო სხდომაზე განაჩენის გამოცხადების საკითხი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზმა ცხადყო, რომ თუ მთლიანი პროცესი დახურულ სასამართლო სხდომაზე წარიმართა და ამასთან განაჩენი გამოცხადებულ იქნა ასევე დახურულ სასამართლო

⁵⁶⁹ საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2019, 68-69; საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2020, 84.

⁵⁷⁰ ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2012, 219.

სხდომაზე, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოებისათვის განაჩენების ხელმისაწვდომობა დეპერსონალიზებული⁵⁷¹ სახით. მხოლოდ ამგვარი რეგულირება არ არღვევს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნებს.⁵⁷² მართალია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოქმედება არ ვრცელდება სასამართლოში სამართალწარმოების მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე,⁵⁷³ მაგრამ მას შემდეგ რაც დასრულდება სამართალწარმოება, მესამე პირთათვის სასამართლო აქტის გაცნობა ექცევა არა სასამართლო, არამედ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში.⁵⁷⁴ ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო ხელმისაწვდომობას კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით იხილავს, ამავდროულად მას სამართლიანი სასამართლოს უფლების უმნიშვნელოვანეს უფლებრივ კომპონენტად მიიჩნევს.⁵⁷⁵ ამრიგად, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, თუ როგორ მიიღწევა ბალანსი სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობასა და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობას შორის, რომლებიც ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესებს წარმოადგენენ.

⁵⁷¹ მონაცემთა დეპერსონალიზაცია - მონაცემთა იმგვარი მოდიფიკაცია, რომ შეუძლებელი იყოს მათი დაკავშირება მონაცემთა სუბიექტის ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებსა და დროს საჭიროებდეს. იხ. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს პარლამენტი, 28/12/2011, მუხ. 2, პუნქტი „რ“.

⁵⁷² საქმეში *ბ. და კ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის დარღვევად არ მიიჩნია არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მიზნით გადაწყვეტილების დახურულ სასამართლო სხდომაზე გამოცხადება, იმ პირობით, თუ ეროვნული სასამართლოების მიერ უზრუნველყოფილი იქნებოდა პერსონალური მონაცემების გამომრიცხველი ფორმით გადაწყვეტილების საჯარო ხელმისაწვდომობა, რაც საზოგადოებას საშუალებას მისცემდა შეესწავლა სასამართლოს მიდგომები მსგავსი ტიპის საქმეებზე. იხ: *B. & P. v. The United Kingdom*, [2001] ECHR, nos. 36337/97 and 35974/9, §47.

⁵⁷³ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს პარლამენტი, 28/12/2011, მუხ. 3, ნაწ. 3., „ბ“ ქ/პ.

⁵⁷⁴ *სხირტლაძე ნ.*, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2007, 148.

⁵⁷⁵ *კოპალეიშვილი მ.*, კონსტიტუციით დადგენილი ბალანსი სასამართლო აქტებზე საჯარო ხელმისაწვდომობის უფლებასა და პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობისგან დაცვის უფლებას შორის, კვლევა და რეკომენდაციები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად საკანონმდებლო მოწესრიგების საჭიროებაზე, 2020, 17, <http://www.library.court.ge/upload/Study-on-Acess-to-Judicial-Acts_Geo.pdf> [20.01.2022].

4.4.1. საქართველოს საერთო სასამართლოებში არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენებზე მესამე პირთა ხელმისაწვდომობა

სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობისა და მათში მოცემული პერსონალური ინფორმაციის დაცვის ინტერესებს შორის ბალანსის შეფასების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილებით,⁵⁷⁶ რომლითაც საქართველოს პარლამენტს დაევალა იმგვარი საკანონმდებლო მოწესრიგება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება საერთო სასამართლოების მიერ მიღებული აქტების საჯარო ხელმისაწვდომობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

დღევანდელი მგომარეობით, სასამართლო გადაწყვეტილებების პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით, საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში ფუნქციონირებს ვებ-გვერდი www.ecd.court.ge⁵⁷⁷. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-3¹ ნაწილის თანახმად, აღნიშნულ ვებ-გვერდზე უნდა იტვირთებოდეს ღია სასამართლო სხდომაზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება, ხოლო დახურულ სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების შემთხვევაში - მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი.⁵⁷⁸ საერთო სასამართლოებში გადაწყვეტილებების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემის საკითხის გადაწყვეტისას, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით „საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“,⁵⁷⁹ რომელიც იმპერატიულად კრძალავს არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილი განაჩენის სრული ტექსტის

⁵⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁵⁷⁷ საქართველოს სასამართლოების საქმისწარმოების სისტემა, <<https://ecd.court.ge/>> [20.06.2021].

⁵⁷⁸ საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 04/12/2009.

⁵⁷⁹ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს №1/250 გადაწყვეტილება „საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“, 12.09.2016, მუხ. 2, ნაწ. 1.

ხელმისაწვდომობას და მხოლოდ დეპერსონალიზებული სახით სარეზოლუციო ნაწილის გაცემის შესაძლებლობას იძლევა. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულმა ზემოაღნიშნულმა გადაწყვეტილებამ შესაბამის საკანონმდებლო მოწესრიგებამდე, განაპირობა საერთო სასამართლოების მიერ არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილი განაჩენების ხელმისაწვდომობის საკითხზე არაერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვა. ნაწილი სასამართლოებისა განაჩენებს გაცემს დეპერსონალიზებული სახით, ნაწილი მოითხოვს მონაცემთა სუბიექტის თანხმობას, ხოლო ნაწილი საერთოდ უარს ამბობს მის გაცემაზე. საჯარო ინფორმაციის სახით არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილი განაჩენების გამოთხოვის შესახებ განცხადებაზე თბილისის საქალაქო სასამართლომ უარი განაცხადა იმ არგუმენტაციით, რომ „ვინაიდან არასრულწლოვან პირთა ინტერსების დაცვის მიზნით, მათ მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეები განიხილება დახურულ სასამართლო სხდომაზე, ... არ ხორციელდება აღნიშნულ საქმეებზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების დამუშავება და შესაბამისად, არ ხდება მათი საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსება.“⁵⁸⁰ ანალოგიური მიზეზით თქვა უარი გორის რაიონულმა სასამართლომ განაჩენების დეპერსონალიზებული ფორმით გაცემის მოთხოვნაზე.⁵⁸¹ განსხვავებული იყო მიდგომა ქუთაისის სააპელაციო და ბათუმის საქალაქო სასამართლოების მხრიდან, რომლებმაც გაცეს არასრულწლოვანთა საქმეებზე მიღებული განაჩენები დეპერსონალიზებული სახით.⁵⁸² ხოლო მცხეთის რაიონული სასამართლოსა და სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივიდან მიღებული პასუხების თანახმად, მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის თანხმობის წარდგენის შემთხვევაში იყო დასაშვები სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემა.⁵⁸³

ამრიგად, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, დასაშვებია თუ არა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილი განაჩენების ხელმისაწვდომობა დაინტერესებულ პირთათვის და თუ დასაშვებია, რა ფორმით

⁵⁸⁰ თბილისის საქალაქო სასამართლო, წერილი №1-01111/16869, 10.06.2021.

⁵⁸¹ გორის რაიონული სასამართლო, წერილი №გ/ფ-2240, 29.12.2021.

⁵⁸² ბათუმის საქალაქო სასამართლო, წერილი №810გ/კ, 28.12.2021; ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, წერილი №339-2/10, 21.06.2021.

⁵⁸³ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივი, წერილი №07-547, 26.01.2022.

უნდა გაიცეს იგი? ამ მიზნით მიმოვიხილავთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას.

სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის უფლება, „უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფოში ღია მმართველობის განხორციელებას... აღნიშნული უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, შექმნას შესაბამისი გარანტიები, რათა შესაძლებელი გახადოს საჯარო საკითხებთან დაკავშირებით მოქალაქის ინფორმირებულობა. ... ინფორმაციის ღიაობა ხელს უწყობს სახელმწიფო დაწესებულებების ანგარიშვალდებულების ამალებასა და საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას.“⁵⁸⁴ ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, არამხოლოდ საჯარო, არამედ კერძო საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზეც შესაძლებელია ხელი მიუწვდებოდეს მესამე პირებს, კონსტიტუცია არ მოითხოვს ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის სრულად დახურვას.⁵⁸⁵ ამავდროულად, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნეს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა, რათა საიდუმლოების დაცვა არ გახდეს ილუზორული, საიდუმლოების შემცველი სასამართლოს გადაწყვეტილების ტექსტის გაცნობით.⁵⁸⁶

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისს მიღებულ გადაწყვეტილების თანახმად, მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ გასაჩივრებული ნორმების⁵⁸⁷ იმ ნორმატიულ შინაარსს, რომელიც ზღუდავდა ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვის კონსტიტუციურობა შეაფასა მხოლოდ საერთო სასამართლოების მიერ ღია სხდომის ფარგლებში მიღებულ სასამართლო აქტებზე ხელმისაწვდომობის კონტექსტში. აღნიშნული დავის ფარგლებში სასამართლოს მთავარი ამოცანა იყო დაეხმებინა დაპირისპირებული ინტერესები, ერთი მხრივ, სასამართლოს

⁵⁸⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის №1/4/757 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-5.

⁵⁸⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/1/752 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-10.

⁵⁸⁶ *სხირტლაძე ნ.*, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2007, 146.

⁵⁸⁷ ზაკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი და მე-6 მუხლების 1-ლი და მე-3 პუნქტების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის 1-ლ პუნქტთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

აქტებზე ხელმისაწვდომობისა და მართლმსაჯულების გამჭვირვალობის ინტერესი და მეორე მხრივ, პირის ინტერესი, არავისთვის გახდეს ხელმისაწვდომი სასამართლოს აქტებში მის შესახებ არსებული ინფორმაცია.⁵⁸⁸ სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოს მიერ ხელისუფლების განხორციელების ლეგიტიმაციის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წყაროა მისი საზოგადოებრივი ნდობა, რაც გამჭვირვალე მართლმსაჯულების გარეშე წარმოუდგენელია. ამასთან, საზოგადოების ინფორმირების საშუალებით შესაძლებელია, თავიდან იქნეს აცილებული დახურულ კარს მიღმა მიკერძოებული გადაწყვეტილებების მიღება.⁵⁸⁹ აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გარდა სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობისა, სამართლებრივი უსაფრთხოების ინტერესი არანაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნია. ვინაიდან, სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებას დიდი მნიშვნელობა აქვს კანონის რეალური შინაარსის განსაზღვრისას. სასამართლოს გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობით კი უზრუნველყოფილი იქნება პირის შესაძლებლობა იცოდეს როგორც კანონმდებლობის, ისე მისი პრაქტიკაში გამოყენების შინაარსი.⁵⁹⁰

მართალია, აღნიშნულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ ღია სასამართლო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის საკითხთან მიმართებით, თუმცა არასრულწლოვანი პირების შესახებ მონაცემებთან დაკავშირებით არ გამორიცხა იმგვარი ბალანსის დადგენა კანონმდებლის მიერ, „რომლის ფარგლებშიც, როგორც წესი, არ გაიცემა სასამართლო აქტებში მოცემული პერსონალური მონაცემები უშუალოდ სუბიექტის ნების გარეშე. ამრიგად, ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის მომეტებულმა ინტერესმა, შესაძლოა, გადაწონოს საზოგადოების ინტერესი, რაც სასამართლოს აქტების გაცნობის გზით მართლმსაჯულებაზე ზედამხედველობის განხორციელებას გულისხმობს. ამავდროულად, აუცილებელია, ასეთი კატეგორიის ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა მხედველობაში მიიღონ, ხომ არ არსებობს კონკრეტულ საქმეზე მომეტებული საზოგადოებრივი

⁵⁸⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁵⁸⁹ იქვე, II-45-46.

⁵⁹⁰ იქვე, II-49.

ინტერესი, რომელიც გადაწონის მონაცემების კონფიდენციალობის დაცვის ინტერესს.⁵⁹¹ ამრიგად, „ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ხარისხი იცვლება იმის მიხედვით, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის გაუმჟღავნებლობას პირადი ცხოვრების უფლებისათვის. მისი დაცვის ინტერესი იზრდება პირადი ცხოვრების უფლებაზე ინფორმაციის გამჟღავნებით გამოწვეული ნეგატიური გავლენის ზრდასთან ერთად. ნეგატიური გავლენის ინტენსივობა და, შესაბამისად, ინფორმაციის დაცვის მაღალი ინტერესი, შესაძლოა, განაპირობოს ინფორმაციის კატეგორიამ, მიღებასა და გამჟღავნებასთან დაკავშირებულმა გარემოებებმა და სხვა მნიშვნელოვანმა ფაქტორებმა.“⁵⁹²

ვფიქრობ, საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენებზე დაინტერესებული პირების ხელმისაწვდომობას. გადაწყვეტილებაში საუბარია არა არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილი განაჩენების გაცემის აკრძალვაზე, არამედ გადაწყვეტილებების „სრული ტექსტის“ (მაიდენტიფიცირებელი გარემოებებით) გაცემისთვის უარის თქმის შესაძლებლობაზე. ვინაიდან, აღნიშნული გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემას.“ შესაბამისად, როდესაც საქმე ეხება არასრულწლოვნის შესახებ განაჩენის ხელმისაწვდომობას დაინტერესებული პირებისთვის, იგი უნდა გაიცეს დეპერსონალიზებული ფორმით, იმგვარად, რომ არ მოხდეს არასრულწლოვნის როგორც პირდაპირი, ისე ირიბი იდენტიფიკაცია.⁵⁹³ ამრიგად,

⁵⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-66.

⁵⁹² იქვე.

⁵⁹³ არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილი განაჩენების დეპერსონალიზებული სახით გაცემა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიდგომა დეპერსონალიზებული სახით გასცეს არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილი განაჩენები უდაოდ მისასაღმებელია, თუმცა, განაჩენთა დაშტრიხვისას გაპარულია შეცდომები. საჯარო ინფორმაციის სახით დეპერსონალიზებული ფორმით მოწოდებული 5 განაჩენიდან 4 მათგანი, რიგ შემთხვევებში, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირდაპირი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა, ვინაიდან არაა დაშტრიხული არასრულწლოვნების სახელი და გვარი. იხ: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 25 ივლისის განაჩენი საქმეზე №1/ბ-480-2019; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 13 ივნისის განაჩენი საქმეზე №1/ბ-235-2019), ხოლო რიგი განაჩენების შემთხვევაში შესაძლებელია არასრულწლოვან მოწმეთა პირდაპირი იდენტიფიცირება, ვინაიდან აქაც გაპარულია ტექნიკური შეცდომები და არაა

მიდგომა ამგვარი კატეგორიის საქმეებზე უნდა იყოს - „როგორც წესი არ გაიცემა“ სრული სახით, თუმცა გაიცემა დეპერსონალიზებული ფორმით, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს საქმის განხილველი მოსამართლის ან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირის მიერ, ხოლო ღია სასამართლო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების - „როგორც წესი გაიცემა სრული ტექსტი“, ხოლო პერსონალური მონაცემების დაცვა დამოკიდებული იქნება იმაზე, აქვს თუ არა მისი კონფიდენციალობის დაცვის ინტერესი უშუალოდ მონაცემთა სუბიექტს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან არასრულწლოვნის სასამართლო საქმის განხილვა დახურულ სხდომაზე მიმდინარეობს, არსებობს იმის ლეგიტიმური მოლოდინი რომ მისი პერსონალური მონაცემები დაცული იქნება. შესაბამისად, მისი პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობა უდავოა. ამასთან, მნიშვნელოვანია საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასდეს. პრაქტიკაში შესაძლოა წარმოიშვას შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილი განაჩენის გაცემა, თუნდაც დეპერსონალიზებული ფორმით, არ იყოს მიზანშეწონილი. ფაქტობრივი გარემოებები შესაძლოა მაინც იძლეოდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ასევე, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა აღარ არსებობდეს არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესი, თუნდაც ისეთ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი პროცესის მსვლელობის დროს გახდა სრულწლოვანი და ვინაიდან, ზემდგომ ინსტანციაში სხდომა საჯაროდ წარიმართა, მიღებული გადაწყვეტილებების სრული ტექსტი იყოს ხელმისაწვდომი. ამიტომ, ასეთ შემთხვევებში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დეპერსონალიზება აზრს კარგავს.⁵⁹⁴ თუმცა, აქვე კიდევ ერთხელ

დამტრიალი არასრულწლოვანი მოწმეთა სახელი და გვარი (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 6 ივნისის განაჩენი საქმეზე №1/ზ-202-2018; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 18 თებერვლის განაჩენი საქმეზე №1/ზ-23-2020. ანალოგიურ შეცდომებს ვხვდებით ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენებშიც. იხ: ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 მარტის განაჩენი საქმეზე N 1-23/19; ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 2 აპრილის განაჩენი საქმეზე №1-691/18.

⁵⁹⁴ მაგ. „შაქარაშვილის საქმეზე“, ბრალდებულებიდან ერთ-ერთი არასრულწლოვანი სრულწლოვანების მიღწევამდე მოხსენიებულია ინიციალებით, ხოლო მას შემდეგ, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენი გამოიტანა და იგი სრულწლოვანი გახდა, მისი სახელი და გვარი გამჟღავნდა. იხ: საერთაშორისო სამაუწყებლო კომპანია „რადიო თავისუფლება“, <<https://www.radiotavisupleba.ge/a/31141445.html>> [20.01.2022]; შეად. სააგენტო „პრაიმტიმი“, <<https://ptn.primetime.ge/shaqarashvilis-saqmeze-braldebulebi-ganachens-gaasachivreben/>> [20.01.2022].

აღვნიშნავ, რომ ამ უკანასკნელი საკითხისადმი მსგავსი მიდგომა სრულად უფლებელყოფს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიზნებს. მითუმეტეს, რომ ბავშვის უფლებათა კომიტეტი რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოებს, იმ არასრულწლოვანთა სახელები, რომლებმაც 18 წლის ასაკის მიღწევამდე ჩაიდინეს დანაშაული, საერთოდ ამოიღონ სისხლის სამართლის საქმეთა ჩანაწერებიდან. ამრიგად, მართალია არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემები სასამართლო აქტების გაცემისას მკაცრად უნდა იყოს დაცული გამჟღავნებისაგან, თუმცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფუნქციონირების, პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით დაუშვებელია არასრულწლოვანთა განაჩენების შინაარსის გაცნობის სრული აკრძალვა, განსაკუთრებით მკვლევრებისთვის, მონიტორინგის სამსახურებისთვის, ბავშვთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. მითუმეტეს, რომ ბავშვის უფლებათა კომიტეტი სახელმწიფოთა პოზიტურ ვალდებულებად მოიაზრებს ბავშვის უფლებათა საკითხების კვლევების მხარდაჭერას.⁵⁹⁵

ამასთან, მნიშვნელოვანია ადვოკატებს ჰქონდეთ სასამართლო პრაქტიკის სათანადო ცოდნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, რაც შეუძლებელია „საიდუმლო სისტემის“ პირობებში. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს წარმოადგენს კვალიფიციური ადვოკატის დახმარებით მისი უზრუნველყოფა, რაზეც საკონსტიტუციო სასამართლომაც მიუთითა: „სასამართლოს გადაწყვეტილებების გაცნობისა და გააზრების გარეშე შეუძლებელია, მოქალაქეებმა მიიღონ სათანადო ინფორმაცია სასამართლო პრაქტიკისა და, შესაბამისად, კანონმდებლობის განმარტებასა თუ გამოყენებასთან დაკავშირებით.“⁵⁹⁶ იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს სამართლიანი ბალანსი ერთი მხრივ, არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლებასა და მეორე მხრივ, სასამართლო გამჭვირვალობასა და ინფორმაციის თავისუფლებას შორის, არასრულწლოვნის საქმეზე მიღებული განაჩენები ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როგორც წესი, დეპერსონალიზებული ფორმით იმგვარად, რომ არ მოხდეს არასრულწლოვნის არც

⁵⁹⁵ General Comment No. 14 on the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (art. 3, para. 1), UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2013, §15(e).

⁵⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-50.

პირდაპირი და არც ირიბი იდენტიფიცირება. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს პროცესის მონაწილე პირების ინიციალებისა და სხვა ირიბი მაიდენტიფიცირებელი გარემოებების შეცვლით. ვფიქრობ, ამ სახით განაჩენთა დეპერსონალიზაცია ტვირთად არ დააწვება სასამართლო სისტემას, ვინაიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მიღებული სტატისტიკა მოწმობს, რომ საქმეთა ნაკადი არასრულწლოვანთა საქმის განხილვის კუთხით ნაკლებია. მთელი საქართველოს მასშტაბით პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ 2020 წელს განხილულია სულ 190 საქმე, 2019 წლის მდგომარეობით - 281, 2018 წლის - 213 საქმე. ამასთან, საქმეთა რაოდენობაში გათვალისწინებულია სასამართლოების მიერ როგორც განაჩენის გამოტანის, ისე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და პროკურატურისთვის საქმის დაბრუნების შემთხვევები.⁵⁹⁷

ვფიქრობ, მსგავსი რეგულირების პირობებში მიიღწევა სამართლიანი ბალანსი სასამართლო სისტემის გამჭვირვალობასა და არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობას შორის.

4.4.2. არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენებზე მესამე პირთა ხელმისაწვდომობა საზღვარგარეთის ქვეყნებში

სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის შესახებ საერთაშორისო პრაქტიკის არაერთი ღირებული კვლევა არსებობს,⁵⁹⁸ თუმცა ჩვენი კვლევის საგანს უშუალოდ არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენებზე მესამე პირთა ხელმისაწვდომობის საკითხი წარმოადგენს.

პირველ რიგში, შევხვით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომას აღნიშნული საკითხის მიმართ. სასამართლოს გადაწყვეტილებების

⁵⁹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლო, წერილი №პ-494-21, 22.06.2021.

⁵⁹⁸ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საერთაშორისო პრაქტიკის სიტუაციური ანალიზი, 2017, <https://idfi.ge/public/upload/IDFI_FOTOS_2016/international_practice_of_court_decisions.pdf> [14.12.2021]; კოპალეიშვილი მ., კონსტიტუციით დადგენილი ბალანსი სასამართლო აქტებზე საჯარო ხელმისაწვდომობის უფლებასა და პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობისგან დაცვის უფლებას შორის, კვლევა და რეკომენდაციები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად საკანონმდებლო მოწესრიგების საჭიროებაზე, 2020.

ხელმისაწვდომობის საკითხი რეგულირდება სასამართლოს წესდებით.⁵⁹⁹ ამავე აქტის 33¹-ე მუხლის მიხედვით, როგორც წესი, სასამართლო გადაწყვეტილებები საჯაროა. ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვება, მათ შორის, არასრულწლოვნის ინტერესებისა და პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არამხოლოდ არასრულწლოვნის სახელისა და გვარის ჩანაცვლება ხდება ინიციალებით,⁶⁰⁰ არამედ რიგ შემთხვევებში - მათი მშობლებისაც.⁶⁰¹ ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების დეპერსონალიზება შეიძლება განხორციელდეს როგორც მხარის თხოვნით, ისე პალატის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით. განმცხადებლებს, რომლებსაც არ სურთ მათი ვინაობის გამჟღავნება საზოგადოებისთვის, უნდა მიუთითონ ამის შესახებ და წარადგინონ განცხადება იმ არგუმენტაციის მითითებით, თუ რატომ სურთ საჯარო ხელმისაწვდომობის ჩვეულებრივი წესიდან გადახვევა. რის შემდეგაც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას მიაჩნის თუ არა მხარეს ანონიმურობა.⁶⁰² აღნიშნულის თაობაზე, მიეთითება სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც.⁶⁰³

რაც შეეხება საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკას, დიდ ბრიტანეთში სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის სტანდარტი მაღალია.⁶⁰⁴ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია უფასოდ დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის იურიდიული საინფორმაციო ინსტიტუტის მონაცემთა ბაზაში (BAILII)⁶⁰⁵ ან სასამართლოს მიერ გაცემის შემთხვევაში გადაიხდება საფასური.⁶⁰⁶ გადაწყვეტილებები, როგორც წესი, სრული ტექსტის სახით არის ხელმისაწვდომი, თუმცა გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია იგი დეპერსონალიზებული

⁵⁹⁹ Rules of Court, Registry of the Court, Strasbourg, 18 October 2021, <https://www.echr.coe.int/documents/rules_court_eng.pdf> [27.01.2022].

⁶⁰⁰ T. & V. v. The United Kingdom, [1999] ECHR, nos. 24724/94 and 24888/94; S. C. v. The United Kingdom, [2004] ECHR, no. 60958/00.

⁶⁰¹ B. & P. v. The United Kingdom, [2001] ECHR, nos. 36337/97 and 35974/97.

⁶⁰² Rules of Court, Registry of the Court, Strasbourg, 18 October 2021, art. 47¹(4).

⁶⁰³ S. C. v. The United Kingdom, [2004] ECHR, no. 60958/00, §1; T. & V. v. The United Kingdom, [1999] ECHR, nos. 24724/94 and 24888/94, §1.

⁶⁰⁴ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საერთაშორისო პრაქტიკის სიტუაციური ანალიზი, 2017, 7.

⁶⁰⁵ BAILII databases, <https://www.bailii.org/databases.html> [20.01.2022].

⁶⁰⁶ Ondřejová E, Smith R. C., Lindström L., Ligi T., Francesconi E., Peruginelli G., Demian O., Report on the Accessibility to Judicial Decisions through Publication Standards, Joint Programme between the European Union and the Council of Europe, 2015, 23 <<https://rm.coe.int/1680700781>> [20.01.2022].

ფორმით გაიცეს,⁶⁰⁷ ეს გამონაკლისები, მათ შორის ეხება 18 წლამდე ასაკის პირთა მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს.⁶⁰⁸

ჩეხეთის რესპუბლიკაში უზენაესი სასამართლოს ბიუროს ბრძანების⁶⁰⁹ შესაბამისად, ყველა ინსტანციის გადაწყვეტილება, როგორც წესი, დეპერსონალიზებული ფორმით იტვირთება სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. თუმცა გამონაკლისის სახით შესაძლებელია გადაწყვეტილების სრული ტექსტი გახდეს ხელმისაწვდომი. თუ რა ფორმით უნდა გაიცეს სასამართლოს გადაწყვეტილება, აღნიშნულ საკითხს წყვეტს მოსამართლე. ანონიმიზირდება შემდეგი სახის ინფორმაცია: სახელი, გვარი, მისამართი, დაბადების თარიღი, დაბადების რეგისტრაციის ნომერი, „მონაცემთა დაცვის კანონის“ შესაბამისად მგრძნობიარე მონაცემები (ეროვნული, რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობა, პოლიტიკური შეხედულებები, პროფკავშირების წევრობა, რელიგიური თუ ფილოსოფიური მრწამსი, ნასამართლობა, რწმენა, ჯანმრთელობა, სქესობრივი ცხოვრება, უნიკალური ბიოლოგიური მახასიათებლები (ბიომეტრიული მონაცემები - თითის ანაბეჭდი, ბადურის გამოსახულება და ა.შ., გენეტიკური მახასიათებლები) და ყველა სხვა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვინმეს იდენტიფიცირება. არასრულწლოვნებთან მიმართებით „არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის“ კანონის შესაბამისად, არასრულწლოვნის სახელი და გვარი იცვლება ფსევდონიმით.⁶¹⁰

გერმანიაში სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების საკითხს ყველა სასამართლო ინდივიდუალურად წყვეტს. როგორც წესი, ვებ-გვერდზე⁶¹¹ ქვეყნდება მხოლოდ ის გადაწყვეტილებები, რომლის მიმართაც არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. თუმცა გადაწყვეტილებები ქვეყნდება

⁶⁰⁷ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საერთაშორისო პრაქტიკის სიტუაციური ანალიზი, 2017, 7.

⁶⁰⁸ *Ondřejová E, Smith R. C., Lindström L., Ligi T., Francesconi E., Peruginelli G., Demian O.*, Report on the Accessibility to Judicial Decisions through Publication Standards, Joint Programme between the European Union and the Council of Europe, 2015, 25.

⁶⁰⁹ იქვე, იხ. ციტირება: Bureau Order of the Supreme Court of the Czech Republic, §115, <[https://www.nsoud.cz/JudikaturaNS_new/ns_web.nsf/68fdca6a7e1ccc41c12576ac004593f4/b3f4a3b376ec3f0ac1257712004325b8/\\$FILE/RS_kr2010.pdf](https://www.nsoud.cz/JudikaturaNS_new/ns_web.nsf/68fdca6a7e1ccc41c12576ac004593f4/b3f4a3b376ec3f0ac1257712004325b8/$FILE/RS_kr2010.pdf)> [12.06.2021].

⁶¹⁰ იქვე, 15.

⁶¹¹ Justizportal des Bundes und der Länderh, <https://justiz.de/onlinedienste/rechtsprechung/index.php?fbclid=IwAR2iMgtDsNieq3sQftqvbEcC3dOB0Ri2xX_vMaF7yroku8F2Qjfh9xA6_Q8> [20.01.2022].

დეპერსონალიზებული სახით.⁶¹² არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენებში მისი სახელისა და გვარის ნაცვლად გამოყენებულია მხოლოდ სახელის ინიციალები.⁶¹³

ესტონეთში სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ქვეყნდება ოფიციალურ ვებ-გვერდზე,⁶¹⁴ რომელზეც მოქალაქეებს ID ბარათების მეშვეობით აქვთ წვდომა ყველა პირის ნასამართლობის შესახებ ინფორმაციაზე.⁶¹⁵ ესტონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის⁶¹⁶ §408-1(2) თანახმად, მართალია, გამოქვეყნებული გადაწყვეტილება სრული სახით უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მათ შორის, ბრალდებულის სახელი და გვარი, პირადი საიდენტიფიკაციო კოდი, დაბადების თარიღი, თუმცა, არასრულწლოვნის შემთხვევაში ბრალდებულის ეს მონაცემები იცვლება ინიციალებით ან სიმბოლოებით. არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები საჯაროვდება, თუ ეს არასრულწლოვნის მიმართ მესამე ნასამართლობაა. სასამართლო ასევე ცვლის პროცესში მონაწილე სხვა პირთა მონაცემებს ინიციალებით ან სიმბოლოებით. ამასთან, გადაწყვეტილებაში უნდა დაიშტრიხოს პირის საცხოვრებელი ადგილი.⁶¹⁷ ნიშანდობლივია, რომ პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით მოთხოვნები სასამართლოს წარედგინება გადაწყვეტილების მიღებამდე. სასამართლო განჩინებით განიხილავს

⁶¹² ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საერთაშორისო პრაქტიკის სიტუაციური ანალიზი, 2017, 10, იხ. ციტირება: Practising Open Data: Publishing Court Decisions in Germany, <<https://blog.transparency.org/2015/09/28/practicing-open-data-publishing-court-decisions-in-germany/>> [20.01.2022].

⁶¹³ Jugendstrafsache: Verhängung einer Jugendstrafe wegen schädlicher Neigungen, [2021] BGH 2. Strafsenat, Urteil №2 StR 218/20; Jugendstrafverfahren: Terminierung in Haftsachen bei mehreren Angeklagten in Ansehung des Spannungsverhältnisses zwischen Beschleunigungsgebot und der Verteidigung durch Verteidiger des Vertrauens; besondere Haftprüfung bei einstweiliger Unterbringung Jugendlicher, [2016] KG Berlin 4. Strafsenat, Beschluss, №(418 VRJs) 265 Js 884/14 (8/16); Aussetzung des Restes einer Jugendstrafe zur Bewährung: Erfordernis einer Straftataufarbeitung in Fällen der Schwerstkriminalität zur Erstellung einer positiven Prognose, [2017] AG Tiergarten, Beschluss №(4) 161 HEs 31/16 (30 - 34/16), (4) 161 HEs 31/16 (30/16), (4) 161 Hes 31/16 (31/16), (4) 161 HEs 31/16 (32/16), (4) 161 HEs 31/16 (33/16).

⁶¹⁴ Riigi Teataja, <https://www.riigiteataja.ee/kohtulahendid/koik_menetlused.html> [20.01.2022].

⁶¹⁵ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საერთაშორისო პრაქტიკის სიტუაციური ანალიზი, 2017, 15.

⁶¹⁶ Code of Criminal Procedure of the Republic of Estonia, Riigikogu, 12/02/2003, <<https://www.riigiteataja.ee/en/eli/530102013093/consolide>> [20.01.2022].

⁶¹⁷ Ondřejová E, Smith R. C., Lindström L., Ligi T., Francesconi E., Peruginelli G., Demian O., Report on the Accessibility to Judicial Decisions through Publication Standards, Joint Programme between the European Union and the Council of Europe, 2015, 31.

განცხადებას, ხოლო მოთხოვნის წარმდგენ პირს უფლება აქვს სააპელაციო წესით გაასაჩივროს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება.⁶¹⁸

სლოვენიაში ყველა სასამართლო გადაწყვეტილება ოფიციალურ ვებ-გვერდზეა ხელმისაწვდომი, თუმცა დეპერსონალიზებული სახით. არასრულწლოვანთა საქმეებზე გამოიყენება სახელების დაფარვის სპეციფიკური წესები, რათა არ მოხდეს მისი როგორც პირდაპირი, ისე ირიბი იდენტიფიცირება.⁶¹⁹

ხორვატიაში სასამართლო გადაწყვეტილებები გაიცემა და ქვეყნდება ვებ-გვერდზე დეპერსონალიზებული სახით. თუმცა სასამართლოს უფლება აქვს უარი თქვას განაჩენის გაცემაზე თუ მიიჩნევს, რომ აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის სხვა ლეგიტიმურ ინტერესთან.⁶²⁰

იტალიაში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ქვეყნდება ოფიციალურ ვებ-გვერდზე.⁶²¹ გადაწყვეტილებებში პერსონალური მონაცემების ანონიმიზირება შეიძლება განხორციელდეს სასამართლოს მიერ, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან ამის თაობაზე. თუმცა, განაჩენებში არასრულწლოვნის მონაცემთა დეპერსონალიზება ყოველთვის ხდება.⁶²²

აშშ-ში სასამართლო ხელისუფლების გამჭვირვალობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. მიიჩნევა, რომ „პროცესი არის საჯარო ხასიათის მოვლენა. ყველაფერი, რაც ხდება სხდომათა დარბაზში, არის საჯარო საკუთრება“.⁶²³ თუმცა, არასრულწლოვანთა განაჩენებზე წვდომის საკითხი განსხვავებულად არის რეგულირებული სხვადასხვა შტატში. ამ კუთხით შეიძლება გამოიყოს რამდენიმე კატეგორია: ინფორმაცია კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა

⁶¹⁸ Ondřejová E, Smith R. C., Lindström L., Ligi T., Francesconi E., Peruginelli G., Demian O., Report on the Accessibility to Judicial Decisions through Publication Standards, Joint Programme between the European Union and the Council of Europe, 2015, 32.

⁶¹⁹ *კობალეიშვილი დ.*, კონსტიტუციით დადგენილი ბალანსი სასამართლო აქტებზე საჯარო ხელმისაწვდომობის უფლებასა და პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობისგან დაცვის უფლებას შორის, კვლევა და რეკომენდაციები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად საკანონმდებლო მოწესრიგების საჭიროებაზე, 2020, 51.

⁶²⁰ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საერთაშორისო პრაქტიკის სიტუაციური ანალიზი, 2017, 11.

⁶²¹ Italggiureweb, <<http://www.italgiure.giustizia.it/>> [20.01.2022]; Giustizia Amministrativa Consiglio di Stato Tribunali Amministrativi Regionali, <<https://www.giustizia-amministrativa.it/>> [20.01.2022].

⁶²² Ondřejová E, Smith R. C., Lindström L., Ligi T., Francesconi E., Peruginelli G., Demian O., Report on the Accessibility to Judicial Decisions through Publication Standards, Joint Programme between the European Union and the Council of Europe, 2015, 39.

⁶²³ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საერთაშორისო პრაქტიკის სიტუაციური ანალიზი, 2017, 6.

სასამართლოს ბრძანების საფუძველზე „სათანადო მიზეზის“ მქონე პირს ან საქმეში „ლეგიტიმური ინტერესის მქონე პირებს“ ეძლევათ მასზე წვდომის ნებართვა, მათ შორის, მედიას რეპორტაჟის მომზადების მიზნით, თუმცა საიდენტიფიკაციო ინფორმაციის რედაქტირებული ვერსიის მიწოდებით;⁶²⁴ ინფორმაცია კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე ეხება გარკვეული ტიპის დანაშაულებებს, მაგალითად, მძიმე კატეგორიის დანაშაულებს; და ღიაა იმ პირებისთვის, რომლებსაც აქვთ „ლეგიტიმური ინტერესი“ საქმეში ან აქვთ მიზანი გარკვეული პირობებით;⁶²⁵ განაჩენი საჯაროა შეზღუდვების გარეშე.⁶²⁶

საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ მნიშვნელოვანია ეროვნულ კანონმდებლობაში დეტალურად იყოს გაწერილი თუ რა სახის ინფორმაციის დაშტრიხვაა აუცილებელი გადაწყვეტილებებში და რა შემთხვევაში უნდა გაიცეს იგი და ვის მიერ. ამასთან, ქართული რეალობიდან გამომდინარე, ხშირად სახელის და გვარის ინიციალებითაც კი არსებობს იმის ალბათობა რომ ამოცნობილი იქნეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, ამიტომ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ინიციალების ნაცვლად გამოყენებულ იქნეს სიმბოლოები, რათა სრულად გამოირიცხოს არასრულწლოვნის იდენტიფიცირება, რაც დამატებით გარანტიას შექმნის არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის თვალსაზრისით. ამრიგად, მიზანშეწონილია სწორედ ამ მიმართულებით

⁶²⁴ სასამართლო განიხილავს რამდენიმე ფაქტორს, რის მიხედვითაც წყვეტს მედიის ხელმისაწვდომობას სასამართლო ჩანაწერებზე. ეს ფაქტორებია: ხომ არ „იძებნება ჩანაწერები არასათანადო მიზეზით“, როგორცაა „საზოგადოებრივი სკანდალების პოპულარიზაცია“ ან „ბიზნესში უპირატესობის უსამართლოდ მოპოვება“; იქნება თუ არა რელიზი „მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენისადმი“, ემსახურება თუ არა მიზნად „საზოგადოების ცნობიერების გაძლიერებას“ და ხომ არ ჰქონდა საზოგადოებას ადრე წვდომა სასამართლო სხდომის ჩანაწერებში მოცემულ ინფორმაცია. აღნიშნული ტესტი გამოყენებულია საქმეში: *Stone v. University, Md. Medical System Corp*, [1988] 855 F.2d 178, 4th Cir. იხ. ციტირება: *Nolasco C., Vaughn M. S., Spaic A.*, Media Access to Juvenile Proceedings: Balancing the Tightrope between Privacy Rights and Freedom of the Press, International Journal of Law Crime and Justice, Vol. 43(4), 2015, 16.

⁶²⁵ არასრულწლოვანთა სასამართლომ შეიძლება შეზღუდოს საზოგადოების ხელმისაწვდომობა არასრულწლოვანთა ჩანაწერებზე, თუ დაადგენს, რომ არსებობს „გონივრული და არსებითი საფუძველი“, რომ საზოგადოების ხელმისაწვდომობამ შეიძლება „ზიანი მიაყენოს ბავშვს“ ან „საფრთხე შეუქმნას მართლმსაჯულების სამართლიანობას“, „ზიანის მიყენების პოტენციური აჭარბებს საზოგადოების ხელმისაწვდომობის სარგებელს“ და „არ არსებობს პროცესის დახურვის გონივრული ალტერნატივა.“ გამოყენებულია საქმეში: *State Ex Rel. Plain Dealer Publishing Company v. Floyd*, [2006]; *State Ex Rel. Plain Dealer Publishing Co. v. Geauga Cty. Court of Common Pleas*, [2000]. იხ. ციტირება: *Nolasco C., Vaughn M. S., Spaic A.*, Media Access to Juvenile Proceedings: Balancing the Tightrope between Privacy Rights and Freedom of the Press, International Journal of Law Crime and Justice, Vol. 43(4), 2015, 16.

⁶²⁶ *Nolasco C., Vaughn M. S., Spaic A.*, Media Access to Juvenile Proceedings: Balancing the Tightrope between Privacy Rights and Freedom of the Press, International Journal of Law Crime and Justice, Vol. 43(4), 2015, 5-6.

განხორციელდეს ცვლილებები საქართველოს იუტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში - „საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“, რაც უზრუნველყოფს ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას საერთო სასამართლოებში, დადგენილი სტანდარტის შესაბამისად გაცემასა და ოფიციალურ ვებ-გვერდზე არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილი განაჩენების გამოქვეყნებას.

4.5. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სხვა პრობლემური საკითხები

4.5.1. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემთა შენახვა და განადგურება

ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი საერთაშორისო და რეგიონული აქტები არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვასთან მიმართებით განსაკუთრებულ ყურადღებას რამდენიმე ასპექტზე ამახვილებენ, რომელთა შორისაა, მონაცემთა შენახვის ვადა და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მისი განადგურების აუცილებლობა. რაც შეეხება ეროვნულ კანონმდებლობას, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი შეიცავს ზოგად ჩანაწერს, რომლის თანახმად, მონაცემთა დამუშავებისას გასათვალისწინებელ ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს მონაცემთა შენახვის ვადა. კერძოდ, „მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.“⁶²⁷

⁶²⁷ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 28/12/2011, მუხ. 4, პუნქტი „ე“.

კანონით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ მონაცემთა განადგურების აუცილებლობის შესახებ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას წარმოადგენს *როტარუ რუმინეთის წინააღმდეგ*. აღნიშნულ საქმეში, სადავო საკითხს წარმოადგენდა რუმინეთის სადაზვერვო სამსახურის მიერ დამუშავებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შენახვა განუსაზღვრელი ვადით, რომელიც, მათ შორის, შეიცავდა ჩანაწერებს განმცხადებლის ნასამართლობის შესახებ. სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა⁶²⁸ და განმარტა, რომ სისხლის სამართალწარმოებაში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას საერთაშორისო სტანდარტების დარღვევას აქვს ადგილი, როდესაც კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რა ტიპის ინფორმაციის შეგროვებაა შესაძლებელი, ვისი პერსონალური მონაცემების დამუშავება დაიშვება, არ არის დადგენილი შენახვის ვადა ან დროის მონაკვეთი, რომლის შემდეგაც ეს ინფორმაცია უნდა განადგურდეს, თუ არ არის განსაზღვრული ვის გააჩნია ამ ინფორმაციაზე წვდომის უფლება, შეგროვებული ინფორმაციის გამოყენებისა და უწყებებს შორის გადაცემის პროცედურას.⁶²⁹ არასრულწლოვნის თითის ანაბეჭდებისა და დნმ-ის მონაცემების განუსაზღვრელი ვადით შენახვასთან დაკავშირებით ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *ს. და მარპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*.⁶³⁰ აღნიშნულ საქმეში ერთ-ერთი განმცხადებელი იყო 11 წლის არასრულწლოვანი, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში იქნა ეჭვმიტანილი. მიუხედავად იმისა, რომ იგი გამართლდა, მისგან აღებულ თითის ანაბეჭდსა და დნმ-ის ნიმუშს, ინგლისსა და უელსში არსებული საკანონმდებლო რეგულაციის შესაბამისად, პოლიცია ინახავდა განუსაზღვრელი ვადით. აღნიშნულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ევროპის საბჭოს ინსტრუმენტები პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მოითხოვს მონაცემთა შენახვას მისი მოპოვების მიზნის პროპორციულად და ამასთან, შეზღუდული დროით, რაც განსაკუთრებით პოლიციის სექტორს მიემართება.

⁶²⁸ Rotaru v. Romania, [2000] ECHR, no. 28341/95.

⁶²⁹ *ფაფიაშვილი ლ.*, სისხლის სამართალწარმოებაში პერსონალური მონაცემების დაცვის ევროპეიზაციის ტენდენციები, კრებულში: ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, *თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრაბი ე. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2019, 589.

⁶³⁰ S. and Marper v. The United Kingdom, [2008] ECHR, nos. 30562/04 and 30566/04.

ვინაიდან, ინგლისისა და უელსის კანონმდებლობა განუსაზღვრელი ვადით იძლეოდა აღნიშნული მონაცემების შენახვის შესაძლებლობას, სასამართლომ ეს წესი განმცხადებლის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში არაპროპორციულ ჩარევად მიიჩნია. ამასთან, სასამართლომ განსაკუთრებული შემოფოთება გამოხატა იმ შესაძლო მავნე შედეგების გამო, რასაც შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა არასრულწლოვნის შემთხვევაში. ეს უკავშირდებოდა მისი განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მნიშვნელობას. ამასთან, სასამართლომ ხაზი გაუსვა გაეროს 1989 წლის ბავშვის უფლებების კონვენციის მე-40 მუხლის დებულებებს, სისხლის სამართლის სფეროში არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მნიშვნელობას. ანალოგიურად, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს არასრულწლოვანთა დაცვას ნებისმიერი ზიანისგან, რაც შეიძლება გამოიწვიოს ხელისუფლების მიერ მათი პირადი მონაცემების შენახვამ სისხლის სამართლის დანაშაულში გამართლების შემდეგ.⁶³¹

მონაცემთა შენახვის ვადა ქართულ რეალობაშიც პრობლემას წარმოადგენს. უშუალოდ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მონაცემების შენახვის ვადის დარღვევასთან დაკავშირებით სახელმწიფო ინსპექტორის მიერ განხორციელებული საჯარო დაწესებულებების შემოწმებისას რამდენიმე დარღვევა დადგინდა. ეს შეეხებოდა განრიდების პროცესში არასრულწლოვნის მონაცემთა შენახვის კონკრეტული ვადის არარსებობას, აგრეთვე არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების მიერ პირადი საქმეების კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ შენახვას.

• განრიდების პროცესში არასრულწლოვნის მონაცემთა შენახვის ვადები

ბავშვის უფლებათა კომიტეტის №10 ზოგადი კომენტარის 27-ე პუნქტი შეეხება არასრულწლოვნის განრიდებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვის საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტი დასაშვებად მიიჩნევს განრიდების კონფიდენციალური ინფორმაციის შენახვას ადმინისტრაციული ან გადასინჯვის მიზნებისთვის, ამგვარი საქმე არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ნასამართლობის დამამტკიცებელი დოკუმენტი. აღნიშნულ საქმეზე წვდომა უნდა ჰქონდეს მხოლოდ

⁶³¹ S. and Marper v. The United Kingdom, [2008] ECHR, nos. 30562/04 and 30566/04, §124.

არასრულწლოვანთა საქმეებში კომპეტენტურ ორგანოებს, ისიც შეზღუდული დროით, მაგალითად, არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში.⁶³² როგორც მოდელურ კანონშია აღნიშნული, ბავშვის უფლებათა კომიტეტის ამ წესის ეროვნულ კანონმდებლობაში გატარება იმ თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი, რომ განრიდების ღონისძიების წარმატებით დასრულების შემდეგ, არ ინახებოდეს არასრულწლოვანთან კავშირში მყოფი სისხლისსამართლებრივი ჩანაწერი.⁶³³

2019 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა განახორციელა საქართველოს გენერალური პროკურატურის შემოწმება არასრულწლოვანთა განრიდების მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლისთვის. აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში, შემოწმდა განრიდების პროცესში არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესი. ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ პროკურატურას არ ჰქონდა განსაზღვრული ე. წ. „განრიდების ბაზას“ და ე. წ. „მონიტორინგზე სამუშაო ბაზაში“ (რომლის არსებობაც განპირობებული იყო იმ ფაქტის უტყუარად დადგენის მიზნით არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული ყოფილა თუ არა) მონაცემთა შენახვის კონკრეტული ვადა. ინსპექტორმა მიზანშეწონილად ჩათვალა, აღნიშნულ ბაზებში მონაცემთა შენახვის კონკრეტული ვადის განსაზღვრა.⁶³⁴ სახელმწიფო ინსპექტორის რეკომენდაციით: „მონაცემთა დამუშავების ნებისმიერ პროცესში, განსაკუთრებით თუ საქმე არასრულწლოვნის მონაცემებს ეხება, აუცილებლად უნდა იქნას განსაზღვრული მონაცემთა შენახვის ვადა მონაცემთა დამუშავების კანონიერი მიზნებისა და არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. განსაზღვრული ვადის მიღწევის შემდეგ კი მონაცემები დაუყოვნებლივ უნდა წაიშალოს ან განადგურდეს. ალტერნატივის სახით შესაძლებელია დეპერსონალიზებული ფორმით მონაცემთა უფრო ხანგრძლივი ვადით შენახვაც, რამდენადაც სათანადოდ დეპერსონალიზებული ინფორმაცია არ მიიჩნევა პერსონალურ მონაცემად.“⁶³⁵

⁶³² General Comment No. 10 (2007): Children's Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2007.

⁶³³ Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, United Nations Office of Drugs and Crime (UNODC), 2013, 80.

⁶³⁴ საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილებები, არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავება, №1, 2020, 72-74.

⁶³⁵ იქვე, 75.

მისასაღმებელია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი, რომელიც უფრო მაღალ სტანდარტს ითვალისწინებს არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების უფლების დაცვის თვალსაზრისით.⁶³⁶ კანონპროექტის თანახმად, ცვლილებები შეეხება არასრულწლოვნის განრიდებასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავების შემთხვევების მკაცრად შეზღუდვას. ამ მიზნით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქ/პ-ში განსახორციელებელი ცვლილების თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემად ჩაითვლება მხოლოდ არასრულწლოვნის განრიდებასთან დაკავშირებული მონაცემები.⁶³⁷ კანონპროექტი ცალსახად უთითებს, რომ არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძველი ვერ გახდება მონაცემთა დამმუშავებლის აღმატებული ინტერესები, თუ სახეზეა მონაცემთა სუბიექტის, მათ შორის, არასრულწლოვნის აღმატებული ინტერესი.⁶³⁸ აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული კანონპროექტის ინიცირება საქართველოს პარლამეტში 2019 წელს მოხდა, თუმცა ცვლილებების განხორციელების შესახებ კანონი დღემდე არ მიუღია პარლამენტს. მისი განხილვის პროცედურის გაგრძელების შესახებ დადგენილება 2021 წლის 18 თებერვალს იქნა მიღებული.⁶³⁹ ვიმედოვნებ, აღნიშნული ცვლილებები აისახება კანონმდებლობაში, რაც უკეთ უზრუნველყოფს ამ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობას, ამასთან არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიებით უზრუნველყოფას.

• არასრულწლოვან მსჯავრდებულთა პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში

„თავისუფლება აღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ გაეროს წესები, ე.წ. „ჰავანას წესები“ ითვალისწინებს სპეციალურ დებულებებს

⁶³⁶ საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილებები, არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავება, №1, 2020, 65-66.

⁶³⁷ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საკანონმდებლო წინადადებები, <<https://info.parliament.ge/#law-drafting/18184>> [20.06.2021].

⁶³⁸ საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2019, 84.

⁶³⁹ საქართველოს პარლამენტის №242-IVმს-Xმპ დადგენილება „წინა მოწვევის პარლამენტში განსახილველად წარდგენილი კანონპროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ“, 2021 წლის 28 თებერვალი, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/269676?>> [20.06.2021].

თავისუფლება აღკვეთილ არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ. აღნიშნული აქტის მე-19 პუნქტის თანახმად, „ანგარიშები, სამართლებრივი და სამედიცინო ჩანაწერებისა და დისციპლინური სამართალწარმოების ჩანაწერების ჩათვლით, ასევე მოპყრობის ფორმის, შინაარსისა და დეტალების შესახებ დოკუმენტები, მოთავსებულ უნდა იქნეს კონფიდენციალურ ინდივიდუალურ ფაილად, რომელიც იქნება მუდმივად განახლებული და ხელმისაწვდომი მხოლოდ ამაზე უფლებამოსილი პირებისათვის, კლასიფიცირებული იმგვარად, რომ იოლად იქნეს აღქმული. შესაძლებლობის შემთხვევაში, ყველა არასრულწლოვანს უფლება უნდა ჰქონდეს გაასაჩივროს მის ფაილში არსებული ნებისმიერი ფაქტი თუ მოსაზრება, რათა შესაძლებელი გახდეს არასწორი, უსაფუძვლო ან არასამართლიანი განცხადებების გასწორება. ... არასრულწლოვანთა გათავისუფლების შემდეგ, ჩანაწერები უნდა დაილუქოს და გარკვეული დროის შემდეგ უნდა განადგურდეს.“ ამავე წესების 87-ე პუნქტის „ე“ ქ/პ ავალდებულებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების პერსონალის თითოეულ თანამშრომელს პატივი სცეს არასრულწლოვანის პირად ცხოვრებას და დაიცვას ყველა ის კონფიდენციალური საკითხი, რომლებიც ეხება არასრულწლოვანებს ან მათ ოჯახებს.⁶⁴⁰

„ევროპული წესები“ კრძალავს არასრულწლოვანთა ვინაობისა და მათი ოჯახის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდებას იმ პირთათვის, ვინც კანონით არ არის უფლებამოსილი მიიღოს იგი.⁶⁴¹ საქმის მასალების კონფიდენციალობის საკითხს ეთმობა რეკომენდაციის 34-ე პუნქტი, რომლის თანახმად, არასრულწლოვანის საქმის ჩანაწერები უნდა შეიქმნას და შეინახოს გარკვეული ვადით განმახორციელებელი ორგანოს მიერ. ამასთან, საქმის ჩანაწერები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ჩანაწერების შესახებ ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც ეხება საზოგადოებრივ სანქციას ან დაკისრებულ ზომას და მის განხორციელებას;

⁶⁴⁰ United Nations Rules for the Protection of Juveniles Deprived of their Liberty (The Havana Rules), General Assembly, Resolution 45/113, 14 December 1990.

⁶⁴¹ Recommendation CM/Rec(2008)11 of the Committee of Ministers to Member States on the European Rules for Juvenile Offenders Subject to Sanctions or Measures, the Committee of Ministers, 2008, §16.

ბ) არასრულწლოვნებს და მათ მშობლებს უნდა ჰქონდეთ წვდომა არასრულწლოვნის საქმის მასალებზე, იმგვარად, რომ არ დაარღვეს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება;

გ) საქმის ჩანაწერებში არსებული ინფორმაციის გაცნობის საშუალება უნდა მიეცეს მხოლოდ მათ, ვისაც აქვთ ამის კანონიერი უფლება, და ნებისმიერი გამჟღავნებული ინფორმაცია უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც რელევანტურია იმ ამოცანის მისაღწევად, რის გამოც ინფორმაცია იქნა მოთხოვნილი.

დ) საზოგადოებრივი სანქციის ან ზომის შეწყვეტის შემდეგ, საქმის ჩანაწერები უნდა განადგურდეს ან შეინახოს არქივში, იმ გარანტიით, რომ მასზე წვდომა შეზღუდული იქნება მესამე მხარისათვის.⁶⁴²

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში პერსონალური მონაცემების დამუშავების, შენახვისა და განადგურების წესს შეეხება მოდელური კანონის 63-ე მუხლი, რომლის თანახმად, სამედიცინო დასკვნები და მიღებული მკურნალობის შესახებ დეტალები იწერება და ინახება არასრულწლოვნის ფაილში. ასეთი ჩანაწერები უნდა გადაეცეს ბავშვის სხვა პატიმრობის დაწესებულებას, რომელშიც მოხდება მისი განთავსება. არასრულწლოვნის გათავისუფლებისთანავე, ჩანაწერები უნდა დაილუქოს და შესაბამისი პერიოდის გასვლის შემდეგ განადგურდეს. რაც შეეხება ჩანაწერებზე წვდომის საკითხს, 74-ე მუხლი განსაზღვრავს რეგულარული და დამოუკიდებელი მონიტორინგის ორგანოს ფუნქციონირების აუცილებლობას პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ინსპექტირებისთვის, რომლებსაც შეუზღუდავი წვდომა ექნებათ არასრულწლოვნის შესახებ ნებისმიერ ჩანაწერზე, რაც უკავშირდება დაწესებულების მუშაობას, მკურნალობის პირობებს, პერსონალსა და ბავშვებს.⁶⁴³ ასეთ ორგანოდ ქართულ რეალობაში შეიძლება მოვიაროთ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელმაც 2017 წელს განახორციელა ინსპექტირება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულების პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმების მიზნით. აღნიშნული ინსპექტირების ფარგლებში

⁶⁴² Recommendation CM/Rec(2008)11 of the Committee of Ministers to Member States on the European Rules for Juvenile Offenders Subject to Sanctions or Measures, the Committee of Ministers, 2008, §34.1-34.2.

⁶⁴³ Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, United Nations Office of Drugs and Crime (UNODC), 2013.

გამოვლინდა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მონაცემების დამუშავებისას დარღვევის ფაქტები, რაც გამოიხატა პირადი საქმეების კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ შენახვაში, დაწესებულების მიერ საგამომიებო ორგანოს მიერ მოთხოვნილზე მეტი ინფორმაციის გაცემაში და სხვ. აღნიშნული საკითხების მოწესრიგების მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორისგან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაციები.⁶⁴⁴

გადაწყვეტილებაში სახელმწიფო ინსპექტორი განმარტავს, რომ „ყველა უწყება, რომელიც მონაწილეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, ვალდებულია, მათ შორის კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს, უზრუნველყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა და მისი პირადი ცხოვრების დაცულობა. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობისა და სტიგმატიზაციის საფრთხეების შემცირების მიზნით, აუცილებელია, დაწესებულებაში მისი პერსონალური მონაცემების დამუშავება განხორციელდეს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების ჯეროვანი დაცვით, ვინაიდან, მისი მონაცემების უკანონო დამუშავება, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილზე მეტი ვადით შენახვის ან გამჟღავნების გზით, უარყოფით გავლენას ახდენს არასრულწლოვნის რესოციალიზაციასა და განვითარებაზე.“⁶⁴⁵

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხი რეგულირებულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №180 ბრძანებით, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს თუ რა სახის ინფორმაცია მუშავდება, აგრეთვე დანაშაულების კატეგორიების მიხედვით არასრულწლოვნის გათავისუფლების შემდეგ დაწესებულებაში არსებული დოკუმენტების დაარქივებისა

⁶⁴⁴ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილებები, არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავება, №1, 2020, 23-26.

⁶⁴⁵ იქვე, 27.

და განადგურების ვადებს.⁶⁴⁶ მიუხედავად, სათანადო საკანონმდებლო რეგულირებისა, როგორც სახელმწიფო ინსპექტორის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგები მოწმობს, კანონით განსაზღვრულ ვადაზე მეტი ხნით მონაცემთა შენახვა მაინც პრობლემად რჩება. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სათანადო სამართლებრივი რეგულირების მიზნით მომზადებულია იუსტიციის მინისტრის ბრძანების პროექტი.⁶⁴⁷ აღნიშნული ბრძანების პროექტი სამართლებრივი ექსპერტიზის მიზნით წარედგინა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს,⁶⁴⁸ თუმცა აღნიშნული ბრძანება ჯერ კიდევ არ მიუღია იუსტიციის მინისტრს. მნიშვნელოვანია, რომ ბრძანების პროექტის თანახმად, აქტში დეტალურად არის გაწერილი სხვადასხვა საჯარო დაწესებულების მიერ (პროკურატურა, სპეციალური პენიტენციური სამსახური, სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო) არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების საკითხი შემდეგი მიზნებით: არასრულწლოვან ბრალდებულთა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია; რისკისა და საჭიროებების შეფასება; ინდივიდუალური გეგმის მომზადება და შემთხვევის მართვა; განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია; პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ არასრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ფსიქოლოგიური მომსახურება.⁶⁴⁹

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო ჯერ კიდევ შექმნისა და დახვეწის პროცესშია. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი,

⁶⁴⁶ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №180 ბრძანება „არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრისა და პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“, 2015 წლის 31 დეკემბერი.

⁶⁴⁷ საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2020, 67.

⁶⁴⁸ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წერილი (№SIS 9 21 00013436) საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ განცხადების პასუხად, 10/06.2021.

⁶⁴⁹ საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2020, 67.

რომელიც ბლანკეტური ხასიათისაა და გვამისამართებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონზე, ამასთან, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხები დამატებით გაბნეულია არაერთ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში, კერძოდ, თითოეული საჯარო დაწესებულება დაწესებული საგამომიებო ორგანოებიდან დამთავრებული სასჯელაღსრულებითი დაწესებულებით განსაზღვრავენ კონკრეტულ შემთხვევებში რა მონაცემები მუშავდება, რა ვადით ინახება, განადგურების წესი და ა.შ. ვფიქრობ, მოცემული რეგულაციები არ წარმოადგენს არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემებისა და პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სათანადო გარანტს, ვინაიდან ხშირად არასრულყოფილია ამ საკითხის მომწესრიგებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რაზეც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის 2020 წლის ანგარიშში მოხსენიებული ინსპექტირების შედეგებიც მოწმობს. ამასთან, მიუხედავად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ძალისხმევისა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონში განსახორციელებელი ცვლილებების კანონპროექტის შემუშავების მხრივ, რომელიც ბევრად მაღალ სტანდარტებს აწესებს არასრულწლოვნის მონაცემების დაცვის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ ვერ ხერხდება საქართველოს პარლამენტის მიერ აღნიშნული ცვლილებების მიღება. ამ კანონპროექტის მიღებით კი უზრუნველყოფილი იქნება არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა უფრო მაღალი სტანდარტით, ვინაიდან პროექტი ითვალისწინებს მონაცემთა დამუშავებელი ორგანოს ვალდებულებას არასრულწლოვნის ინტერესების შესაბამისად განახორციელოს მონაცემთა დამუშავება. მსგავსი რეგულირების პირობებში, ვფიქრობ, ნათლად იქნება ჩამოყალიბებული კანონმდებლის ნება შექმნას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სათანადო სამართლებრივი გარანტიები.

4.5.2. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება

მონაცემთა ბაზებში არსებული ინფორმაციის უსაფრთხოება, მონაცემების შემთხვევითი ან უკანონო გამჟღავნებისა და გამოყენებისგან დაცვა საჯარო დაწესებულების ვალდებულებას წარმოადგენს. „პეკინის წესებისა“ და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საქმის მასალები უნდა ინახებოდეს მკაცრად კონფიდენციალურად და არ უნდა გადაეცეს მესამე პირებს, გარდა იმ პირთა წრისა, რომლებიც უშუალოდ არიან პროცესის მწარმოებელი პირები, ან სხვა პირები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილება.⁶⁵⁰ არასრულწლოვნის ვინაობისა და მისი ოჯახის შესახებ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე წვდომას მხოლოდ უფლებამოსილი პირებისთვის უშვებს აგრეთვე რეკომენდაცია „იმ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების შესახებ, რომლებიც ექვემდებარებიან სანქციებს ან ზომებს“.⁶⁵¹ „არასრულწლოვანთა დელინქვენტობის მიმართ სოციალური რეაგირებების შესახებ“ რეკომენდაცია მოითხოვს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვას საგამომიებო ორგანოების მხრიდან, რაშიც მოიაზრება პოლიციის ჩანაწერებში არასრულწლოვნებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობა. აღნიშნულ დოკუმენტებზე წვდომის უფლება მხოლოდ სასამართლოს ან შესაბამის ორგანოებს უნდა ჰქონდეთ, და რომ ამ ჩანაწერების გამოყენება დაუშვებელია სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, გარდა იმ აუცილებელი საფუძვლებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნულ სამართალში.⁶⁵²

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი ავალდებულებს მონაცემთა დამმუშავებელს მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც

⁶⁵⁰ United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"), General Assembly, Resolution 40/33, 29 November 1985, art. 21; Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, United Nations Office of Drugs and Crime (UNODC), 2013, Art. 57.

⁶⁵¹ Recommendation CM/Rec(2008)11 of the Committee of Ministers to member states on the European Rules for juvenile offenders subject to sanctions or measures, the Committee of Ministers, Council of Europe, 2008, art. 16.

⁶⁵² Recommendation No. R (87) 20 of the Committee of Ministers to Member States on Social Reactions to Juvenile Delinquency, the Committee of Ministers, 17 September 1987, III.

უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. „ინტერნეტსა და ონლაინ მედიაში პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს რეგულაცია არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების, პირად ცხოვრებას მიკუთვნებული სხვა საკითხების, მათ შორის, სასამართლო პროცესებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემებისთვის, სავალდებულოდ მიიჩნევს კონფიდენციალობის დაცვის უმაღლესი სტანდარტის დაწესებას სახელმწიფოების მიერ, რაც შეიძლება გამოიხატოს სათანადო ტექნიკურ ან სამართლებრივ უზრუნველყოფაში.⁶⁵³

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ „კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული დაცვა დაუშვებლად შესუსტდება, თუ სისხლის სამართლის სისტემაში თანამედროვე სამეცნიერო ტექნიკის გამოყენება ნებადართული იქნება ნებისმიერ ფასად და თუ ყურადღებით არ დაბალანსდება ამგვარი ტექნიკის ფართო გამოყენების პოტენციური სარგებელი პირადი ცხოვრების მნიშვნელოვან ინტერესთან. სასამართლოს აზრით, ამ მხრივ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის არსებულ მკაცრ კონსენსუსს დიდი მნიშვნელობა აქვს, რაც შეამცირებს მოპასუხე სახელმწიფოსთვის დატოვებულ შეფასების ზღვარს ამ სფეროში პირადი ცხოვრების ჩარევის დასაშვები საზღვრების შეფასებისას. სასამართლო მიიჩნევს, რომ ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც მოითხოვს მოწინავე როლს ახალი ტექნოლოგიების განვითარებაში, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ამ მხრივ სწორი ბალანსის დაცვას.“⁶⁵⁴

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აქვს განმარტებული, რომ შენახული მონაცემების სენსიტიურობიდან გამომდინარე, უნდა შემცირდეს მათზე უნებართვო წვდომის რისკები, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მონაცემების დაცვისა და უსაფრთხოების მაღალი დონე.⁶⁵⁵

⁶⁵³ The Protection of Privacy and Personal Data on the Internet and Online Media, Parliamentary Assembly, Council of Europe, Resolution 1843 (2011), 7 October 2011.

⁶⁵⁴ S. and Marper v. the United Kingdom, [2008] ECHR, nos. 30562/04, 30566/04, §112.

⁶⁵⁵ *გეგეშიძე თ.*, თანამედროვე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებიდან ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი, 2021, 159. იხ. ციტირება: Joined Cases C-203/15 and C-698/15, Tele2 Sverige AB and Watson, [2016], Court of Justice, 119; Case NC-293/12 and C-594/12, Digital Rights Ireland Ltd and Seitlinger and others, [2014], Court of Justice.

მონაცემთა უსაფრთხოების თვალსაზრისით საუკეთესო პრაქტიკის მქონე ქვეყნად შეიძლება მოვიაზროთ ესტონეთი. სასამართლოს საინფორმაციო სისტემაზე წვდომა აქვთ: მოსამართლეებს, სასამართლო მოხელეებს, პროკურორებს, ადვოკატებს, პროცესის სხვა მონაწილეებს (ბრალდებული, დაზარალებული, მოწმეები და ა.შ.) და იმ სახელმწიფო უწყებებს, რომელთაც მათი ფუნქციიდან გამომდინარე უნდა ჰქონდეთ წვდომა სამართალწარმოებაზე და სასამართლო გადაწყვეტილებებზე (მაგ. პრობაციის ოფიცრები, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ორგანოები და ომბუდსმენი). პოლიციას და ფართო საზოგადოებას არ აქვს წვდომა სასამართლოს საინფორმაციო სისტემაზე. ამასთან, განსხვავებულია სხვადასხვა მომხმარებელთა ჯგუფის პრივილეგიების ფარგლები. სასამართლოს თავმჯდომარეებსა და მოსამართლეებს აქვთ ყველაზე ფართო უფლებები - მათ აქვთ წვდომა ყველა სასამართლო საქმეზე და ამ საქმეებთან დაკავშირებულ ყველა მონაცემზე (მათ შორის, კონფიდენციალური/სენსიტიური შემთხვევები). სხვა სასამართლო თანამდებობის პირებს აქვთ წვდომა მხოლოდ იმ სასამართლო საქმეებზე, რომელიც არ შეიცავს მგრძნობიარე მონაცემებს. ადვოკატებსა და სასამართლო პროცესის სხვა მონაწილეებს აქვთ წვდომა მხოლოდ მათ წარმოებაში ასეულ საქმეებზე საჯარო ელექტრონული ფაილური სისტემის მეშვეობით, რომელიც მხოლოდ პირადობის მოწმობით უშვებს მონაცემებზე წვდომას.⁶⁵⁶

ქართულ რეალობაში, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების კუთხით, უნდა გამოიყოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა საგამომიებო ორგანოებსა და საერთო სასამართლოების სისტემაში. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ ყველაზე ხშირია მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნათა შეუსრულებლობა დაწესებულებათა მიერ. აღნიშნული კუთხით დარღვევის ფაქტების 57% საჯარო დაწესებულებებსა და სამართალდამცავ ორგანოებზე მოდის.⁶⁵⁷ ამ მხრივ ყურადღება უნდა გამახვილდეს საერთო სასამართლოებში საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში არასრულწლოვანთა მონაცემების

⁶⁵⁶ Ondřejová E, Smith R. C., Lindström L., Ligi T., Francesconi E., Peruginelli G., Demian O., Report on the Accessibility to Judicial Decisions through Publication Standards, Joint Programme between the European Union and the Council of Europe, 2015, 29-30.

⁶⁵⁷ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2020, 18.

უსაფრთხოების საკითხზე. საქმის ელექტრონულ მასალებზე ხელი მიუწვდება ყველა ამ ორგანოში დასაქმებულ თანამშრომელს, მათ შორის სტაჟიორებსა და პრაქტიკანტებს. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოება, მნიშვნელოვანია შესაბამისმა დაწესებულებებმა მიიღონ ტექნიკური უსაფრთხოების ზომები. აუცილებელია, განხორციელდეს პროგრამული შეზღუდვა კონკრეტული საქმის განმხილველი მოსამართლის, მისი თანაშემწეების, სხდომის მდივნის, კანცელარიის თანამშრომლისა და სტატისტიკის სამსახურის იმ თანამშრომლების წრის შემოფარგვლით, რომლებსაც სამსახურებრივად ევალებათ კონკრეტული საქმისწარმოების პროცესში მონაწილეობა, იმ მოცულობით, რაც აუცილებელია შესაბამისი საქმიანობის განსახორციელებლად. მაგ., არასრულწლოვნის საქმის მონაცემებზე წვდომა უნდა ჰქონდეს მხოლოდ საქმის განმხილველ მოსამართლეს, მის თანაშემწესა და სხდომის მდივანს; ასევე შესაძლებელია გარკვეულ მონაცემებზე წვდომა მიეცეს კანცელარიისა და სტატისტიკის სამსახურის თანამშრომლებს იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია მათი საქმიანობის განსახორციელებლად. მსგავსი შეზღუდვის წესი სრულად თავსებადია საერთაშორისო აქტებთან, რომლის მთავარი მოთხოვნაა არასრულწლოვნის მონაცემებზე წვდომა ჰქონდეს მაქსიმალურად შეზღუდულ პირთა წრეს, რომელშიც თავად იმ ორგანოს პერსონალიც იგულისხმება, რომელიც ამუშავებს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მონაცემებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამართალდამცავი ორგანოებისა და სასამართლოს მიერ მონაცემთა უსაფრთხოების კუთხით არასაკმარისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღებამ, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას არასრულწლოვნის ინტერესებს, მოხდეს მისი პერსონალური მონაცემების უკანონოდ გამჟღავნება. ამასთან აღნიშნული გარკვეულწილად საჯარო დაწესებულებების რეპუტაციაზეც ახდენს გავლენას. ამრიგად, აუცილებელია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა პრობლემის თავიდან არიდების მიზნით.

თავი V

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები მედიის მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გაშუქებისას

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობის პრინციპი ავალდებულებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გაშუქებისას უზრუნველყონ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის კონფიდენციალობის დაცვა. შესაბამისად, ნაშრომის კვლევის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია გაანალიზდეს თუ რა როლი აქვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მედიას, როგორ უნდა გაშუქდეს არასრულწლოვანთა დანაშაული იმგვარად, რომ ერთი მხრივ, დაცულ იქნეს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება და მეორე მხრივ, უზრუნველყოფილი იქნეს გამოხატვის თავისუფლება, როგორ უნდა დაბალანსდეს კოლიზიაში მყოფი ეს ორი ძირითადი უფლება. ამ მიზნით წინამდებარე თავში განხილულია საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა, შედარებითი ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია მსჯელობა თუ რა გარანტიები არსებობს ეროვნულ კანონმდებლობაში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად და ამ თვალსაზრისით რამდენად შეესაბამება იგი საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.⁶⁵⁸

5.1. მედიის როლი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

მედიის არსებობას დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისთვის უმნიშვნელოვანესი როლი აქვს.⁶⁵⁹ „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმოადგენენ ადამიანების მიერ ინფორმაციის თავისუფლად მიღების ერთ-ერთ

⁶⁵⁸ ნაშრომის V თავი ნაწილობრივი ცვლილებებით გამოქვეყნებულია. იხ: *ქვეყნიშვილი თ.*, არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა მედიის მიერ დანაშაულის გაშუქებისას, „სამართლის ჟურნალი“, №1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021.

⁶⁵⁹ *ჯორბენაძე ს.*, სოციალური მედიის სამართალი, *ძლიერიშვილი ზ. (რედ)*, თბ., 2019, 102.

უმთავრეს წყაროს და თავად ინფორმაციის გავრცელების, აზრების ურთიერთგაცვლისა და გაზიარების ყველაზე ეფექტურ ფორუმს“.⁶⁶⁰ შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მედიის საშუალებით ახორციელებს საზოგადოება კონტროლს სახელმწიფო ხელისუფლებაზე.⁶⁶¹ ვინაიდან მედიას აქვს ძალაუფლება საზოგადოებაზე ზემოქმედება განახორციელოს, ამიტომ მას „მეოთხე ხელისუფლებასაც“ უწოდებენ.⁶⁶² მედიის როლი და მისი გავლენა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე სამ ასპექტში ვლინდება: პირველი, მედიის გავლენა ბავშვებზე, მეორე, მედიის გავლენა არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ფორმირებაზე და მესამე, მედიის გავლენა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესზე.⁶⁶³ ვინაიდან, სახელმწიფოსადმი საზოგადოების ნდობა მართლმსაჯულების განხორციელების შეფასების შედეგად განისაზღვრება, მედიის როლი სწორედ ამ ასპექტში იძენს მთავარ დანიშნულებას, რომელსაც გააჩნია „ძალაუფლება“, მიაწოდოს საზოგადოებას ადეკვატური ინფორმაცია მართლმსაჯულების განხორციელების თაობაზე.⁶⁶⁴

მედიის ჩართულობას ბავშვთა დაცვის პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. ამიტომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სრულყოფილი რეფორმირება მოითხოვს არა მხოლოდ შესაბამისი რეგულაციებისა და კანონების მიღებას, არამედ სხვა ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების უზრუნველყოფასა და საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოსთან შესაბამისობას.⁶⁶⁵ გაერო-ს „რიადის სახელმძღვანელო პრინციპები“ მედიას განიხილავს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის შესრულებაში უმნიშვნელოვანეს როლად, რომელსაც

⁶⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-71.

⁶⁶¹ *კუბლაშვილი კ.*, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეოთხე გამოცემა, გამომც. „ფაუნტეინ ჯორჯია“, თბ., 2017, 249.

⁶⁶² *ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ.*, მედიასამართალი, *ჯორბენაძე ს. (რედ.)*, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2014, 59.

⁶⁶³ *Rasheed Khan R.*, Role of Media in Juvenile Justice, <<https://www.legalserviceindia.com/legal/article-6601-role-of-media-in-juvenile-justice.html>> [20.01.2022].

⁶⁶⁴ *ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ.*, მედიასამართალი, *ჯორბენაძე ს. (რედ.)*, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2014, 58, იხ. ციტირება: *შვარცი ჰ.*, რით შეიძლება დაეხმაროს თავისუფალი პრესა მართლმსაჯულებას, *ჟურნ. „ალმანახი“*, №16, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2001, 25.

⁶⁶⁵ Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, United Nations Office on Drugs and Crime, New York, 2013, VIII.

სათანადოდ უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მისი მნიშვნელოვანი სოციალური როლის, პასუხისმგებლობისა და ზეგავლენის მომხდენი როლის შესახებ.⁶⁶⁶ ბავშვის უფლებათა კონვენციის მიღების შემდგომ ბავშვის უფლებათა კომიტეტმა მის მიერ მიღებულ არაერთ კომენტარში, განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნა მედიის პოზიტიური როლის შესახებ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, იმ დათქმით, რომ მართალია მედიაში უნდა ისმოდეს ბავშვის ხმა, თუმცა, ამავდროულად ინფორმაციის გაშუქებისას აუცილებელია მისი პირადი ცხოვრების პატივისცემა.⁶⁶⁷ ბავშვის უფლებათა კომიტეტი №10 ზოგად კომენტარში განმარტავს, რომ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვის უფლება, როგორც სამართლიანი სასამართლოს გარანტიის უფლებრივი კომპონენტი, წევრ სახელმწიფოებს აკისრებს პოზიტიურ ავალდებულებას გაატარონ ყველანაირი ღონისძიება, რათა არასრულწლოვანი დაცული იყოს მისი ვინაობის გამჟღავნებისაგან, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ.⁶⁶⁸ სწორედ აღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისად, კონვენციის წევრ ქვეყნებში მედიის ქცევის კოდექსები ჩამოყალიბდა.⁶⁶⁹ განსაკუთრებული ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პროცესების გაშუქებისას უმნიშვნელოვანესია ჟურნალისტების მხრიდან „იურიდიული კულტურის“ გამოჩენა. როგორც სასამართლო პერსონალს მოეთხოვება სამართლებრივ სფეროში კომპეტენტურობა და პასუხისმგებლობა, ასევე მოეთხოვება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებსაც, რაც ამავდროულად საკუთარი პროფესიის პატივისცემას ემსახურება მიზნად. მედიის წარმომადგენლებმა ზღვარი უნდა დააწესონ „უსულო გართობასა“ და „ჭეშმარიტი ინფორმაციის“ გავრცელებას შორის.⁶⁷⁰ მითუმეტეს, რომ დღევანდელ რეალობაში

⁶⁶⁶ United Nations Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency (The Riyadh Guidelines), UN General Assembly, A/RES/45/112, 4 December 1990, §44.

⁶⁶⁷ შაჰოვიჩი ნ. ვ., დოეკი ი.ე., ცერმატენი ჟ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში: ყველაფერი ბავშვთა უფლებების შესახებ, ტულუში რ., ალექსიძე თ. (მთარგმნელები), ალექსიძე ლ., ხუციშვილი ქ. (რედ.), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2015, 151.

⁶⁶⁸ General Comment No. 10: Children's Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2007, §64.

⁶⁶⁹ შაჰოვიჩი ნ. ვ., დოეკი ი.ე., ცერმატენი ჟ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში: ყველაფერი ბავშვთა უფლებების შესახებ, ტულუში რ., ალექსიძე თ. (მთარგმნელები), ალექსიძე ლ., ხუციშვილი ქ. (რედ.), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2015, 151.

⁶⁷⁰ ალვარტი ჰ., საჯაროობის პრინციპი გერმანული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, კრებულში: ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო

მედიის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენენ ისეთი დანაშაულები, რომლებშიც არასრულწლოვნები ფიგურირებენ. „მათზე დიდი დოზით ფოკუსირება კი პარალელურად კვეთს ვიქტიმიზაციის უფრო მაღალ ზღვარს, ვიდრე იმავე შემთხვევაში სრულწლოვანის მონაწილეობით ჩადენილი დანაშაული.“⁶⁷¹ მედიის მხრიდან კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რათა არ შეილახოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითადი მარეაბილიტირებელი მიზნები.

5.2. გამოხატვის თავისუფლების არსი და მედია

საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით განმტკიცებული გამოხატვის თავისუფლება ის უნივერსალური ღირებულებაა, რომელიც წარმოადგენს უფლებათა ქვაკუთხედს და რომლის დაცვაც ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს პრიორიტეტს განეკუთვნება.⁶⁷² საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულია აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები. აღნიშნულ უფლებაში მოიაზრება „ინფორმაციის თავისუფლად მიღება-გავრცელება“, „აზრის გამოხატვის თავისუფლება“,⁶⁷³ და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება.⁶⁷⁴ მედიის თავისუფლება გულისხმობს არამხოლოდ პრესის, არამედ ელექტრონული მედიის თავისუფლების დაცვასაც.⁶⁷⁵ პრესის თავისუფლებით დაცულია ყველა სახის

სამართალზე, *თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2019, 437-438.

⁶⁷¹ *ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ.*, მედიასამართალი, *ჯორბენაძე ს. (რედ.)*, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2014, 195-196.

⁶⁷² *მაკოვეი მ.*, გამოხატვის თავისუფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის განხორციელება, *გზამკვლევი, ჭელიძე ლ., ბოხაშვილი ბ., მამუკელაშვილი თ. (მთარგმნელები), ჭელიძე ლ. (რედ.)*, 2005, 6, < <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/article10.pdf> > [20.01.2022].

⁶⁷³ *ჯორბენაძე ს.*, სოციალური მედიის სამართალი, *ძლიერიშვილი ზ. (რედ.)*, თბ., 2019, 115; იხ. ციტირება: *კუბლაშვილი კ.*, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, 178-179.

⁶⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁶⁷⁵ *ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ.*, მედიასამართალი, *ჯორბენაძე ს. (რედ.)*, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2014, 84; *კუბლაშვილი კ.*,

საინფორმაციო სააგენტოები, გამომცემლობები და სხვა მსგავსი ტიპის დაწესებულებების დაფუძნებისა და საქმიანობის პროცესი, რომლებიც ამუშავებენ და ავრცელებენ ინფორმაციას.⁶⁷⁶ რაც შეეხება ელექტრონულ მედიას, მასში მოიაზრება ყველა სახის გამოსახულებათა და აუდიონაწარმის შექმნა და გავრცელება ელექტრომაგნიტური ტალღების საშუალებით.⁶⁷⁷ გამოხატვის თავისუფლება შეიძლება გაგებულ იქნეს, ერთი მხრივ, როგორც ინდივიდუალური უფლება, როდესაც მედიას აქვს უფლება გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები, ხოლო მეორე მხრივ, როგორც საერთო საზოგადოებრივი უფლება - მიიღოს ეს ინფორმაცია.⁶⁷⁸

გამოხატვის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად, მხოლოდ კანონით მოწესრიგების ფორმალური მოთხოვნის დაცვითა და მკაფიოდ და ამომწურავად განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნების უზრუნველსაყოფად.⁶⁷⁹ ამრიგად, მედიის გამოხატვის თავისუფლებაც შესაძლებელია შეიზღუდოს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.⁶⁸⁰

ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეოთხე გამოცემა, გამომც. „ფაუნტეინ ჯორჯია“, თბ., 2017, 248.

⁶⁷⁶ *კუბლაშვილი კ.*, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეოთხე გამოცემა, გამომც. „ფაუნტეინ ჯორჯია“, თბ., 2017, 250-251.

⁶⁷⁷ იქვე, 257.

⁶⁷⁸ *გოცირიძე ე.*, გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2007, 7.

⁶⁷⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/6/1311 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სტერეო+“, ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალავი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ, II-67; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 სექტემბრის №1/5/675.681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁶⁸⁰ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, 24/08/1995, მუხ. 17, ნაწ. 5.

5.3. მედიის მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გაშუქების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები

მედიის წარმომადგენლებს განსაკუთრებული სიფრთხილე ჰქმარებთ არასრულწლოვანთა შესახებ ინფორმაციის გაშუქებისას, ვინაიდან ისინი დაცული უნდა იყვნენ ასაკის თანმდევი მოწყვლადობის გამო.⁶⁸¹ საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ეროვნული კანონმდებლობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უნდა უკრძალავდეს ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის გავრცელებას ან ეთერში გადაცემას, რომლითაც შესაძლებელი გახდება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის იდენტიფიცირება. ეს მოიცავს ბავშვის ან მისი მშობლების ვინაობის, ფოტოების ან სხვაგვარი გამოსახულების გამოყენების აკრძალვას, სკოლის, რომელშიც ბავშვი სწავლობს, და იმ სამეზობლოს დასახელებას, სადაც ბავშვი ცხოვრობს. შესაბამისად, აუცილებელია, რომ ეროვნული კანონმდებლობით არასრულწლოვანთა შესახებ ინფორმაცია იყოს კონფიდენციალური და მასზე ხელი მხოლოდ საგამომიებო და სასამართლო განხილვის პროცესში უშუალოდ ჩართულ პირებს მიუწვდებოდეთ.⁶⁸²

მედიის მიერ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაციის გაშუქების სტანდარტს არაერთი საერთაშორისო თუ ევროპული ინსტრუმენტი ადგენს. „პეკინის წესები“ დაუშვებლად მიიჩნევს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ.⁶⁸³ „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ“ გაიდლაინებში კი დეტალურადაა გაწერილია ის შესაძლო საშუალებები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მედიის მიერ საზოგადოების ინფორმირებისას არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა. ამ თვალსაზრისით აუცილებელ ღონისძიებებს წარმოადგენს, *inter alia*, არასრულწლოვნისთვის ანონიმურობის ან ფსევდონიმის მინიჭება, დაფარვა ან

⁶⁸¹ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სამსახური, მედია სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები, ევროპის საბჭო/ევროკავშირის ერთობლივი პროექტი - პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის, 20.

⁶⁸² *ჰამილტონი ქ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბ., 2015, 89.

⁶⁸³ United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"), General Assembly, Resolution 40/33, 29 November 1985, art. 8, commentary.

შეცვლილი ხმების გამოყენება, სახელებისა და სხვა ელემენტების წაშლა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის იდენტიფიკაცია ნებისმიერი დოკუმენტიდან, ნებისმიერი ფორმით (ფოტო, აუდიო, ვიდეო) ჩაწერის აკრძალვა და ა.შ. ამასთან, გაიდლაინები ითვალისწინებს აღნიშნული წესიდან გამონაკლისს, როდესაც განსაკუთრებულ შემთხვევებში, პრესაში არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გავრცელება ბავშვის ინტერესთან იყოს თავსებადი და საქმის შესახებ გარკვეული მონაცემების გამჟღავნებითა და გასაჯაროვებით, არასრულწლოვნისთვის სასარგებლო შედეგის მომტანი აღმოჩნდეს. თუმცა ეს შემთხვევა ვფიქრობ მხოლოდ არასრულწლოვან დაზარალებულს ან შესაძლოა არასრულწლოვან მოწმეს მიემართებოდეს, ვინაიდან აღნიშნულის მაგალითად მოყვანილია ბავშვის გატაცების შემთხვევა.⁶⁸⁴ ხოლო, როგორც არაერთხელ აღინიშნა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გამჟღავნება მის საუკეთესო ინტერესად ვერ მიიჩნევა.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ მიღებული სახელმძღვანელო პრინციპები „ბავშვთა საკითხების გაშუქების თაობაზე“, მედიის წარმომადგენლებს ავალდებულებს რეპორტაჟის მომზადებისას დაიცვან ბავშვები ვიზუალური იდენტიფიცირებისგან.⁶⁸⁵ ანალოგიურ მიდგომას ითვალისწინებს ამ დოკუმენტის საფუძველზე იუნისეფის მიერ მიღებული ეთიკური ანგარიშგების გაიდლაინები, რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისგან მოითხოვს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სახელის შეცვლასა და მისი ვიზუალის დაფარვას ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.⁶⁸⁶

საერთაშორისო სტანდარტებმა სათანადო ასახვა ჰპოვეს საქართველოს კანონმდებლობაზე. არაერთი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დაცულია მედიის მიერ ინფორმაციის გაშუქებისას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება.

⁶⁸⁴ Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on Child-friendly justice, 2010, IV, 59-60.

⁶⁸⁵ International Federation of Journalists: Guidelines and Principles for Reporting on Issues Involving Children, Seoul, June 11-15, 2001. <<https://accountablejournalism.org/ethics-codes/guidelines-and-principles-for-reporting-on-issues-involving-children>> [20.01.2022].

⁶⁸⁶ UNICEF, Ethical reporting guidelines, Key principles for responsible reporting on children and young people, Principle III, <<https://www.unicef.org/media/reporting-guidelines>> [20.01.2022].

საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ განსაზღვრავს, რომ ამ უფლებების შეზღუდვა შესაძლებელია დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია ვიწროდ მიზანმიმართული კანონით და ამასთან, შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს.⁶⁸⁷ ამავე კანონის მე-9 მუხლი უშვებს კანონით სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივ რეგულირებას, თუ ეს ეხება, მათ შორის, პერსონალურ მონაცემებს.⁶⁸⁸

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილებით მიღებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ ავალდებულებს მაუწყებელს დაიცვას არასრულწლოვან ექვმიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა ანონიმურობა.⁶⁸⁹ მიუხედავად იმისა, რომ კოდექსში ბოლო ცვლილებები განხორციელდა 2015 წელს,⁶⁹⁰ როგორც ჩანს, აღნიშნულ აქტში ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის⁶⁹¹ რეგულირების შესაბამისად შემორჩა ტერმინები „არასრულწლოვანი ექვმიტანილი“, „არასრულწლოვანი განსასჯელი“, რომელიც მართალია არსებითი მნიშვნელობის ვერ იქნება არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობის თვალსაზრისით, თუმცა სასურველია კოდექსი ტერმინოლოგიურად შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსებთან.

აღსანიშნავია, რომ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ პირადი ცხოვრების დაცვის მაღალ სტანდარტს ადგენს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაციის გაშუქებისას და მისი ვინაობის გამჟღავნებას არც ერთ შემთხვევაში მიიჩნევს დასაშვებად, მაშინ როცა სრულწლოვანი პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მაუწყებელს უფლება აქვს მოახდინოს მისი იდენტიფიცირება, როცა

⁶⁸⁷ საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 24/06/2004, მუხ. 8, ნაწ. 1.

⁶⁸⁸ იქვე, მუხ. 9, ნაწ. 1, „ვ“ ქ/პ.

⁶⁸⁹ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება №2 „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე, 2009 წლის 12 მარტი, მუხ. 44, ნაწ. 3.

⁶⁹⁰ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის 2 დადგენილებით დამტკიცებულ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე, 20/08/2015.

⁶⁹¹ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 20/02/1998.

მისი სახელი საზოგადოებისთვის ცნობილია ან საქმე საზოგადოებრივი ინტერესის მქონეა.⁶⁹²

2019 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, რომელიც ქმნის ბავშვის ძირითადი უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს,⁶⁹³ ითვალისწინებს სპეციალურ მუხლს, რომელიც არეგულირებს მედიის მიერ არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხს. 71-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მედიას ეკრძალება ადმინისტრაციულ წარმოებაში ან სასამართლო პროცესში მონაწილე ბავშვის პერსონალური მონაცემების გასაჯაროება, როგორც პირდაპირი ისე ირიბი იდენტიფიცირება. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კრძალავს, მათ შორის, ბავშვის მიერ ჩადენილი ძალადობის შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ჩანაწერის გასაჯაროებას. კანონმდებელი იქვე აკეთებს დათქმას, რომ ეს დებულებები არ ვრცელდება სისხლის სამართლის დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა წარმოებაზე, რაც წესრიგდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით.⁶⁹⁴ თუმცა, ამკ არ შეიცავს რაიმე სპეციალურ დებულებებს მედიის მიერ არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხთან დაკავშირებით. ამკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი წარმოადგენს ბლანკეტურ ნორმას, რომლის თანახმად არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამჟავნება ან გამოქვეყნება იკრძალება, გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.⁶⁹⁵ ამ უკანასკნელის მოქმედება კი არ ვრცელდება მედიასაშუალებების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე.⁶⁹⁶ ამრიგად, არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიების შექმნა ნაწილობრივ მედიის თვითრეგულირების საგანს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო დონეზე მყარი გარანტია არსებოდეს არასრულწლოვანთა

⁶⁹² საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება №2 „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე, 2009 წლის 12 მარტი, მუხ. 49, ნაწ. 3.

⁶⁹³ საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 20/09/2019, მუხ. 2, ნაწ. 1.

⁶⁹⁴ იქვე, მუხ. 69, ნაწ. 5.

⁶⁹⁵ საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 12/06/2015, მუხ. 13, ნაწ. 2.

⁶⁹⁶ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 28/12/2011, მუხ. 3, ნაწ. 4.

მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვთა პირადი ცხოვრების უფლების დასაცავად მედიის მიერ დანაშაულის საკითხის გაშუქების კონტექსტში. მიზანშეწონილია, „ბავშვის უფლებათა კოდექსი“-ის 71-ე მუხლის მოქმედება გავრცელდეს სისხლის სამართლის დანაშაულზეც. ალტერნატივის სახით, შესაძლოა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-13 მუხლს დაემატოს მე-3 ნაწილი მსგავსი შინაარსის ფორმულირებით, რომელიც აუკრძალავს მედიის წარმომადგენლებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე ბავშვის პერსონალური მონაცემების გასაჯაროვებას, რომლითაც შეიძლება მოხდეს მისი როგორც პირდაპირი ისე ირიბი იდენტიფიცირება. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში შესაძლოა წარმოიშვას ისეთი შემთხვევები, როდესაც მიზანშეწონილი იქნება პრესაში არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გავრცელება. როდესაც საქმის შესახებ გარკვეული მონაცემების გამჟღავნება თავსებადი იქნება ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან. როგორც ეს აღნიშნულია „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ“ გაიდლაინებში (მაგალითად მოყვანილია არასრულწლოვნის გატაცების შემთხვევა). ამასთან, უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლოა საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე მიზანშეწონილი იყოს ძეხნილი არასრულწლოვნის ვინაობის გამჟღავნებაც (მაგ. ტერორიზმის ბრალდება) (იხ. In Re JR38, [2015] UKSC 42, AC 1131. გვ. 236). ამიტომ მნიშვნელოვანია, აღნიშნული საკითხის მომწესრიგებელი ნორმა ფორმულირდეს იმგვარად, რომ ერთ შემთხვევაში დასაშვები იყოს არასრულწლოვნის ვინაობის გამჟღავნება, როცა ეს მის საუკეთესო ინტერესს წარმოადგენს და მეორე, ძალზედ უკიდურეს შემთხვევაში - როცა საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესი შესაძლოა უპირატესი აღმოჩნდეს არასრულწლოვნის კონფიდენციალობის ინტერესთან.

მედიის ქცევის კოდექსები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ ჟურნალისტიკის დაბალანსებული და ეთიკური პრაქტიკის ხელშეწყობაში.⁶⁹⁷ ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს საქართველოს

⁶⁹⁷ მედია სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები, ევროპის საბჭო/ევროკავშირის ერთობლივი პროექტი - პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის, 35.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის⁶⁹⁸ მიერ მიღებული „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები“⁶⁹⁹. ქარტიის მე-8 პრინციპი განამტკიცებს ჟურნალისტის ვალდებულებას, „დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვთა შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება.“⁷⁰⁰ აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით ქარტია განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაზე სადავო მუხლს წარმოადგენს, მიღწეულია შეთანხმება, რომლის თანახმად, 18 წლამდე ასაკის ბავშვის იდენტიფიცირება დაუშვებელია, მიუხედავად იმისა, ბავშვი მოძალადეა, დაზარალებული თუ მოწმე.⁷⁰¹ ამასთან, არასრულწლოვნის ინტერესის დარღვევად მიიჩნევა ისეთი შემთხვევები, როცა გავრცელებულმა ინფორმაციამ იმ წუთიერდ ან მომავალში შესაძლოა ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს არასრულწლოვანზე.⁷⁰²

არასრულწლოვანზე ამავე ქარტიის მე-10 პრინციპი ავალდებულებს ჟურნალისტს პატივი სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.⁷⁰³ შეიძლება ითქვას, რომ ეს მუხლი ნაწილობრივ წინააღმდეგობაში მოდის მე-8

⁶⁹⁸ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია დაფუძნდა 2009 წელს. იგი წარმოადგენს ჟურნალისტთა დამოუკიდებელ გაერთიანებას, რომლის მისიაა, პროფესიული და ეთიკური სტანდარტის დაცვისა და თვითრეგულირების მექანიზმების შექმნის გზით მედიის საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ამაღლება. იხ. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, <<https://www.qartia.ge/ka/qartia>>; <<https://www.qartia.ge/ka/dokumentebi/article/36725-saqarthvelos-zhurnalisturi-ethikis-qartiis-qcevis-kodeqsi>> [20.01.2022].

⁶⁹⁹ ჟურნალისტური ეთიკის ქარტია ეფუძნება ევროპის საბჭოს „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-10 მუხლსა და „ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაციის“ მიერ აღიარებულ „ჟურნალისტების ქცევის პრინციპების დეკლარაციას“. იხ: საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები, <<https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula>> [20.01.2022].

⁷⁰⁰ იქვე, პრინციპი მე-8.

⁷⁰¹ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპების განმარტებები, <<https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30508-qartiis-principebis-ganmartebebi>> [20.01.2022].

⁷⁰² კლდიაშვილი დ., საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპების განმარტება, პრაქტიკის ანალიზი, თბ., 2019, 79, <<https://www.qartia.ge/media/1000907/2021/01/22/6faf8b17c4cc60a9300f0bc8063f8e8b.pdf>> [20.01.2022].

⁷⁰³ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები, <<https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula>> [20.01.2022].

პრინციპთან. თუ დავეყრდნობით ქარტიის განმარტებას, ეს უკანასკნელი პრინციპი გამორიცხავს არასრულწლოვნის იდენტიფიცირებას ყველა შემთხვევაში, ხოლო მე-10 პრინციპი უშვებს შესაძლებლობას შეიზღუდოს პირადი ცხოვრების უფლება, თუ მას გადაწონის საზოგადოების ინტერესი. ამ შემთხვევაში ვფიქრობ, მე-8 პრინციპი „სპეციალურ ნორმად“ უნდა იქნეს მიჩნეული, რომელიც უშუალოდ ბავშვთა საკითხების გაშუქებას შეეხება და ჟურნალისტებს მოუწოდებს ბავშვის ინტერესების შესაბამისად გააშუქონ ინფორმაცია.

გარდა ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპებისა, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს მიერ დამტკიცებულია „ბავშვის საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო წესები.“⁷⁰⁴ აღნიშნული დოკუმენტის შესავალ ნაწილში ხაზგასმულია მედიის პასუხისმგებლობის შესახებ დაიცვას ბავშვის ინტერესები, ხელი არ შეუწყოს მათი უფლებების დარღვევას, სტიგმატიზებასა და სტერეოტიპების გამყარებას. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიას ქმნის ჟურნალისტის მიერ ინფორმაციის გაშუქებისას არასრულწლოვნის გამოსახულების დაფარვის ვალდებულება. ამასთან, სახელმძღვანელო წესებში აღნიშნულია, რომ ბავშვის სახის დაფარვა არ არის საკმარისი მისი სრულად არაიდენტიფიცირებისთვის, ხშირად მისი ამოცნობა შესაძლებელია გარემოს აღწერით, ან სხვა რესპონდენტების იდენტიფიცირებით. შესაბამისად, რეპორტაჟის მომზადებისას ჟურნალისტი ვალდებულია გაითვალისწინოს აღნიშნული და არ მოახდინოს არასრულწლოვნის როგორც პირდაპირი, ისე ირიბი იდენტიფიცირება. პირდაპირ იდენტიფიცირებაში იგულისხმება როდესაც ბავშვი თავად ჩანს, ხოლო ირიბ იდენტიფიცირებაში - როდესაც ბავშვის ამოცნობა შესაძლებელია სხვა დეტალებით. მაგ. მშობლების, სამეზობლოსა და მისამართის მითითებით.⁷⁰⁵

თუ რამდენად ერევა სახელმწიფო რეგულაციები მედიის თავისუფლებაში, ამ თვალსაზრისით განსხვავებული მიდგომებია ევროპის ქვეყნებში. მაგალითად, *კვიპროსში* მედიასაშუალებებს ეკრძალებათ ეთერში გადასცენ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, რამაც

⁷⁰⁴ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭო, ბავშვთა საკითხების გაშუქება (სახელმძღვანელო წესები), თბ., 2016, <<https://www.qartia.ge/media/1000907/2017/07/24/17a99f0b5c1f748aabc321d3d023bf1e.pdf>> [20.01.2022].

⁷⁰⁵ იქვე, 5-6.

შეიძლება გამოიწვიოს მისი იდენტიფიცირება.⁷⁰⁶ *საბერძნეთი* მედიას უფრო მეტ შეზღუდვებს უწესებს იმ თვალსაზრისით, რომ კანონმდებლობა მოითხოვს, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის, ისე მისი ნათესავების ვინაობის, მათ შორის სახელის, სურათისა ან მათი მაიდენტიფიცირებელი სხვა ელემენტების გამოყენების აკრძალვას. ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვება, თუ არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გამჟღავნება ითვლება ”შეუცვლელად საქმის ფაქტების შესატყობინებლად”.⁷⁰⁷ *ინგლისსა და უელსში* სასამართლოში საქმის განხილვისას არასრულწლოვანი დაცულია მისი ვინაობის გამჟღავნებისაგან. „ბავშვთა და ახალგაზრდების შესახებ“ კანონის 39-ე მუხლი უფლებას აძლევს სასამართლოს აუკრძალოს მედიას არასრულწლოვნის სახელის, მისამართის, სკოლის ან ნებისმიერი სხვა ინფორმაციის გამჟღავნება, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ბავშვის იდენტიფიცირება. გამოქვეყნების აკრძალვის უფლება ასევე ვრცელდება ფოტოზეც. „გამოქვეყნების“ ახალი განმარტება მეტად გაფართოვდა, 2015 წელს 39(3) მუხლში განხორციელებული ცვლილების შედეგად, რომელიც მოიცავს ბექდვით, სამაუწყებლო და ონლაინ მედიას.⁷⁰⁸ არასრულწლოვნის ვინაობის გამჟღავნების წესიდან გამონაკლისი დაიშვება და მისი სახელისა და ფოტოს გასაჯაროება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით და ისიც კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, როცა: 1. ბავშვის ვინაობის გასაჯაროება აუცილებელია ბავშვის მიმართ „უსამართლობის“ თავიდან ასაცილებლად; 2. ბავშვი უკანონოდ იმყოფება თავისუფლებაში და მისი ვინაობის გამოქვეყნება აუცილებელია ბავშვის დასაკავებლად (იგულისხმება ძებნილი არასრულწლოვანი); 3. ბავშვს ბრალი ედება ან ნასამართლევა ძალადობრივი ან სქესობრივი დანაშაულისთვის, ან ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც სრულწლოვანი პირის შემთხვევაში ისჯება 14 წლის თავისუფლების აღკვეთით ან მეტი ვადით.⁷⁰⁹

კანადის „არასრულწლოვანთა სისხლის მართლმსაჯულების შესახებ“ კანონი, კრძალავს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი

⁷⁰⁶ Summary of Contextual Overviews on Children’s Involvement in Criminal Judicial Proceedings in the 28 Member States of the European Union, European Union, Luxembourg, 2014, 39.

⁷⁰⁷ იქვე, 40.

⁷⁰⁸ Judicial College, Reporting Restrictions in the Criminal Courts, 2015, 34; Summary of Contextual Overviews on Children’s Involvement in Criminal Judicial Proceedings in the 28 Member States of the European Union, European Union, Luxembourg, 2014, 40.

⁷⁰⁹ იქვე.

გარემოებების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას. თუმცა, ამ წესიდან გამონაკლისს ითვალისწინებს და მოსამართლეს ანიჭებს უფლებამოსილებას გასცეს ბრძანება, რომლის თანახმად, ნებისმიერ პირს უფლება აქვს გამოაქვეყნოს ინფორმაცია არასრულწლოვნის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ან ჩადენილი დანაშაულის თაობაზე, იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე დარწმუნებულია, რომ: (ა) არსებობს იმის საფუძველი, რომ ეს ახალგაზრდა საშიშროებას წარმოადგენს სხვებისთვის; და ბ) ინფორმაციის გამოქვეყნება აუცილებელია ახალგაზრდის დასაკავებლად. ამასთან, ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, მოსამართლე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამგვარი გამოქვეყნება არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესს ან საჯარო ინტერესს.⁷¹⁰

აშშ-ში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვების პირადი მონაცემების აღმოფხვრის შესახებ მკაფიო სტანდარტები და პოლიტიკა არ არსებობს. აშშ-ს ზოგიერთ შტატში ქვეყნდება ინფორმაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მყოფი ბავშვების შესახებ. კოლუმბიაში სამართალდამცავი ორგანოები მუდმივად აქვეყნებენ დაკავებული ბავშვების ფოტოებს მედიაში, რითაც ირღვევა მათი პირადი ცხოვრების უფლება და უდანაშაულობის პრეზუმფცია.⁷¹¹ ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკულმა კომისიამ შემფოთება გამოხატა მექსიკაში მედიის მიერ ბავშვებისა და მოზარდების სტიგმატიზების ფაქტის გამო, სადაც ჟურნალისტებმა საჯაროდ დაადანაშაულეს არასრულწლოვნები სხვადასხვა დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც არასდროს გასამართლებულან, რაც არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს.⁷¹²

ამრიგად, საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები, ერთი მხრივ ავალდებულებს სახელმწიფო ორგანოებს ითანამშრომლონ მედიასთან და მიაწოდონ მათ ინფორმაცია გამოხატვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, მეორე მხრივ, ავალდებულებს მედიის წარმომადგენლებს საზოგადოების ინფორმირებისას დაიცვან არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება. ამ მიზნით, არაერთი საშუალება არსებობს, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვნის ვინაობის

⁷¹⁰ Youth Criminal Justice Act of Canada (S.C. 2002, c. 1), Art. 110(4), 107, <<https://www.laws-lois.justice.gc.ca/PDF/Y-1.5.pdf>> [20.01.2022].

⁷¹¹ Inter-American Commission on Human Rights, Juvenile Justice and Human Rights in the Americas, 2011, 46.

⁷¹² იქვე.

გამჟღავნების პრევენციას. ეს საშუალებებია: არასრულწლოვნის სახელისა და გვარის ინიციალების გამოყენება, ხმისა და ვიზუალის დაფარვის ან შეცვლის სხვადასხვა ტექნიკური საშუალებები. ჟურნალისტი ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა რათა არ მოხდეს არასრულწლოვნის როგორც პირდაპირი, ისე ირიბი იდენტიფიცირება. ამასთან, რიგი აქტებისა და საზღვარგარეთის ქვეყნებისა, გამონაკლისის სახით უშვებს არასრულწლოვნის იდენტიფიცირებას, როდესაც ეს შეიძლება მის საუკეთესო ინტერესს წარმოადგენდეს, თუმცა ეს გამონაკლისები მიემართება, ძირითადად, დაზარალებული არასრულწლოვნებისკენ. ხოლო რიგი ქვეყნებისა (კანადა, დიდი ბრიტანეთი, აშშ) ითვალისწინებს შესაძლებლობას გამჟღავნდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ვინაობა, როდესაც არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. თუმცა, საქართველოს როგორც საკანონმდებლო, ისე მედიის თვითრეგულირების პირობებში მიღწეულია შეთანხმება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ვინაობის გაუმჟღავნებლობის თაობაზე, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, რაც შეიძლება არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მაღალ სტანდარტად მივიჩნიოთ, რომელიც არ იზღუდება არც ერთ შემთხვევაში, როგორი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიც არ უნდა არსებობდეს.

ყოველივე ზემოთგანხილული საკითხების ანალიზის შედეგად, საქართველოს არსებული საკანონმდებლო რეგულირება მედიის მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გაშუქების ნაწილში შეიძლება მივიჩნიოთ საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა, მიზანშეწონილად მიმაჩნია გარკვეული ცვლილების აისახოს კანონმდებლობაში, რაზეც ზემოთ ვისაუბრე. ამასთან, დამატებით განსახილველ საკითხს წარმოადგენს, თუ როგორ მუშაობს პრაქტიკაში არსებული რეგულაციები და რა მექანიზმები არსებობს ჟურნალისტთა მხრიდან ამ ეთიკური სტანდარტების დარღვევის შემთხვევებზე რეაგირების თვალსაზრისით.

5.4. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების მიმართება მედიის გამოხატვის თავისუფლებასთან (ევროპული სასამართლოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის ანალიზი)

5.4.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი

მედიის წარმომადგენლები არ სარგებლობენ შეუზღუდავი უფლებებით გააშუქონ საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხები, მათ ამავდროულად აკისრიათ პასუხისმგებლობა, კეთილსინდისიერად, ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად მიაწოდონ საზოგადოებას ზუსტი და სანდო ინფორმაცია.⁷¹³ ევროპული სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად პრესის არსებითი ფუნქციისა დემოკრატიულ საზოგადოებაში, მან არ უნდა გადალახოს გარკვეული საზღვრები, განსაკუთრებით სხვათა რეპუტაციისა და უფლებების ან მართლმსაჯულების ადმინისტრირების სათანადო განხორციელების თვალსაზრისით და ამ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებთან შეთავსებით უნდა გაავრცელოს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ყველა ინფორმაცია და იდეა.⁷¹⁴

მედიის თავისუფლება ხშირად მოდის კოლიზიაში სხვა ინტერესებთან, რომელთა შორის სამართლიანი ბალანსის მიღწევა პრობლემურ საკითხს წარმოადგენს.⁷¹⁵ მედიის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება. აღნიშნულ დაპირისპირებულ ინტერესებს შორის სამართლებრივი ბალანსის დაცვა ორმაგად საყურადღებოა ვინაიდან საქმე არასრულწლოვანს

⁷¹³ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სამსახური, მედია სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები, ევროპის საბჭო/ევროკავშირის ერთობლივი პროექტი - პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის, 7, <<https://rm.coe.int/guidelines-safeguarding-privacy-in-media-coverage-georgian/1680760838>> [22.01.2022].

⁷¹⁴ *Jersild v. Denmark*, [1994] ECHR, no. 15890/89, §31; *Bladet Tromsø and Stensaas v. Norway*, [1999] ECHR, no. 21980/93, §59; *Flinkkilä and Others v. Finland*, [2010] ECHR, no. 25576/04, §73; *Krone Verlag GmbH and Krone Multimedia GmbH v. Austria*, [2012] ECHR, no. 33497/07, §48.

⁷¹⁵ ბიჭია მ., პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2012, 122.

შეეხება.⁷¹⁶ ერთი მხრივ, საზოგადოებას უფლება აქვს იცოდეს დანაშაულის, გამოძიებისა და სასამართლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ,⁷¹⁷ ხოლო მეორე მხრივ, ღირებულ ინტერესს წარმოადგენს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვა.

ევროპული კონვენციის როგორც მე-8 მუხლის, ისე მე-10 მუხლის საფუძველზე, წევრი სახელმწიფოები სარგებლობენ ფართო შეფასების ფარგლებით. სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან ინდივიდუალური ინტერესების დაბალანსება შეიძლება ურთიერთგამომრიცხველი იყოს, სწორედ ეს ქმნის სირთულეს. ამ მხრივ კი ეროვნული სასამართლოები უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან შეაფასონ, არსებობს თუ არა „მწვავე სოციალური საჭიროება“, რომელსაც შეუძლია გაამართლოს კონვენციით გარანტირებულ ერთ-ერთ უფლებაში ჩარევა.⁷¹⁸ ამასთან, აღსანიშნავია, რომ თავისუფალი შეფასების ფარგლები ევროპული სასამართლოს მეთვალყურეობასთან ერთად განიხილება, რაც მოიცავს როგორც კანონმდებლობას, ისე მისი იმპლემენტაციისთვის მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათ შორის ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.⁷¹⁹

ევროპული კონვენციის მე-6, მე-8 და მე-10 მუხლებით დაცულ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებს შორის კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში უფლებათა სათანადოდ დაბალანსების მიზნით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ შემუშავებულია რეკომენდაცია „სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით მედიასაშუალებების მიერ ინფორმაციის მიწოდების შესახებ“, ⁷²⁰ რომლის მე-9 პრინციპი ავალდებულებს მედიას დაიცვას ექვიტანის, ბრალდებულის ან მსჯავრდებულის პირადი ცხოვრების უფლება მიმდინარე სისხლის სამართალწარმოების დროს, განსაკუთრებით კი არასრულწლოვანი და მისი ოჯახის წევრები. ყველა შემთხვევაში განსაკუთრებული

⁷¹⁶ *ხიდეშელი ს.*, ბავშვთა უფლებების დაცვა მედიაში – დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირების მნიშვნელოვანი ასპექტი, ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია (სტატიათა კრებული), *კორკელია კ. (რედ.)*, თბ., 2020, 304.

⁷¹⁷ საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სამსახური, მედია სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები, ევროპის საბჭო/ევროკავშირის ერთობლივი პროექტი - პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის, 20, <<https://rm.coe.int/guidelines-safeguarding-privacy-in-media-coverage-georgian/1680760838>> [22.01.2022].

⁷¹⁸ *MGN Limited v. The United Kingdom*, [2011] ECHR, no. 39401/04, §142.

⁷¹⁹ *Von Hannover v. Germany*, [2012] ECHR, nos. 40660/08 and 60641/08, §104-105.

⁷²⁰ Recommendation Rec(2003)13 of the Committee of Ministers to Member States on the Provision of Information through the Media in Relation to Criminal Proceedings, 10 July 2003.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ საზიანო გავლენას, რაც შეიძლება გამოიწვიოს ამ პირებზე ინფორმაციის გამჟღავნებამ.⁷²¹

გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების უფლებათა დაბალანსებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი ტესტი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) საჯარო ინტერესის მქონე დებატებში რა წვლილს შეიტანს გამოქვეყნებული ფოტო ან სტატია;⁷²²

ბ) რამდენად ცნობილია ეს პირი და რა არის მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის საგანი? – ამ კრიტერიუმთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თუ საზოგადოებისათვის უცნობ პირებს უფლება აქვთ მოითხოვონ თავიანთი პირადი ცხოვრების უფლების განსაზღვრული დაცვა, იგივე არ ვრცელდება საჯარო პირებზე.⁷²³

გ) ამ პირის წინმსწრები ქცევა - ამ კრიტერიუმის მიმოხილვისას, გასათვალისწინებელია ინფორმაციის გავრცელებამდე შესაბამისი პირის ქცევა ან ის ფაქტი, მანამდე ხომ არ გამოქვეყნდა ფოტო და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია.⁷²⁴ თუმცა, ევროპული სასამართლო მსჯავრდებულის მდგომარეობას არ აიგივებს იმ ადამიანის მდგომარეობასთან, რომელიც ნებაყოფლობით ჩნდება როგორც პოლიტიკოსი,⁷²⁵ როგორც საჯარო პირი⁷²⁶ ან საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე საზოგადოებრივ დებატებში მონაწილე პირი,⁷²⁷ და ამ თვალსაზრისით მსჯავრდებულის თუნდაც წინმსწრებ თანამშრომლობას მედიასთან არ მიიჩნევს მისთვის პირადი ცხოვრების უფლების ჩამორთმევის საფუძვლად.⁷²⁸

⁷²¹ Recommendation Rec(2003)13 of the Committee of Ministers to Member States on the Provision of Information through the Media in Relation to Criminal Proceedings, 10 July 2003.

⁷²² Leempoel and S.A. ED. Cine Revue v. Belgium, [2006] ECHR, no. 64772/01, §68; Standard Verlags GmbH v. Austria, [2009] ECHR, no. 21277/05, §46.

⁷²³ Petrenco v. Moldova, [2010] ECHR, no. 20928/05, §55; Von Hannover v. Germany, [2012] ECHR, nos. 40660/08 and 60641/08, §110.

⁷²⁴ Hachette Filipacchi Associés (Ici Paris) v. France, [2015] ECHR, no. 12268/03, §52-53; Sapan v. Turkey, [2010] ECHR, no. 44102/04, §34; Von Hannover v. Germany, [2012] ECHR, nos. 40660/08 and 60641/08, §111.

⁷²⁵ Lingens v. Austria, [1986] ECHR, no. 9815/82, §42; News Verlags GmbH & Co.KG v. Austria, [2000] ECHR, no. 31457/96, §56.

⁷²⁶ Fressoz and Roire v. France, [1999] ECHR, no. 29183/95, §50; Tønssbergs Blad A.S. and Haukom v. Norway, [2007] ECHR, no. 510/04, §87.

⁷²⁷ Nilsen and Johnsen v. Norway, [1999] ECHR, no. 23118/93, §52.

⁷²⁸ Egeland and Hanseid v. Norway, [2009] ECHR, no. 34438/04, § 61 and §63.

დ) გამოცემის შინაარსი, ფორმა და თანმდევი შედეგები - ფოტოს ან ინფორმაციის გამოქვეყნების ფორმა და შესაბამისი პირის წარმოჩენის მანერა, ასევე გავრცელების ფარგლები და მასშტაბები.⁷²⁹

ე) ფოტოს გადაღების გარემოებები - განაცხადა თუ არა თანხმობა პირმა ფოტოს გადაღების თაობაზე და დადგა თუ არა მწვავე შედეგი.⁷³⁰

აღსანიშნავია, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მწირია უშუალოდ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლებისა და მედიის გამოხატვის თავისუფლების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, თუმცა არაერთი გადაწყვეტილების მიმოხილვა შეიძლება, რომელიც კვლევის მიზნებისთვის ღირებულ წყაროს წარმოადგენენ.

საქმეზე *ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,⁷³¹ ევროპულმა სასამართლომ არასრულწლოვანთა ინტერესების დასაცავად აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გამართლებულად მიიჩნია.⁷³² ეს იყო გამოხატვის თავისუფლების ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელიც სასამართლომ განიხილა და მან შექმნა ძლიერი სტანდარტი, რომელიც დღემდე გამოიყენება ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში.⁷³³

საქმეზე *ეგელანდი და ჰანსეიდი ნორვეგიის წინააღმდეგ*,⁷³⁴ განმცხადებლები იყვნენ ნორვეგიის ორი ძირითადი ეროვნული გაზეთის მთავარი რედაქტორები.

⁷²⁹ Von Hannover v. Germany, [2012] ECHR, nos. 40660/08 and 60641/08, §112.

⁷³⁰ იქვე, §113.

⁷³¹ Handyside v. The United Kingdom, [1976] ECHR, no. 5493/72.

⁷³² *გოცირიძე ე.*, გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში (ადამიანის უფლების ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით), უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2007, 84.

⁷³³ ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ლონდონის ერთ-ერთმა გამომცემლობამ გამოსცა წიგნი სახელწოდებით „პატარა წითელი სახელმძღვანელო“, რომელიც განკუთვნილი იყო 12-დან 18 წლამდე სასკოლო ბავშვებისთვის. წიგნის შინაარსი დაკავშირებული იყო სქესობრივი ცხოვრების საკითხებთან. ვინაიდან, დიდი ბრიტანეთის სასამართლომ წიგნის გამოცემა აკრძალა, განმცხადებელმა ეს კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევად მიიჩნია. ევროპულმა სასამართლომ შეშფოთება გამოხატა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ წიგნი განკუთვნილი იყო მოზარდებისთვის, რომელსაც შესაძლოა ნეგატიური ზემოქმედება მოეხდინა შთაბეჭდილებების ზეგავლენის ქვეშ ადვილად მოქცევად ფსიქიკაზე და კანონსაწინააღმდეგო ქმედებისკენაც კი ებიძგებინა ახალგაზრდებისათვის. სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო ორგანოების ქმედება ნაკარნახევი და შეზღუდული იყო „მკაცრი საჭიროების/აუცილებლობის“ ჩარჩოთი. იხ: კავშირი „21-ე საუკუნე“, გამოხატვისა და რელიგიის თავისუფლება, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბ., 2018, 15-16, <<http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/15089.pdf>> [20.01.2022]; Case Analysis, Handyside v. United Kingdom, Global Freedom of Expression, Columbia University, <<https://globalfreedomofexpression.columbia.edu/cases/handyside-v-uk/>> [20.01.2022].

⁷³⁴ Egeland and Hanseid v. Norway, [2009] ECHR, no. 34438/04.

საქმე ეხებოდა მსჯავრდებული ქალის ფოტოების უკანონო გამოქვეყნებისთვის მათ დაჯარიმებას. მსჯავრდებულ ქალის საქმემ, რომელსაც სასამართლომ მიუსაჯა 21 წლით თავისუფლების აღკვეთა დედამთილის, მამამთილისა და რძლის განსაკუთრებული სასტიკით მკვლელობისთვის, ნორვეგიული მედიისა და ზოგადად საზოგადოების უპრეცედენტო ყურადღება მიიქცია. გამომცემლობებმა გამოაქვეყნეს მსჯავრდებული ქალის სამი ფოტო - სასამართლოს შენობის დატოვებისას, პოლიციის მანქანისკენ მიმავალი. ფოტოებზე იგი გაფითრებული და აცრემლებული ჩანდა, სახეზე აფარებული ხელსახოცით. მსჯავრდებულის ადვოკატი ცდილობდა ხელი შეეშალა ფოტოგრაფირებისთვის, ვინაიდან ფოტოგრაფირების თახმობა არ არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ფოტოები გადაღებული იყო საჯარო ადგილას და B-ის ვინაობა უკვე კარგად იყო ცნობილი საზოგადოებისთვის, სასამართლომ დაადგინა, რომ მსჯავრდებულის ფოტოგრაფირება განსაკუთრებით ინვაზიური იყო, ვინაიდან იგი ემოციურად შერყეული და ფსიქოლოგიურად ყველაზე დაუცველი იყო. ამასთან, მსჯავრდებული არ დათანხმებულა ფოტოების გადაღებას ან მათ გამოქვეყნებას. ის ფაქტი, რომ იგი წინა შემთხვევებში თანამშრომლობდა პრესასთან, ვერ ამართლებდა მისთვის ამ ფოტოების პრესის მიერ გამოქვეყნებისგან დაცვის უფლების ჩამორთმევას. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ორივე მიზეზი, რომელსაც ეყრდნობოდა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, ანუ B-ის კონფიდენციალურობის დაცვა და მართლმსაჯულების სამართლიანი განხორციელება, საკმარისი იყო განმცხადებლის რედაქტორების გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვის გასამართლებლად. უფრო მეტიც, ფოტოების გამოქვეყნების შეზღუდვის ინტერესი აჭარბებდა პრესის ინტერესს მიეწოდებინათ საზოგადოებისთვის ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხზე. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან ევროპაში არ არსებობს კონსენსუსი მსჯავრდებულების ფოტოგრაფირების აკრძალვის წესთან დაკავშირებით, ამიტომ მოპასუხე სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს უნდა მიენიჭოთ შეფასების ფართო ზღვარი ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების დაბალანსებისას.⁷³⁵ იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნებზე დაკისრებული ჯარიმები არ იყო განსაკუთრებით მკაცრი, მე-10 მუხლის დარღვევა არ დადგინდა.

⁷³⁵ Egeland and Hanseid v. Norway, [2009] ECHR, no. 34438/04, §54-55.

საქმეზე კრონე ვერლაგი GmbH და კრონე მულტიმედია GmbH ავსტრიის წინააღმდეგ,⁷³⁶ შეეხებოდა სექსობრივი დანაშაულის მსხვერპლ 10 წლის არასრულწლოვან გოგონას, რომლის ვინაობა და ფოტო გამოაქვეყნა ორმა გამომცემლობამ ბიოლოგიური დედის თანხმობით. აღნიშნულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ განმცხადებელ კომპანიებს შეეძლოთ საზოგადოების დეტალური ინფორმირება ისე, რომ არ გაემჟღავნებინათ დაზარალებული არასრულწლოვნის ვინაობა, ვინაიდან ეს არ ემსახურებოდა რაიმე სპეციფიკურ მიზანს, როგორცაა საზოგადოების გაფრთხილება და დაცვა. ამასთან, მოცემულ საქმეში, დაზარალებული არასრულწლოვანი არ იყო საჯარო პირი და არც „დანაშაულის მსხვერპლად გახდომით შესულა საზოგადოებრივ ასპარეზზე“, რითაც საზოგადოების მნიშვნელოვან ყურადღებას მიიქცევდა. შესაბამისად, მისი ვინაობის გამჟღავნება არ იყო არსებითი საქმის გარემოებების გასაგებად.⁷³⁷ ამასთან აღსანიშნავია, რომ ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა დაზარალებულის ასაკს და მიუთითა მისი პირადი ცხოვრების უფლების განსაკუთრებით მაღალი სტანდარტით დაცვის აუცილებლობაზე, რისთვისაც მოიშველია ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ“, რომელიც წევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვს ბავშვის პირადი ცხოვრების უფლების დასაცავად სათანადო ზომების მიღებას, რათა არ მოხდეს მისი ვინაობის გამჟღავნება.⁷³⁸

ამრიგად, მედიის გამოხატვის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და იგი შეიძლება შეიზღუდოს, მათ შორის, არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მიზნით. ევროპული სასამართლო, მოპასუხე სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს ანიჭებს შეფასების ფართო ზღვარს დააბალანსონ გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების უფლებები, ხოლო თავად ევროპული სასამართლო აფასებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს გონივრულობისა და თვითნებობის კუთხით. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამოხატვის თავისუფლებასა (მე-10 მუხლი) და

⁷³⁶ Krone Verlag GmbH and Krone Multimedia GmbH v. Austria, [2012] ECHR, no. 33497/07.

⁷³⁷ იქვე, §56-57.

⁷³⁸ იქვე, §58.

არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლებათა (მე-8 მუხლი) შორის კოლიზიის წარმოშობის შემთხვევაში, ეყრდნობა ბავშვის უფლებათა სფეროში მოქმედ საერთაშორისო და ევროპულ ინსტრუმენტებს, არსებობს იმის ალბათობა, რომ უმეტეს შემთხვევებში, მედიის გამოხატვის თავისუფლება არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლებამ გადაწონოს. თუმცა საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროებს დადგენილი ტესტის შესაბამისად გაანალიზებას.

5.4.2. საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

აშშ-ის სასამართლოთა პრაქტიკა არაერთ საინტერესო საქმეს იცნობს, რომლებშიც სასამართლო განხილვის საგანს მედიის გამოხატვის თავისუფლებისა და არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლებათა დაბალანსების საკითხი წარმოადგენდა. ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე, *არკანზასის დემოკრატიული გაზეთი ციმერმანის წინააღმდეგ*,⁷³⁹ რომელიც ეხებოდა 12 წლის არასრულწლოვნის მიერ პოლიციელის მკვლელობის მცდელობას, სასამართლო სხდომამდე მედიამ გამოაქვეყნა არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია და საქმის დეტალები. არასრულწლოვანთა სასამართლოში გამართულ პირველ საჯარო სხდომაზე მოსამართლემ ზეპირად გამოაცხადა ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვის შესახებ განკარგულება, რომლითაც პრესას ეკრძალებოდა არასრულწლოვანი ბრალდებულისა და მისი ოჯახის, დაზარალებულისა და მისი ოჯახის სურათებისა და საიდენტიფიკაციო ინფორმაციის გამოქვეყნება ან გავრცელება. რამდენიმე მედია გამომცემლობამ არკანზასის უზენაეს სასამართლოს მიმართა *mandamus*⁷⁴⁰ გაცემის თხოვნით, რათა არასრულწლოვანთა საქმის განმხილველ მოსამართლეს გაეუქმებინა კონფიდენციალობის შესახებ ბრძანება პრესის მიმართ. აღნიშნული საჩივარი დააკმაყოფილა უზენაესმა სასამართლომ და განმარტა, რომ მედიის წინასწარი შეზღუდვის შესახებ კონფიდენციალობის ბრძანება წარმოადგენს არკანზასის კონსტიტუციისა და შეერთებული შტატების

⁷³⁹ *Arkansas Democrat-Gazette v. Zimmerman*, Supreme Court of Arkansas, [2000], 341 Ark. 525, 19 S.W.3d 1.

⁷⁴⁰ ლათ. *mandamus* - სასამართლო წერილი, რომელიც გაცივმა ბრძანების სახით ქვემდგომი სასამართლოსთვის ან ავალებს პირს შეასრულოს საჯარო ან კანონიერი მოვალეობა, იხ. Cornell Law School, Legal Information Institute, <<https://www.law.cornell.edu/wex/mandamus>> [20.01.2022].

კონსტიტუციის პირველი შესწორების დარღვევას. სასამართლომ განაცხადა, რომ არსებული კანონმდებლობა არაკონსტიტუციურად მიიჩნევს პრესის წინასწარ რაიმე შეზღუდვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საპროცესო დაცვის ზომები მიიღება, რაც ამცირებს კონსტიტუციით დაცული სიტყვის შეზღუდვის საფრთხეს. ამგვარად, მედიის გამოხატვის თავისუფლების წინასწარი შეზღუდვა ექვემდებარება „მკაცრ შემოწმებას“ და მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ „მკაფიო და გარდაუვალი საფრთხე ემუქრება მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებას“. ვინაიდან ამ საქმეზე არასრულწლოვნის პროცესი საწყის ეტაპზე ღია სასამართლო სხდომაზე მიმდინარეობდა, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არანაირი სახელმწიფო ინტერესი არ არსებობდა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გასამართლებლად.⁷⁴¹

გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო პრესის თავისუფლების შეზღუდვა პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დაცვის მიზნით. მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდა გამომცემლობა „საქსონიის ჟურნალის“ შვილობილი კომპანია, რომელმაც თავის ვებ/გვერდზე განათავსა სტატია სათაურით: „პოლიციამ დაიჭირა ოქსენკნეხტის ვაჟები“, სტატია ეხებოდა ცნობილი გერმანელი მსახიობის უვე ოქსენკნეხტის ვაჟების მიერ მიუნხენის ქუჩებში ჩადენილ ვანდალურ ქმედებებს და მიუთითებდა, რომ პოლიციამ ისინი დააკითხა. სტატიის ადრესატმა ოქსენკნეხტებმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების ხელყოფისათვის და პირველ ორ ინსტანციაში წარმატებასაც მიაღწიეს. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ კი დაუსაბუთებლად მიიჩნია პრესის თავისუფლების შეზღუდვა კონკრეტული საქმის თავისებურებებიდან გამომდინარე. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის ძირითადი უფლება იცავს პირად და ინტიმურ სფეროებს უხეში ჩარევისაგან, თუმცა, სასამართლოს განმარტებით, სიტყვიერი მოხსენებების შემთხვევაში მოცემული დაცვა არ არის აბსოლუტური ხასიათის და შეიძლება შეიზღუდოს სწორედ აზრის გამოხატვის თავისუფლებით. განსხვავებით სისხლის

⁷⁴¹ *Nolasco C., Vaughn M. S., Spaic A., Media Access to Juvenile Proceedings: Balancing the Tightrope between Privacy Rights and Freedom of the Press, International Journal of Law Crime and Justice, Vol. 43(4), 2015, 17-18.*

სამართლის საქმეებისგან, სადაც პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობას ემატება უდანაშაულობის პრეზუმფციაც და გამოხატვის თავისუფლება უკანა პლანზე იწევს, მოცემულ შემთხვევაში სტატია ეხება უტყუარ ქმედებებს, რომელიც სისხლისსამართლებრივად არარელევანტურია და გადმოსცემს მხოლოდ ობიექტურად არსებულ ფაქტებს. გარდა ამისა, სტატია ეხებოდა ცნობილი ძმების სოციალურ სფეროს და არა მათ პირად ცხოვრებას, მათ მიერ ჩამოყალიბებულ „ველური ბიჭების“ იმიჯს, რომელსაც თავადვე კომერციულად იყენებდნენ. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სამართლებრივ სიკეთეთა შეფასებისას გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პრესის მიერ საკუთარი საქმიანობის განხორციელება შეუძლებელია სრულად ანონიმური მონაცემების გამოყენებით.⁷⁴²

დიდი ბრიტანეთის სასამართლო პრაქტიკიდან გახმაურებულ საქმეს წარმოადგენს 10 წლის ბავშვების მიერ 2 წლის ჯეიმს ბულგერის მკვლელობის საქმე. ბრალდებული არასრულწლოვნები მედიამ „ბოროტად მონსტრებად“ წარმოაჩინა. სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ კი „Daily Star“-ში გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „ახლა როგორ გრძნობთ თავს პატარა ნაბიჭვრებო?“⁷⁴³ მოგვიანებით მსჯავრდებულებმა სარჩელი შეიტანეს სასამართლოში და ითხოვეს სამუდამო ანონიმურობა, რაც დაკმაყოფილდა.⁷⁴⁴ გადაწყვეტილებაში სასამართლო შემფოთებას გამოთქვამდა, იმ საფრთხის არსებობით რაც მსჯავრდებულებს ემუქრებოდათ მათი ვინაობის გამჟღავნებით. სასამართლომ განმარტა, რომ 1) მოსარჩელები ცალსახად ცნობილნი იყვნენ და ფიზიკური დაზიანების სერიოზული საშიშროების წინაშე იდგნენ. თუ არ მოხდებოდა მათი ანონიმურობა, ისინი მომავალში კვლავაც რისკის ქვეშ დარჩებოდნენ; 2) ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად საჭირო იყო მოსარჩელეთა დაცვა; 3) *contra mundum*⁷⁴⁵ განკარგულება მიენიჭა მოსარჩელეთა ვინაობისა და მათი

⁷⁴² BVerfG, Beschluss der 1. Kammer des Ersten Senats vom 25. Januar 2012- 1 BvR 2499/09 -, Rn. 1-47

⁷⁴³ *ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ.*, მედიასამართალი, *ჯორბენაძე ს. (რედ.)*, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2014, 222.

⁷⁴⁴ *Venables & Thompson v. News Group Newspapers Ltd and others*, [2001] High Court of UK, Family Division, EWHC 32.

⁷⁴⁵ ლათ. *contra mundum* - მოსამართლის მიერ გაცემული ბრძანება, რომელიც აღსრულებადია მსოფლიოს მასშტაბით და მისი შესრულება სავალდებულოა ყველა პირისთვის, იხ. <<https://inforrm.org/2010/03/07/contra-mundum-injunctions-and-jon-venables/>> [20.01.2022].

ადგილმდებარეობის შესახებ გამოქვეყნების შეზღუდვას.⁷⁴⁶ აღნიშნული გადაწყვეტილება გვამღვს იმის თქმის საფუძველს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვას, განშტოებები აქვს, რომლებიც ასევე ვრცელდება მათი ბავშვობის ასაკის შემდეგაც.⁷⁴⁷ თუმცა სრულიად საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო ინგლისისა და უელსის უმაღლესმა სასამართლომ საქმეზე *თ. ჩრდილო-აღმოსავლეთ პრესის წინააღმდეგ*,⁷⁴⁸ რომელშიც განმარტა, რომ არასრულწლოვნის კონფიდენციალობის დაცვის შესახებ ნორმის მიზნობრივი განმარტებით, საშედავათო ნორმა წყვეტს მოქმედებას მას შემდეგ რაც მას 18 წელი შეუსრულდება, ვინაიდან მისი მიზანია დაიცვას ახალგაზრდის ინტერესები სანამ ის სრულწლოვანი გახდება.⁷⁴⁹

*მაკკერის საქმეზე*⁷⁵⁰ ინგლისისა და უელსის უმაღლესმა სასამართლომ განმარტა, რომ ანონიმურობის აკრძალვის უფლებამოსილება „ძალიან დიდი სიფრთხილით უნდა იქნას გამოყენებული“, მასში ნათქვამია, რომ „ნებისმიერი სასამართლოს მიერ არასრულწლოვანთა ანონიმურობის *prima facie* უფლების დამატებითი სასჯელის სახით გამორიცხვა, სრულიად არასწორი იქნებოდა“. სასამართლომ ძალაში დატოვა მაგისტრატი სასამართლოს გადაწყვეტილება, გავრცელებულიყო არასრულწლოვანი ბრალდებულის სახელი, რაც გამართლებული იყო საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის ინტერესით. „თუ საზოგადოებას ეცოდინებოდა, ვინ იყო ბრალდებული არასრულწლოვანი, საზოგადოებას მიეცემოდა მისგან დაცვის საშუალება მასთან შეხვედრის შემთხვევაში.“⁷⁵¹

2015 წელს უზენაესი სასამართლომ კიდევ ერთი რეზონანსული საქმე განიხილა. ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, 2010 წელს ორმა გაზეთმა გამოაქვეყნა 14 წლის არასრულწლოვნის ფოტო, რომელიც ეჭვმიტანილი იყო ამბოხებაში თანამონაწილეობისთვის. ეს ფოტოები გაზეთების მიერ გამოქვეყნდა პოლიციის

⁷⁴⁶ *Venables & Thompson v. News Group Newspapers Ltd and others*, [2001] High Court of UK, Family Division, EWHC 32, <<https://www.ucpi.org.uk/wp-content/uploads/2017/11/Venables-v-News-Group-Newspapers-2001-Fam-430.pdf>> [20.01.2022].

⁷⁴⁷ *Van Bueren G.*, A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Article 40th Child Criminal Justice, Leiden, Boston, 2006, 24.

⁷⁴⁸ *T v. DPP, North East Press Ltd*, [2003] EWHC 2408, 168 JP 194.

⁷⁴⁹ *Spencer J. R.*, Can Juvenile Offenders Be “Named and Shamed” When They Are Adults?, Criminal Law and Justice Weekly, Issue 34, 2006, 2.

⁷⁵⁰ *McKerry v. Teesdale and Wear Valley Justices*, [2000] EWHC, Criminal Division, 164 JPN 355.

⁷⁵¹ *Spencer J. R.*, Can Juvenile Offenders Be “Named and Shamed” When They Are Adults?, Criminal Law and Justice Weekly, Issue 34, 2006, 2.

თხოვნით. აღნიშნული ფოტოების გამოქვეყნება წარმოადგენდა პოლიციის კამპანიის ნაწილს, რომლის მიზანიც იყო წინააღმდეგობა გაეწიათ საიდუმლო შეთქმულებისთვის, მოეხდინათ ამბოხებაში მონაწილე პირების იდენტიფიცირება და თავიდან აეცილებინათ სამომავლო სექტანტური არეულობები. მიუხედავად ექვმიტანილი პირის ასაკისა და მასალების გამჟღავნების გავლენისა მის შესაძლო სტიგმატიზაციაზე, მე-8 მუხლში ჩარევა გამართლებულად იქნა მიჩნეული მოსამართლეთა უმრავლესობის მიერ, ვინაიდან არასრულწლოვნის ფოტოს გამოქვეყნება მხოლოდ დანაშაულის პრევენციისა და მისი გამოვლენის მიზნით მოხდა, არ არსებობდა პირადი ცხოვრების დაცვის გონივრული მოლოდინი. ამასთან, დაცული იყო ბალანსი არასრულწლოვნისა და საზოგადოების ინტერესებს შორის და პოლიციის მიერ არასრულწლოვნის ფოტოს გამოქვეყნება იყო უკიდურესი ღონისძიების ზომა.⁷⁵²

ამრიგად, საზღვარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ მედიის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების უფლებათა დაბალანსებას განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან მოსამართლეები, ვინაიდან გამოხატვის თავისუფლება უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში, ბრალდებულის არასრულწლოვნება ყოველთვის არ განაპირობებს პირადი ცხოვრების უფლების სასარგებლოდ უფლებათა დაბალანსებას, საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ექვემდებარე მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში შეფასებას.

5.5. საქართველოში მედიის მიერ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის ფაქტები და მასზე რეაგირების მექანიზმები

„ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ“ გაიდლაინები, მედიის მხრიდან არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით აუცილებლად მიიჩნევა მედია საშუალებებისთვის შესაბამისი

⁷⁵² In Re JR38, [2015] UKSC 42, AC 1131.

საკანონმდებლო ზომების მიღებას ან სახელმწიფოს მხრიდან მედიის თვითრეგულირების მონიტორინგს, რომლის საჭიროება გამოწვეულია იმ ფაქტორით, რომ არასრულწლოვნის სახელების ან/და ფოტოების გამოქვეყნების შემდეგ მისთვის მიყენებული ნებისმიერი ზიანი ხშირად გამოუსწორებელია.⁷⁵³ ანალოგიურ მიდგომას ითვალისწინებს ევროკავშირის დირექტივა „ეჭვმიტანილ ან ბრალდებულ ბავშვთა სისხლის სამართლის საპროცესო გარანტიების შესახებ“.⁷⁵⁴ უფრო მკაცრია ბავშვის უფლებათა კომიტეტი ამ საკითხის მიმართ და მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს გამოიყენონ დისციპლინური პასუხისმგებლობა იმ ჟურნალისტის მიმართ, რომელიც გაამჟღავნებს ბავშვის ვინაობას, რაც განმეორების შემთხვევაში სისხლის სამართლის წესით უნდა იყოს დასჯადი.⁷⁵⁵

მნიშვნელოვანია შევხვით აღნიშნული საკითხის რეგულირებას ეროვნულ კანონმდებლობაში. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-7 მუხლი მაუწყებელს ავალდებულებს ამ კოდექსის საფუძველზე შექმნას თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.⁷⁵⁶ ამრიგად, ჟურნალისტის მხრიდან არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების შელახვის შემთხვევაში, არსებობს საჩივრის შეტანის შესაძლებლობა თვითრეგულირების კომისიაში. ხოლო დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, ჟურნალისტის სანქცირება დამსაქმებელი მაუწყებლის პრეროგატივას წარმოადგენს.⁷⁵⁷

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მოთხოვნის შესაბამისად, მაუწყებლებში თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მოქმედებს დავის განმხილველი ორგანოები, რომლებიც ორი ინსტანციით განიხილავენ მაუწყებელში შესულ

⁷⁵³ Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice, 2010, IV-2-7.

⁷⁵⁴ The European Parliament and the Council of the European Union, Procedural safeguards for children who are suspects or accused persons in criminal proceedings, Directive (EU) 2016/800, art. 14 (4).

⁷⁵⁵ General Comment No. 10: Children's Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2007, §64.

⁷⁵⁶ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება №2 „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე, 12/03/2009.

⁷⁵⁷ ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ., მედიასამართალი, ჯორბენაძე ს. (რედ.), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2014, 154.

საჩივრებს.⁷⁵⁸ თუმცა, მაუწყებელთა ოფიციალური ვებ-გვერდები განხილული საჩივრებისა და მიღებული გადაწყვეტილებების თვალსაზრისით არ არის ინფორმატიული და რთულია გაანალიზდეს თუ რამდენად ხშირად არის მიმართვიანობა მოქალაქეების მხრიდან ჟურნალისტების მიერ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის თაობაზე. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ჟურნალისტთა დამოუკიდებელი გაერთიანება - საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. ქარტია განიხილავს ჟურნალისტების მხრიდან პროფესიული სტანდარტების დარღვევის ფაქტებს ქარტიაში შესული განცხადებების საფუძველზე, აგრეთვე, აწარმოებს მედიამონიტორინგს.⁷⁵⁹ 2017 წელს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ ჩაატარა ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგი.⁷⁶⁰ აღნიშნული მონიტორინგის მთავარი მიზანი იყო ელექტრონულ, ონლაინ და ბეჭდურ მედიაში ბავშვთა საკითხებზე გამოქვეყნებული მასალების შესწავლა, ბავშვთა უფლებებთან, ეთიკურ ნორმებსა და სიღრმისეულად გაშუქების პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის ანალიზი. ანგარიშში ნათქვამია, რომ წინა წლებთან შედარებით კრიმინალის ჩადენაში ბრალდებული არასრულწლოვნების იდენტიფიცირების შემთხვევები მკვეთრად შემცირებულია და ამ კუთხით მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა გამოვლენილი.⁷⁶¹ მედიამონიტორინგის შედეგად გამოვლინდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის იდენტიფიცირების შემთხვევაც. კერძოდ, 1 დეკემბერს ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე, ერთ-ერთი ბრალდებული არასრულწლოვნის იდენტიფიცირება მოახდინა რამდენიმე მედიასაშუალებამ, ნაწილმა მისი სახის ჩვენებით, ნაწილმა კი მისი სახელისა და გვარის დასახელებით. ამასთან, ეთერში გასული კადრი ფოტოს სახით გავრცელდა სოციალურ ქსელში, რამაც დიდი აგრესია გამოიწვია. კომენტარებში მის ცოცხლად დაწვასა და ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვდნენ.⁷⁶² აღნიშნულ საქმეზე

⁷⁵⁸ იხ: მაგ. სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“, <<https://rustavi2.ge/ka/tvg>> [20.01.2022]; ტელეკომპანია „იმედი“, <<https://www.imedi.ge/ge/about-us>> [20.01.2022].

⁷⁵⁹ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, <<https://www.qartia.ge/ka/qartia>> [22.01.2022].

⁷⁶⁰ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგის ანგარიში, 1 აპრილი – 1 დეკემბერი 2017, <<https://www.qartia.ge/media/1000907/2017/12/26/9fdd88608fdf1dcc781c434605dfa9e4.pdf>> [22.01.2022].

⁷⁶¹ იქვე, 6.

⁷⁶² იქვე, 12.

მხარეთა შორის შედგა მედიაცია. აჭარის ტელევიზიამ მოიხადა ბოდიში და ინტერნეტ-სივრციდან აიღო არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი ვიდეო კადრები.⁷⁶³

მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის შემდეგ ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით მედიამონიტორინგის ანგარიში არ განთავსებულა ჟურნალისტური ქარტიის ვებ-გვერდზე, ქარტიის საბჭოს მიერ განხილულ საქმეთა ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაციის გაშუქებისას კვლავაც ირღვევა მისი პირადი ცხოვრების უფლება. ამის დამადასტურებელი არაერთი საქმეა განთავსებული ქარტიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ჟურნალისტური ქარტიის საბჭომ 2019 წელს განახილა საქმე, რომელიც შეეხებოდა კანონთან კონფლიქტში მყოფი 16 წლის არასრულწლოვანი გოგონას პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას მაუწყებლის მიერ. ტელეკომპანია „მესტროს“ ეთერში გავიდა სიუჟეტი სახელწოდებით „16 წლის დედამ 7 თვის შვილი ძილში გაგუდა და სხვა მამაკაცთან ერთად სახლიდან გაიქცა“. სიუჟეტი ეხებოდა 7 თვის ბავშვის მკვლელობის ფაქტს, მკვლელობის ბრალდებით დააკავეს ბავშვის დედა, რომელიც თავადაც არასრულწლოვანი იყო. აღნიშნულ საქმეზე საბჭომ ჟურნალისტური ქარტიის დარღვევა დაადგინა და განმარტა, რომ „ვინაიდან ამბავი ეხებოდა არასრულწლოვანს და მოხდა მის პირად ცხოვრებაში გაუმართლებლად შეჭრა და არასრულწლოვნის სავარაუდო სექსუალური კავშირების/ ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება, ამით დაირღვა ქარტიის მე-8 პრინციპი.⁷⁶⁴ მართალია, გადაწყვეტილებაში ყურადღება არ არის გამახვილებული არასრულწლოვანი გოგონას იდენტიფიცირების საკითხის თაობაზე, თუმცა ვფიქრობ, სიუჟეტი იძლეოდა მისი ირიბი იდენტიფიცირების საშუალებას, ვინაიდან სიუჟეტში დასახელებული იყო მკვლელობის ადგილი და იგი ეყრდნობოდა ბრალდებული

⁷⁶³ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს სხდომის ოქმი N2017-6, მედიაციის საქმე ნიკა გურინსა და აჭარის ტელევიზიას შორის, 06.12.2017, <<https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/41019-nika-gurinsa-da-atcaris-televizias-shoris-mediacia-shedga>> [20.06.2021].

⁷⁶⁴ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილება N 288 საქმეზე „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის გიორგი ხუხიას წინააღმდეგ“, 2019 წლის 29 მაისი, <<https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/75707-gadatsyvetileba-saqmeze-phr-i-giorgi-khukhias-tsinaaghddeg>> [20.01.2022].

გოგონას ქმრის ნათესავებისა და მეზობლების მიერ მიწოდებულ ინტერვიუებს.⁷⁶⁵ ამასთან, სიუჟეტის სათაურიდან გამომდინარე ვფიქრობ, ჟურნალისტის მხრიდან არასრულწლოვნის უდანაშაულობის პრეზუმფციაც იქნა დარღვეული. „მაუწყებლის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლი დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქებისას, მაუწყებელს ავალდებულებს დაიცვას ბალანსი, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებასა, ხოლო, მეორე მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმფციასა და ექვმიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის.⁷⁶⁶ სისხლის სამართლის პროცესის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას ჟურნალისტმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, განსაკუთრებით კი როდესაც მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაციას აკეთებს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ, ვინაიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევით გამოწვეული შედეგები ბევრად მძიმე შეიძლება აღმოჩნდეს არასრულწლოვნის შემთხვევაში. რეზონანსული საქმეების გაშუქებისას, განსაკუთრებით საფრთხილოა ჟურნალისტის მხრიდან გამოთქმული წინასწარი შეფასებები სავარაუდო დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ. არასწორმა და არაკვალიფიციურმა ინტერპრეტაციამ შეიძლება გამოიწვიოს არასრულწლოვნის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, რაც ქართულ რეალობაში ხშირად პროცესის „ერთგვარ სანახაობად“ გადაქცევას ემსახურება მიზნად.⁷⁶⁷

ზემოაღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, არასრულწლოვანი გოგონას პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის ფაქტზე არაერთი განცხადება აქვს განხილული ჟურნალისტური ქარტიის საბჭოს, ვინაიდან სხვა მაუწყებლების მიერ ბრალდებული არასრულწლოვანი გოგონას პირდაპირი იდენტიფიცირებაც მოხდა, სიუჟეტში მისი სახელისა და გვარის მითითებით. საბჭომ განმარტა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შესახებ ფაქტების გავრცელებასთან დაკავშირებით

⁷⁶⁵ ტელეკომპანია „მაესტრო“, სატელევიზიო სიუჟეტი: „16 წლის დედამ 7 თვის შვილი ძილში გაგუდა და სხვა მამაკაცთან ერთად სახლიდან გაიქცა“, 22.05.2019 <https://youtu.be/QAIiinNVQ3c?fbclid=IwAR1QDmt_0JBF8GmwfjaM7w6jiWupdbK7BwgOgd_68uddb0GsBYoAOUcjm2Y> [31.05.2021].

⁷⁶⁶ საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 23/12/2004, მუხ. 48.

⁷⁶⁷ *ჯიშკარიანი ბ., კუცია ნ.*, საჯაროობის პრინციპი ქართული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, კრებულში: ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, *თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2019, 475.

ჟურნალისტს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება. მან მასალების მომზადება იმგვარად უნდა უზრუნველყოს, რომ არ შექმნას არასრულწლოვნის ნეგატიური ემოციური მდგომარეობის გაძლიერების ალბათობა. ამასთან, ქარტიის საბჭომ მოიშველია ბავშვთა საკითხებისა და კრიმინალის გაშუქების სახელმძღვანელო წესები, რომლის თანახმად დაუშვებელია კრიმინალურ ისტორიებში მონაწილე, დაზარალებული, ბრალდებული და მსჯავრდებული ან/და თვითმხილველი არასრულწლოვნების იდენტიფიცირება.⁷⁶⁸

ნიმანდობლივია, რომ ჟურნალისტის მიერ არასრულწლოვნის დანაშაულის საკითხის გაშუქებისას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის იდენტიფიცირებას ჟურნალისტური ქარტიის საბჭო ყველა შემთხვევაში ეთიკის პრინციპის დარღვევად მიიჩნევს, მაშინ როცა არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის ვინაობის გამჟღავნების შემთხვევაში, მსჯელობს, გადაწყვეტს თუ არა არასრულწლოვნის ინტერესებს საზოგადოების ინტერესები, ამასთან რიგ შემთხვევებში თავად არასრულწლოვნის ინტერესადაც მიიჩნევს არასრულწლოვნის იდენტიფიცირებას.⁷⁶⁹

ნიმანდობლივია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის ანგარიშშიც აღინიშნა მედიის წარმომადგენლების მხრიდან კანონთან კონფლიქტში მყოფ

⁷⁶⁸ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილება N287 საქმეზე „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის resonancedaily-ის და kvira + -ის არაიდენტიფიცირებული ჟურნალისტების წინააღმდეგ“, 29 მაისი 2019 წელი, <<https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/75767-gadatsyvetileba-saqmeze-phr-i-resonancedaily-is-da-kvira-istsinaaghmdeg>> [16.11.2021]. იხ. აგრეთვე: საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილება N286 საქმეზე „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის Primetime-ის არაიდენტიფიცირებული ჟურნალისტის და მალხაზ მიქელაძის წინააღმდეგ, 29 მაისი 2019 წელი“ <<https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/75705-gadatsyvetileba-saqmeze-phr-i-primetime-is-zhurnalistebis-tsinaaghmdeg>> [16.11.2021].

⁷⁶⁹ ბავშვთა საკითხის გაშუქებისას ჟურნალისტის მიერ არასრულწლოვანი დაზარალებულის იდენტიფიცირების მიუხედავად არ დადგინდა ქარტიის დარღვევა, ვინაიდან ამბის გაშუქება მიჩნეულ იქნა არასრულწლოვნის ინტერესების დაცვისთვის საჭიროდ და ამ სიკეთემ გადაწონა მისი არაპირდაპირი იდენტიფიცირებით გამოწვეული შესაძლო ზიანი. იხ: საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილება N198-199 საქმეზე „ცოტნე მუსელიანი ეკა გაგუას და მიშა სესიაშვილის წინააღმდეგ“, 26 სექტემბერი 2018 წელი, <<https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/66974-gadatsyvetileba-saqmeze-cotne-museliani-eka-gaguas-da-misha-sesiashvilis-tsinaaghmdeg>> [16.11.2021]. შუად. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილება N209 საქმეზე „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის მარიამ გაფრინდაშვილის წინააღმდეგ“, 14 აპრილი 2018 წელი. <<https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/51216-gadatsyvetileba-saqmeze-phr-i-mariam-gafindashvilis-tsinaaghmdeg>> [16.11.2021]. შუად. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილება N233 საქმეზე - პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის მარიამ გაფრინდაშვილის წინააღმდეგ, 17 ნოემბერი 2018 წელი, <<https://www.qartia.ge/en/component/content/article/6013/64428-gadatsyvetileba-saqmeze-phr-i-mariam-gafrindashvilis-tsinaaghmdeg>> [16.11.2021].

არასრულწლოვანთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გამჟღავნების შემთხვევების შესახებ.⁷⁷⁰

2011 წელს ჩატარებულმა მედიამონიტორინგის შედეგებმა, მხოლოდ ამავე წლის მაისის თვეში სიუჟეტების 85% შემთხვევაში გამოავლინეს ბავშვის იდენტიფიცირების შემთხვევები, საიდანაც 45,5% შემთხვევაში დარღვეული იყო ბავშვთა უფლებები.⁷⁷¹ 2017 წლის მედიამონიტორინგის შედეგებში ნათქვამია, რომ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის სულ რამდენიმე ფაქტი გამოვლინდა.⁷⁷² თუმცა, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ მოწოდებული სტატისტიკის თანახმად, 2017 წელს ბავშვთა უფლებების დარღვევის ყველაზე მეტი შემთხვევა გამოვლინდა (13 საქმე), 2018 წელს - 9 ფაქტი, ხოლო ბოლო წლებში მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის შემცირებული. ამრიგად, თუ შევადარებთ გასულ წლებში მედიის მიერ ბავშვთა იდენტიფიცირების შემთხვევების რაოდენობას ბოლო წლებში გამოვლენილ შემთხვევათა რაოდენობას, დადებით ტენდენციას შევნიშნავთ. თუმცა, არასრულწლოვნის იდენტიფიცირების შემთხვევები მედიის მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გაშუქებისას, კვლევაც გამოწვევად რჩება, რაზეც ზემოთ განხილული საქმეები მეტყველებს.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ინსტრუმენტები, ეროვნული კანონმდებლობა და თვითრეგულირების ფარგლებში მოქმედი ჟურნალისტთა ეთიკის პრინციპები, მკაცრად კრძალავენ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის როგორც პირდაპირ, ისე ირიბ იდენტიფიცირებას, ჟურნალისტების მხრიდან არასრულწლოვნის დანაშაულის საკითხის გაშუქებისას არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის ფაქტები კვლავაც ვლინდება. ვფიქრობ, აღნიშნულს განაპირობებს ორი ფაქტორი: პირველი, ჟურნალისტთა არასათანადო კვალიფიკაცია არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის ეთიკურად გაშუქების თვალსაზრისით და მეორე, ამგვარ დარღვევებზე რეაგირების ქმედითი მექანიზმის არარსებობა.

⁷⁷⁰ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2020, 85.

⁷⁷¹ დანელია ნ., ბავშვთა საკითხების გაშუქება ქართულ სატელევიზიო სივრცეში, მედიის განვითარების ფონდი, თბ., 2011, 8, <http://mdfgeorgia.ge/uploads//Bavshvta_sakitxebis_gashukeba_qartul_satelevizio_mediashi.pdf> [20.01.2022].

⁷⁷² საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგის ანგარიში, 1 აპრილი – 1 დეკემბერი 2017, 12.

• *ჟურნალისტთა კვალიფიკაციურობა არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გაშუქებისას.* ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ თვალსაზრისითაც, თუ გავითვალისწინებთ წინა თავში შემოთავაზებულ რეკომენდაციებს, რომლის თანახმად, მედიის წარმომადგენელს შეიძლება გამონაკლის შემთვევებში მიეცეს არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა, რაც კიდევ უფრო მეტ საფრთხეს ქმნის არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის ფარგლებში სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს, უზრუნველყოს იმ პირთა დატრენინგება, რომელთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა აქვთ ბავშვებზე.⁷⁷³ ამრიგად, იმისათვის, რომ გამოირიცხოს ჟურნალისტის მხრიდან შეცდომის დაშვების რისკები მისი არაკვალიფიკაციურობის გამო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, მიზანშეწონილია, მოხდეს არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გაშუქებაზე მომუშავე ჟურნალისტთა სპეციალიზაცია ამ მიმართულებით, რომლებსაც მხოლოდ შესაბამისი საკვალიფიკაციო კურსის გავლის შემდეგ მიეცემათ შესაძლებლობა გააშუქონ არასრულწლოვანთა დანაშაული ან გამონაკლის შემთვევებში, დაესწრონ სასამართლო სხდომებს. ვფიქრობ, დარგობრივი ჟურნალისტიკის განვითარება მეტი ალბათობით უზრუნველყოფს შეცდომების თავიდან არიდებასა და სიუჟეტების დადგენილი ეთიკური სტანდარტების შესაბამისად მომზადებას, რითაც გამორიცხება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ვინაობის გამჟღავნება.

• *ჟურნალისტების მიერ პროფესიული ეთიკის დარღვევის ფაქტებზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა.* მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტური ეთიკის ქარტია აქტიურად უზრუნველყოფს პროფესიული სტანდარტების დარღვევის ფაქტებზე საჩივრების განხილვას, იგი არ წარმოადგენს ქმედით მექანიზმს იმ თვალსაზრისით, რომ მხოლოდ რეკომენდაციების გაცემით შემოიფარგლება და არა აქვს უფლება გარკვეული სახის დისციპლინური პასუხისმგებლობა დააკისროს მედიის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც უხეზად

⁷⁷³ General Comment No. 14 on the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (art. 3, para. 1), UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2013, §15(f).

არღვევენ ეთიკის სტანდარტებს. აღნიშნულის პრეროგატივა სრულად იმ მაუწყებლის ხელშია, სადაც დასაქმებულია ეს კონკრეტული ჟურნალისტი,⁷⁷⁴ მათი მხრიდან ეთიკის სტანდარტების დამრღვევი ჟურნალისტის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების თაობაზე ინფორმაცია არ მოიპოვება. მაუწყებლების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსებულ გადაწყვეტილებათა ძალზედ მცირე რაოდენობიდან იკვეთება, რომ მაუწყებელი მხოლოდ რეკომენდაციების გაცემით შემოიფარგლება.⁷⁷⁵ მაშინ, როცა ბავშვის უფლებათა კომიტეტი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს გამოიყენონ დისციპლინური პასუხისმგებლობა იმ ჟურნალისტის მიმართ, რომელიც გაამჟღავნებს ბავშვის ვინაობას, ხოლო განმეორების შემთხვევაში დააკისრონ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.⁷⁷⁶ რეკომენდაციების თანახმად, ეროვნული კანონმდებლობა გარკვევით უნდა კრძალავდეს მედიის მიერ არასრულწლოვნების მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გაშუქებას. კონფიდენციალობის დარღვევა კი მიჩნეული უნდა იყოს დანაშაულად.⁷⁷⁷

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით, მიზანშეწონილია, პირველ რიგში, ჟურნალისტების მიერ პროფესიული ეთიკის დარღვევის ფაქტებზე რეაგირების მექანიზმი თვითრეგულირების ფარგლებში გაძლიერდეს, რათა დარღვევის ფაქტებზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დონეზე მოხდეს ქმედითი

⁷⁷⁴ ერთადერთი ფაქტი ჟურნალისტისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, ცნობილი გახდა 2013 წელს, როდესაც ტელეკომპანია „იმედის“ წამყვანები სამსახურიდან გაათავისუფლეს საჯარო ჰომოფობიური განცხადების გამო. იხ: *ხიდეშელი ს.*, ბავშვთა უფლებების დაცვა მედიაში – დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირების მნიშვნელოვანი ასპექტი, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია, *კორკელია ვ. (რედ.)*, თბ., 2020, 299-300.

⁷⁷⁵ მაგ, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავის 2“-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე სულ განთავსებულია თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მოქმედი დავის განმხილველი ორგანოს 4 გადაწყვეტილება. მართალია, ამ გადაწყვეტილებებიდან არც ერთი შეეხება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის ფაქტებს, თუმცა ოთხივე გადაწყვეტილებაში დადგინდა ჟურნალისტის მიერ პროფესიული ეთიკის სტანდარტების დარღვევა და გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ოთხივე შემთხვევაში შემოიფარგლა ჟურნალისტისთვის მხოლოდ რეკომენდაციის მიცემით. იხ: სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“, გამოქვეყნებული გადაწყვეტილებები, <https://rustavi2.ge/ka/tvg2> [20.01.2022]. ასევე, ტელეკომპანია „იმედის“ ვებ-გვერდზე თვითმარეგულირებელი ორგანოს მხოლოდ ერთი გადაწყვეტილებაა განთავსებული, რომლიც ასევე დადგინდა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დარღვევა. გადაწყვეტილებით მაუწყებელს დაევალა დარღვევის დადგენის შესახებ განცხადების გავრცელება. იხ: სამაუწყებლო კომპანია „იმედი“, თვითრეგულირების საბჭოს გადაწყვეტილება, <shorturl.at/hnpBQ> [20.01.2022].

⁷⁷⁶ General comment No. 10: Children's Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2007, §64.

⁷⁷⁷ *ჰამილტონი ქ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბ., 2015, 89.

რეაგირება. ამასთან, ვინაიდან ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი ინსტრუმენტები უფრო მკაცრი ზომების მიღებას მოითხოვენ იმ ჟურნალისტებთან მიმართებით, რომლებიც უხეშად არღვევენ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლებას, საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა. აღსანიშნავია, რომ ხორვატიამ არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მიზნით სპეციალური მუხლიც კი შემოიღო სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის წესით იმ პირთა დასჯადობას, რომლებიც ხელყოფენ ბავშვის პირადი ცხოვრების უფლებას მისი ფოტოების ან სხვა მაიდენტიფიცირებელი გარემოებების გამჟღავნებით, თუ ამან გამოიწვია ბავშვის მღელვარება, თანატოლებისგან ან სხვა პირებისგან დაცინვა ან სხვა მხრივ საფრთხე შეექმნა ბავშვის კეთილდღეობას. ამასთან, იგივე ქმედების ჩადენა საჯარო მოხელის ან მედიის წარმომადგენლის მიერ, წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას.⁷⁷⁸ მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის არაერთი მუხლით დასჯადია პირადი ცხოვრების ხელყოფა, მაგალითად, სსკ-ის 157-ე მუხლით ისჯება პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა, 157¹ მუხლით - პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა, 158-ე მუხლით - კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა, 159-ე მუხლით - პირადი მიმოწერის, ტელეფონით საუბრის ან სხვაგვარი ხერხით შეტყობინების საიდუმლოების დარღვევა; თუმცა, აღნიშნული მუხლებით დაცულია ზოგადად ნებისმიერი პირის სრულწლოვნისა თუ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. უშუალოდ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვის თვალსაზრისით რაიმე სპეციალურ მუხლს არ ითვალისწინებს ჩვენი კანონმდებლობა. როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. გვ. 151-152), მიზანშეწონილია, აღნიშნულ მუხლებს დაემატოს ამ ქმედებების ჩადენა არასრულწლოვნის მიმართ, როგორც დამამძიმებელი გარემოება, ვინაიდან არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფამ, მისმა გასაჯაროებამ, შეიძლება გამოიწვიოს არასრულწლოვნის სტიგმატიზება, ბულინგი თანატოლების მხრიდან და ა.შ., რაც სრულწლოვნისგან განსხვავებით

⁷⁷⁸ Radic I., Importance of the Protection of Privacy of Juvenile Suspects or Accused Persons in Criminal Proceedings in the Context of the EU Law. EU and Comparative Law Issues and Challenges Series, 4, 2020, 589. იხ. ციტირება: Criminal Code (Kazneni zakon), Official Gazette No. 125/11., 144/12., 56/15., 61/15., 101/17., 118/18., 126/19, Art. 178. (2) and (3).

არასრულწლოვნისათვის ბევრად მძიმე შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. ალტერნატივის სახით, ვფიქრობ გასაზიარებელია ხორვატიის მიდგომა და სასურველია შეიქმნას სპეციალური მუხლი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც უშუალოდ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფის კრიმინალიზებას მოახდენს და დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს ბავშვებთან მომუშავე სპეციალიზირებული პირების მიერ ამ უფლების ხელყოფას. თუმცა, საკითხი პრობლემატურია იმ თვალსაზრისით, რომ სისხლის სამართლის წესით მედიის წარმომადგენლების დასჯადობა განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს, რათა ეს აღქმული არ იქნეს მედიის სადამსჯელო ზომად მისი საქმიანობის ხელშეშლის მიზნით. ევროპული სასამართლო ჟურნალისტის სისხლის სამართლის წესით დასჯას არ გამოორიცხავს, თუმცა მხოლოდ განსაკუთრებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში მიიჩნევს გამართლებულად.⁷⁷⁹ საქმეში *კუმპანა და მაზარი რუმინეთის წინააღმდეგ*⁷⁸⁰ ევროპულმა სასამართლომ, ჟურნალისტთა უფლებებში ჩარევა და მათი სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება გამართლებულად მიიჩნია.⁷⁸¹ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, მედიის საქმიანობასთან მიმართებით თავისუფლების ხელშეუვალობის გარანტია კონსტიტუციურ დონეზეც კი შეიძლება იყოს განსაზღვრული, თუმცა, მედიაც უნდა ექცეოდეს გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებში.⁷⁸² „პიროვნების თავისუფლებაში ჩარევა მხოლოდ ლეგიტიმური მიზნების საფუძველზე უნდა განხორციელდეს. თუ ჟურნალისტი ჩაიდენს ისეთ ქმედებას, რომელიც მის დაკავებას ითვალისწინებს, მისი თავისუფლების შეზღუდვა არ გახდება კონსტიტუციურ უფლებაში უკანონო ჩარევის საფუძველი.“⁷⁸³ ამრიგად, თუკი მოხდება ჟურნალისტთა სპეციალიზაცია ბავშვთა საკითხებში და ასეთი კვალიფიკაციის მქონე ჟურნალისტი განზრახ უხეშად დაარღვევს ეთიკურ სტანდარტებს, მაგალითად გაავრცელებს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის გამოსახულებას, ან მის ვინაობას გაამჟღავნებს, თუნდაც

⁷⁷⁹ Jersild v. Denmark, [1994] ECHR, no. 15890/89, §35.

⁷⁸⁰ Cumpăna and Mazăre v. Romania, [2004] ECHR, no. 33348/96.

⁷⁸¹ გოცირიძე ე., გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2007, 226.

⁷⁸² ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ., მედიასამართალი, *ჯორბენაძე ს. (რედ.)*, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2014, 64.

⁷⁸³ იქვე.

სენსაციური სიუჟეტის მომზადების მიზნით, და ეს გამოიწვევს არასრულწლოვნის ფართო სტიგმატიზებას, ბულინგს, შესაძლოა არასრულწლოვანმა თვითმკვლელობაც კი სცადოს. ამასთან, თუ მსგავსი ქმედების განხორციელება ჟურნალისტის მხრიდან პირველ შემთხვევას არ წარმოადგენს და მას ადრე დაკისრებული ჰქონდა დისციპლინური პასუხისმგებლობა, ვფიქრობ საგამონაკლისო შემთხვევებში არ გამოირიცხება ჟურნალისტის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც, რაც ასეთ შემთხვევებში არ შეიძლება იქნეს მიჩნეული ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლად.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ვფიქრობ, ამგვარი რეგულირების პირობებში, ნაკლები რისკები იარსებებს მედიის წარმომადგენლების მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გაშუქებისას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის თვალსაზრისით. ამასთან, ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვა ბავშვის უფლებათა სფეროში მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებთან. თუმცა, კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მედიის წარმომადგენელთა სისხლის სამართლის წესით დასჯადობა უნდა წარმოადგენდეს უკიდურეს ღონისძიებას. უპირველეს ყოვლისა კი მიზანშეწონილია, კანონმდებელმა უზრუნველყოს მედიის თვითრეგულირების მექანიზმის გაძლიერება, რათა მედიის წარმომადგენლების მიერ ეთიკური სტანდარტების დარღვევის ფაქტებზე დისციპლინური პასუხისმგებლობის ფარგლებში მოხდეს ქმედითი რეაგირება.

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიების კვლევას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. ნაშრომში შეფასდა ქართული კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან, გაანალიზებულ იქნა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიების პრობლემატური საკითხები, რომელიც საბოლოოდ შეიძლება შეჯამდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი ძირითადი დასკვნითი წინადადებებისა და რეკომენდაციების სახით:

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წარმოშობისა და განვითარების ისტორიულმა ანალიზმა ცხადყო, რომ აშშ-ში, სადაც შეიქმნა მსოფლიოში პირველი არასრულწლოვანთა საქმის განმხილველი სასამართლო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის დამფუძნებლების მთავარ მიზანს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სტიგმატიზაციისაგან დაცვა და მისი რეაბილიტაცია წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ, განმტკიცდა კონფიდენციალობის პრინციპი. 1990-იან წლებში აშშ-ში არასრულწლოვანთა მზარდმა დანაშაულმა საფუძველი დაუდო ტრადიციული კონფიდენციალობის პრინციპის ცვლილებას ორი მიმართულებით: პირველი, სასამართლო სხდომები გახდა საჯარო იმ არასრულწლოვანთა საქმეებზე, რომლებსაც ბრალი ედებოდათ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში ან ჩადიოდნენ განმეორებით დანაშაულს. ამასთან, მედიას მიეცა უფლება გაემჟღავნებინა არასრულწლოვანთა ვინაობა; და მეორე, საკანონმდებლო ცვლილები შეეხო კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მონაცემებზე წვდომის საკითხს. კონფიდენციალობის პრინციპი საჯაროობის პრინციპმა გადაწონა.

ევროპის კონტინენტზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემების განვითარება აშშ-ში არასრულწლოვანთა სასამართლოს დაარსებამ განაპირობა. სწორედ ჩიკაგოს „არასრულწლოვანთა სასამართლოს შესახებ“ კანონის შესაბამისად ჩამოყალიბდა ევროპის ქვეყნებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მომწესრიგებელი აქტები. ამასთან, თითოეული ევროპული ქვეყნის

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში აისახა მათი ისტორიის, კულტურისა და ღირებულებების შესაბამისი პროგრამები. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რეაბილიტაციის მიზნით, ევროპის ქვეყნების უმეტესობამ უპირატესობა მიანიჭა დახურულ სასამართლო სხდომებს. ამავდროულად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემებში პერიოდულად იკვეთებოდა ცვლილებები არასრულწლოვნის პასუხისმგებლობის გამკაცრების მიმართულებით. ქვეყნები მუდმივად ცდილობენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში საზოგადოების უსაფრთხოებისა და არასრულწლოვნის კონფიდენციალობის ინტერესთა სამართლიან დაბალანსებას.

ისტორიულად ქვეყნების უმეტესობა ხშირად იყო დილემის წინაშე, პრიორიტეტი მიენიჭებინა „კეთილდღეობის“ თუ „მართლმსაჯულების“ მოდელისთვის. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ხარისხიც სწორედ ამაზე იყო დამოკიდებული. კეთილდღეობის მოდელი არასრულწლოვნის რეაბილიტაციას მთავარ ამოსავალ პირობად განიხილავს, ამ მიზნით კონფიდენციალობის პრინციპი გადამწყვეტ ადგილს იკავებს ამ მოდელის მქონე ქვეყნების კანონმდებლობაში. ხოლო მართლმსაჯულების მოდელს, რომელიც ორიენტირებულია ქმედების დასჯაზე, რიგ შემთხვევებში, საზოგადოების ინტერესის სასარგებლოდ, საჯაროობის ელემენტები შეაქვს სისტემაში.

- ბავშვის უფლებათა სამართალში მოქმედ ყველა საერთაშორისო თუ რეგიონულ ინსტრუმენტში აისახა არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება, რომლის დაცვაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. ბავშვის უფლებათა კონვენცია, აღნიშნულ უფლებას სამართლიანი სასამართლოს გარანტიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებრივ კომპონენტად განიხილავს, რომელიც მაღალი სტანდარტით უნდა იქნეს დაცული წევრი სახელმწიფოების მიერ, რათა გამოირიცხოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ვინაობის გამჟღავნებით მისი სტიგმატიზაცია.

- საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი არ იყო უზრუნველყოფილი პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სათანადო გარანტიებით.

აღნიშნული ცხადყო, როგორც 2015 წლამდე მოქმედმა საქართველოს კანონმდებლობის ანალიზმა, ისე კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საქმეთა განხილვის უპრეცედენტო საჯაროობის, მათი პერსონალური მონაცემების გამჟღავნებისა და გამოქვეყნებისაგან დაუცველობის ამსახველმა არაერთი საქმის მიმოხილვამ. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმეთა განხილვა დასაშვები იყო როგორც დახურულ, ისე ღია სასამართლო სხდომაზე. ამასთან, არასრულწლოვანთა განაჩენები ყოველთვის ცხადდებოდა საჯაროდ, მაშინაც კი როდესაც საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე იხილებოდა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მუდმივად ახდენდნენ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა პირდაპირ იდენტიფიცირებას არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გამოქვებისას.

2015 წელს, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით ერთ-ერთ მთავარ პრინციპად განისაზღვრა არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა. როგორც პრინციპი, იგი განსაზღვრავს არასრულწლოვნის პრივილეგიას დაცული იყოს მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გამჟღავნებისაგან საქმის განხილვის ყველა სტადიაზე. ამ მიზნით, ავალდებულებს პროცესის მწარმოებელ პირებსა და მონაწილეებს დაიცვან კონფიდენციალობა. ხოლო მეორე მხრივ, როგორც უფლება, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს ანიჭებს უფლებამოსილებას მოითხოვოს საქმის განხილვის ყველა სტადიაზე, მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დამმუშავებელი ნებისმიერი ორგანოს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდან მისი პირადი ცხოვრების პატივისცემა. ვინაიდან, ამკ-ის მე-13 მუხლი ბლანკეტურ ნორმას წარმოადგენს, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიებს ქმნის არამხოლოდ ამკ, არამედ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და სხვა დარგობრივი კანონმდებლობა.

- არასრულწლოვანი, როგორც უფლებების მფლობელი სუბიექტი სარგებლობს სრულწლოვანთათვის მინიჭებული ყველა უფლებით, თუმცა ბიო-ფსიქოლოგიური მახასიათებლების, ასაკის, მოწიფულობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინების შესაბამისად, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებიან ეს უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად,

მნიშვნელოვანია კანონმდებლობაში ასახული იყოს „სპეციალური მოთხოვნები“, რათა ბავშვის საჭიროებები სათანადოდ იქნეს დაკმაყოფილებული. ასეთ „სპეციალურ მოთხოვნად“ მოიაზრება არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემა საქმის განხილვის ყველა სტადიაზე, რომლის სპეციფიკური ასპექტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში შეიძლება გაერთიანდეს 3 ძირითად საკითხად:

1. *კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები სასამართლოში საქმის განხილვისას, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია საქმის განხილვა დახურულ სასამართლო სხდომაზე.*

2. *კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში, კერძოდ მონაცემთა გამჟღავნებისაგან დაცვის გარანტიები.*

3. *კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები მედიის მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გაშუქებისას.*

• ბავშვის უფლებათა სამართალში მოქმედი საერთაშორისო ინსტრუმენტების მიმოხილვამ ცხადყო, რომ არაერთი საერთაშორისო აქტი, არასრულწლოვნის სტიგმატიზაციის პროცესთან დაკავშირებით ჩატარებული კრიმინოლოგიური კვლევის შედეგებს, მოიხსენიებს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების მაღალი სტანდარტით დაცვის ერთ-ერთ არგუმენტად. ამ მიზნით ნაშრომში განხილულ იქნა ე.წ. „ეტიკეტირების თეორია“. აღნიშნული თეორიის მიმოხილვამ ცხადყო, რომ კრიმინოლოგიაში განასხვავებენ სტიგმატიზების ორ ფორმას: არაფორმალურს (საზოგადოების მიერ), და ფორმალურს (სამართალდამცავი ორგანოების, სასამართლოს, მედიის და სხვ. მიერ). ბოლოდროინდელმა კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანზე განაკუთრებით მავნე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია არაფორმალურ ეტიკეტირებას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მისი უარყოფა თანატოლების მხრიდან და არასრულწლოვნის დაახლოება დევიანტური თვითკონცეფციის მქონე პირებთან, რაც ზრდის არასრულწლოვნის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკებს. ამასთან, არასრულწლოვნის მომავალ

ცხოვრებაზე ნეგატიური გავლენის მომხდენი შეიძლება პატიმრობაც კი არ აღმოჩნდეს, თუ არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალური დარჩება და ფართო საზოგადოებისათვის არ გახდება ცნობილი.

1. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები სასამართლოში საქმის განხილვისას.

- კვლევამ ცხადყო, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის წევრი ქვეყნები სარგებლობენ არჩევანის თავისუფლებით, თავად განსაზღვრონ ეროვნული კანონმდებლობით კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სასამართლო სხდომის ჩატარების წესი. თუმცა, ბავშვის უფლებათა კომიტეტი მოუწოდებს ქვეყნებს, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში პრეზუმფცია დახურული სასამართლო სხდომის სასარგებლოდ განისაზღვროს. კონვენციის თანახმად, მართალია არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ მინიმალურ გარანტიას, თუმცა იგი არ არის აბსოლუტური და უკიდურესად გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება შეიზღუდოს სამართალწარმოების საჯაროობის სასარგებლოდ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის განხილვისას, მხოლოდ სხდომის საჯაროობა არ არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, თუ პრესისა და საზოგადოების მხრიდან არ ვლინდება არასრულწლოვნის მიმართ მტრული დამოკიდებულება. ამასთან, ევროპული სასამართლო კონვენციის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ არ მიიჩნევს გარკვეული კატეგორიის საქმეებზე, მათ შორის, არასრულწლოვანთა საქმეებზე დახურულ სამართალწარმოებას, იმ პირობით, თუ საზოგადოებრივი ინტერესი დაკმაყოფილებული იქნება სასამართლო სხდომაზე შერჩევითი დასწრების უფლებითა და საზოგადოების გონივრულ ფარგლებში ინფორმირებით.

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიმოხილვამ ცხადყო, რომ სახელმწიფოთა უმეტესობა მოსამართლეს ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გააკეთოს არჩევანი არასრულწლოვნის საქმის განხილვის საჯაროობის ან დახურული სასამართლო სხდომის სასარგებლოდ.

ნაწილი ქვეყნებისა, კანონმდებლობით უშვებს არასრულწლოვნის სასამართლო სხდომის საჯაროობას, როცა ეს თავსებადია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან, ხოლო ნაწილი ქვეყნებისა - როდესაც არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. თუმცა ქვეყნების მცირე რიცხვი (მათ შორისაა, გერმანია, ხორვატია, სერბეთი) იმპერატიულად ადგენენ არასრულწლოვნის საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის წესს. ანალოგიური წესი მოქმედებს ეროვნულ სამართალში. მოქმედი რეგულაციით, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება ყოველთვის გადაწონის სამართალწარმოების საჯაროობას, რაც არ უნდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდეს. ამრიგად, ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო რეგულირების პირობებში, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება მაღალი სტანდარტითაა დაცული და სხდომის საჯაროობას ცალსახად გამორიცხავს კანონმდებელი.

ნაშრომში განხილულ იქნა რამდენიმე იშვიათი საქმე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკიდან, რომლებშიც მხარე ამტკიცებდა, რომ დახურული სასამართლო სხდომა არ იყო თავსებადი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან, ვინაიდან ილახებოდა არასრულწლოვნის უფლებები და აქედან გამომდინარე, მხარეს სურვილი ჰქონდა სასამართლო პროცესი გამართულიყო საზოგადოებრივი მეთვალყურეობის პირობებში. იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებების თანახმად, დახურული სასამართლო პროცესები მაღალი რისკის მატარებელია იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედებს შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესი; სასამართლო განხილვისთვის თვალყურის დევნების ინტერესი განსაკუთრებით დიდია იმ ქვეყნებში, რომლებიც „ახლო წარსულში ეზიარნენ დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებს“, ვინაიდან შესაძლებელია დახურული სხდომის პირობებში „საიდუმლო სისტემა“ გარკვეული ხარვეზებით ფუნქციონირებდეს და ბავშვთა უფლებების შელახვის ფაქტები შეუმჩნეველი რჩებოდეს. ამიტომ, მნიშვნელოვანია დახურული სასამართლო სხდომის პირობებშიც მიღწეულ იქნეს სამართლიანი ბალანსი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობასა და სასამართლო გამჭვირვალობას შორის.

ამკ-ის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომელიც თავისი ხასიათით იმპერატიული ნორმაა, ერთი მხრივ, აბსოლუტურ ჭრილში განიხილავს დახურულ სამართალწარმოებას და რაც არ უნდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდეს, არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლებას ანიჭებს უპირატესობას, ხოლო მეორე მხრივ, უზღუდავს არასრულწლოვანს უფლებას მოითხოვოს მისი საქმის საჯაროდ გახილვა, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელი გამორიცხავს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესთან სხდომის საჯაროობის თავსებადობას. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის დახურულ სასამართლო სხდომაზე განხილვითა და პროცესზე დამსწრე პირთა შეზღუდვით, მართალია, კანონმდებელი უზრუნველყოფს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობასა და მისი ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობას პროცესში, თუმცა ამავდროულად, საზოგადოების ინტერესი მოითხოვს არასრულწლოვანთა დანაშაულისა და განხორციელებული მართლმსაჯულების შესახებ ინფორმაციის მიღებას. საჯარო ინტერესი განსაკუთრებით მაღალია მაშინ, როდესაც არასრულწლოვნის მხრიდან განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენასთან გვაქვს საქმე. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არ ნიშნავს სხვა მნიშვნელოვანი ინტერესების სრულ უგულებელყოფას. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია დაცვის მხარეს გარკვეულ პირთა ზედმახედველობის ქვეშ პროცესის წარმართვის ინტერესი ჰქონდეს. უდავოა, რომ არასრულწლოვნის სასამართლო სხდომის საჯაროობა და მისი ვინაობის გამჟღავნება ვერ ჩაითვლება მის საუკეთესო ინტერესად, თუმცა მნიშვნელოვანია დახურული სასამართლო სხდომის პირობებშიც უზრუნველყოფილი იყოს სასამართლო გამჭვირვალობა. ამასთან, საზოგადოების ინტერესიც შესაძლებელია დაკმაყოფილდეს არა სხდომის საჯაროობით, არამედ შერჩევითი დასწრების შესაძლებლობითა და საზოგადოების გონიერების ფარგლებში ინფორმირებით, რათა ზომაზე მეტად არ მოხდეს უფლებაში ჩარევა.

კვლევამ ცხადყო, რომ საერთაშორისო მასშტაბით ტენდენცია არასრულწლოვნის სასამართლო სხდომაზე პირთა წრის შეზღუდვისკენ იხრება, თუმცა არ გამოირიცხება გარეშე პირთა დასწრება სხდომაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს არასრულწლოვნის ინტერესთან თავსებადია. საზღვარგარეთის ქვეყნებში,

რომელთა საკანონმდებლო რეგულირების მსგავსად ჩვენს ქვეყანაში იმპერატიულად დახურულია არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომები, მოსამართლეს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში იმსჯელოს და ნება დართოს „განსაკუთრებული მიზნის“ მქონე პირს დაესწროს არასრულწლოვნის სხდომას. ძირითადად, ეს შეიძლება იყოს საგანმანათლებლო, და კვლევითი საქმიანობის, სასამართლო ადმინისტრირების, მონიტორინგის განხორციელების ან სხვა სპეციალური მიზნის მქონე პირი. ამასთან, საგამონაკლისო შემთხვევებში, რიგ ქვეყნებში (მაგ, გერმანია, ინგლისი, უელსი, აშშ) მოსამართლეს უფლება აქვს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სასამართლო სხდომაზე დასწრების ნებართვა მისცეს მედიის ერთ წარმომადგენელს.

ვინაიდან, ამკ არ ითვალისწინებს სპეციალურ ნორმას, რომელიც მოსამართლეს საშუალებას მისცემს ინდივიდუალურად შეაფასოს გარეშე პირთა დასწრების საკითხი სხდომაზე, ამიტომ, მიზანშეწონილია ეროვნული კანონმდებლობით მოსამართლეს ჰქონდეს დისკრეციული უფლებამოსილება იმსჯელოს გარეშე პირთა სხდომაზე დაშვების თაობაზე, რაც გამონაკლისს უნდა წარმოადგენდეს და როგორც წესი, წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან. თუ პირს სურს საგანმანათლებლო, მონიტორინგის, კვლევითი მიზნებით სხდომაზე დასწრება, ეს შეიძლება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესადაც მივიჩნიოთ, იმ თვალსაზრისით, რომ მონიტორინგისა და კვლევის პირობებში ხელი შეეწყობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებასა და მთლიანად სისტემის გაჯანსაღებას. რაც შეეხება მედიის წარმომადგენლის დასწრებას, ეს გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული და უნდა წარმოადგენდეს ძალზედ საგამონაკლისო შემთხვევას. მაგალითად, როდესაც დაცვის მხარე თავად ითხოვს მედიის მეთვალყურეობის პირობებში სხდომის გამართვას. კიდევ უფრო უკიდურეს შემთხვევას უნდა წარმოადგენდეს მედიის დასწრების შესახებ გადაწყვეტილების მიღება საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით (მაგ. განიხილება ტერორიზმის ბრალდება, ან ერთობლივად განიხილება არასრულწლოვანი და სრულწლოვანი ბრალდებულების საქმე (თუ რეზონანსული საქმეა). ასეთ შემთხვევებში, მიზანშეწონილია სხდომაზე დაშვებულ იქნეს საზოგადოებრივი

მაუწყებლის ჟურნალისტი. ამასთან, მედიის წარმომადგენლის სხდომაზე დაშვების წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს ბავშვთა საკითხების გაშუქებაში შესაბამისი კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

რეკომენდირებულია:

- ამკ-ის 29-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ნორმა: *მოსამართლე უფლებამოსილია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის განხილვისას სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება მისცეს საგანმანათლებლო, კვლევითი ან სხვა განსაკუთრებული მიზნის მქონე პირს.*

არასრულწლოვნის სასამართლო სხდომაზე მესამე პირთა დასწრების შესაძლებლობის საკითხის გაანალიზებისას, მხედველობაში იქნა მიღებული ის პოტენციური რისკები, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას არასრულწლოვნის პროცესში ეფექტიან მონაწილეობას. ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია გერმანიისა და ინგლისის ინოვაციური მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს მედიის წარმომადგენლებისა და მესამე პირთა სხდომაზე დასწრების შესაძლებლობას იმავე სასამართლოს შენობის სხვა სივრციდან, სადაც დამსწრე პირები უზრუნველყოფილნი არიან ვიდეო ან აუდიო ტრანსლირებით.

რეკომენდირებულია:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზრუნველყოს არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომის დარბაზების ამგვარ პირობებში ინფრასტრუქტურული მოწესრიგება.

ინფრასტრუქტურული გაუმჯობესების ფარგლებში, კვლევისას გამოიკვეთა კიდევ ერთი პრობლემატური საკითხი საერთო სასამართლოებში. ვინაიდან, არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომები იმართება შემინულ-კარიანი სხდომის დარბაზებში, ეს დამატებით საფრთხეს ქმნის კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის იდენტიფიცირების თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხი ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან მოითხოვს შესაბამის რეაგირებას.

კანონმდებლობა მკაცრად უნდა კრძალავდეს სხდომაზე დამსწრე პირთა მიერ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ვინაობის გამჟღავნებას. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია სათანადო მყარი სამართლებრივი გარანტია არსებობდეს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დასაცავად. არსებული

საკანონმდებლო რეგულირების პირობებში, შესაძლოა მოსამართლემ იხელმძღვანელოს სსსკ 104-ე მუხლითა და 182-ე მუხლის მე-7 ნაწილით დადგენილი ნორმებით, თუმცა ორივე მუხლი ითვალისწინებს მოსამართლის უფლებას და არა ვალდებულებას გააფრთხილოს დამსწრე პირები კონფიდენციალობის დაცვის თაობაზე. მიზანშეწონილია ამკ-ის 29-ე მუხლს დაემატოს ნორმა, რომელიც მოსამართლეს დაავალდებულებს გააფრთხილოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირები, არ გაამჟღავნონ არასრულწლოვნის მონაცემები, რისი დაუცველობაც, დადგენილი პრაქტიკის მიხედვით გამოიწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას სსკ 381-ე მუხლის საფუძველზე (განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა). ვფიქრობ, ამგვარი საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში, თავიდან იქნება აცილებული „საიდუმლო მართლმსაჯულება“. ერთი მხრივ, შეიქმნება არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვის სათანადო საკანონმდებლო გარანტიები და მეორე მხრივ, ხელი შეეწყობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობას, პრობლემათა იდენტიფიცირებასა და მთლიანი სისტემის გაჯანსაღებას, რაც წარმოადგენს არა მხოლოდ საზოგადოების, არამედ პირველ რიგში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს.

რეკომენდირებულია:

- ამკ-ის 29-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ნორმა: *„მოსამართლე სხდომაზე დამსწრე პირებს აცნობებს ვალდებულების შესახებ, არ გაახმაურონ ის ინფორმაცია, რომელიც მათთვის ამ სხდომაზე გახდა ცნობილი.“*

• კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებში დადგენილი პრაქტიკის თანახმად, არასრულწლოვნის განაჩენი დახურულ სასამართლო სხდომაზე ცხადდება, თუმცა ბუნდოვანია, არსებობს თუ არა შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი. მართალია, ამკ-ის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს საქმის განხილვას დახურულ სასამართლო სხდომაზე, თუმცა განაჩენის საჯაროდ გამოცხადება სამართალწარმოების საჯაროობის კიდევ ერთ ცალკეულ ასპექტს წარმოადგენს, რომელიც განსხვავდება სასამართლო განხილვისგან იმ თვალსაზრისით, რომ შეიძლება შეიზღუდოს სამართალწარმოების საჯაროობა და საქმე განხილულ იქნეს დახურულ სხდომაზე, თუმცა განაჩენი

საჯაროდ გამოცხადდეს. ვინაიდან, საკითხი არ არის რეგულირებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, ასეთ შემთხვევაში ვხელმძღვანელობთ სსსკ-ის შესაბამისი მუხლებით, რომელიც ცალსახად მიუთითებს სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილების საჯაროობის თაობაზე, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. ანალოგიურად აწესრიგებს საკითხს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“. რაც შეეხება საერთაშორისო აქტებს, ბავშვის უფლებათა კონვენცია უშვებს განაჩენის „გამოცხადების საჯაროობას“ მხოლოდ მისი ვინაობის გამჟღავნების გარეშე, რაც ვფიქრობ არ არის თავსებადი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიზნებთან. განაჩენის საჯაროდ გამოცხადება, თუნდაც არასრულწლოვნის ვინაობის გაუმჟღავნებლობის პირობებში, დამსწრე პირებს შესაძლებლობას აძლევს მოახდინონ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ვიზუალური იდენტიფიცირება, რაც მთლიანად აზრს უკარგავს მანამდე პროცესის დახურულ რეჟიმში წარმართვას. და ბოლოს, საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ“. ვფიქრობ, კონსტიტუციის ეს ნორმა უნდა განიმარტოს ლოგიკური განმარტების მეთოდით, ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც საქმის საჯარო განხილვის უფლების შეზღუდვის საფუძვლებს ავრცელებს განაჩენის საჯაროდ გამოცხადების წესზეც. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის უფლებათა სამართალში დამკვიდრებული პრინციპის თანახმად, ნორმის ორაზროვნების შემთხვევაში, იგი უნდა განიმარტოს იმ გზით, რომელიც უკეთ ემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

ამრიგად, აუცილებელია განაჩენის გამოცხადების საჯაროობის წესიდან გამონაკლისი გათვალისწინებული იყოს კანონით (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით) და არა დადგენილი პრაქტიკით.

რეკომენდირებულია;

- ამკ-ის 59-ე მუხლს დაემატოს 1¹ ნაწილი: „*არასრულწლოვნის მიმართ განაჩენი ცხადდება დახურულ სასამართლო სხდომაზე.*“

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-3 ნაწილის წინადადებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ყველა შემთხვევაში,“ და

ფორმულირდეს შემდეგი სახით: „სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

- მოქმედი საკანონმდებლო რეგულირების პირობებში, პირმა, რომელმაც არასრულწლოვნების პერიოდში ჩაიდინა დანაშაული და პროცესის მსვლელობის დროს შეუსრულდა 18 წელი, კარგავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებულ შეღავათებს, მათ შორის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საპროცესო გარანტიას - დახურულ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის უფლებას. რაც მნიშვნელოვან საფრთხეებს ქმნის არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის თვალსაზრისით და სრულად უკარგავს აზრს მანამდე პროცესის კონფიდენციალობას. ამრიგად, მიზანშეწონილია, მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასდეს აღნიშნული საშეღავათო წესის გამოყენების მიზანშეწონილობის საკითხი. რა დროსაც მოსამართლემ შესაძლოა მხედველობაში მიიღოს არასრულწლოვნის პიროვნული მახასიათებლები, ჩადენილი დანაშაულის კატეგორია და სხვა გარემოებები. ასეთ შემთხვევაში, პრეზუმფცია უნდა მოქმედებდეს დახურული სასამართლო სხდომის სასარგებლოდ, თუმცა ამ წესიდან გამონაკლისს უნდა წარმოადგენდეს სამართალწარმოების საჯაროობა.

რეკომენდირებულია:

- სსსკ-ის 182-ე მუხლს დაემატოს მე-3¹ ნაწილი:

დახურულ სასამართლო სხდომაზე იხილება იმ პირის საქმე, რომელმაც არასრულწლოვნების პერიოდში ჩაიდინა დანაშაული და პროცესის მსვლელობის დროს შეუსრულდა 18 წელი. სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის საჯაროობის შესახებ.

გარდა „საპროცესო არასრულწლოვნების“ პრინციპისა, ვინაიდან, გარდამავალი პერიოდი არასრულწლოვნებიდან სრულწლოვნებამდე ხანგრძლივია, მიზანშეწონილია 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებზეც გავრცელდეს არასრულწლოვნების მსგავსი მოპყრობა კონფიდენციალობის თვალსაზრისით. ანალოგიურ მიდგომას ითვალისწინებს გერმანიის კანონმდებლობაც. თუმცა, ასეთი ტიპის საქმეებზე პრეზუმფცია უნდა მოქმედებდეს ღია სასამართლო სხდომის

სასარგებლოდ, გამონაკლისის სახით კი არსებობდეს სხდომის დახურვის შესაძლებლობა.

რეკომენდირებულია:

- სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილს დაემატოს „ვ“ ქ/პ:

სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ:

ვ) თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ 18-დან 21 წლამდე ასაკის პირმა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული.

- კვლევამ ცხადყო, რომ დისტანციურ სამართალწარმოებას აქვს მთელი რიგი უპირატესობები და ამასთან, ნაკლოვანებები. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სხდომის გამართვის ფორმად დისტანციური სამართალწარმოების შერჩევა, განსაკუთრებული სიფრთხილით მიდგომას მოითხოვს მოსამართლის მხრიდან, ვინაიდან, არსებობს სერიოზული რისკები არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის თვალსაზრისით. გარდა იმისა, რომ შესაძლებელია არაუფლებამოსილ პირს უკანონოდ ჰქონდეს წვდომა დისტანციურ სხდომაზე, ასევე სერიოზული საფრთხეები არსებობს იმ კუთხით, რომ ადვოკატსა და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს შორის კომუნიკაციისას დაირღვეს კონფიდენციალობის პრინციპი. მაშინ როცა არასრულწლოვნის მოწყვლადობის გამო, პროცესის სამართლიანობისთვის, არსებითია მისი ქმედითი და ეფექტიანი მონაწილეობა პროცესში, ასევე კონფიდენციალური იურიდიული დახმარების მომსახურებით უზრუნველყოფა. ამრიგად, დისტანციური სამართალწარმოების პროცესში ნაკლებად არსებობს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები. მართალია, იმპერატიულად ვერ გამოვრიცხავთ დისტანციური სამართალწარმოების შესაძლებლობას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ვინაიდან ეს ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია თავად არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესთან იყოს თავსებადი (მაგალითად, საქმის დროულად განხილვის მიზნით), თუმცა, მოსამართლის მხრიდან დისტანციური სამართალწარმოების ღონისძიების

შერჩევა უნდა იყოს უკიდურესი და მხოლოდ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესთან თავსებადობის შემთხვევაში გამოსაყენებელი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დისტანციური სამართალწარმოება არ მიიჩნევა კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ, თუ არსებობს ლეგიტიმური მიზანი და მიღებულია ყველა ზომა სამართლიანი სასამართლო პროცესის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, როგორებიცაა: ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობა, ტექნიკური ხარვეზების გარეშე პროცესში ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობა. ამასთან, მნიშვნელოვანია სასამართლომ სიფრთხილით შეარჩიოს ეს ღონისძიება იმ თვალსაზრისით, რომ არახელსაყრელ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს ერთი მხარე მეორესთან შედარებით.

2. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში

• კვლევამ ცხადყო, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვა წარმოადგენს პირადი ცხოვრების უფლებრივ ნაწილს. როგორც ეროვნული ისე ევროპული ინსტრუმენტების თანახმად, როდესაც მუშავდება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მონაცემები, იგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებით მოსარგებლე სუბიექტად გვევლინება. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს რაიმე სპეციფიკურ რეგულაციებს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით, რაც ვერ იქნება მიჩნეული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ვინაიდან, არასრულწლოვნის მოწყვლადობის გამო, მისი პერსონალური მონაცემების გამჟღავნებამ განსაკუთრებით ნეგატიური გავლენა შეიძლება მოახდინოს მის მომავალ ცხოვრებაზე, ამ თვალსაზრისით, არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტი გაცილებით მაღალი უნდა იყოს.

მართალია, ამკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი კრძალავს არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას, ხოლო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ

პასუხისმგებლობას განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე დამუშავებისთვის (რომელშიც გამჟღავნებაც მოიაზრება) თუმცა, ვინაიდან, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის, მათ შორის, ნასამართლობის გამჟღავნების შემთხვევა, ბევრად მძიმე შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს არასრულწლოვნისთვის, ვიდრე იგივე შემთხვევა სრულწლოვნის მიმართ, მიზანშეწონილია უფრო მეტად გამყარდეს პერსონალურ მონაცემთა, მათ შორის არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სტანდარტი.

რეკომენდირებულია:

- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლს დაემატოს 1¹ ნაწილი:

იგივე ქმედება ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ, გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით (პირობითად).

• „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი არ ავალდებულებს მონაცემთა დამმუშავებელ ორგანოს, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით დაამუშაოს მისი მონაცემები. ვინაიდან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, მოქმედი საკანონმდებლო რეგულირებით, მონაცემთა დამმუშავებელი ორგანო დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს, არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და საზოგადოების ინტერესთა შორის კოლიზიის წარმოშობის შემთხვევაში, რომელი უფლება შეიძლება შეიზღუდოს. თავისთავად, დაბალანსების პროცესი უნდა განხორციელდეს თანაზომიერების პრინციპის დაცვით. მონაცემთა დამმუშავებელ ორგანოს შეუძლია გარკვეულ შემთხვევებში საზოგადოების ინტერესის სასარგებლოდ მიიღოს გადაწყვეტილება. მართალია, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არ ნიშნავს მასთან დაპირისპირებული ინტერესების სრულ უგულებელყოფას, თუმცა მისი უპირატესად გათვალისწინების ვალდებულება უნდა ჰქონდეს მონაცემთა დამმუშავებელ ორგანოს. ამრიგად, მიზანშეწონილია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონში აისახოს ცვლილებები, რომლის თანახმად, *მონაცემების დამმუშავებელი ორგანო*

ვალდებული იქნება მონაცემები დაამუშაოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. რაც არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიას შექმნის.

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზმა ცხადყო, რომ თუ მთლიანი პროცესი დახურულ სასამართლო სხდომაზე წარიმართა და განაჩენი გამოცხადებულ იქნა ასევე დახურულ სასამართლო სხდომაზე, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს განაჩენების ხელმისაწვდომობა საზოგადოებისათვის დეპერსონალიზებული ფორმით. საქართველოს საერთო სასამართლოებში ბოლო დროს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სასამართლოების უმეტესობა არ გასცემს არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენებს საჯარო ინფორმაციის სახით. აგრეთვე, განაჩენების განთავსება არ ხდება სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, იმ საფუძველით, რომ არასრულწლოვნის სისხლის სამართლის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/4/693,857 გადაწყვეტილების ანალიზის შედეგად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობას. ასეთი ტიპის საქმეებზე განაჩენების გაცემა და ვებ-გვერდზე განთავსება დასაშვები უნდა იყოს არა „სრული ტექსტის“ სახით, არამედ დეპერსონალიზებული ფორმით. იმგვარად, რომ გამორიცხული იყოს არასრულწლოვნის როგორც პირდაპირი, ისე ირიბი იდენტიფიცირება. მიდგომა არასრულწლოვანთა განაჩენების ხელმისაწვდომობის საკითხის მიმართ უნდა იყოს - „როგორც წესი არ გაიცემა სრული ტექსტი“, თუმცა გაიცემა დეპერსონალიზებული ფორმით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან არასრულწლოვნის სასამართლო საქმის განხილვა დახურულ სხდომაზე მიმდინარეობს, არსებობს იმის ლეგიტიმური მოლოდინი რომ მისი პერსონალური მონაცემები დაცული იქნება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფუნქციონირების, პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით დაუშვებელია არასრულწლოვანთა განაჩენების შინაარსის გაცნობის აკრძალვა განსაკუთრებით მკვლევრებისთვის, მონიტორინგის სამსახურებისთვის, ბავშვთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო

ორგანიზაციებისთვის. ამასთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ადვოკატთა კვალიფიციურობას მნიშვნელოვნად განაპირობებს სასამართლო პრაქტიკის სათანადო ცოდნა, რაც შეუძლებელი იქნება „საიდუმლო სისტემის“ პირობებში. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს წარმოადგენს კვალიფიციური ადვოკატის დახმარებით მისი უზრუნველყოფა. ვფიქრობ, მსგავსი რეგულირების პირობებში მიიღწევა სამართლიანი ბალანსი სასამართლო სისტემის გამჭვირვალობასა და არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვას შორის.

საზღვარგარეთის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ მნიშვნელოვანია ეროვნულ კანონმდებლობაში დეტალურად იყოს გაწერილი თუ რა შემთხვევაში არ უნდა გაიცეს არასრულწლოვანთა განაჩენები დეპერსონალიზებული ფორმითაც კი, რა სახის ინფორმაციის დაშტრიხვაა აუცილებელი არასრულწლოვანთა განაჩენებში და რა ფორმით უნდა მოხდეს მონაცემთა დეპერსონალიზება. ამასთან, ქართული რეალობიდან გამომდინარე, ხშირად სახელისა და გვარის ინიციალებიც იძლევა პირის ამოცნობის საშუალებას, ამიტომ, მიზანშეწონილია არასრულწლოვანთა განაჩენებში ინიციალების ნაცვლად გამოყენებულ იქნეს სიმბოლოები, რათა სრულად გამოირიცხოს არასრულწლოვნის იდენტიფიცირების რისკები, რაც დამატებით გარანტიას შექმნის არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის თვალსაზრისით. ამრიგად, *მიზანშეწონილია სწორედ ამ მიმართულებით განხორციელდეს ცვლილებები საქართველოს იუტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში - „საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“*, რაც უზრუნველყოფს ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას საერთო სასამართლოებში, დადგენილი სტანდარტის შესაბამისად განაჩენების გაცემასა და ოფიციალურ ვებ-გვერდზე არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილი განაჩენების დეპერსონალიზებული სახით გამოქვეყნებას.

• კვლევამ ცხადყო, რომ არასრულწლოვნის მონაცემთა დამმუშავებელი ორგანოები მონაცემთა უსაფრთხოების კუთხით არასაკმარის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომებს იღებენ, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობას მისი პერსონალური მონაცემების უკანონოდ

გამქდავნიებით. მიზანშეწონილია, მონაცემთა დამმუშავებელ ორგანოებს (სამართალდამცავი ორგანოები, პროკურატურა, სასამართლო და სხვ.) ჰქონდეთ შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა პრობლემის თავიდან არიდების მიზნით.

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ეროვნული კანონმდებლობის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო ბაზა ჯერ კიდევ შექმნისა და დახვეწის პროცესშია. როგორც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი, ისე დარგობრივი კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ხშირად არასრულყოფილია, რაც ვერ უზრუნველყოფს მაღალი სტანდარტით არასრულწლოვნის პერსონალურ მონაცემთა და პირადი ცხოვრების უფლების დაცულობას. აღნიშნულს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის 2019-2020 წლის ანგარიშებში მოხსენიებული ინსპექტირების შედეგებიც მოწმობს.

3. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები მედიის მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გაშუქებისას

- კვლევამ ცხადყო, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება საქმის განხილვის ყველა სტადიაზე, ავალდებულებს, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გაშუქებისას უზრუნველყონ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის კონფიდენციალობის დაცვა.

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მედიის გამოხატვის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და იგი შეიძლება შეიზღუდოს, მათ შორის, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მიზნით. ევროპული სასამართლო, მოპასუხე სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს ანიჭებს შეფასების ფართო ზღვარს დააბალანსონ გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების უფლებები, ხოლო თავად ევროპული სასამართლო აფასებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს გონივრულობისა და

თვითნებობის კუთხით. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამოხატვის თავისუფლებასა და არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლებათა შორის კოლიზიის წარმოშობის შემთხვევაში, დაპირისპირებულ ინტერესთა დაბალანსების პროცესში, ეყრდნობა ბავშვის უფლებათა სფეროში მოქმედ საერთაშორისო და ევროპულ ინსტრუმენტებს. ამ თვალსაზრისით, მეტი ალბათობა არსებობს, არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლებამ გადაწონოს გამოხატვის თავისუფლება. თუმცა საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოითხოვს დადგენილი ტესტის შესაბამისად გაანალიზებას.

საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ მედიის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების უფლებათა სამართლიან დაბალანსებას განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან მოსამართლეები. დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ბრალდებულის არასრულწლოვნება ყოველთვის არ განაპირობებს პირადი ცხოვრების უფლების სასარგებლოდ ინტერესთა დაბალანსებას.

• საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების მიმოხილვის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მედიის წარმომადგენლები ვალდებულნი არიან არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გაშუქებისას უზრუნველყონ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა. არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გაშუქებისას მათ უნდა გამოიყენონ დაფარვის ან შეცვლილი ხმის გამოყენების სხვადასხვა ტექნიკური საშუალებები, არასრულწლოვნის ინიციალები. ჟურნალისტი ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა რათა არ მოხდეს არასრულწლოვნის როგორც პირდაპირი, ისე ირიბი იდენტიფიცირება. ამასთან, რიგი საერთაშორისო აქტებითა და საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით, გამონაკლისის სახით დაშვებულია არასრულწლოვნის იდენტიფიცირება, როდესაც ეს მის საუკეთესო ინტერესებთან თავსებადია. ამგვარი გამონაკლისები, როგორც წესი, დაზარალებული არასრულწლოვნისკენ მიემართება და არა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისკენ. ხოლო რიგი ქვეყნების კანონმდებლობით, დაიშვება ძეზნილი არასრულწლოვნის ვინაობის გამჟღავნება, რაც საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესით შეიძლება იყოს გამართლებული. თუმცა,

საქართველოს როგორც საკანონმდებლო, ისე მედიის თვითრეგულირების პირობებში მიღწეულია შეთანხმება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ვინაობის გამჟღავნებლობის თაობაზე, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, რაც შეიძლება არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მაღალ სტანდარტად მივიჩნიოთ. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში შესაძლოა წარმოიშვას ისეთი შემთხვევები, როდესაც მიზანშეწონილი იქნება პრესაში არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გავრცელება. როდესაც საქმის შესახებ გარკვეული მონაცემების გამჟღავნება თავსებადი იქნება ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან. როგორც ეს აღნიშნულია „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ“ გაიდლაინებში (მაგალითად მოყვანილია არასრულწლოვნის გატაცების შემთხვევა). მსგავს შემთხვევებში, მედიის თვითრეგულირების ფარგლებში მოქმედი ეთიკის პრინციპები უშვებენ გამონაკლისის სახით არასრულწლოვნის იდენტიფიცირებას. ამასთან, უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლოა საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე მიზანშეწონილი იყოს ძეხნილი არასრულწლოვნის ვინაობის გამჟღავნებაც (მაგ. ტერორიზმის ბრალდება) (იხ. In Re JR38, [2015] UKSC 42, AC 1131). ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, აღნიშნული საკითხის მომწესრიგებელი ნორმა ფორმულირდეს იმგვარად, რომ ერთ შემთხვევაში დასაშვები იყოს არასრულწლოვნის ვინაობის გამჟღავნება, როცა ეს მის საუკეთესო ინტერესს წარმოადგენს და მეორე, ძალზედ უკიდურეს შემთხვევაში ნორმა იძლეოდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ვინაობის გამჟღავნების შესაძლებლობას, როდესაც სერიოზული რისკები არსებობს საზოგადოების უსაფრთხოების თვალსაზრისით.

კვლევამ ცხადყო, რომ უშუალოდ ბავშვის უფლებების მარეგულირებელი ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო, არ შეიცავს მკაფიო ჩანაწერს, რომელიც აუკრძალავს მედიის წარმომადგენლებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვთა ვინაობის გამჟღავნებას. „ბავშვის უფლებათა კოდექსი შეიცავს სპეციალურ მუხლს, რომელიც არეგულირებს მედიის მიერ არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხს. თუმცა ამ ნორმის მოქმედება არ ვრცელდება სისხლის სამართლის დანაშაულისა და

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა წარმოებაზე და კოდექსი მიუთითებს, რომ ეს საკითხი წესრიგდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით. თუმცა, ამკ არ შეიცავს რაიმე სპეციალურ დებულებებს მედიის მიერ არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხთან დაკავშირებით. ამკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამჟავნებისა და გამოქვეყნების წესთან დაკავშირებით გვამისამართებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონზე, რომელიც ასევე არ ვრცელდება მედიასაშუალებების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე. ამრიგად, არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიების შექმნა ნაწილობრივ მედიის თვითრეგულირების საგანს წარმოადგენს. მიზანშეწონილია, ეს საკითხი საკანონმდებლო დონეზეც მკაფიოდ იყოს განსაზღვრული. სწორედ ამიტომ, რეკომენდირებულია „ბავშვის უფლებათა კოდექსი“-ის 71-ე მუხლის მოქმედება გავრცელდეს სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევებზეც. ალტერნატივის სახით, შესაძლოა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-13 მუხლს დაემატოს მე-3 ნაწილი მსგავსი შინაარსის ფორმულირებით, რომელიც აუკრძალავს მედიის წარმომადგენლებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე ბავშვის პერსონალური მონაცემების გასაჯაროვებას, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, უკიდურეს შემთხვევებში ამ წესიდან გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობით.

- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ანალიზმა ცხადყო, რომ მართალია, როგორც საკანონმდებლო ისე თვითრეგულირების ფარგლებში მოქმედი ეთიკური სტანდარტები, ცალსახად კრძალავენ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის როგორც პირდაპირ, ისე ირიბ იდენტიფიცირებას, თუმცა ქარტიის მიერ გამოვლენილია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დარღვევის არაერთი ფაქტი ჟურნალისტების მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გაშუქებისას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სტატისტიკურმა მონაცემებმა დადებითი ტენდენცია აჩვენა ამგვარი დარღვევების შემცირების თვალსაზრისით. თუმცა, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა იდენტიფიცირების საკითხი კვლავ გამოწვევად რჩება. ვფიქრობ, აღნიშნული განპირობებულია ორი ძირითადი

ფაქტორით: ჟურნალისტთა არასაკმარისი კვალიფიკაციით არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის ეთიკურად გაშუქების თვალსაზრისით და გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების ქმედითი მექანიზმის არარსებობით.

პირველი პრობლემის გადაჭრის გზად, შესაძლოა მიჩნეულ იქნეს დარგობრივი ჟურნალისტიკის განვითარება. მიზანშეწონილია, მოხდეს არასრულწლოვანთა დანაშაულის საკითხის გაშუქებაზე მომუშავე ჟურნალისტთა სპეციალიზაცია ამ მიმართულებით, რომლებსაც მხოლოდ შესაბამისი საკვალიფიკაციო კურსის გავლის შემდეგ მიეცემათ შესაძლებლობა გააშუქონ არასრულწლოვანთა დანაშაული ან გამონაკლის შემთხვევებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაესწრონ არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომებს. დარგობრივი ჟურნალისტიკის განვითარება მეტი ალბათობით უზრუნველყოფს ჟურნალისტების მიერ შეცდომების დაშვების რისკების შემცირებასა და სიუჟეტების დადგენილი ეთიკური სტანდარტების შესაბამისად მომზადებას.

მეორე პრობლემის აღმოსაფხვრელად, მიზანშეწონილია ჟურნალისტების მიერ პროფესიული ეთიკის დარღვევის ფაქტებზე რეაგირების მექანიზმი პირველ რიგში თვითრეგულირების ფარგლებში გაძლიერდეს. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტური ეთიკის ქარტია აქტიურად უზრუნველყოფს პროფესიული ეთიკის სტანდარტების დარღვევის ფაქტებზე საჩივრების განხილვას, იგი არ წარმოადგენს ქმედით მექანიზმს იმ თვალსაზრისით, რომ მხოლოდ რეკომენდაციების გაცემით შემოიფარგლება და არა აქვს უფლება გარკვეული სახის დისციპლინური პასუხისმგებლობა დააკისროს მედიის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც უხეშად არღვევენ ეთიკის სტანდარტებს. ამასთან, მწირია ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ რეაგირებენ მაუწყებლები ეთიკის სტანდარტების დარღვევის ფაქტებზე და რა სახის დისციპლინურ სანქციებს იყენებენ მათ მიმართ. მაშინ, როცა ბავშვის უფლებათა სფეროში მოქმედი ინსტრუმენტები, სახელმწიფოებს მოუწოდებენ გამოიყენონ დისციპლინური პასუხისმგებლობა იმ ჟურნალისტების მიმართ, რომლებიც გაამჟღავნებენ ბავშვის ვინაობას, ხოლო ქმედების განმეორების შემთხვევაში ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სისხლის სამართლის წესით დასჯადობას. ეს უკანასკნელი საკითხი მეტად სენსიტიურია და განსაკუთრებული სიფრთხილით მიდგომას მოითხოვს, რათა არ მოხდეს ამ ფაქტის

აღქმა მედიის სადამსჯელო ღონისძიებად, მისი საქმიანობის ხელშეშლის მიზნით. მართალია, ევროპული სასამართლო მედიის წარმომადგენლების სისხლის სამართლის წესით დასჯადობას არ გამოორიცხავს, თუმცა მხოლოდ განსაკუთრებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში მიიჩნევს გამართლებულად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის არაერთი მუხლით დასჯადია პირადი ცხოვრების ხელყოფა (მაგ. სსკ-ის 157-159-ე მუხლები), თუმცა, უშუალოდ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის თვალსაზრისით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი რაიმე სპეციალურ მუხლს არ ითვალისწინებს. მაშინ როცა, არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების ხელყოფა, მითუმეტეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გაჟღავნება და გავრცელება, ბევრად მძიმე შედეგების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს (გამოიწვიოს მისი სტიგმატიზება, ბულინგი, თვითმკვლელობის მცდელობაც კი და სხვა მძიმე შედეგები). ამრიგად, *მიზანშეწონილია სსსკ 157-159 მუხლებს დაემატოს დამამძიმებელი გარემოების სახით იგივე ქმედებების ჩადენა არასრულწლოვნის მიმართ*. ალტერნატივის სახით, რეკომენდირებულია შეიქმნას სპეციალური მუხლი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც უშუალოდ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფის კრიმინალიზებას მოახდენს და დამამძიმებელ გარემოებად გაითვალისწინებს ბავშვებთან მომუშავე სპეციალიზირებული პირების მიერ ამ უფლების ხელყოფას (ხორვატიის პრაქტიკა). თუმცა, აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ მედიის წარმომადგენელთა სისხლის სამართლის წესით დასჯადობა უნდა წარმოადგენდეს უკიდურეს შემთხვევას (როდესაც ჟურნალისტის განზრახვი ქმედების შედეგად დადგება მძიმე შედეგი). უპირველეს ყოვლისა კი მიზანშეწონილია, კანონმდებელმა უზრუნველყოს მედიის თვითრეგულირების მექანიზმის გაძლიერება, რათა მედიის წარმომადგენელთა მიერ ეთიკური სტანდარტების დარღვევის ფაქტებზე, დისციპლინური პასუხისმგებლობის ფარგლებში მოხდეს ქმედითი რეაგირება.

ბიბლიოგრაფია

ქართულენ ენაზე:

ნორმატიული მასალა:

- საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი, 24/08/1995.
- საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ, საქართველოს პარლამენტი, 04/12/2009.
- საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 13/06/1997 (ძალადაკარგულია, 04/12/2009).
- საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის დამტკიცების თაობაზე.
- საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 09/10/2009.
- საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 20/02/1998 (ძალადაკარგულია, 09/10/2009).
- საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 22/07/1999.
- საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 12/06/2015.
- საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 24/06/2004.
- საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 23/12/2004.
- საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 28/12/2011.

- საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 21/07/2018.
- საქართველოს პარლამენტის №242-IVმს-Xმპ დადგენილება „წინა მოწვევის პარლამენტში განსახილველად წარდგენილი კანონპროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ“, 2021 წლის 28 თებერვალი.
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება №2 „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე, 2009 წლის 12 მარტი.
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს №1/250 გადაწყვეტილება „საერთო სასამართლოების მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“, 2016 წლის 12 სექტემბერი.
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №180 ბრძანება „არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრისა და პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“, 2015 წლის 31 დეკემბერი.
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 1 დეკემბრის რეკომენდაცია „კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით სასამართლოში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“.

ლიტერატურა:

- *ავტორთა კოლექტივი*, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, *გიორგაძე გ. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2015.
- *ავტორთა კოლექტივი*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე - საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, *ტურავა პ. (რედ.)*, გამომც. შპს „პეტიტი“, თბ., 2013.
- *ალვარტი ჰ.*, საჯაროობის პრინციპი გერმანული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, კრებულში: ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, *თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2019.

- *აქუბარდია ი., გოგშელიძე რ., ფაფიშვილი ლ., გოგნიაშვილი ნ.*, სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, გამომც. „სამართალი“, თბ., 2009.
- ბავშვის უფლებათა კონვენციის მოკლე მიმოხილვა, 2007.
- *ბიჭია მ.*, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2012.
- *ბოხაშვილი ი., ბენიძე მ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები (მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მიხედვით), „სამართლის ჟურნალი“, №2, 2009.
- *გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ.*, საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეოთხე გამოცემა, გამომც. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2016.
- *გეგეშიძე თ.*, თანამედროვე ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებიდან ინფორმაციის მოპოვება და გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში, სადისერტაციო ნაშრომი, 2021.
- *გოგნიაშვილი ნ.*, არასრულწლოვნის დაკითხვის თავისებურება, ჟურნ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017.
- *გორგოძე მ.*, იუვენალური იუსტიციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელები და ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი პრობლემატური საკითხი ამ მოდელთა ჭრილში, ჟურნ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017.
- *გომაძე კ.*, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ძირითადი უფლება, გამომც. „იურისტების სამყარო“, 2020.
- *გოცირიძე ე.*, გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2007.
- *გროზვეი ი., ვიტკაუსკასი დ., ლევის-ენტონი ს., სტრაისტეანუ დ. ლ., ვედერნიკოვა დ.*, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), თბ., 2008.

- *გურგენიძე მ.*, ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვა ინტერნეტსივრცეში, 2020, <shorturl.at/mowN7> [20.01.2022].
- *დანელია ნ.*, ბავშვთა საკითხების გაშუქება ქართულ სატელევიზიო სივრცეში, მედიის განვითარების ფონდი, თბ., 2011, <http://mdfgeorgia.ge/uploads//Bavshvta_sakitxebis_gashukeba_qartul_satelevizio_mediashi.pdf> [20.01.2022].
- *დემეტრაშვილი ა., გოგიაშვილი გ.*, კონსტიტუციური სამართალი, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2016.
- ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტო და ევროპის საბჭო, ბავშვის უფლებების ევროპული სახელმძღვანელო, *ლურსმანაშვილი ლ. (მთარგმნელი), ბობოხიძე მ. (რედ.)*, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომც., თბ., 2020.
- *ერემაძე ქ.*, ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, წიგნი მეორე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021.
- *ერცენი ი., ჯავახიშვილი ჯ., ჯავახიშვილი ლ.*, აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, საუნივერსიტეტო და პროფესიული სწავლებისთვის, 2020.
- *ვარძელაშვილი ი.*, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, *ჟურნ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“*, №1, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017.
- *ზეჰრი ჰ.*, აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი, *რევიშვილი ი. (მთარგმნელი, რედ.)*, 2002.
- *თუმანიშვილი გ.*, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის მიმოხილვა, კრებულში: ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, *თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2019.
- *ივანიძე მ.*, არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017.

- *იმერლიშვილი ი.*, არასრულწლოვნის უფლებები: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში არსებული მდგომარეობა, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში, თბ., 2017.
- *იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2005.
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, სასამართლო გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობა საერთაშორისო პრაქტიკის სიტუაციური ანალიზი, 2017, <https://idfi.ge/public/upload/IDFI_FOTOS_2016/international_practice_of_court_decisions.pdf> [20.01.2022].
- *კავთუაშვილი ე.*, ბავშვის უფლება იყოს მოსმენილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, ჟურნ. „სამართლის მაცნე“, №2, 12/2020.
- *კავთუაშვილი ე.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი - დასჯის თუ აღზრდის სამართალი?!, ჟურნ. „სამართალი და მსოფლიო“, №4, გამომც. „დან“, თბ., 2016.
- კავშირი „21-ე საუკუნე“, გამოხატვისა და რელიგიის თავისუფლება, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბ., 2018, <<http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/15089.pdf>> [20.01.2022].
- *კვაჭაძე მ., დათეშიძე ნ., მამალაძე ე., მჭედლიშვილი გ.*, აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენება არასრულწლოვანთა მიმართ: საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, *კვაჭაძე მ. (რედ.)*, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბ., 2019.
- *კლდიაშვილი დ.*, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპების განმარტება, პრაქტიკის ანალიზი, თბ., 2019, <<https://www.qartia.ge/media/1000907/2021/01/22/6faf8b17c4cc60a9300f0bc8063f8e8b.pdf>> [20.01.2022].

- *კნაუერი ფ.*, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, კრებულში: ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, *თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2019.
- *კოპალეიშვილი მ.*, კონსტიტუციით დადგენილი ბალანსი სასამართლო აქტებზე საჯარო ხელმისაწვდომობის უფლებასა და პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობისგან დაცვის უფლებას შორის, კვლევა და რეკომენდაციები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად საკანონმდებლო მოწესრიგების საჭიროებაზე, 2020.
- *კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდობი ნ.*, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, ბაკურ სულაკაურის გამომც., 2005.
- *კუბლაშვილი კ.*, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეოთხე გამოცემა, გამომც. „ფაუნტეინ ჯორჯია“, თბ., 2017.
- *კუბლაშვილი კ.*, სასამართლოს მეგობრის მოსაზრება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველოს“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (N719 კონსტიტუციური სარჩელი), 2016, §7, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1830>> [20.021.2022].
- *ლომსაძე მ.*, სისხლის სამართლის პროცესი თანდართული ტესტების ნიმუშებით, მე-5 გამოცემა, გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2015.
- *მაკოვეი მ.*, გამოხატვის თავისუფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი, *ჭელიძე ლ., ბოხაშვილი ბ., მამუკელაშვილი თ. (მთარგმნელები), ჭელიძე ლ. (რედ.)*, 2005, <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/article10.pdf>> [20.01.2022].
- *მახაროზლიძე თ.*, არასრულწლოვანთა სასჯელების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2021.
- *ნაკაშიძე მ.*, ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში: ევროპული სტანდარტები და საქართველოს კანონმდებლობა, 2021, <<http://library.court.ge/upload/58902021-06-28.pdf>> [20.01.2022].

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, რეკომენდაციები ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავების შესახებ, 2013, <<https://personaldata.ge/ka/download/3016>> [20.01.2022].
- საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2018 წლის ანგარიში.
- საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სამსახური, მედია სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები, ევროპის საბჭო/ევროკავშირის ერთობლივი პროექტი - პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის, 2017, <<https://rm.coe.int/guidelines-safeguarding-privacy-in-media-coverage-georgian/1680760838>> [20.01.2022].
- საერთაშორისო სტანდარტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა, 2011, <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.mart15.pdf>> [20.01.2022].
- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპების განმარტებები, <<https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30508-qartiis-principebis-ganmartebebi>> [20.01.2022].
- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭო, ბავშვთა საკითხების გაშუქება (სახელმძღვანელო წესები), თბილისი, 2016. <<https://www.qartia.ge/media/1000907/2017/07/24/17a99f0b5c1f748aabc321d3d023bf1e.pdf>> [20.01.2022].
- საქართველოს სახალხო დამცველი, „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის“, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვა, სპეციალური ანგარიში, 2020, 35, <<https://ombudsman.ge/res/docs/2020031011495929884.pdf>> [20.01.2022].
- საქართველოს სახელმწიფოს ინსპექტორის სამსახური, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2020, <<https://personaldata.ge/ka/about-us>> [20.01.2022].

- საქართველოს სახელმწიფოს ინსპექტორის სამსახური, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2019. <<https://personaldata.ge/ka/press/post/6359>> [20.01.2022].
- საქართველოს სახელმწიფოს ინსპექტორის სამსახური, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის და ინსპექტორის საქმიანობის შესახებ 2018 წლის ანგარიში. <<https://personaldata.ge/ka/about-us#>> [20.01.2022].
- საქართველოს სახელმწიფოს ინსპექტორის სამსახური, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გადაწყვეტილებები, არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავება 1, 2020, <<https://www.personaldata.ge/ka/recommendations>> [20.01.2022].
- *საგინაშვილი ნ.*, პერსონალურ მონაცემების დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, კრებულში: ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბ., 2015.
- *სონგულია ნ.*, არასრულწლოვანთა საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების საკითხები, გამოძიების ჩატარება და სასამართლო განხილვის თავისებურებანი, „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი“, თბ., 2016.
- *სხირტლაძე ნ.*, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2017.
- *ტრექსელი შ.*, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, *გოგელია ვ., ლომთათიძე ე., ქარცივაძე ე., ივანიშვილი თ., ნარინდოშვილი მ. (მთარგმნელები), ვარძელაშვილი კ., ფაფიაშვილი ლ., ნარინდოშვილი მ., მჭედლიძე ნ., მელაძე გ. (რედ.)*, თბ., 2009.
- *ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ.*, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 1996-2012 წლების სასამართლო პრაქტიკა, გამომც. შპს „სეზანი“, თბ., 2013.
- *ფაფიაშვილი ლ., ივანიძე მ., აქუბარდია ი., თუმანიშვილი გ., მეურიშვილი ბ., გოგნიაშვილი ნ.*, საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017.
- *ფაფიაშვილი ლ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი საკითხი, „საერთაშორისო სამართლის ჟურნალი“, №1, თსუ გამომცემლობა, თბ., 2008.

- *ვაფიაშვილი ლ.*, სისხლის სამართალწარმოებაში პერსონალური მონაცემების დაცვის ევროპეიზაციის ტენდენციები, კრებულში: ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, *თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2019.
- *ვაჩუღია თ.*, არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების ინტერნეტში გაზიარების საფრთხეები, კრებულში: პერსონალურ მონაცემთა დაცვის აქტუალური პრობლემები და გამოწვევები, *თოლორაია ლ., ფირცხალაშვილი ა. (რედ.)*, 2021, <shorturl.at/buKSU> [20.01.2022].
- *ქარუმიძე ვ., დარგალი ე.*, არასრულწლოვანი, დამნაშავეობა და მართლმსაჯულება, თბ., 1998.
- *ქვრივიშვილი თ.*, არასრულწლოვნის პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი), *ჟურნ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“*, №1, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017.
- *ქვრივიშვილი თ.*, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა სასამართლოში საქმის განხილვისას, „სამართლის ჟურნალი“, №1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2020.
- *ქვრივიშვილი თ.*, არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა მედიის მიერ დანაშაულის გაშუქებისას, „სამართლის ჟურნალი“, №1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021.
- *შალიკაშვილი მ.*, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013.
- *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016.
- *შაჰოვიჩი ნ. ვ., დოევი ი.ე., ცერმატენი ჟ.*, ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, ბავშვის უფლებები მოკლედ და კონტექსტში: ყველაფერი ბავშვთა უფლებების შესახებ, *ტულუში რ., ალექსიძე თ. (მთარგმნელები), ალექსიძე ლ.*,

ხუციშვილი ქ. (რედ.), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2015.

- *შევილაძე ხ.*, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, თბ., 2019.

- *ცეციშვილი თ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მატერიალურსისხლისსამართლებრივი საკითხების რეგულირების ცალკეული ასპექტები, „სამართლის ჟურნალი“, №1, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2019.

- *წიქარიშვილი კ., მჭედლოძე ნ., თვარაძე ა., ხაჩიძე დ.*, ელექტრონული მართლმსაჯულების ეფექტიანობა პანდემიის დროს, „უფლებები საქართველო“, 2020, <<http://ewmi-prolog.org/images/files/7986Attachment16E-JusticeReportFinalGEORGIAN.pdf>> [20.01.2022].

- *ხერხეულიძე ი.*, არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები იუვენალური იუსტიციის სისტემებში, „სამართლის ჟურნალი“ №2, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013.

- *ხიდუშელი ს.*, ბავშვთა უფლებების დაცვა მედიაში – დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირების მნიშვნელოვანი ასპექტი, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია, *კორკელია კ. (რედ.)*, თბ., 2020.

- *ჯავახიშვილი ჯ, მახაშვილი ნ.*, არასრულწლოვანთა დელინქვენტობის პრევენცია, ფსიქო-სოციალური სამსახურის გამოცდილება, თბ., 2011.

- *ჯიშკარიანი ბ., კუცია ნ.*, საჯაროობის პრინციპი ქართული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, კრებულში: ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, *თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე. (რედ.)*, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2019.

- *ჯორბენაძე ს.*, სოციალური მედიის სამართალი, *ძლიერიშვილი ზ. (რედ.)*, თბ., 2019.

- *ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ.*, მედიასამართალი, *ჯორბენაძე ს. (რედ.)*, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2014.

- *ჯობაძე გ.*, პერსონალურ მონაცემთა დაცვა ადამიანის უფლებათა კონტექსტში: საქართველოს მაგალითი, გამოწვევები და ტენდენციები, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, *კორკელია კ. (რედ.)*, GIZ გამომც., თბ., 2011,
- *ჭანტურია ლ.*, არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციის ზოგადი პრობლემები, კრებულში: გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2016.
- *ჭანტურია ლ.*, ოჯახის ფაქტორი არასრულწლოვნის სამართლებრივი აღზრდისა და მართლშეგნების ამალგებისათვის, *ჟურნ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“*, №1, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017.
- *ჭამილტონი ქ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბ., 2015.

სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის N2/8/1496 გადაწყვეტილება საქმეზე „თეკლა დავითულიანი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/6/1311 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სტერეო+“, ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალავი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №3/1/574 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის N1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგომვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დაცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 აგვისტოს №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით ჯიმშელიძე, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის №1/3/393,397 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია, 2016 წლის 25 ოქტომბრის განჩინება, საქმე №1გ/1635-26.
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია, 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინება, საქმე №1გ/1479-16.
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, 2020 წლის 18 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/ზ-23-2020.
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, 2019 წლის 25 ივლისის განაჩენი, საქმე №1/ზ-480-2019.
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, 2019 წლის 13 ივნისის განაჩენი, საქმე №1/ზ-235-2019.
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, 2019 წლის 6 ივნისის განაჩენი, საქმე №1/ზ-202-2018.
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 ივნისის განაჩენი.
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 ივნისის განაჩენი.
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 22 იანვრის განაჩენი საქმეზე №1-1049/18.
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 12 მარტის განაჩენი საქმეზე №1-1388/19.
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 მარტის განაჩენი საქმეზე N 1-23/19.
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 24 აპრილის განაჩენი საქმეზე №1-173/19.
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 12 ივნისის განაჩენი საქმეზე №1-364/19.
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 სექტემბრის განაჩენი საქმეზე №1-614/19.
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 2 აპრილის განაჩენი საქმეზე №1-691/18.

- ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 მარტის განაჩენი საქმეზე №1-775-18.
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 10 მაისის განაჩენი საქმეზე №1-929-18.
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 დეკემბრის განაჩენი საქმეზე №1-1020-19.
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 მარტის განაჩენი საქმეზე №1-23/19.
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 12 ივნისის განაჩენი საქმეზე №1-364/19.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილებები:

- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილება N 288 საქმეზე „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის გიორგი ხუხიას წინააღმდეგ“, 2019 წლის 29 მაისი, <<https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/75707-gadatsyvetileba-saqmeze-phr-i-giorgi-khukhias-tsinaaghmdeg>> [20.01.2022].
- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილება N287 საქმეზე - პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის resonancedaily-ის და kvira + -ის არაიდენტიფიცირებული ჟურნალისტების წინააღმდეგ, 29 მაისი 2019 წელი, <<https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/75767-gadatsyvetileba-saqmeze-phr-i-resonancedaily-is-da-kvira-istsinaaghmdeg>> [20.01.2022].
- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილება N286 საქმეზე „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის Primetime-ის არაიდენტიფიცირებული ჟურნალისტის და მალხაზ მიქელაძის წინააღმდეგ“, 29 მაისი 2019 წელი, <<https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/75705-gadatsyvetileba-saqmeze-phr-i-primetime-is-zhurnalistebis-tsinaaghmdeg>> [20.01.2022].
- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილება N233 საქმეზე „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის მარიამ გაფრინდაშვილის

წინააღმდეგ“, 17 ნოემბერი 2018 წელი, <<https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/64428-gadatsyvetileba-saqmeze-phr-i-mariam-gafrindashvilis-tsinaaghmdeg>> [20.01.2022].

- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილება N198-199 საქმეზე „ცოტნე მუსელიანი ეკა გაგუას და მიშა სესიაშვილის წინააღმდეგ“, 26 სექტემბერი 2018 წელი, <<https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/66974-gadatsyvetileba-saqmeze-cotne-museliani-eka-gaguas-da-misha-sesiashvilis-tsinaaghmdeg>> [20.01.2022].

- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს გადაწყვეტილება N209 საქმეზე „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის მარიამ გაფრინდაშვილის წინააღმდეგ“, 14 აპრილი 2018 წელი, <<https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/51216-gadatsyvetileba-saqmeze-phr-i-mariam-gafindashvilis-tsinaaghmdeg>> [20.01.2022].

- მედიაციის საქმე ნიკა გურინსა და აჭარის ტელევიზიას შორის, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს სხდომის ოქმი N2017-6, 06.12.2017. <<https://www.qartia.ge/ka/gadatsyvetilebebis-dzebna/article/41019-nika-gurinsa-da-atcaris-televizias-shoris-mediacia-shedga>> [20.01.2022].

ელექტრონული მასალები:

- განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე, 14.05.2019. <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/68425?>> [20.01.2022].

- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები, <<https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula>> [20.01.2022].

- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, <<https://www.qartia.ge/ka/dokumentebi/article/36725-saqarthvelos-zhurnalisturi-ethikis-qartiis-qcevis-kodeqsi>> [20.01.2022].

- საქართველოს პარლამენტი, <<https://info.parliament.ge/#law-drafting/18184>> [20.01.2022].
- საქართველოს სახალხო დამცველი, <<https://www.ombudsman.ge/geo/bavshvis-uflebebis-tsentris-shesakheb>> [20.01.2022].
- საქართველოს სასამართლოების საქმისწარმოების პროგრამა, <<https://ecd.court.ge/>> [20.01.2022].
- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, <<https://www.qartia.ge/ka/qartia>> [20.01.2022].
- სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“, <<https://rustavi2.ge/ka/tvg>> [20.01.2022];
- ტელეკომპანია „იმედი“, <<https://www.imedi.ge/ge/about-us>> [20.01.2022].
- სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“, გამოქვეყნებული გადაწყვეტილებები, <<https://rustavi2.ge/ka/tvg2>> [20.01.2022].
- სამაუწყებლო კომპანია „იმედი“, თვითრეგულირების საბჭოს გადაწყვეტილება, <shorturl.at/hnpBQ> [20.01.2022].
- საერთაშორისო სამაუწყებლო კომპანია „რადიო თავისუფლება“, <<https://www.radiotavisupleba.ge/a/1547801.html>> [20.01.2022].
- საერთაშორისო სამაუწყებლო კომპანია „რადიო თავისუფლება“, <<https://www.radiotavisupleba.ge/a/31153688.html>> [20.01.2022].
- ინტერნეტ-გაზეთი „civil.ge“, <<https://civil.ge/ka/archives/140385>> [20.01.2022].
- ინტერნეტ-გაზეთი „ucnauri.ge“, <<https://ucnauri.com/60146/გვანცა-ყუფარაძე-და-თანაკ/>> [20.01.2022].
- საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „metronom.ge“, <<https://metronome.ge/story/117362>> [20.01.2022].
- ახალი ამბების ვებ-გვერდი „Netgazeti.ge“, <<https://netgazeti.ge/news/20212/>> [20.01.2022].
- საინფორმაციო-ანალიტიკური პორტალი „for.ge“, <<https://for.ge/view/79034/gvanca-yufaraZe-nasamarTleobis-moxsnaze-uars-acxadebs.html>> [20.01.2022].

- ვიდეო საიტი „youtube.com“, <https://youtu.be/QAIiinNVQ3c?fbclid=IwAR1QDmt_0JBF8GmwfJaM7w6jiWupdbK7BwgOgd_68uddb0GsBYoAOUCJm2Y> [20.01.2022].
- სოციალური სამართლიანობის ცენტრი, <<https://socialjustice.org.ge/ka/products/mkvleloba-khoravas-kuchaze-mosakhleobis-tsodnada-damokidebuleba-sasamartlos-gadatsqvetilebis-mimart>> [20.01.2022];
- საერთაშორისო სამაუწყებლო კომპანია „რადიო თავისუფლება“, <shorturl.at/ruHL5> [20.01.2022].
- საერთაშორისო სამაუწყებლო კომპანია „რადიო თავისუფლება“, <<https://www.radiotavisupleba.ge/a/31141530.html>> [20.01.2022];
- ონლაინ მედია პლატფორმა „ტაბულა“, <<https://tabula.ge/ge/news/651353-gelkhauri-arvitsi-prokuraturam-raze-daqrdnabit?>>> [20.01.2022].
- საერთაშორისო სამაუწყებლო კომპანია „რადიო თავისუფლება“, <<https://www.radiotavisupleba.ge/a/31141445.html>> [20.01.2022];
- სააგენტო „პრაიმტაიმი“, <<https://ptn.primetime.ge/shaqarashvilis-saqmeze-braldebulebi-ganachens-gaasachivreben/>> [20.01.2022].

სხვა ქართულენოვანი წყაროები:

- საქართველოს უზენაესი სასამართლო, წერილი №3-494-21, 22.06.2021.
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, წერილი №339-2/10, 21.06.2021.
- თბილისის საქალაქო სასამართლო, წერილი №1-01111/16869, 10.06.2021.
- გორის რაიონული სასამართლო, წერილი №გ/ფ-2240, 29.12.2021.
- ბათუმის საქალაქო სასამართლო, წერილი №810გ/კ, 28.12.2021.
- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივი, წერილი №07-547, 26.01.2022.

ინგლისურ ენაზე:

ნორმატიული მასალა:

- Geneva Declaration of the Rights of the Child, League of Nations (LON), 1924.
- Universal Declaration of Human Rights (UDHR), United Nations, General Assembly Resolution 217A, 1948.
- The Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Council of Europe, Rome, 1950.
- Declaration of the Rights of the Child (DRC), United Nations, 1959.
- International Covenant on Civil and Political Rights, General Assembly, Resolution 2200A (XXI), 16 December 1966.
- United Nations Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice ("The Beijing Rules"), General Assembly, Resolution 40/33, 29 November 1985.
- Recommendation No. R (87) 20 of the Committee of Ministers to Member States on Social Reactions to Juvenile Delinquency, the Committee of Ministers, 17 September 1987.
- Convention on the Rights of the Child, UN General Assembly, Resolution 44/25, 20 November 1989.
- United Nations Rules for the Protection of Juveniles Deprived of their Liberty (The Havana Rules), General Assembly, Resolution 45/113, 14 December 1990.
- United Nations Guidelines for the Prevention of Juvenile Delinquency (The Riyadh Guidelines), General Assembly, A/RES/45/112, 1990.
- United Nations Guidelines for Action on Children in the Criminal Justice System, Economic and Social Council resolution 1997/30.
- United Nations Guidelines for Action on Children in the Criminal Justice System, Economic and Social Council resolution 1997/30, 1997.
- Directive 94/33/EC of 20 August 1994 on the Protection of Young People at Work, 1994.
- General Comment 16, Compilation of General Comments and General Recommendations Adopted by Human Rights Treaty Bodies, UN Human Rights Committee, U.N. Doc. HRI/GEN/1/Rev.1 at 21, 1994.

- International Federation of Journalists: Guidelines and Principles for Reporting on Issues Involving Children, Seoul, June 11-15, 2001.
- Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community, OJ C 306, 17.12.2007.
- Charter of Fundamental Rights of the European Union, 2007/C 303/01 Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, an EU Agenda for the Rights of the Child, 2011.
- UNICEF, Ethical Reporting Guidelines, Key Principles for Responsible Reporting on Children and Young People under 18 years old, 2006.
- General Comment No. 10: Children's Rights in Juvenile Justice, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2007.
- General Comment No. 14 on the Right of the Child to Have his or her Best Interests Taken as a Primary Consideration (art. 3, para. 1), UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2013.
- General Comment No. 20 on the Implementation of the Rights of the Child during Adolescence, UN Committee on the Rights of the Child (CRC), 2016.
- Recommendation Rec(2003)13 of the Committee of Ministers to Member States on the Provision of Information through the Media in Relation to Criminal Proceedings, 10 July 2003.
- Recommendation Rec(2003)20 of the Committee of Ministers to Member States Concerning New Ways of Dealing with Juvenile Delinquency and the Role of Juvenile Justice, 24 September 2003.
- Recommendation Rec(2003)13 of the Committee of Ministers to Member States on the Provision of Information through the Media in Relation to Criminal Proceedings, 10 July 2003.
- CM/Rec (2008)11 of the Committee of Ministers to Member States on the European Rules for Juvenile Offenders Subject to Sanctions or Measures, 5 November 2008.
- Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on Child-friendly Justice, 17 November 2010.

- The Protection of Privacy and Personal Data on the Internet and Online Media, Parliamentary Assembly, Council of Europe, Resolution 1843 (2011), 7 October 2011.
- Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, United Nations Office of Drugs and Crime (UNODC), 2013.
- Procedural Safeguards for Children Who are Suspects or Accused Persons in Criminal Proceedings, The European Parliament and the Council of the European Union, Directive (EU) 2016/800.
- Directive (EU) 2016/680 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data by competent authorities for the purposes of the prevention, investigation, detection or prosecution of criminal offences or the execution of criminal penalties, and on the free movement of such data, and repealing Council Framework Decision 2008/977/JHA.
- Guidelines on Child-friendly Legal Aid, UNICEF ECARO, October 2018.
- The Belgian Constitution, The Belgian Federal Parliament, 1831, art. 22bis (updated following the constitutional revision of 17 March 2021).
- The Constitution of the Republic of Serbia, National Assembly, Official Gazette of the RS, no. 98/2006.
- Children and Young Persons Act, Parliament of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland, 1933.
- Youth Criminal Justice Act of Canada (S.C. 2002, c. 1).
- The Law on Juvenile Criminal Offenders and Criminal Protection of Juveniles, Republic of Serbia, Ministry of Justice, 2005.
- Youth Courts Act, The Parliament of the Republic of Croatia, №126/2019, 24.12.2019.
- Code of Criminal Procedure of the Republic of Estonia, Riigikogu, 12/02/2003, <<https://www.riigiteataja.ee/en/eli/530102013093/consolide>> [20.01.2022].
- Practice Direction 2/11 Trial of Children and Young Persons in the Crown Court, UK.
- Rules of Court, Registry of the Court, Strasbourg, 18 October 2021.

- Bureau Order of the Supreme Court of the Czech Republic, <[https://www.nsoud.cz/JudikaturaNS_new/ns_web.nsf/68fdca6a7e1ccc41c12576ac004593f4/b3f4a3b376ec3f0ac1257712004325b8/\\$FILE/RS_kr2010.pdf](https://www.nsoud.cz/JudikaturaNS_new/ns_web.nsf/68fdca6a7e1ccc41c12576ac004593f4/b3f4a3b376ec3f0ac1257712004325b8/$FILE/RS_kr2010.pdf)> [12.06.2021].

ლიტერატურა:

- *A. Ashwort, M. Redmayne*, The Criminal Process, Oxford University Press, 3rd ed., 2005.
- ABA Division for Public Education, The History of Juvenile Justice, Part I, 5.
- *Albrecht H.*, Youth Justice in Germany, Crime and Justice, Vol. 31, Youth Crime and Youth Justice: Comparative and CrossNational Perspectives, The University of Chicago Press Journals, 2004.
- *Andonov G., Bichia Sh., Makitan K. F., Kacherilska R., Marjanović S., Bozinovski A.*, Practical Guidelines for Remote Judging in Central and Eastern Europe, CEELI Institute, <<https://ceeliinstitute.org/practical-guidelines-for-remote-judging/>> [20.01.2022].
- Australian Institute of Health and Welfare (AIHW), Juvenile justice and youth welfare: a scoping study, Canberra, 1998, <<https://www.aihw.gov.au/getmedia/ed9f299a-a381-449c-9ed3-1ba565d790af/cws-6-3520.pdf.aspx?inline=true>> [20.01.2022].
- *Balin A.*, Case Comment: In re an application by JR38 for Judicial Review (Northern Ireland) [2015] UKSC 42, <<http://ukscblog.com/case-comment-in-re-an-application-by-jr38-for-judicial-review-northern-ireland-2015-uksc-42/>> [20.01.2022].
- *Baumer E. P., Wright R., Kristinsdottir K., Gunnalaugsson H.*, Crime, Shame, and Recidivism: The Case of Iceland, The British Journal of Criminology 41, 2002, 52, <<https://www.researchgate.net/publication/228264180> Crime Shame and Recidivism The Case of Iceland> [20.01.2022].
- *Belair R.*, Criminal Justice Information Policy: Privacy and Juvenile Justice Records, Washington, U.S. Department of Justice, 1982, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.agopinions/cjip0001&i=1>> [20.01.2022].

- *Bernburg J. G.*, Labeling theory. In: Marvin D. Krohn, Alan Lizotte & Gina Penly Hall (eds), Handbook on Crime and Deviance, Springer Science + Business Media, 2009, <https://www.researchgate.net/publication/226795096_Labeling_Theory> [20.01.2022].
- *Bishop D. M., Decker S. H.*, Punishment and Control: Juvenile Justice Reform in the USA, International Handbook of Juvenile Justice, Springer 2008.
- *Blatier C.*, Juvenile Justice in France: The Evolution of Sentencing for Children and Minor Delinquents, The British Journal of Criminology, Vol. 39, No. 2, Oxford University Press, Spring 1999.
- *Blitzman, J. D., Kreager, S. F.*, Transparency and Fairness: Open the Doors, Massachusetts Law Review, 102(2), 2021, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.barjournals/malr0102&i=47>> [20.01.2022].
- *Blum A. R.*, Disclosing the Identities of Juvenile Felons: Introducing Accountability to Juvenile Justice, Loyola University Chicago Law Journal, Vol. 27, Issue 2, 1996.
- *Boyne, S.*, Juvenile Justice in Germany: The Tension between Public Outrage and Criminological Theory. Journal of Global Justice and Public Policy, 3(2), 2017, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/jglojpp3&i=199>> [20.01.2022].
- *Burke A. S., Carter D., Fedorek B., Morey T., Rutz-Burri L., Sanchez Sh.*, Introduction to the American Criminal Justice System, Open Oregon Educational Resources, 2019.
- *Bradley R. J., Kolodney S. E.*, Criminal Justice Information Policy, Privacy and Juvenile Justice Records, Washington, 1982.
- *Braithwaite, J.*, Crime, Shame and Reintegration, Cambridge University Press, 1989.
- *Carić, A.*, Kaznenipostupakprema maloljetnicima, Split, 2004.
- *Cashman C. E.*, Confidentiality of Juvenile Court Proceedings: Review. Juvenile Justice 24(2), 1973, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/juvfc24&i=98>> [20.01.2022].
- *Carrabine E.*, Youth Justice in the United Kingdom, Realising Children's Rights: Multidisciplinary, Comparative and Practical Perspectives Papers from the United Kingdom-India Education and Research Initiative conferences, Essex Human Rights Review, Vol. 7, Number 1, 2010.

- Child-friendly justice, The guidelines Leaflet, <<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168045f5aa>> [20.01.2022].
- Consultative Council of European Judges (CCJE), Statement of the President of the CCJE, The role of judges during and in the aftermath of the COVID-19 pandemic: lessons and challenges, Strasbourg, 2020, §12.
- *Crossman A.*, An Overview of Labeling Theory, 2020, <<https://www.thoughtco.com/labeling-theory-3026627>> [20.01.2022].
- *Delaney J. J.*, Juvenile Records and Confidentiality, unpublished monograph, 1977.
- *Del Carmen, Rolando V., Trulson C. R.*, Juvenile Justice: The System, Process, and the Law, Belmont, CA: Thomson/Wadsworth, 2006.
- *Doob A. N., Tonry M.*, Varieties of Youth Justice, Youth Crime and Youth Justice: Comparative and Cross-National Perspectives, Crime and Justice, Vol. 31, The University of Chicago Press Journals, 2004.
- *Dünkel F.*, Juvenile Justice Systems in Europe – Reform developments between justice, welfare and ‘new punitiveness’, *Kriminologijos Studijos* 1, 2014.
- *Edwards L. P.*, Confidentiality and the Juvenile and Family Courts, *Juvenile and Family Court Journal*, Winter 2004.
- Judicial College, Equal Treatment Bench Book, 2021, <<https://www.judiciary.uk/announcements/equal-treatment-bench-book-new-edition/>> [20.01.2022].
- European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Interim Report on the Measures Taken in the EU Member States as a Result of the COVID-19 Crisis and Their Impact on Democracy, The Rule of Law and Fundamental Rights, Opinion No. 995/2020, Strasbourg, 2020, <[https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2020\)018-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2020)018-e)> [20.01.2022].
- European Union Agency for Fundamental Rights and Council of Europe, Handbook on European Law Relating to the Rights of the Child, Luxembourg, 2015.

- European Commission for the Efficiency of Justice (CEPEJ), Declaration: Lessons Learnt and Challenges faced by the Judiciary during and after the COVID-19 Pandemic, Strasbourg, 2020, <<https://rm.coe.int/declaration-en/16809ea1e2%20%E1%83%9C>> [20.01.2022].
- *Falco N., Grassedonio D., Ponti P.*, Child Rights and Juvenile Justice, Best Practices and Lesson Learned from Save the Children Italy National and International Programs, Roma, 2016.
- *Farrington D. P.*, The effects of public labelling. *British Journal of Criminology*, 17(2), 1977, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/bjcrim17&i=122>> [20.01.2022].
- *Fox S. J.*, Juvenile Justice Reform: A Historical Perspective, *Stanford Law Review*, 22 (6), 1970.
- *Fuchs E.*, From punishment to education: The international debate on juvenile penal reform before World War I, 2015.
- *Geis G.*, Publicity and Juvenile Court Proceedings, *Rocky Mountain Law Review*, 1958.
- *Greenebaum S. S.*, Conditional Access to Juvenile Court Proceedings: A Prior Restraint or a Viable Solution?, *Journal of Urban and Contemporary Law*, 1993.
- *Grisso T.*, Juveniles' Waiver of Rights, Legal and Psychological Competence, New York, 1981.
- *Gwynedd Parry R.*, Protecting the Juvenile Suspect: What Exactly is the Appropriate Adult Supposed to Do? *Child and Family Law Quarterly*, Vol. 18, No. 3, 2006, <https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1968570> [20.01.2022].
- *Heinrich B., Kherkheulidze I.*, Perfection of the Trends in Juvenile Justice Systems On the Basis of Comparison of German, Georgian and the U.S. Juvenile Law, *Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik*, Berlin, Tbilisi, 12/2014, <http://www.zis-online.com/dat/artikel/2014_12_871.pdf>
- *Hopman M. J.*, (Why) Should Children Have Rights? A Philosophical Perspective, *The United Nations Convention on the Rights of the Child (Taking Stock After 25 Years and Looking Ahead)*, 2016.

- *Hustinx P.*, EU Data Protection Law: The Review of Directive 95/46/EC and the Proposed General Data Protection Regulation, 2013, 2. (<https://secure.edps.europa.eu>).
- *Jacobs, J. B.*, Juvenile Criminal Record Confidentiality, New York University Public Law and Legal Theory Working Papers, 2013.
- *Jancic O. C.*, The Rights of the Child in a Changing World, 25 Years After the UN Convention on the Rights of the Child, International Academy of Comparative Law, 2016.
- *James B. J.*, Juvenile Criminal Record Confidentiality, New York University Public Law and Legal Theory Working Papers, Paper 403, 2013.
- Judicial College, Reporting Restrictions in the Criminal Courts, 2015, 8, <<https://www.judiciary.uk/wp-content/uploads/2015/05/reporting-restrictions-guide-2015-final.pdf>> [20.01.2022].
- Juvenile Offenders and Victims, 2014 National Report, National Center for Juvenile Justice, Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention, Pittsburgh, 2014, <<https://www.ojjdp.gov/ojstatbb/nr2014/downloads/NR2014.pdf>>
- *Kaiser, G.*, The juvenile Justice System: The Case of Germany. Legal Studies Forum, 18(3), 1994. <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/lstf18&i=330>>
- *Knutsson J.*, Labeling Theory a Critical Examination, Scientific Reference Group, Stockholm, 1977, <<https://www.ojp.gov/pdffiles1/Digitization/47664NCJRS.pdf>>
- *Korczak J.*, The Child's Right to Respect, Council of Europe Publishing, Strasbourg, 2009, <<https://rm.coe.int/janusz-korczak-the-child-s-right-to-respect/16807ba985>> [20.01.2022].
- *Kratcoski P. C.*, Juvenile Justice Administration, CRC Press, Taylor and Francis Group, Boca Raton, London, New-York, 2012.
- *Kyvsgaard B.*, Youth Justice in Denmark, Crime and Justice, Vol. 31, Youth Crime and Youth Justice: Comparative and Cross-National Perspectives, 2004.
- *Levesque R. J.*, Children's Human Rights. Update on Law-Related Education, Vol. 22, No.3, 1998, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/ulred22&i=150>> [20.01.2022].
- *Leach P.*, Taking a Case to the European Court of Human Rights, Fourth Edition, Oxford University Press, 2017, 363.

- *Linnik N.*, Human Rights Begin with the Rights of the Child, Law Review of Kyiv University of Law, 2020, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/lrkyivu2020&i=356>> [20.01.2022].
- *Luna M.*, Juvenile False Confessions: Juvenile Psychology, Police Interrogation Tactics, and Prosecutorial Discretion, Nevada Law Journal 18, no. 1, 2017, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/nevlj18&i=298>> [20.01.2022].
- *Lynch N.*, Youth Justice in New Zealand: A Children's Rights Perspective, 2008.
- *Mack J. W.*, The Juvenile Court, Harvard Law Review, Vol. 23, 1909.
- *Manco E.*, Protecting the Child's Right to Participate in Criminal Justice Proceedings (Commentary), Amsterdam Law Forum, Vol. 8:1, 2016.
- *Matthews S., Schiraldi V., Chester L.*, Youth Justice in Europe: Experience of Germany, the Netherlands, and Croatia in Providing Developmentally Appropriate Responses to Emerging Adults in the Criminal Justice System, Justice Evaluation Journal, 2018.
- *McElrea F.*, Restorative justice — the New Zealand Youth Court: A model for development in other courts?, Journal of Judicial Administration (4), 1994.
- National Association of Counsel for Children, Policy Statement, Confidentiality of Juvenile Court Proceedings and Records, 1998.
- National Research Council and Institute of Medicine, Juvenile Crime, Juvenile Justice, Washington, The National Academies Press, 2001.
- National Juvenile Justice Network, Safeguarding the Confidentiality of Youth in the Justice System (Recommendations and Resources), Washington, 2016.
- *Nijnatten C.*, 'Behind Closed Door: Juvenile Hearings in the Netherlands', International Journal of Law and the Family, Vol. 3, Issue 2, 1989.
- *Nissen L. B.*, The Road Ahead: Progressive Possibilities and Challenges for Juvenile Justice Reform, Juvenile Justice Sourcebook (Second Edition), Oxford, 2014.
- *Nolasco C., Vaughn M. S., Spaic A.*, Media Access to Juvenile Proceedings: Balancing the Tightrope between Privacy Rights and Freedom of the Press, International Journal of Law Crime and Justice, Vol. 43(4), 2015, <https://www.researchgate.net/publication/273889953_Media_access_to_juvenile_proceedin

[gs Balancing the tightrope between privacy rights and freedom of the press](#)>

[20.01.2022].

- *Ondřejová E, Smith R. C., Lindström L., Ligi T., Francesconi E., Peruginelli G., Demian O.*, Report on the Accessibility to Judicial Decisions through Publication Standards, Joint Programme between the European Union and the Council of Europe, 2015, <<https://rm.coe.int/1680700781>> [20.01.2022].
- OHCHR, WHO, Interim Guidance COVID-19: Focus on Persons Deprived of their Liberty, 2020, <https://interagencystandingcommittee.org/system/files/2020-11/IASC%20Interim%20Guidance%20on%20COVID-19%20-%20Focus%20on%20Persons%20Deprived%20of%20Their%20Liberty_0.pdf> [20.01.2022].
- *Ortiz C. J.*, Diverging Philosophies in the Juvenile System, 1999, <<http://digital.auraria.edu/AA00002543/00001/1x>> [20.01.2022].
- *Palmer E.*, Germany: Children's Rights: International and National Laws and Practice, Law Library of Congress, 2007, <<https://www.loc.gov/law/help/child-rights/pdfs/ChildrensRights-Germany.pdf>> [20.01.2022].
- *Păroșanu A., Horsfield P., Dünkel F.*, European Research on Restorative Juvenile Justice, Research and Selection of the Most Effective Juvenile Restorative Justice Practices in Europe: Snapshots from 28 EU Member States, Volume 1, 2015.
- *Peeler C.*, Always a Victim and Never a Criminal: Juvenile Delinquency in France, North Carolina Journal of International Law and Commercial Regulation, Vol. 22, No. 3, 1997. <<https://core.ac.uk/download/pdf/151516098.pdf>> [20.01.2022].
- Registrar of the Court, European Court of Human Rights, Press Release, Fourthcoming Judgments, no. 932, 2010, 5.
- *Radic I.*, Importance of the Protection of Privacy of Juvenile Suspects or Accused Persons in Criminal Proceedings in the Context of the EU Law. EU and Comparative Law Issues and Challenges Series, 4, 2020, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/eucmlhs4&i=590>> [20.01.2022].
- *Rap S.*, The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe, Utrecht, 2013.

- *Rap-Leurs S. E.*, The Participation of Juvenile Defendants in the Youth Court, A Comparative Study of Juvenile Justice Procedures in Europe, Utrecht University, 2013.
- *Rasheed Khan R.*, Role of Media in Juvenile Justice, <<https://www.legalserviceindia.com/legal/article-6601-role-of-media-in-juvenile-justice.html>> [20.01.2022].
- *Schaible L. M., Hughes L. A.*, Crime, Shame, Reintegration, and Cross-National Homicide: A Partial Test of Reintegrative Shaming Theory, The Sociological Quarterly, Vol. 52, No. 1, Taylor & Francis, Ltd., 2011, 106-107, <https://www.jstor.org/stable/23027462?seq=1#metadata_info_tab_contents> [20.01.2022].
- *Shepherd R.*, Juvenile Justice, Criminal Justice 14(1), 1999, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/cjust14&i=44>> [20.01.2022].
- *Spencer J. R.*, Can Juvenile Offenders Be “Named and Shamed” When They Are Adults?, Criminal Law and Justice Weekly, Issue 34, 2006.
- Summary of Contextual Overviews on Children’s Involvement in Criminal Judicial Proceedings in the 28 Member States of the European Union, European Union, Luxemburg, 2014, <<https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/78efc2f4-746e-485c-9c18-9d2509deeedf>> [20.01.2022].
- The Australian Law Reform Commission, Seen and Heard: Priority for Children in the Legal Process, (ALRC Report 84), 1997, <<https://www.alrc.gov.au/publication/seen-and-heard-priority-for-children-in-the-legal-process-alrc-report-84/>> [20.01.2022].
- The Alliance for Child Protection in Humanitarian Action – UNICEF, Technical Note: COVID-19 and Children Deprived of their Liberty, 2020, <https://alliancecpha.org/en/system/tdf/library/attachments/covid-19_and_children_deprived_of_their_liberty_v1_lowres_0.pdf?file=1&type=node&id=37576> [20.01.2022].
- The International Legal Foundation, Coronavirus Pandemic: Guidance for Legal Aid Providers to Protect Health and Human Rights of Detainees, 3, <https://ee69066d-6f35-44c9-ae54-6d0a2fbf5e5d.filesusr.com/ugd/5213de_6c9b6e9936534200bca8f662839f4d37.pdf> [20.01.2022].

- The Reporters Committee for Freedom of the Press, Access to Juvenile Courts, A Reporters Guide to Proceedings & Documents, 1999.
- *Trasen J. L.*, Privacy v. Public Access To Juvenile Court Proceedings: Do Closed Hearings Protect the Child or the System?, Boston College Third World Law Journal, Vol.15, Issue 2, 1995.
- UN Committee on the Rights of the Child, Concluding Observations: Georgia, CRC/C/15/Add.124, 28 June 2000, §69(b).
<<https://www.refworld.org/publisher,CRC,CONCOBSERVATIONS,GEO,3ae6afc88,0.html>> [20.01.2022].
- *Van Bueren G.*, Article 40 - Child Criminal Justice, A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child, Martinus Nijhoff Publishers, Leiden-Boston, 2006.
- *Walsh A.*, Evolutionary Psychology and the Origins of Justice, Justice Quarterly, 17(4), 2000, <<https://heinonline.org/HOL/P?h=hein.journals/jquart17&i=860>> [20.01.2022].
- *Young S., Greer B., Church R.*, Juvenile Delinquency, Welfare, Justice and Therapeutic Interventions: a Global Perspective, BJPsych Bulletin, 2017, <https://www.researchgate.net/publication/326725544_Youth_Justice_in_Europe_Experience_of_Germany_the_Netherlands_and_Croatia_in_Providing_Developmentally_Appropriate_Responses_to_Emerging_Adults_in_the_Criminal_Justice_System> [20.01.2022].
- *Zeldin W.*, Children's Rights, The Law Library of Congress, Global Legal Research Center, August 2007, <<https://www.loc.gov/item/2018298966>> [20.01.2022].
- *Zermatten J., Gapany P. R.*, Children's Rights From Theory to Practice, Working Report, 2001, <<https://www.childsrights.org/documents/publications/wr/2001-4.pdf>> [20.01.2022].

სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- *Mraović v. Croatia*, [2020] ECHR, no. 30373/13.
- *Kuparadze v. Georgia*, [2017] ECHR, no. 30743/09.

- Yevdokimov and Others v. Russia, [2016] ECHR, nos. 27236/05, 44223/05, 53304/07, 40232/11, 60052/11, 76438/11, 14919/12, 19929/12, 42389/12, 57043/12 and 67481/12.
- Gorbunov and Gorbachev v. Russia, [2016] ECHR, nos. 43183/06 and 27412/07.
- Bouyid v. Belgium, [2015] ECHR, no. 23380/09.
- Hachette Filipacchi Associés (Ici Paris) v. France, [2015] ECHR, no. 12268/03.
- Harroudj v. France, [2012] ECHR, no. 43631/09.
- Von Hannover v. Germany, [2012] ECHR, nos. 40660/08 and 60641/08.
- Vladimir Vasilyev v. Russia, [2012] ECHR, no. 28370/05.
- Krone Verlag GmbH and Krone Multimedia GmbH v. Austria, [2012] ECHR, no. 33497/07.
- MGN Limited v. The United Kingdom, [2011] ECHR, no. 39401/04.
- Flinkkilä and Others v. Finland, [2010] ECHR, no. 25576/04.
- Petrenco v. Moldova, [2010] ECHR, no. 20928/05.
- Sapan v. Turkey, [2010] ECHR, no. 44102/04.
- Sakhnovskiy v. Russia, [2010] ECHR, no. 21272/03.
- Trepashkin v. Russia (no.2), [2010] ECHR, no.14248/05.
- B.B. v. France, [2009] ECHR, no. 5335/06.
- Egeland and Hanseid v. Norway, [2009] ECHR, no. 34438/04.
- Ryakib Biryukov v. Russia, [2008] ECHR, no. 14810/02.
- I v. Finland, [2008] ECHR, no. 20511/03.
- S. and Marper v. the United Kingdom, [2008] ECHR, nos. 30562/04, 30566/04.
- Tønsergs Blad A.S. and Haukom v. Norway, [2007] ECHR, no. 510/04.
- Castravet v. Moldova, [2007] ECHR, no.23393/05.
- Leempoel and S.A. ED. Cine Revue v. Belgium, [2006] ECHR, no. 64772/01.
- Marcello Viola v. Italy, [2006] ECHR, no. 45106/04.
- S. C. v. The United Kingdom, [2004] ECHR, no. 60958/00.
- Pedersen and Baadsgaard v. Denmark, [2004] ECHR, no. 49017/99.
- Cumpânâ and Mazâre v. Romania, [2004] ECHR, no. 33348/96.
- Hirvisaari v. Finland, [2003] ECHR, no. 37801/97.
- B. and P. v. The United Kingdom, [2001] ECHR, nos. 36337/97 and 35974/97.

- Jasper v. the United Kingdom [GC], [2000] ECHR, no.27052/95
- Rotaru v. Romania, [2000] ECHR, no. 28341/95.
- News Verlags GmbH & Co.KG v. Austria, [2000] ECHR, no. 31457/96.
- T. v. The United Kingdom, [1999] ECHR, no. 24724/94.
- V. v. The United Kingdom, [1999] ECHR, no. 24888/94.
- Fressoz and Roire v. France [GC], [1999] ECHR, no. 29183/95.
- Nilsen and Johnsen v. Norway, [1999] ECHR, no. 23118/93.
- Bladet Tromsø and Stensaas v. Norway, [1999] ECHR, no. 21980/93.
- Z v. Finland, [1997] ECHR, no. 22009/93.
- Diennet v. France, [1995] ECHR, 25/1994/472/553.
- Jersild v. Denmark, [1994] ECHR, no. 15890/89.
- Costello-Roberts v. The United Kingdom, [1993] ECHR, no. 13134/87.
- Nortier v. the Netherlands, [1992] ECHR, no. 13924/88.
- Leander v. Sweden, [1987] ECHR, no. 9248/81.
- Lingens v. Austria, [1986] ECHR, no. 9815/82.
- Sutter v. Switzerland, [1984] ECHR, no. 8209/78.
- Pretto and Others v. Italy, [1983] ECHR, no. 7984/77.
- Axen v. Germany, [1983] ECHR, no. 8273/78.
- Handyside v. The United Kingdom, [1976] ECHR, no. 5493/72.
- Standard Verlgas GmbH v. Austria (No. 2), ECHR, no. 21277/05.
- Joined Cases C-203/15 and C-698/15, Tele2 Sverige AB and Watson, [2016], Court of Justice.
- Case NC-293/12 and C-594/12, Digital Rights Ireland Ltd and Seitlinger and others, [2014], Court of Justice.
- Juvenile Re-education Institute v. Paraguay, [2004] I/A Court H.R., Series C, No. 112.
- Advisory Opinion OC-17/02, [2002] I/A Court H.R., Series A No. 17.
- State Ex Rel. Plain Dealer Publishing Company v. Floyd, [2006] U.S.
- State Ex Rel. Plain Dealer Publishing Co. v. Geauga Cty. Court of Common Pleas, [2000] U.S. Juvenile Div.
- Stone v. University, Md. Medical System Corp, [1988] U.S. 855 F.2d 178, 4th Cir.

- In Re Gault, [1967] Supreme Court of the United States, 387 U.S. 1.
- In Re JR38, [2015] Supreme Court of the United Kingdom, 42, AC 1131.
- T v. DPP, North East Press Ltd, [2003] EWHC 2408,168 JP 194.
- Venables & Thompson v. News Group Newspapers Ltd and others, [2001] High Court of UK, EWHC 32.
- McKerry v. Teesdale and Wear Valley Justices, [2000] England and Wales Court of Appeal, Criminal Division, 164 JPN 355.

ელექტრონული მასალა:

- BAILII databases, <<https://www.bailii.org/databases.html>> [20.01.2022].
- Case Analysis, Handyside v. United Kingdom, Global Freedom of Expression, Columbia University, <<https://globalfreedomofexpression.columbia.edu/cases/handyside-v-uk/>> [20.01.2022].
- Connecticut General Assembly, <<https://cga.ct.gov/PS99/rpt%5Colr%5Chtm/99-R-1157.htm>> [20.06.2021].
- Cornell Law School, <<https://www.law.cornell.edu/wex/mandamus>> [20.01.2022].
- Encyclopedia “Wikipedia”, <https://en.wikipedia.org/wiki/Janusz_Korczak> [20.01.2022].
- Encyclopedia “Britannica”, <<https://www.britannica.com/topic/juvenile-justice>> [20.01.2022].
- Giustizia Amministrativa Consiglio di Stato Tribunali Amministrativi Regionali, <<https://www.giustizia-amministrativa.it/>> [20.01.2022].
- Holocaust Memorial Day Trust<<https://www.hmd.org.uk/resource/janusz-korczak/>> [20.01.2022].
- Italggiureweb, <<http://www.italgiure.giustizia.it/>> [20.01.2022]; Riigi Teataja, <https://www.riigiteataja.ee/kohtulahendid/koik_menetlused.html> [20.01.2022].
- Inter-American Commission on Human Rights, <<https://www.cidh.oas.org/images/HEADENG.jpg>> [20.01.2022].

- Inter-American Court of Human Rights, <<https://www.corteidh.or.cr/index.cfm?lang=en>> [20.01.2022].
- International Forum for Responsible Media, <<https://inform.org/2010/03/07/contramundum-injunctions-and-jon-venables/>> [20.01.2022].
- Justizportal des Bundes und der Länder, <https://justiz.de/onlinedienste/rechtsprechung/index.php?fbclid=IwAR2iMgtDsNieg3sQftqvbEcC3dOB0Ri2xX_vMaF7yroku8F2Qjfh9xA6_Q8>, [20.01.2022].
- Nolo Network, <<https://www.nolo.com/legal-encyclopedia/exceptions-confidentiality-juvenile-criminal-records.html>> [20.01.2022].
- Online Encyclopedia <<https://www.encyclopedia.com/law/legal-and-political-magazines/juvenile-justice-history-and-philosophy>> [20.01.2022].
- Online Encyclopedia <<https://www.encyclopedia.com/law/legal-and-political-magazines/crime-causation-sociological-theories>> [20.01.2022].
- Practising Open Data: Publishing Court Decisions in Germany, <<https://blog.transparency.org/2015/09/28/practicing-open-data-publishing-court-decisions-in-germany/>> [20.01.2022].

გერმანულ ენაზე:

ნორმატიული მასალა:

- Gerichtsverfassungsgesetz, GVG, 9th May, 1975.
- Jugendgerichtsgesetz (JGG), Bundesgesetz, 11 Dezember 1974 (BGBl. I S. 3427).

სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- BVerfG, Beschluss der 1. Kammer des Ersten Senats vom 25. Januar 2012- 1 BvR 2499/09 -, Rn. 1-47
- Jugendstrafsache: Verhängung einer Jugendstrafe wegen schädlicher Neigungen, [2021] BGH 2. Strafsenat, Urteil, №2 StR 218/20.

- Aussetzung des Restes einer Jugendstrafe zur Bewährung: Erfordernis einer Straftataufarbeitung in Fällen der Schwerstkriminalität zur Erstellung einer positiven Prognose, [2017] AG Tiergarten, Beschluss N^o(4) 161 HEs 31/16 (30 - 34/16), (4) 161 HEs 31/16 (30/16), (4) 161 HEs 31/16 (31/16), (4) 161 HEs 31/16 (32/16), (4) 161 HEs 31/16 (33/16).
- Jugendstrafverfahren: Terminierung in Haftsachen bei mehreren Angeklagten in Ansehung des Spannungsverhältnisses zwischen Beschleunigungsgebot und der Verteidigung durch Verteidiger des Vertrauens; besondere Haftprüfung bei einstweiliger Unterbringung Jugendlicher, [2016] KG Berlin 4. Strafsenat, Beschluss, N^o(418 VRJs) 265 Js 884/14 (8/16).

ლიტერატურა:

- *Brunner R., Dölling D.*, Jugendgerichtsgesetz, Kommentar, 12.,, Neu Bearbeitete Auflage, 2011.
- *Durner W.*, Zur Einführung: Datenschutzrecht, in: Juristische Schulung. Zeitschrift für Studium und Referendariat, N^o3, 2006.
- *Eisenberg U.*, Jugendgerichtsgesetz, Online Kommentar, 19., neu bearb. Aufl., München, 2017.
- *Ostendorf H.*, Jugendstrafrecht und Jugendstrafverfahren, Universität Kiel, 2009, <<https://docplayer.org/6499061-Jugendstrafrecht-und-jugendstrafverfahren.html>> [20.01.2022].